

ქლიერებო ჯვარო ვაჟისაო,  
ღაგვიცეჳ და ღაგვიფარე ჩვენ.




# ჯვარი ვაჟისა

4

საქართველოს საკატრიოეო

1992



აგხოვნე უფალო, ერი შენი, და  
აკურთხე სამკვიდრებელი შენი.  
ქლევა ჯვართა ბარბაროზთა ზე-  
და ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა  
მოანიჭე და საფარველსა ქვეშე  
მისსა დაიცევ, რათა ვიტყო-  
დეთ-უფალო, დიდება შენდა.  
ამინ!

# ჯვარი ვაზისა

სრულიად საქართველოს საკათრიარქო

## შ ი ნ ა ა რ ხ ი

### ღვთისმეტყველება

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. სინანულისა და მწუხარების შესახებ .....	3
ბრიგოლ კალამა. ქადაგება ლუკას სახარების საკითხავისათვის .....	8
ღირსი მამის სერაფიმე საროველის საუბარი სიმბირსკელ მემამულე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მოტოვილოვთან .....	11
ეკლესიის მამათა აზრები მღვდლობის შესახებ .....	26
წმიდა მკურნალნი და შუამდგომელნი ჩვენნი ღმრთის წინაშე .....	31

### ლიტურგია

მღვდელმთავართა ლიტურგიის სახისმეტყველობითი განმარტება .....	44
ღავით ეპისკოპოსი. მწუხრის განმარტება .....	47
მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილი. ....აქადენ მკუდარნი დაფლვად	
თ სთა მკუდართა (მთ. 8,22) .....	57
ეპქთიმე კოზლამაზაშვილი. რა დღესასწაულია ოცობა? .....	59

### ეკლესია და ოჯახი

აღიზარდენ შვილნი ჩვენნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისა თა .....	64
---	----

### ეკლესია და სამწყვსო

მითროპოლიტი ვიტალი. ტელეფიზია და სამწყვსო .....	67
---	----

### ქრისტიანული ხელოვნება

ო. ბუბარაძე. წმიდა ხატების თაყვანისცემა .....	71
---	----

### წარსულიდან

ღაჰან მენაბდე. ნიკოლოზ ორბელიანი .....	74
--	----



დაიბეჭდა  
 უფიდეხისა და უნეტარების,  
 სრულიად საქართველოს  
 კათოლიკოს-პატრიარქის,  
 ილია II-ის  
 ღვაწლითა და ღოცვა-კურთხევით



სრულიად საქართველოს საკათრიარქო  
 შურნალი

4.1992

●  
 საგამომცემლო განყოფილების  
 თავმჯდომარე  
 და რედაქტორი  
**მღვდელი ლავრენტი  
 აუზიაშვილი**

●  
 პასუხისმგებელი მდივანი  
**ბრიგოლ ბულია**

●  
 გარეკანის მხატვარი  
**დავით მორგოშია**

რედაქციის მისამართი:

სრულიად საქართველოს საკათრიარქო  
 თბილისი

ერეკლეს მოედანი 1  
 ტელ 98-26-34

●  
**JVARI VAZISA**  
 (The Cross of Vine)  
 Georgian Patriarchate  
 Tbilisi 1, Erekle's square  
 T. 98-26-34

●  
**ДЖВАРИ ВАЗИСА**  
 (Крест из лозы виноградной)  
 Грузинская Патриархия  
 Тбилиси, пл. Ираклия 1  
 T. 98-26-34

●  
 ჟურნალში გამოყენებულია  
 თამაზ ქიქავას ფოტოები  
 შეკვეთა 978  
 ქალაქის ზომა 60x84 1/8  
 პირიბითი ნაბეჭდი თაბახი 10  
 ტირაჟი 5 000

●  
 ჟურნალი დასაბეჭდად მომზადდა  
 გამომცემლობა „მარინში“  
 თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14

●  
 დაიბეჭდა  
 გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში  
 თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14

## სინანულია და მნახარების შესახებ

თუ როგორ მოვიპოვებთ მას და რომ ცრემლთა გარეშე  
შეუძლებელია სიწმიდისა და აუღვრეველობის მიღწევა  
(I ნაწილი)

როდესაც ამოიკითხავთ თქვენ, მამანო და ძმანო, ღვთისმეტყველ ნაწერებს ჩვენი წმიდა მამის სვიმეონ სტუდიელისა, ნაწერებს მის მაღალ საქმეთა შესახებ, რომლებიც მანვე, სულიწმიდის მიერ აღძრულმა, დაგვიტოვა ჩვენდა სარგებლად, ჰპოვებთ, რომ ბევრ სხვა „ზებუნებრივ საქმესთან ერთად ამასაც გარკვევით გვიწერს და გვასწავლის იგი, რასაც თვითვე უცვლელად იცავდა მთელი ცხოვრება: „ძმაო, ნურასოდეს ეზიარები ცრემლთა გარეშე“. როდესაც ამგვარი რამ ესმათ მისგან, — ხოლო მსმენელთა შორის მრავლად იყვნენ არა მხოლოდ საერონი, არამედ, აგრეთვე, მონაზონნი, სათნოებით სახელგანთქმულნი და ღიღებულნი, — გაიკვირვებს მათ წმიდა მამის ეს სიტყვები, ერთურთს მიაპყრეს მხერა და, ცალკერძ ღიმილით, ერთსულოვნად და ერთხმად თქვენ: „ამიერიდან ვერასოდეს ვეზიარებით და დავრჩებით ყველა უზიარებლად!“ ამის გამგონებ, მე, გლახაკმა და უბადრუკმა, განმარტოებით ყოფნის უამს გაეთხინე ზემორე სიტყვათა მთქმელნი, აგრეთვე, ის სიტყვები, რაც მათგან ითქვა, დავნაღვლიანდი, ავტირდი მწარედ და გულდამძიმებულმა ასე ვთქვი ჩემთვის: ნუთუ მართლაც ამგვარად ჭერებენ ამ საქმეს, ნუთუ მართლაც შეუძლებელი ჰგონიათ იგი და რაც თქვენს, გულით თქვენს? იქნებ, პირიქით, უმნიშვნელო დეაწლად შერაცხეს მათ მარტოდენ

ცრემლთაღვრა ზიარების უამს და უფრო ამიტომ გაიცინეს მოძღვრის ნათქვამზე, რადგანაც, ჭეშმარიტად, ვისაც ყოველი დღე-ღამის საქმედ არ გაუხდია ტირილი ქრისტეს, ღვთის წინაშე, ვერანაირად ვერ შეძლებს იგი მოთქმა-გოდებასა და ცრემლთა ნაკადის დენას ვერც მაშინ, როდესაც საღვთო საიდუმლოთა მიღებას დაეშურება. ვერაინ შეძლებს ამას, თუ, რა თქმა უნდა, ფარული რამ განგება ანდა იშუიათი რამ მიზეზის შემთხვევითობა არ მოქმედებს მასზე, ეს კი გასაკვირი არ გვეჩვენება, რადგანაც ბევრი ვინმე სულის ამოსვლის დროსაც ტირის და ცრემლს ადენს (თუმცა არათუ მართლა ბევრი, პირიქით, მეტად ცოტა და თითზე ჩამოსათვლელი).

თუკი ნამდვილად ფიქრობენ, რომ სრულიად შეუძლებელია ყოველ დღე ცრემლებით ზიარება საშინელ საიდუმლოსთან, ვაი, ასეთ პირთა უმეცრებას! ვაი, მათ გულქვაობას! ვაი, ამგვარად მეტყველთა უგუნურებას, უგულისყურობასა და სიბრმავეს. მათ რომ საკუთარი თავი განეკითხათ, აღარ განიკითხებოდნენ მათივე სიტყვებით; სინანულს რომ დაშურებოდნენ, შეუძლებლად არ შერაცხდნენ ცრემლთადენას; ნაყოფიერი საქმე რომ ეღვაწათ, იგემებდნენ კიდევ ღვთის ამგვარ მაღლს, ამგვარ სიკეთეს; საღვთო შიში რომ ჩაეღოთ გულში, თვით იქნებოდნენ მოწამენი იმისა, რომ

არა მხოლოდ საღვთო საიდუმლოთა ზიარების  
ჟამს ძალგვიძს მწუხარება და ტირილი, არამედ,  
ძალისამებრ, ყოველ საათს.

ამიტომ, რადგანაც მსურს, რომ დავარწმუნო  
თქვენი სიყვარული ზემოთქმულის ჭეშმარიტე-  
ბაში, დაეჭვებულთა მიმართ მივაპყრობ თქვენს  
გულისყურს და ვკითხავ მათ: „მითხარით მე,  
უძვირფასესნო ძმანო, რატომ არის ეს საქმე  
შეუძლებელი?“ მომიგებენ: „იმიტომ, რომ ზოგი-  
ერთები ადვილად და დაუყონებლივ ეძლევიან  
მწუხარებას, ზოგნი კი გულმაგარნი და ქვის  
გულისანი არიან და თუნდაც გვემო, არ  
დამწუხრდებიან. ამგვარი ხალხი როგორ შეძლებს  
მოთქმა-გოდებას და მუდამუჟამს ცრემლთა დენით  
ზიარებას? ან თუნდაც მღვდლებს, რომლებიც  
საღვთო და უსისხლო ლიტურგიას აღასრულებ-  
ენ, ვით ხელეწიფებათ ტირილი?“

მე კვლავ ვკითხავ: „ჯერ ეს მითხარით, თუკი  
იცით: საიდან უჩნდება ამგვარ ხალხს გულქვაობა  
და, როგორც თქვენ ამბობთ, მწუხარებისადმი  
უგრძობლობა? თუკი არ იცით, ნუ შეგრცხე-  
ბათ, თქვენეული სიმაღლიდან მცირედით ქვე  
დადაბლდით, წადიერად მომაპყრეთ ყურნი და ნუ  
იუკადრისებთ ჩემებრ უკანასკნელის სწავლებას,  
რადგანაც წერილი ამბობს: „უკეთუ უკანასკნელს  
გაეცხადოს, პირველმა დაიდუმოს“ (მდრ. სკორ.  
14,30).

მეტყვის ვინმე: „როგორ ხდება, რომ ერთს ქვის  
გული აქვს, მეორე კი გულმტირალი?“

ისმინე:

ნებაყოფილობით არის ერთი ვინმე გულისხმი-  
ერი, მეორე ავი. განზრახვათა მიხედვით არის  
ერთი ვინმე უკეთური, მეორე კი პირიქით. საქმეთა  
მიერ არის ერთი ღვთისმბრძოლი, მეორე ღვთის-  
მოყვარე. თუკი გწადია, შენვე განჭვრიტე დასა-  
ბამიდან და პპოვებ, რომ ამ სამთაგან ჰგიეს ყველა  
და რომ ამ ნიშანთა კვალობაზე კეთილთაგან ბევრი  
ვინმე ბოროტი ქმნილა, ხოლო ბოროტნი სიკეთი-  
საკენ მოქცეულან. თუკი ზემოდან დავიწყებთ აღ-  
რიცხვას, უპირველესად ამას ვიკითხავთ: „რა  
მიზეზით დაეცა ლუციფერი? განა უკეთურ  
განზრახვასა და ნებასურვილს არ დაემონა იგი?  
საიდან გახდა კაენი ძმის მკვლელი? განა მანვე,  
ბოროტი ჟინით აღძრულმა და უკეთურ ზრახვებს  
აყოლილმა, თავისი თავი არ არჩია დამბადებულს  
და შურით ძლეულმა მკვლელობა არ აღასრულა?  
რისთვის ცდილობდა საული დავითის შეპყრო-

ბასა და მოკვლას, რომელსაც ადრე ისევე სცემდა  
პატივს, როგორც საკუთარ თავს და რომელიც  
მოკეთესებრ უყვარდა? ბუნება აიძულებდა მას  
თუ ბოროტი განზრახვა? ცხადია, რომ ბოროტი  
განზრახვა, რადგანაც არავინ შექმნილა ბუნებით  
ბოროტი. რამეთუ ღმერთი მოქმედია არა საქმეთა  
უკეთურთა, არამედ — ფრიად კეთილთა და თვი-  
თვე არის უმეტესად კეთილი, თუმცა კეთილია  
იგი არათუ მცდელობითა და არჩევანით, არამედ  
ბუნებითა და ჭეშმარიტებით.

ზემოთქმულს დაემათ: რატომ მოხდა, რომ  
მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულთაგან ერთმა  
აეახაკმა ეს უთხრა უფალს: „შენ თუ ხარ ქრისტე,  
იხსენ თავი შენი და ჩუენცა“ (ლუკა, 23,39), ხოლო  
მეორე ასე ესიტყვა მას: „არცადა გეშინის შენ  
ღმერთისა? რამეთუ ჩუენ სამართლად ღირსი,  
რომელი ვქმენით, მოგუგებების, ხოლო ამან  
უმჯულოებაი არარაი ქმნა“ (ლუკა, 23,40-41).  
მითხარ, რა მიზეზია, რომ ერთმა ასე თქვა, მეო-  
რემ კი სხვაგვარად, ერთი განმართლდა, მეორე კი  
დაისაჯვა? განა მიზეზი ის არ არის, ერთს კეთილი  
არჩევანი და კეთილი ზრახვა ჰქონდა, მეორეს კი  
უკეთური? ამგვარ ზრახვათა კვალობაზე ერთმა  
ურწმუნოება ირჩია, მეორემ კი რწმენა მოიგო და  
ასე უთხრა მაცხოვარს: „მომიხსენე მე, უფალო,  
სასუფეველსა შენსა“ (მდრ. ლუკა 23,42).

მეტად რომ აღარ გავაგრძელო, იმითაც, რაც  
გითხარით, ისწავლეთ და შეიმეცნეთ, რომ ყო-  
ველი ადამიანი თავისივე ნებაყოფლობითი არ-  
ჩევანის მიხედვით არის ან გულმტირალი და  
მდაბალი, ანდა ქვის გულისა და გოროზი. ეს  
მართლაც ასეა: მაგალითად, ხდება ასე რომ,  
განუდგება სოფელს ორი კაცი ერთი ხელობისა,  
ერთი ტომისა, ერთი ასაკისა, ზოგჯერ კი თვით  
ძმებიც, რომლებსაც აქვთ ერთი აზრი, ერთი ჩე-  
ვეა, რომლებიც არიან, ვთქვათ უკეთურნი, ქვის  
გულისანი, უღმობელნი, ველურნი, ხორცისა და  
ვერცხლის მოყვარულნი, ყველა სახის ბოროტე-  
ბასა და უკეთურებას თანაბრად მიცემულნი, —  
მაგრამ მას შემდეგ, რაც ორივე ზიარად მიაშ-  
ურებს სამოღვაწეო ასპარეზს, ერთი მათგანი  
ყოველგვარ სათნოებაში ერთბაშად წარემატება,  
როდესაც იგი მზურვალე რწმენითა და  
გულდაჯერებით მოიკვეთს ბოროტს, ხოლო მეორე  
იმაზე მეტად გაბოროტდება, ვიდრე იყო იგი  
სოფლის უარყოფამდე. რაა მიზეზი იმისა, რომ ეს  
ორი ადამიანი კვლავაც თანაბრად აღარ წარე-

მეტი, თანაბრად აღარ აღზევდა სათნოებაში, როგორც ადრე ბოროტებაში? განა მიზეზი ის არ არის, რომ ერთმა მათგანმა კეთილსულიერი განზრახვით საღეთოდ დაითმინა ყოველი ჭირი, ამასთან, განდევილობის დასაბამშივე მთელი ჭონება საღეთო წერილს მიაპყრო და თვითვე თავისი თავით ირჩია კეთილის ქმნა, რადგანაც კბაძა მან უმეტესად კეთილმოშიშ მამათა ყოფას და თანაშეერთინა მათ მარხვასა და ლოცვაში, ვედრებასა და ბაგეთმდუმარებაში, მწუხარებასა და ცრემლთადვრაში, საამურ საჭმელთაგან და უადგილო სიტყვისგებათაგან განდგომაში, ტულისწყრომისა და რისხვის პყრობაში, ხმადაბლობაში, ამასთან, უხმოდ მოუდრიკა თავი გინებას, ვიწროებასა და შეჭირვებას, ხოლო როდესაც უღირსი და შეურაცხი საქმე მიანდეს, არათუ მარტოდენ უდრტვინველად და უსიტყვოდ დაემორჩილა თავის ხვედრს, არამედ წადიერადაც აღასრულა ყოველივე, რადგანაც მუდამჟამს იყო უკანასკნელი ადგილის მოსურნე და სხვებზე უღარესად შეერაცხა თავისი თავი. მოკლედ რომ ვთქვათ, შეგნებულად იქმოდა იგი ყველაფერს, რასაც საჩინოდ გეასწავლის ჩვენ საღეთო წერილი, რომ ამ გზით მიეღო წყალობა და შენდობა ძველი ცოდვებისა და გულდაჯერება მოგო ღვთის წინაშე. რაც შეეხება მეორეს, ავსულიერი განზრახვით აღასრულა მან ყოველი საპირისპირო საქმე და ამიტომაც დარჩა იმგვარი, როგორც იყო, ვიდრე ბოროტებას განუდგებოდა, თუ არ ვიტყვით იმას, რომ უარესიც გახდა ადრე ყოფილზე. ამგვარად, არათუ ბუნებისაგან, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ არჩევანის მიხედვით არის ყოველი კაცი ან მდაბალი დი მწუხარე, ანდა ქვის გულისა, უგრძობელი და უცრემლო; თუმცა როდისღა მოახერხებს, მითხარ მე ხულით წუხილსა და თვალთაგან ცრემლთა დენას ისეთი ვინმე, რომელიც თითქმის მთელი დღე აქა — იქ მიმოდის და რომელიც არც ბაგეთა მდუმარებას, არც ლოცვას, არც კითხვას, არცთუ დუმილს არ ემშურება, არამედ მსახურების ჟამს ხან გვერდით მდგომს ესაუბრება (რითაც არამარტო თავის თავს აკლებს სარგებელს, არამედ — აგრეთვე მის მსმენელსაც), ხან კეთილმოშიშ ძმებს, ზოგჯერ თვით წინამძღვარსაც კიცხავს და აძაგებს!? როდის მოიცლის წუხილისათვის, ვინც ყველგან ცხვირს ჰყოფს სამონასტრო საქმეებში, თუმც არამარტო სამონასტრო საქმეებში, არამედ

ყველა იქ მკვიდრის ცხოვრებაში, ვინც ზოგჯერ ასე ეტყვის ძმათაგან ერთ-ერთს: „გუშინ შევიტყვე ესა და ეს;“ ზოგჯერ კი ასე: „იცით, რა შეემთხვა იმ საცოდავს?“ ხოლო ზოგჯერ: „გაიგეთ იმის უბედურება?“ მართლაც, როდისღა გაიხსენებს ამგვარი ვინმე საკუთარ ცოდვებს, რომ გულმწუხარედ გადმოღვაროს თვალთაგან ცრემლი? მსახურებასაც ტოვებს იგი და შორიხლოს მდგარი ვილაცყებს ესაუბრება, ხოლო საღეთო წერილის ამოკითხვის ჟამს ხან თვითვე, ხან კიდევ მის გვერდით მდგომნი უსარგებლო ამბებს ჰყვებიან. ჯერ სხვა იტყვის: „გაიგეთ, რა გაუკეთა ამა და ამ ძმას წინამძღვარმა?“ შემდეგ თვით დასძინს: „ახლა, მე რომ თქვენ გითხრათ, რაც მან იმ უბედურს გაუკეთა, რაღა გექნებათ შემდეგ სათქმელი?“ ამგვარს და უფრო უარესსაც ჰყვება იგი და ამგვარი ფუჭმეტყველებით სხვებსაც აცდენს და თავის თავსაც. ამიტომ, როდისღა შეიგრძნობს იგი საკუთარ ცოდვებს, როდის დაიტირებს საკუთარ თავს?

ვინც ღვთისსულიერ სიტყვებს არ ემშურება, არ ადებს კლიტეს თავის პირს, ყურს არ არიდებს უსარგებლო სიტყვათა სმენას, არ მოიხსენებს უკანასკნელ სიტყვისგებასა და ქრისტეს სამინელ სამსჯავროს, — რაჟამს შიშველნი და ქედღადრეკილნი წარედგებით ყველა მის წინაშე და პასუხს ვაგებთ ჩვენს ცხოვრებაზე, — როგორ შეძლებს ასეთი ვინმე, თუნდაც რომ ას წელზე მეტი დაჰყოს მან სამონაზვნო შესამოსელში, ცრემლი ღვაროს და მხურვალედ იგლოვოს თავისი თავი, როგორ იწუხებს იგი საკუთარი სულისათვის, როგორ იტირებს მწარედ ღვთის წინაშე, თუკი პირველობასაც ესწრაფვის ყველგან, ეკლესიაში დგომისას თუ ტრაპეზზე ჯდომისას, თუკი მუდამჟამს სწორედ პირველობის გამო შფოთავს და იბრძვის? როდისღა შეიცნობს ასეთი ვინმე საკუთარ უძღურებას, როდის მოჰყვება თავისი თავის გამო სულით გოდებას, გულით წუხილს, თვალებიდან ცრემლების დენას, თუკი, პირიქით, იმიზეზებს იგი „მიზეზთა ცოდვისათა“ (მღრ. ფს. 140,4), თუკი იჩემებს უძალობას ეკლესიაში დგომისას (თუმცა კი ძლიერია, ახოვანია, ახალგაზრდაა), თუ მუდამჟამს თავს ატოლებს ფრიად დამაშვრალ კეთილმოშიშ ძმებს, ხანდაზმულ მოღვაწეებს და ასე ამბობს: „ნუთუ რაიმეთი ნაკლები ვარ ამაზე და ამაზე, ვინც საყრდენიან ადგილას დგას და აქ არმყოფიც კი იბეჭებს ამ ადგილს?“; და თუმცა

ამგვარ მოღვაწეებს უტოლებს თავს, სინამდვილეში უღირსია უდაბლესი ხარისხისაღ, რადგანაც ცუდმედიდობა, რაც უზრუნველობის მონად ხდის მას, საბოლოოდ აქარწყლებს მასში ყოველგვარ მხნეობასა და სიმტკიცეს. ამიტომ, ამგვარი ვინმე ყოველ მსახურებას უსაქმური დაუღვერობით ატარებს და მის გვერდით მდგომთ, — ყველას, ვინც მოსმენას არ დაზარდება, — განუწყვეტილად უყვება უსარგებლო და დედაბრულ ზღაპრებს. ასე უგრძობლად, ანდა უკეთ, განცდის გარეშე შედის იგი საღვთო მსახურებაზე სულიერ და ღვთისმოსავ მოღვაწეებთან ერთად და ურგებად გამოდის გარეთ, რადგანაც სრულიად ვერ გრძნობს უკეთესობისაკენ რამ ცვლილებას, რასაც გულმწუხარად მოღვაწეებს მიმადლებს ღმერთი. მას კი ჰგონია, საკმარისია მარტოოდენ დასწრება დაწესებულ მსახურებაზე, — კერძოდ, ცისკარზე, მწუხრზე, ფსალმუნთა ვამნებზე, — და თითქოს ასე უბრალოდ წარმატება სათნოებაში, ასე უბრალოდ მიადწევს სრულ მოღვაწეთა სრულქმნილებას, ქრისტეს ასაკს (მდრ. ეფეს. 4, 13). ვიცნობდი ამგვარი ცთომილებით წარტაცებულებს, რომლებიც სხვათა გარემოცვაში გულმოდგინედ ცდილობდნენ ხორციელ ცოდვათაგან თავის დაღწევას, მაგრამ სრულიად არ ზრუნავდნენ, რომ გარიდებოდნენ მათივე გულის ფარულსა და უჩინარ ზრახვებს, ფიქრობდნენ კი, რომ ცხონდებოდნენ მსახურებაზე მხოლოდ დასწრებით, ყველა სხვა საქმის, — ლოცვის, ბაგეთმდუმარების, მღვიძარების, ზავშეკავების, სულიერი სიგლახაკის, სიმდაბლისა და სიყვარულის გარეშე. მაგრამ ასე როდი ხდება! ღმერთი არ ხედავს არც სახეებს, არც მარტოოდენ ჩვეულებათა გარესამოსელს, არც ჩვენს ხმამაღალ წამოყვირებებს, არამედ მხოლოდ შემუსრვილსა და დამდაბლებულ გულს, საღვთო შიშითა და მღუმარებით მოსილს, რადგანაც ამბობს იგი: „ესე ყოველი შექმნა ხელმან ჩემმან და ჩემნი არიან ყოველნი ესე, — იტყ ს უფალი, — და ვის ზედა მივიხილო, არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მყუდროსა და მძრწოლარესა სიტყუათაგან ჩემთა?“ (ეს. 66, 2).

რაღა ვთქვა იმ პირთა შესახებ, რომლებიც უღირსად წარუდგებიან წინამძღვრებს და საყვედურებს გამოთქვამენ მათ წინაშე? ერთნი, რომლებიც მარტოოდენ გარეგნულად ავლენენ მოშიშებას, ანდა რომლებიც, უკეთ რომ ვთქვათ,

მხოლოდ საკუთარ სარგებელს, საკუთარ ღიღუბასა და წარმატებულ სიამებებს ესწრაფვიან, ამგვარად მიმართავენ წინამძღვრებს: „განა ჩვენ კი არავართ ღირსნი, პატიოსანო მამაო, ვემსახუროთ მონასტერსა და საძმოს? იქნებ მარტოდენ ამა და ამ ძმას შეჰფერის ესა და ეს მსახურება? ან იქნებ ჩვენზე უკეთ იცის მან, როგორ განავოს საქმეები? ჩვენც გამოგვცადე, თუკი ინებებ და ნახავ, რომ სხვებზე უკეთ ძალგვიძს სამონასტრო საქმეთა შესრულება და წარმართვა.“ მეორენი, რომლებიც განდევნილობის დაწყებამდე უსაქმურობითა და სიზარმაცით არიან ძლეულნი, მუდამაჟს იმიზეზებენ ხორციელ რამ უძლეულებას; ასეთები, — გუშინ თუ გუშინწინ გამოსულნი სოფლიდან და ჯერაც ყოველგვარი უკეთურებით აღვსილნი, — უწინარეს მორჩილებისა, ოფლთაღერისა და საღვთო საქმეებში გარჯილობისა, ფრიად დამაშვრალთა ახლოს ჩამოსვენებენ. თუკი გვერდით მყოფი ეტყვის ამგვარ ვინმეს: „მოდო, ძმაო, შენს ჩვეულ ადგილზე, იქ დადექი და იქ წარმოთქვი ფსალმუნის სხვა ძმებთან ერთად, რადგანაც ძალგვიძს შენ ღვომა“, ასე მიუგებს იგი: „შემტკისი ყურადღებით ვისმენ აქ და ფსალმუნებითაც უკეთ ვფსალმუნებ, ვიდრე ჩემს ჩვეულ ადგილას“. თუკი კვლავ ეტყვის გვერდით მყოფი: „არ შეიძლება, ძმაო, შენი აქ ღვომა ჩვენი წინამძღვრის ბრძანების გარეშე“, მყისვე მიაშურებს იგი წინამძღვრს, მოიმიზეზებს თავის ხორციელ უძალობას; თავის სისუსტეს და იმდენ ხანს უტრიალებს გარშემო, ვიდრე არ მიადწევს საწადელს, თანაც თავს ფრიად დამაშვრალ ძმებს შეატოლებს და ამასაც იტყვის: „იმიტომ ვდგები, მამაო, პირველ რიგში (თუ მეორეში), ამისა და ამის გვერდით, რომ ვისმინო პირველი კანონარხის ხმა.“ როდესაც საწადელს ეწევა იგი, ამის შემდეგ აღარც იძალებს ქოროში ღვომას. ასეთი ვინმე თანდათან, სხვადასხვა საბაბით, უკვე პირველთა შორის შერაცხვას ესწრაფვის, მოჩვენებით იფარებს მოშიშებასა და გარეგნულ წესიერებას, სინამდვილეში კი იმას ცდილობს, წინ მიეგებოს სხვა ძმათა სანახავად მონასტერში მოსულ მფობრებსა და წარჩინებულ პირებს; გამუდმებით მოიხილავს იმ ძმებს, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ და ამ გზით ისიც ეცნობა მოსულთ, თუმცა კი მიზეზად იმას ამბობს, თითქოს ხარგებელს იძენდეს მათი ხაუბრებიდან, აგრეთვე, საღვთო წერილის მათეული განმარტებებიდან.



ამის შემდეგ, მონასტრის შემოვლას იწყებს იგი, გახადის სენაკიდან სენაკში და ყოველ ბერს ასე მიმართავს: „მერწმუნე, ძმაო, ისე მიეყარხარ, რა დღესაც ვერ გნახავ, იმ დღეს თითქოს არც მიცხოვრია. თუკი იმ ბერთა შორის, რომლებსაც იგი აგრერიგად ეპირფერება, აღმოჩნდება ვინმე ღვთისმოსიში და პასუხად ეტყვის: „მოიხსენოს ღმერთმა სიყვარული შენი, ძმაო ჩემო; რა კპოვე ჩემში კეთილი?“ თვით იგი ასე მიუგებს: „განა რა სიკეთით არა ხარ შემკული? არის კი ვინმე შენებრ მშვიდი, მოშიში, ბრძენი, მცოდნე, უზაკველი, მამათა შორის შენებრ ღმობიერი და ძმათ-მოყვარე?“ ამბობს იგი ამ სიტყვებს, განზრახვავში კი ისა აქვს, რაიმეთი პირი დაიტკბოს მასთან. თუკი სულიერი იქნება ეს ბერი, ღვთივბოძებული მადლის მცერ სულის საცხოვნებელი სიტყვებით გაეზრახება პირფერს, რაოდენ ძალუმს, განი-შორებს მისგან თქმულ ქებას და განსწავლის კიდევ მას, მაგრამ თუკი, პირიქით, ხორციელი და მერყევი აღმოჩნდება იგი, მყისვე ამსუბუქდება ქებათა მიერ და პასუხად ამას ეტყვის მოპირფერე ძმას: „და რა არის უმჯობესი სიყვარულისა, პოი, მამაო და ძმაო? ჭეშმარიტად არაფერი. ნეტარი არის ვინც მას ეუფლა“. ამას და ბევრ სხვას წარ-მთქვამს იგი, რადგანაც ფიქრობს, რომ ხსოვნად დაიღებს ამგვარ სიტყვებს მისი სტუმარი და კიდევ მეტად გაუთქვამს მას სახელს. შემდეგ, ასეთი ბერი, მონუსხული თვალთმაქცური ქებით და გონე-

ბრივი სიმსუბუქით დაჩლუნგებული, აღარ გაუშვებს ქებისმეტყველს და თუ უხვად აქვს ყველაფერი, მყისვე ტაბლასთან მიიწვევს მას, სასმელ-საჭმელსაც მიაგებებს, სანაცვლოდ კი დაიამებს ქების სიტყვებით, რომლებიც ფუჭად იბნევიან ჰყერში, მაგრამ მის სულს დიდად ვნებენ. თუკი არასმქონე იქნება ბერი, ხანგრძლივი და უსარგებლო საუბრის შემდეგ ასე ეტყვის იგი პირფერს: „ნუ დამძრახავ, ძმაო. სიყვარულია მოწამე, არაფერი მაქვს შენი ღირსი, რომ ჩემთან ერთად გაიხსნა პირი, მაგრამ რადგანაც ამგვარი ღტოლვა და სიყვარული გაგჩენია ჩემებრ გლახაკის მიმართ, დაე, ამიერიდან ზიარად და მოყვრულად ვიშვებდეთ ყველაფრით, რასაც კი საზრდოდ მოგვმადლებს ღმერთი, რომ გაეიხაროთ ერთობლივად“. ამიერიდან ორივე მათგანს ემატება გამუდმებული საზრუნავი და დაუცხრომლად ეძიებენ სხვადასხვა სახსარს, რომ საჭმელთა სიუხვემ განამტკიცოს მათი პირფერი სიყვარული.

ამგვარად, ხსენებული მოპირფერე ძმა სიყვარულის (უფრო კი სიძულვილის) საბაბით შეემოყვსება ყველას, შემდეგ კი ან თვით იწვევს თავისთან სხვას, ან კიდევ სხვები სათითაოდ იწვევენ მას. ასე რომ, არასოდეს აკლდება პირფერ ბერს ტაბლა, განცხრომა და საჭმელთა ფუფუნება, ვიდრე მოყირჭებაჲდ. თანდათან ღორი ხდება იგი, ემონება ვნებებს და გულმოდგინედ ემსახურება თავის მუცელს, — თავს ვიკავებ ვთქვა, — თავის შიგანს მეთქი.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა  
ელიშერ ჭელიძემ



# ქალაქება ლუკას სახარებოს საკითხავისათვის

„ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“ (ლუკა 6,31)

„რომელმან დაბაძანა მხოლოდ გულნი მათნი, რომელმან გულისხმაყენის ყოველნი საქმენი მათნი“ (ფსალმ. 32,15), რომელმან ხორცნი შეისხნა და განკაცდა, დაგემოდღვრა, ჯვარს ეცვა და აღსდგა მკვდრეთით, ჩვენი ეძებს მხოლოდ იმას, რაც ჩვენი შექმნისთანავე ჩადო ჩვენივე სულელებში. მან ღირსგეჰქმნა თავის მოწაფეებად, განგეწმინდა და განგეასპეტაკნა ცოდვებისაგან, მშვენიერებით შემოსა მთელი ქვეყნიერება. ყოველივე ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დღევანდელი ლუკას საკითხავიდან: „და ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“ (ლუკა 6,31). ბრწყინვალედ ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი: „რამეთუ სიტყვა თანშეკრეთებულ ყოს უფალმან ძალთამან მკვდროანსა შინა სრულსა“ (ისაია 10,23), რადგან ამ ერთადერთ და მოკლე გამონათქვამში უფალმა იესო ქრისტემ წარმოაჩინა მთელი თავისი სათნოება, მცნებანი, კეთილმორწმუნობა და სიმშვიდე. მათე მახარებელიც ამასვე ამბობს: „ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყავთ მათდა მიმართ; რამეთუ ესრეთ არს მსჯული და წინასწარ-მეტყუელი“ (მათ. 7,12); იგი არაერთგზის სხვაგანაც მიუთითებს სახარებაში, რომ სიყვარული ღვთისა და მოყვასისა აუცილებელია. „ამათ-ღრთა მცნებათა ყოველი მსჯული და წინასწარმეტყუელი დამოკიდებულ არიან“ (მათ. 22,40). ეს ორი ჭეშმარიტება მთელ კაცობრიობას აუწყა უფალმა და არა მხოლოდ ისრაელიანთა მოდგმას, ყველას, ცისქვეშეთში მცხოვრებთ, განურჩევლად სჯულისა და განღმრთობის, სრულყოფილების ერთადერთი და სწორი გზა უჩვენა.

უფალმა ცხადად დაანახა თითოეულ ჩვენგანს, რომ მცნებანი, რომლებიც მან დაგვიწესა, კაცთა მოდგმისათვის არის აუცილებელი და ადამიანურ ბუნებას ასაზრდოებს. ღვთიური იაკობიც, აი, რას გვეუბნება: „განიშორეთ ყოველი მწიკულებანება და მუტი იგი

სიბოროტისა, სიმშვიდით შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყვისა, რომელი შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქუენთა“ (კმისტოლე იაკობისი 1,21). წინასწარმეტყველი ესაიას პირით იგივე გვაუწყა უფალმა: „აღუთქვა უფალმან... აღთქმა ახალი... მიმცემელმან მსჯულთა ჩემთამან გონებითა მიმართ მათთა“ (იერ.31,31-33). რამეთუ სულში დაუნჯება ნიშნავს სახარებისმიერი მცნებების გონებაში აღბეჭდვას და უფლებამოსილებას გვანიჭებს იცხოვრო ამის შესაბამისად. უფალმა იმგვარად შექმნა ადამიანი, რომ მას პირადი ნება მიანიჭა, რათა თავად შეიმეცნოს, თუ ვითარ ხამს მოქცევა.

როდესაც ამ უმთავრესი მცნების დაცვა გვიბრძანა უფალმა, იმთავითვე დაგემოდღვრა კიდევ, რომ მისი აღსრულება ადამიანთათვის საჭირო და აუცილებელია: „ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყავთ მათდა მიმართ“ (მათ.7,12) და გვიჩვენა, რომ ეს მცნება სამართლიანი, საჭირო, სასარგებლო და ადვილად აღსასრულებელია კაცთა მოდგმისათვის. ნუთუ არ იცი, ადამიანო, რომ მრისხანება, გაბოროტება, სიძულვილი ადამიანების მიმართ უამრავ უკეთურებათა და სიავეთა დასაბამია. თითოეული ჩვენგანი ხომ შეძლებისდაგვარად ცდილობს არ ჩაიდინოს რაიმე ისეთი, რომ მისი საქციელი გახდეს საბაბი სხვათა მრისხანებისა, შეურაცხყოფისა. უსიამოვნებებს სხვადასხვა გზით ცდილობს აარილოს თავი, რასაკვირველია, მხოლოდ იმის გამო, რომ მრისხანება ბოროტებაა, უსამართლობას და გაღიზიანებას ბადებს. ხომ მრისხანებაში ვარდები, თუკი შენს ცოლს ვინმე შეხედავს ვნებიანად და გულისხმისყოფით, ან თუ ვინმე მოგატყუებს, ხომ აღარასოდეს მიენდობი კაცს, ცრუსა და ღალატისან. ერთი სიტყვით, ის რაც სახარებისეული მცნებებით იკრძალება, ადამიანისათვის სასარგებლობის მომტანია. აღარაფერს ვიტყვი ძველი აღთქმის მიერ დაკანონებული მცნებების აღსრულების თაობაზე, რომელიც კრძალავს

ისეთ მიზანს ცოდვებს, როგორცაა: მკვლელობა, მრუშობა, ცილისწამება, ძალადობა და სხვა. ამ ცოდვებს შესაბამისი ქველმოქმედებანი და სათნოებანი უპირისპირდება და როდენ სიხარულის მომნიჭებელია მათი აღსრულება და მერმე იმის შეგნება, რომ სხვა ადამიანს სიკეთეს მოუტანს შენი საქციელი. ხედავ, ადამიანებმა კარგად უწყიან მცნებათა სარგებლობისა და სამართლიანობის შესახებ. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ისინი არც თუ ისე ძნელი აღსასრულებელია. გაკიცხვის ღირსადაც არ მიიჩნევი იმ ადამიანს, რომელიც გაბოროტებული სიძულვილით, ბოღმით, მრისხანებით ცდილობს ათასგვარი უსიამოვნება მოგაყენოს, რადგან ასეთი ადამიანის სულში ჩაუღებელი ვნებების მოთრევა ძალზე ძნელია და ზოგჯერ საერთოდ შეუძლებელი.

ბოროტი ადამიანისგან მოყენებულ წყენას მოტყუებას, შეურაცხყოფას თუკი დაითმენ, სწორი გადაწყვეტილება მიგიღია, შენც ხომ გაგინაწყენებია ვინმე, უსამართლოდ მოტყუებია, მოგიტყუებია, მაშინ ხომ არ მსჯელობ ასე, — მას ადანაშაულებ. იმას, რასაც სხვა ადამიანს ძნელად თუ აპატიებ, ეცადე არც შენ ჩაიდინო, ხოლო თუ გსურს კეთილად მოგექცნენ, შენც ეცადე ქველმოქმედება და სათნოება გამოიჩინო სხვათა მიმართ. ხომ გითხოვია ძნელბედობის გამს თავშესაფარი, მოუციათ, დახმარების ხელი გამოუწვდიათ, ხომ კმაყოფილი დარჩენილხარ? ამიტომ, თუ სხვასაც იგივე მდგომარეობაში მყოფს იხილავ, კარგად ასწონ-დასწონე და შესაბამისად მოიქეც, რათა გულდაწყვეტილი და აბუზად აგდებული არ დარჩეს გაჭირვებაში მყოფი. ვთქვათ და შენს ძალ-ღონეს აღემატება ის, რასაც მეორე ადამიანი ითხოვს შენგან — რამდენადაც ძალგიძს, ისე დაეხმარე. პავლე მოციქულიც ხომ ამბობს: „რაიცა იგი ვისა აქუს შეწირულ-არს, არა, რომელი იგი არა აქუს“ (2 კორ. 8,12). თუ გსურს სხვებს უყვარდე, მოგიტევონ, შეგინდონ შეცოდებანი, შენც შეიყვარე ისინი, ვრიდე განკითხვას, ყურადღებიან და გულმისმინერი იყავ მათ მიმართ, რამეთუ პეტრე მოციქული იტყვის: „რამეთუ ესრეთ არს ნება ღმრთისა, კეთილმოქმედთათვის, დადუმებად უგუნურთა კაცთა უმცურებასა“ (1 პეტრე 2,15).

ამრიგად, მაჭირვებელნი და მოძულენი ჩვენნი ამაოდ ცდილობენ გასცენ ის, რის მიღებასაც ელიან სხვებისაგან. რომელი ჭკუათმოყოფელი ეცდება წინ აღუდგეს ბუნებით დაკანონებულ წესებს, რამეთუ იყო საყვარელი და სასურველი პიროვნება, სათნოებებს სწადიოდე და თანაც იძიდე სიკეთეს, ყოველი ადამიანისათვის სანუკვარი ოცნებაა. ადამიანთა მოდგმის სულიერი მოთხოვნილება ყოველთვის იყო, არის და იქნება დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში მყოფთ და სხვებისაგანაც მოულის დახმარებას, ვითარცა ღვთის მსგავსად და ხატად ქმნილი არსება. უსჯულობათა მიუხედავად, ცოდვილ ადამიანს მაინც არ გაუნდლდა სიკეთისადმი ღებოღვა. სიყვარული მოყვასისადმი, რაც ყოველგვარი ქველმოქმედების თავი და თავია, არავითგანს შებიღწეს, ჭაბუყვასურეს ადამიანებმა. ამაღ გააშიშვლა უფალმა ადამიანური სისუსტეები, მოგვიწოდა მიემსგავსებოდით მას კაცთმოყვარეობასა და ხანირებაში. ლუკა მახა-

რებლის პირით გვამცნო: „როგორ გინდათ, რომ გექცეოდნენ კაცი, თავადაც ისე მოექცეთ მათ“ (ლუკა 6,31). „გიხართდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვენით, რამეთუ ამა ესერა სასყიდელი თქუენი მრავალ-არს ცათა შინა; რამეთუ ესრეთ უყოფდეს წინასწარმეტყუელთა მამანი მათნი. ხოლო ვაი თქუენდა, გამაძღარით აწ! რამეთუ გშიოდეს. ვაი თქუენდა, რომელი იცინით აწ! რამეთუ იგლოვდეთ და მსტიროდეთ“ „უკეთო მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქით? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთუე ჰყვანა?“ (ლუკა 6,23,24; მათ. 5,47).

ამ სახარებისეულ გამონათქვამში ერთი სიტყვით სახელდებული „ცოდვილიანი“ იმ ადამიანების მისამართითაა ნათქვამი, რომლებიც არ სცნობენ უფალ იესოს, ანუ ნაგულისხმებია „წარმართნი“, აგრეთვე ისინი, რომლებიც არ ცხოვრობენ სახარებისმიერი ცხოვრებით, თუმცა „ქრისტიანებს“ უწოდებენ თავიანთ თავებს. თუ რით უნდა განვსხვავდებოდეთ წარმართთა და უსჯულოთაგან, ამის შესახებ დიდი პავლე მოციქული, აი, რას ეუბნება ოდეველებს: „აწ ურუმ უკეთო წინადაუცვეთელი იგი სიმართლისა მსჯულისასა იმარხავს, არამედ წინადაუცვეთელობა იგი მისი წინადაუცვეთელებად შეურაცხოს?“ (რომ.მიმართ.2,26).

ამრიგად, სახარებით იესო ქრისტე გვეუბნება: თქვენ ვინც მე შემომიდექით, მადლს მიიღებთ ჩემგან, თუკი აღასრულებთ მცნებებს. ხოლო თუ იმ საქმეებს ჩაიდენთ, რასაც ურწმუნონი და წარმართნი სწადიან, რაც არ უნდა დიდი სიკეთე ჩაიდინოთ ამქვეყნად, ვერ განმართლდებით ჩემს წინაშე. ამას ამბობს უფალი არა იმ მიზნით, რომ ერთმანეთს გადაჰკიდოს, შეაძულოს სხვადასხვა სარწმუნოების, რჯულისა და ადათის მქონე ადამიანები, არამედ იმით, რომ დაგვინახოს — ყოველი ქველმოქმედება და სათნოება ჩადენილი კაცთაგან დაუშვალბოელი რჩება, თუკი ადამიანი სულს არ განიწმენდს ბილწებათაგან, რაც თან სდევს თუნდ უმნიშვნელო ბოროტებას. ამრიგად, მარადიული ჯილდოს მილოდინში მხოლოდ სულით უწიკლო, უცოდველი ადამიანები უნდა იყვნენ. სული მახინჯდება და გული იბზარება, თუკი სიყვარულით არ პასუხობ სიყვარულზე. ასეთი ადამიანები ცოდვილებსა და ორგულებზე მეტად უსჯულოებენ. გაცილებით დიდი სასჯელი ელთ იმ პიროვნებებს, რომლებიც თავიანთი სიტყვებითა და საქმეებით საწინააღმდეგო მოქმედებებს სწადიან. ასეთივე ბედი ეწევთ მეამბოხე ლეოვადგენილი მთავრობისა და მხედრობის წინააღმდეგ ძალებს, მათ, რომლებიც განიკითხავენ ქრისტეს სამოციქულო ცკლესიას.

ამიტომ მოგვიწოდებს უფალი იესო ქრისტე გვიყვარდეს მტერნი ჩვენნი, სიკეთე ვთხოთ უსაყიდლოდ. „გვიყვარდეთ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით და ავასხებდით და ნუ რა რას უსასო ჰყოფთ; და იყოს სასყიდელი თქუენი და იყუნეთ ძე მადლის;“ (ლუკა 6,35).


ამრიგად, როდესაც სიკეთეს სწადიხარ იმის მიმართ, ვინც გიმტრო, არ დაგინდო, ვალი არ დაგიბრუნა, ნუ ჩავარდები სასოწარკვეთილებაში, ნუ იფიქრებ, რომ ამაოდ დაშვერი და გაფლანგე შენი მონაგებო, რამეთუ

ეხლა არს ჟამი კეთილ საქმეთა ქმნისა, ხოლო ჟამი სამკლის აღებისა მომავალი სუფევისაა. ამიტომ დაითმინე მოწვენილი ჭირ-ვარამი, რამეთუ თესვისა და მკის ჟამი არც თუ ისე შორსაა ერთმანეთისაგან“ (მათ. 5,3-11). შენი სიკეთე, ისევე როგორც ბოროტი ადამიანის ბოროტება, უკვალოდ არ ქრება. სიკეთეც მრავლდება და ასევე, ერთხელ ჩადენილი ბოროტება უამრავ ახალ ბოროტებას შობს. რამეთუ ნათელი ამქვეყნიური უფრო მეტი ელვარებით ანათებს იმქვეყნად. მაშასადამე, თუკი შენ შენი საქმეებით აქვე ემსგავსები ძე-ღმრთისას, სიკეთეს ჩაიდენ ყველას მიმართ, ისევე როგორც ყოვლადმოწყალე უფალი, ხატად და მსგავსად მისა იქმნები, ღვთაებრივი ნათელით გაბრწყინდები უკუნითი უკუნისამდე. უფალმა მოგვიწოდა: „იყავით, ძენი ღმრთიანი“. ეს იყო უდიდესი მადლი და წყალობა ადამიანთა გასაგისისთვის, რამეთუ განგვაშორა უმადურობის, ბოროტებისა და სხვა ამქვეყნიური საზრუნავისაგან. ძე ღმრთისა, იესო ქრისტე, ციდან დაეშვა დედამიწაზე,

ხორცი შეისხნა და განკაცდა, მოკვდა და დაეფლა, ბოლოს მკვდრეთით აღსდგა და ამაღლდა, რათა ჩვენ ძენი წარწყმედისანი და ცოდვისანი, ზეციური სასუფეველისა და დიდებისათვის ვეზიარებინეთ. რას ითხოვს უფალი იესო ქრისტე ჩვენგან? არაფერს, გარდა მტრების სიყვარულისა, ქველმოქმედებისა, თანამდებთათვის თანანადების მიტევებისა, იმას, რაც ჩვენი სულების მასაზრდოებელი და განმაცხოველებელია. ეს უდიდესი წყალობაა უფლის მიერ გაღებული ჩვენს გადასარჩენად. მან ხომ თავი გასწირა ჩვენთვის, უღირსთათვის, სინანულისა და გულის შეშუსრვილებისაკენ მოგვიწოდა, ზეციურ დიდებასა და სასუფეველს თანაზიარგეკმნა, მოგვიწოდა „კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყუნეთ ძე მადლის; რამეთუ იგი თავადი ტკბილ-არს უმადლოთათვისცა და უკეთურთა“ (ლუკა, 6,33-35), რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თავყანისცემა თანადაუსაბამოდ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ძველებერძულიდან თარგმნა  
მაია ინდუაშვილი

სამღვდელმოსა ყოვლად-ბრძანსა და საღმრთოსა ორღანოსა, ბრწყინვალისა ღმრთის-მეტყუელისა თან-ხმა-საყვირისა გიგალოზთ შინ, ღმრთის-მეტყუელთ ბრიგოლი, არამედ ვითარცა გონებრთა, გონებისა მიგართ ვირველისა შინაჲ მღვობარამან, მისღამი წარკვარეთ გონებაცა ჩვენი მამათ, რათა გიღაღადებდეთ შინ. გიხაროდენ მამაგაბალო საღმრთო სა მადლისათ.



ღირსი მამის სერაფიმე საროვილის სასუბარი სიმბირსკელ  
მამამულე ნიკოლოზ ალექსანდრეს კე მოტოვილოვთან  
(ნ.ა. მოტოვილოვის მოგონებების მიხედვით)

„აჲ, აჲ გეტყუოქუნ: რომელსა პრწყენეს  
ჩემი, საქესა, რომელსა მე ვიქმ, მანცა ჰქენეს,  
და უფროსიდა ამისა ჰქენეს“... (იოანე 14,12.)

I

— ერთხელ, — წერს თავის ჩანაწერებში მოტოვილოვი, — ჩემი განკურნების შემდეგ, 1831 წლის ზამთრის პირს, ნოემბრის ბოლო სამშაბათ დღეს მწუხრის ლოცვას ვესწრებოდი საროვის უდაბნოში, „წყარო ცხოვრების“ ტაძარში. ვიდრე შეჩვეულ ადგილას, სადაც შემდეგშიც მუდამ ვდგებოდი ხოლმე, — ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის პირისპირ. ჩემთან მოვიდა ერთი დედათაგანი დივეევიკის „წისკვილის“ კრებულისაგან. დივეევიკის მონასტრისაგან განცალკევებით არსებული ასეთი საკრებულოს შესახებ მანამდე არაფერი მსმენოდა. ქალმა მითხრა:

— შენ ხომ არა ხარ ის ფეხ-მტკივანი ბატონი, ამასწინათ რომ განკურნა ჩვენმა მამა სერაფიმემ?

— სწორედ ისა ვარ-მეთქი, მივუგე.

— თუ ასეა, — მითხრა მან, — წამოდი. მამა სერაფიმემ ბრძანა შენი მოხმობა. ახლა იგი მონასტერშია, თავის სენაკში, და გელის.

ვინც კი საროვის უდაბნოში მოხვედრილა ამ დიდებული მოხუცებულის<sup>1</sup> სიცოცხლეში, თუნდაც მარტო სახელი სმენოდეთ მისი, შეძლებენ წარმოიდგინონ, რა გამოუთქმელი სიხარულით აღივსო ჩემი სული ამ მოულოდნელი მიწვევის გამო. მყისვე მივატოვე საღმრთო მსახურება და მისკენ გავეშურე. მამა სერაფიმე დერეფნის კარებთან შემხვდა და მითხრა:

— მე გელოდით, თქვენო ღმრთისმოყვარებავ. ოღონდ, ცოტა მადროვეთ, სანამ ჩემს ობლებს ვესაუბრები. თქვენთანაც ბევრი სასაუბრო მაქვს. აი, აქ დაბრძანდით, — და მიმითითა ღუმლის გვერდით მიშენებულ კიბის საფეხურებზე. ეს კიბე საკვამლე მიღს ფარავდა,

1. СТАРЕН -ის (გერმ. „გერონ“, „გერონტოს“) შესატყვისად ქართულში ძველად მიღებული ყოფილა „ბერი“, მაგრამ რადგან ძროთა განსაკუთრებით ეს ტერმინი „მონაზონს“ გაუთანაბრდა, ამიტომ მონაშენიწოდებულ მიწის ნაკვეთს „მონაზონი“ (მთარგმნელის შენიშვნა).

ჩვეულებრივი ორმაგი სენაკის გასათბობი ღუმლის წესისაებრ.

მე ქვედა საფეხურზე ჩამოვჯექი.

— არა, ზემოთ დაბრძანდით, — მიმითითა მამა სერაფიმემ.

გადავჯექი მეორე საფეხურზე, მაგრამ იხვე მითხრა:

— არა, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, უფრო ზემო საფეხურზე იხებეთ დაბრძანება.

როდესაც მოვეწყვე, როგორც მას სურდა, მითხრა:

— აი, ასე იჯექით და დამელოდეთ; ჩემს ობლებთან საუბარს რომ მოვრჩები, თქვენთან გამოვალ.

წმიდა მამამ თავის სენაკში შეიყვანა ორი მხევალი ღმრთისა; ერთი მათგანი დიდგვაროვანი იყო, — ნიუგეგოროდელი შემამულის მანტუროვის და, ელენე ვახილის ასული. წინკარში ჩემთან ერთად დარჩენილთ მაცნობეს მისი ვინაობა, ჩემი შეკითხვის პასუხად.

დიდხანს ველოდი, როდის გამიღებდა კარს დიდებული მოხუცებული. ვფიქრობ, ორ საათს მაინც ვიჯექი ასე. ბოლოს, მეორე სენაკიდან, დერეფნის შესასვლელთან რომაა, ჩემთან გამოვიდა მამა სერაფიმეს მოსენაკე, პავლე. მან მთხოვა ვწვეოდი სენაკში, და თუმცა არ მიმიწვევდა იქითკენ გული, ათასი რამეც მოვიმიზუნე, მაგრამ მან ბოლოს მაინც დამიყოლია და შეუდგა ჩემს დამოძღვრას სულიერი ცხოვრების საკითხებში. სინამდვილეში მისი მიზანი თურმე სხვა იყო; იგი, მტრის წაქეზებით აღძრული, ესწრაფოდა გაეჭარწყლებინა ჩემი დიდი სიყვარული მამა სერაფიმეს მიმართ, და შეერყია ღმრთისა და სარწმუნოების წინაშე ამ წმიდა მოხუცებულის დიდი დამსახურების რწმენა.

მე ძალიან შევწუხდი და ხინანულით ვუთხარი მას:

— სულელი ვყოფილვარ, მამაო პავლე, თქვენს დაჟინებულ თხოვნას რომ ყური ვუვდე და სენაკში შემოგაყვით. მამა ილუმენი ნიჟონტი — დიდებული მონაა ღმრთისა, მაგრამ საროვის უდაბნოში არც მისთვის დავდივარ, და არც სხვა ვინმესათვის, გარდა ერთადერთი მამა სერაფიმესი. ვფიქრობ, ძველადაც ცოტანი თუ



სერაფიმე საროველი

რად განვიითხავთ მოყვასს? იმად, რომ არ ვცდილობთ საკუთარი თავის შეცნობას. ვინც საკუთარ თავს იმეცნობს, ის სხვისი განკურნებისათვის ვერ იტყვის. განვიითხე საკუთარი თავი-და არ განვიითხე მოყვასს. განვიითხე სული საკმა, ხოლო მის აღსარებად ნუ განვიითხავ. სინანულის გარეშე ყველასთვის ღიანა, და ამიტომაც ცნობილი არ არის, ვინ შვეა პირველი—შენ, განვიითხე თუ განვიითხე.

იყვენ ამგვარი ღმრთივ-სათნო მამები, ილიასა და მოსეს ძლიერებით შემოსილნი! თქვენ კი რას წარმოადგენთ, ასე რომ გადამეკიდეთ თქვენი სწავლა-მოძღვრებით, მაშინ, როცა, გეტყობათ, საღმრთო გზის შესახებ თავადაც რიგიანად არა გაგვეგებათ-რა. შემინდეთ, — ვწუხვარ, რომ დაგემორჩილეთ და სენაკში შემოგყვით.

ეს რომ ვუთხარი, მაშინვე გამოვედი მისგან და მამა სერაფიმეს სენაკის წინკარში იმავე ადგილას დავუჯექი. მოგვიანებით მამა პავლესაგან გავიგე, რომ მამა სერაფიმეს მისთვის მკაცრად უსაყვედურნია: „რა გესაქებოდა იმ პირებთან, რომელთაც გლახაკი სერაფიმეს სიტყვები სწეურიათ და ამისათვის ჩამოდიან საროვეში! მათთან საუბარი არაა შენი საქმე. მე თვითონ, გლახაკი მონა ღმრთისა, ჩემსას კი არაფერს ვეუბნები მათ, არამედ იმას, რასაც უფალი მიცხადებს მათი სულიერი აღშენებისათვის. შენ კი ნუ ერევი სხვის საქმეში. შენ შენი თავისა იცოდე და სხვისი სწავლება არასოდეს გაბედო. ღმერთს შენთვის არ მოუცია ასეთი ნიჭი. ტყუილ-უბრალოდ კი არ ეძლევა იგი ადამიანს, არამედ ღმრთის წინაშე დამსახურებისათვის, აგრეთვე ღმრთის განსაკუთრებული წყალობით, საღმრთო განჭკურებითა და განგებულებით.“

მამა სერაფიმეს სიტყვები აქვე მომყავს იმათთვის, რომელთაც არ სურთ დაეწყებან მიეცეს ამ დიდებულ მოღვაწის არც ერთი მცირე გამონათქვამი, მისი ხასიათის არც ერთი უმცირესი შტრიხიც კი.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ, როდესაც საღმრთო მოხუცებულმა დაასრულა საუბარი თავის ობლებთან, კარი გაიღო და მამა სერაფიმემ გააცილა დები. შემდეგ მე მომმართა:

— დიდხანს შეგაყოვნეთ, თქვენო ღმრთისმოყვარებავ. ნუ დამემდურებით. ჩემს ობლებს ბევრი რამ სჭირდებაოდათ; მე, გლახაკმა, ვანუგეშე ისინი. ახლა კი თქვენ შემობრძანდით ჩემს სენაკში.

მამა სერაფიმე დიდხანს მესაუბრა როგორც სულიერი, ასევე ამქვეყნიური ცხოვრების საკითხებზე. ბოლოს მიბრძანა, მეორე დღესაც მიესულიყავი მასთან ნასადილევს, მამა გურისტან, საროველ მეტეუმრესთან ერთად.

II

მე და მამა გური მთელ ღამეს ვსაუბრობდით მამა სერაფიმეს შესახებ. სიხარულის გამო ძილი არ მომკარებია, და აი, მეორე დღეს გავემგზავრეთ მამა სერაფიმესთან მახლობელ უდაბნოში. არაფერი არ გვიჭამია და არც გვისვამს. მახლობელ უდაბნოში მამა სერაფიმეს კარებთან გვიან საღამომდე მოგვიხდა დარჩენა, ისევ ისევე, შშიერ-მწყურვალთ. ათასობით მოდიოდნენ ადამიანები საღმრთო მოხუცებულისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად, მაგრამ რადგანაც იგი არ ჩნდებოდა, ცოტას შეიცდიდნენ ხოლმე დერეფანში და უკანვე ბრუნდებოდნენ. შვიდი თუ რვა კაცი დარჩა ჩვენთან ერთად შებინდებამდე, რათა უდაბნოდან გამოსული მამა სერაფიმე ენახათ. მათ რიცხვში, როგორც

მასხოს, იყო ბალახნელი ხაზინადარის ცოლი, ნიკეგოროდის გუბერნიის სამხარო ქალაქ ბალახნიდან; აგრეთვე ერთი შწირი ქალი, რომელიც ცდილობ ენახა პაუნუტის წმინდა ნაწილები, ბალახანში უხრწნელად დაცული. ამით გადაწყვიტეს ჩვენთან ერთად დალოდებოდნენ დიდებული მოხუცებულის კარის გახსნას, მაგრამ გვიან საღამოსაც რომ აღარ გამოჩნდა, ძალზე შემოთრდნენ. მამა გურიც ადგილს ვერ პოულობდა:

— უკვე დაბნეულა, ბატონო ჩემო, ცხენიც დაგვეშვა, მეეტლე ბიჭსაც ჭამა უნდა, ალბათ. უფრო გვიან თუ მთავიწია გამგზავრებამ, ვაითუ მხეცების ლუკმად ვიქცეთ!

მე მივუგე:

— არა, მამაო გური, თქვენ მარტო გაემგზავრეთ უკან, თუ რისამე გეშინიათ. მე კი, თუნდაც მხეცებმა დამგლიჯონ, თუნდაც შიმშილით სული განვუტეგო, მაინც ვერ მოვეცილდები მამა სერაფიმეს სენაკს. უსათუოდ უნდა დაველოდო, ხანამ არ გამოიღებს სენაკის კარებს.

მამა სერაფიმემ მცირეოდენი ხნის შემდეგ, მართლაც, გამოაღო სენაკის კარები და მომმართა:

— თქვენო ღმრთისმოყვარება, მე თქვენ დღეისათვის მოგიწვიეთ, მაგრამ ნუ მიწყენთ, მთელ დღეს რომ არ გამოჩნდით; დღეს ოთხშაბათია და მე მღუმარედ ვარ. ხვალისათვის კი, მოილეთ მოწყალება და მეწვიეთ; მე მოხარული ვიქნები სულიერად ვისაუბრო თქვენთან. მაგრამ ასე ადრე ნუ ინებებთ მობრძანებას; მთელ დღეს უზმად მყოფს ღონე გამოგელევათ. ამრიგად, გვიანი საღამოს შემდეგ, საკმაოდ დანაყრებული მობრძანდით ჩემთან, მამა გურიისთან ერთად. ახლა კი გაემგზავრეთ და საზრდელი მიიღეთ. ძალიან დაქანცული ხართ.

მამა სერაფიმემ თითოეულ ჩვენგანს, ჩემიდან დაწყებული, ლოცვა-კურთხევა მოგვცა და შემდეგ უთხრა მამა გურის:

— ასე, ჩემო სიხარულო, ხვალ მობრძანდით ჩემთან ამ ბატონთან ერთად მახლობელ უდაბნოში, და „მუნ მღვთო მე“. ხოლო აწ წარვედით მშვიდობით. ნახვამდის, თქვენო ღმრთისმოყვარება.

ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა მამა სერაფიმე და ისევ ჩაიკეტა სენაკში.

არც ერთ სიტყვას არ ძალუქს გადმოსცეს ის სიხარული, რომელიც ჩემმა გულმა იგრძნო. მე ნეტარების ზღვაში დავცურავდი. მთელი დღის მოლოდინისა და მოთმინების შემდეგ მე, როგორც იქნა, ღირს-ვიქმენ არა მარტო მეხილა სახე მამა სერაფიმეში, არამედ მომესმინა კიდევ მისი ღმრთივ-სულიერი მოკითხვა. ნეტარების ისეთ სიმაღლეზე განვიცდიდი თავს, რომ მის გამოსახატავად არავითარი ამქვეყნიური მაგალითი არ გამოგვადგება. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში არ მიჭამია და არ მისვამს, მეყვესულად ვიქმენ ვითარცა უზომოდ მაძღარი და მართობელი სასმელით აღვსილი.

სიმათლეს ვამბობ; ზოგიერთისათვის, რომელთაც არ გამოუცვლიათ, თუ რას ნიშნავს სიტკბოება და ნეტარებით დათრობა, სულიწმიდით უკეთავონებულ ადამიანს

რომ მოიცავს და აღავსებს ხოლმე, ჩემი სიტყვები იქნებ განვიადებულადაც უღერდეს და ჩემი მონათხრობი — აღტაცებულად, მაგრამ გარწმუნებთ მართლმადიდებლურ-ქრისტიანული პატიოსნებით, რომ მე სრულიადაც არ ვაჭარბებ და ჩემი მონათხრობი სრული სიმათლეა. მეტიც; ჩემი სიტყვები მარტოდენ ფერმკრთალ სურათს იძლევიან იმისას, რასაც გულით შევიგრძნობდი იმჟამად.

მაგრამ ვინ მომცემს მე სიტყვებს, რომელთაც შეეძლებოდათ თუნდაც მცირედ და ნაწილობრივ გამოსხატონ ყოველივე ის, რაც ჩემმა სულმა განიცადა მეორე დღეს!

III

სუთშაბათი დღე მოღრუბლული გათენდა. წვილიად თოვდა. ირგვლივ ყოველივე თოვლით იყო დაფარული. ნაშუადღევს მამა სერაფიმემ მიმიღო სასაუბროდ მახლობელი უდაბნოს სენაკში, მდინარე საროვის გადასახედთან.

ახლადმოჭრილი ხის ჯირკჳე დამსვა მამა სერაფიმემ, თვითონ კი ჩაიშხლა ჩემს პირდაპირ.

— უფალმა გამომიცხადა, — თქვა დიდებულმა მოხუცებულმა. — რომ ბავშვობაში ძლიერ გსურდათ გაგვეთ, რა მიზანი აქვს ჩვენს, ქრისტიანეთა, ცხოვრებას, და ამ საკითხზე მრავალი დიდი სასულიერო პირისთვისაც მიგიმართავთ.

აქვე უნდა ვთქვა, რომ 12 წლის ასაკიდან ეს აზრი მართლაც განსაკუთრებით მადლევებდა და მოსვენებას არ მძლევედა. სასულიერო პირებისთვისაც ხშირად მიმიმართავს კითხვით, მაგრამ მათი პასუხები არ მაკმაყოფილებდნენ. მამა სერაფიმესთვის ეს ამბები უცნობი იყო.

— მაგრამ ვერავინ, — განაგრძო ღმრთივგანბრძნობილმა მოხუცებულმა, — ვერ გიპასუხათ გარკვეულად ამის თაობაზე. გეუბნებოდნენ: იარე ცკლესიაში, ილოცე ღმრთის წინაშე, აღასრულე ღმრთის მცნებანი, კქმენ კეთილი — აი შენი ქრისტიანული ცხოვრების მიზანი! ზოგიერთები გიწყებოდნენ კიდევ ღმრთისათვის თითქოსდა მოუღებელი ცნობისწადილისათვის და გეუბნებოდნენ: ნუ ეძიებ უმეტეს თავისა შენისაო. მაგრამ ეს არაა ის პასუხები, რომლებიც თქვენს კითხვებს შეეფერებოდნენ. ამიტომაც მე, გლახაკი სერაფიმე, განვიმარტავთ ახლა, თუ რა არის ეს მიზანი.

— ლოცვა, მარხვა, მღვიბარება და ყოველი სხვა ქრისტიანული საქმე, რაც არ უნდა კარგი იყოს თავისთავად, მათი ქმნა მაინც არ არის ქრისტიანული ცხოვრების მიზანი. თუმცა კი თითოეული მათგანი აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. ქრისტიანთა ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი არის მოხევეა ღმრთის წმიდა სულისა. მარხვა და მღვიბარება, ლოცვა და მოწყალების ქმნა, აგრეთვე ყოველივე კეთილი საქმე, ქრისტესთვის ქმნილი, არის მხოლოდ საშუალება ღმრთის წმიდა სულის მოპოვებისათვის. დააკვირდით, ბატონო ჩემო, რომ მხოლოდ ქრისტესთვის ქმნილი ქველის საქმენი შეგვეძენნ სულიწმიდის ნაყოფთ. ხოლო ყოველივე, არა ქრის-

ტესტის კმნილი, თუნდაც კეთილი საქმე, არათუ „მერმესა მას საუკუნესა“ არ განგვიზადებს სასყიდელს (ჯვილდოს), არამედ არც ამ ცხოვრებაში მოგვცემს საღმრთო მადლს, აი, რატომ თქვა უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ: „ყოველი, რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (მათე 12,30; ლუკა 11,23). საღმრთო წერილი იტყვის: „მოშიში ღმრთისა და მყოფელი სიმართლისა სათნო მისა არს“. როგორც ვხედავთ საღმრთო მოთხრობიდან, ეს „მყოფელი სიმართლისა“ ღმრთისათვის იმდენად მოსაწონი და სასიამოვნოა („სათნო მისა“), რომ კორნილიოს ასისტავს, „კეთილად მსახურსა და მოშიშსა უფლისასა“ (საქმე მოც. 10,2). „ლოცვის ჟამს გამოეცხადა ანგელოზი უფლისა და უთხრა: „მიაველინენ იოჰედ კაცი, და მოუწოდე სუმონს, რომელსა ჰქვან პეტრე, ამისი ვანი (სამყოფელი) არს სუმონის ვისთანამე მეპრატაკისაჲ“ (საქმე მოც. 10,5-6), მან გითხრას შენ სიტყვანი საუკუნო სა ცხოვრებისანი, რომლითა ცხოვრდე შენ და ყოველი სახლი შენიო. ამრიგად, უფალი არ ერიდება გამოიყენოს მთელი თავისი საღმრთო ძლიერება, რათა კეთილი საქმეებით შეძკული ადამიანი „მეორედ შობის“ (საუკუნო ცხოვრების) გზაზე დააყენოს.

მაგრამ ამისთვის ჯერ-არს დავიწყოთ მართლითა სარწმუნოებითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, მისა ღმრთისათა, მოსრულისა სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად; და ეგრეთვე შეძინებთა მადლისა სულისა წმიდისა თა, რომელმან დანერგის გულთა შინა ჩვენთა სასუფეველი ღმრთისაჲ და გზა-გვცის სანატრელსა მას ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა.

მაგრამ ამით შემოისახლვრება იმ კეთილ საქმეთა სათნო-ყოფა(მოწონება), რომლებიც საკუთრივ ქრისტესთვის არ აღესრულებიან: შემოქმედი ჩვენი გვაძლევს საშუალებებს მათი განხორციელებისათვის, და შევასრულებთ თუ არა მათ, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. აი, რატომ უთხრა უფალმა ებრაელებს: „უკუეთუშცა ბრმანი იყენით, ცოდვაჲცა არა გაქუნდა, ხოლო აწ იტყუთ, ვითარმედ ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰვიან“ (იოვანი 9,41).

თუკი ადამიანს, კორნილიოსის მსგავსად, ექნება ღმრთივ-სათნო (ღმრთისათვის მოსაწონი) საქმეები (თუნდაც არა საკუთრივ ქრისტესთვის კმნილი), და ირწმუნებს ძე-ღმრთისას, მაშინ ამგვარი საქმეები მას ჩაეთვლება ქრისტესთვის კმნილად და ეს მხოლოდ ქრისტეს რწმენისათვის. სხვანაირად ადამიანს უფლებაც არა აქვს დაიჩვილოს, რომ მისი სიკეთე ვერ წარემართა. ეს არ მოხდება, თუკი კეთილ საქმეებს ქრისტესათვის არ ვიქმთ; რადგან სიკეთე, მისი სახელის სადიდებლად კმნილი, არა მარტო ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა გვიოხებს სიმართლის გვირგვინს, არამედ ამ ცხოვრებაშიც (ამქვეყნადაც) აღგვაესებს მადლითა სულისა წმიდისათა, და ვითარცა წერილ არს: „არა ზომით მოსცა ღმერთმან სული. მამისა უყუარს ძე და ყოველივე მოსცა კეთილთა მისთა“ (იოვანი 3,34-35).

მაშ, ასე, თქვენო ღმრთისმოყვარება, საღმრთო სულის მიღება, მისი მადლის მოხვეჭა არის ჭეშმარიტი მიზანი ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა. ხოლო ლოცვა,

მღვიძარება, მარხვა, მოწყალეობა და ქრისტესთვის კმნილი სხვა ქველის საქმენი არიან მხოლოდ საშუალებანი სულიწმიდის მოხვეჭისა.

— როგორ თუ „მოხვეჭისა“, — ვკითხე მე მამა სერაფიმეს, — ეს ცოტა გაუგებარია ჩემთვის.

— მოხვეჭა — ესაა შექმნა, გათავისება, შოვნა, მოპოვება, — მიპასუხა მან, — ხომ კარგად გესმით, რას ნიშნავს ფულის შოვნა, სიმდიდრის მოხვეჭა? ესეც ამის მსგავსია, ოღონდ ჩვენ საუბარი გვაქვს სულიწმიდის მადლის მოხვეჭაზე. თქვენთვის ხომ კარგადაა ცნობილი, თქვენო ღმრთისმოყვარება, „მოხვეჭის“ ამქვეყნიური გაგება? ერისკაცთა ცხოვრების მიზანი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა რამის მოხვეჭას გულისხმობს; ზოგისთვის — ფულისას, ზოგისთვის — პატივისა და სახელისას. სულიწმიდის მოხვეჭაც — კაპიტალია; თუმცა, ზემოაღნიშნულთაგან განსხვავებით, — მადლიანი და საუკუნო, მაგრამ მისი მოპოვების საშუალებები ძალიან წააგავს სხვებისას (ფულის, თანამდებობის, ავტორიტეტისას...). ღმერთი სიტყვა, უფალი ჩვენი, ღმერთი და კაცი იესუ ქრისტე ამქვეყნიურ ცხოვრებას ადარებს სავატროს, ხოლო ჩვენს ყოველდღიურ საქმეებს — ვაჭრობას. ამით იგი გვასწავლის, რომ მოვივატროთ ყოველივე სიკეთე მის მეორედ მოსვლამდე: „გამოიფრდიდეთ ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“ (ეფეს.5,16). გამოიფრდიდეთ, ე.ი. ვისარგებლოთ დროით, ამქვეყნიური ნივთით შევიძინოთ ზეციური კეთილი. ამქვეყნიური ნივთი — ქველის საქმეა, რომელსაც ქრისტესთვის აღვასრულებთ და რომელიც მიგვაგაძლევს მადლსა ყოველდღიურად სულისასა. ბრძენი და სულელი ქალწულები იგავში სულელების მიმართ, როდესაც მათ ზეთი შემოაღლდებოთ, ნათქვამია: „წარედით სავატროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა“-ო (მათე 25,9), მაგრამ სანამ ისინი ყიდვას მოასწრებდნენ, საქორწინო სასახლის კარი „დაეკმა“, ე.ი. დაიკეტა (მათე 25, 10), და მათ ვეღარ შეძლეს მასში შესვლა. ზოგიერთი კომენტატორი განმარტავს, თითქოსდა სულელთა ლამაზში ზეთის უქონლობა ამქვეყნიურ კეთილ საქმეთა უქონლობას გამოხატავდეს. ასეთი გაგება იგავისა მთლად სწორი არაა. კეთილ საქმეთა რომელ უქონლობაზე შეიძლება იყოს აქ ლამაზაკი, როცა ისინი, მართალია, სულელებად, მაგრამ მაინც ქალწულებად იწოდებიან! ქალწულება ხომ სათნოებათა შორის ყველაზე აღმატებულია, რამდენადაც იგი ადამიანს ანგელოზებს უთანასწოებს და მარტო ეს სათნოებაც კი სანაცვლო იქნებოდა სხვა დანარჩენი ქველის-საქმეებისა. მე გლახაკი ვფიქრობ, რომ იმ ქალწულებს აკლდათ სახელდობრ მადლი ყოველდღიურად საღმრთოჲსა სულისა. როდესაც ისინი ამა თუ იმ სათნოებას იქმოდნენ, სულიერი გულისხმისყოფის უქონლობის გამო მიაჩნდათ, თითქოს ამით ყველაფერი გაკეთდა; თითქოს ქრისტიანობა მარტოდენ იმით ამოიწურება, რომ ესა თუ ის ქველის საქმე ვქმნათ.

როდესაც რაიმე სიკეთეს ვიქმთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საღმრთო საქმე აღვასრულეთ; ჯერ უნდა გავფოთო, მივიღეთ თუ არა ამით მადლი ღმრთისა.

მამათა წიგნებში გვხვდება საუბარი ისეთ ცხოვრების



წესსე, რომელიც დაფუძნებულია მარტოოდენ ქველის-საქმეთა აღსრულებაზე, და არა იმის გულმოდგინე გამოძიებაზე, შეგვძენენ თუ არა ეს საქმენი (და თუ შეგვძენენ, — რა ზომით) მადლსა სულისა საღმრთო-სასა. სახელდობრ, მამათა წიგნში ნათქვამია: „სხვა არს გზა, რომელი სახიერ-საგონებელ იყოს პირველ, ხოლო დასასრული მისი — სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა“.

ანტონი დიდი მონაზონთა მიმართ ეპისტოლეებში ასეთი ქაღალდების შესახებ წერს: „მრავალთა მონა-აზონთა და ქაღალდთა არ უწყიან ადამიანის ნებათა სხვადასხვაობა, და არც ის, რომ ჩვენ შორის მოქმედებს სამგვარი ნება: პირველი — ღმრთისა, ყოვლად სრულქმნილი და ყოვლად მაცხოვრებელი. მეორე — საკუთარი, ადამიანური; ასეთი ნება დამლუპველი თუ არაა, არც მაცხოვრებელია. მესამე — ნება საეშმაკო — სრულიად წარმწყმედელია. ეს მესამე, ბოროტი ნება შთააგონებს ადამიანს, რათა იგი არასოდეს იქმოდეს სათნობას, ანდა, თუ მაინც იქმს, იქმოდეს დიდების მოყვარებით, და იქმოდეს არა ქრისტესთვის, არამედ იმავე სათნოებისათვის.

მეორე — ჩვენი საკუთარი ნება გვასწავლის, ყოველივეს ვიქმოდეო ჩვენი გულისთქმის დასატკობად, და სიკეთის ქმნას გვიკადაგებს სიკეთისათვის, მსგავსად შტრის შთაგონებისა; უგულბებელს — ჰყოფს რა იმ მადლს, რომელიც სიკეთის ქმნით შეიძინება.

პირველი კი, — საღმრთო ნება, — ყოვლად მაცხოვრებელი, იმისკენ გვიბიძგებს, რომ სიკეთე ვაკეთოთ ერთადერთი მიზნით — სულიწმიდის მოხვეჭისათვის. ესაა მარადიული საუფვე, მოუკლებელი და წარუვალი, განუზომელი და დაუფასებელი. სწორედ ეს, სულიწმიდის მოპოვება, იწოდება იმ ზეთად, რომელიც არ გააჩნდება სულელ ქაღალდთ. სწორედ იმიტომაც ეწოდა მათ სულელნი, რომ დაივიწყეს სათნოებათა ნაყოფის — სულიწმიდის მადლის — საჭიროება, ურომლისოდაც ვერაინ ცხოვრდება, რამეთუ „სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ იქმნების და სიწმიდით ამადლდების და განბრწყინდების სამებისა მიერ ერთარსებისა ღმრთივ-შუენიერად და საიდუმლოდ“ (I ანტიფონი მე-4 ხმისა). თვით სული წმიდა დაემკვიდრება ჩვენს სულებში („ჩუენ შორის“), და ეს დამკვიდრება ყოვლისა-მპყრობელისა „ჩუენ შორის“, მისი სამობითი ერთობის თანა-მყოფობა ჩვენს სულთან — გვენიჭება მხოლოდ ჩვენივე მრავალ-ღონე ღვაწლით სულიწმიდის მოსახვეჭად, და ეს ღვაწლი განამზადებს ჩვენს სულსა და ხორცში საყდარსა ღმრთისა ყოვლის შემოქმედისასა, თანა-დამკვიდრებად სულთა ჩვენთა თანა, უცვალებელისა და უქცეველისა სიტყვისაებრ ღმრთისა: „დავიმკვდრო მათ შორის და ვიქცეოდი და ვიყო მე მათა ღმერთ და იგინი იყუნენ ჩემდა ერად“ (2 კორ. 6,16; შდრ. ლევიტ. 26,12; იერ. 31,1). აი, სწორედ ესაა ბრძენ ქაღალდთა ლამარის ზეთი, რომელიც ბრწყინვალე ნათელს გა-შისცემდა და სწორედ ასეთი ანთებული ლამარებით შეეძლოთ ბრძენ ქაღალდებს შუადამემდე დალოდებოდ-ნენ სიძეს და მასთან ერთად შესულიყვნენ სახლსა შინა მახარულისასა. სულელმა ქაღალდებმა, როცა ნახეს,

რომ მათი ლამარები ქრება („დაშრტებიან“) უზეთობით, ნაგვიანვე დაიწყეს ზრუნვა ზეთის შეძენისათვის. სავაჭროდან ისინი დროულად ვერ დაბრუნდნენ, საქორ-წინე სახლი მათთვის უკვე დახშული იყო.

სავაჭრო — ჩვენი ცხოვრებაა.

საქორწინე სასახლის დახშული კარები — ადამიანთა სიკვდილი.

ბრძენი და სულელი ქაღალდები — ქრისტიანეთა სულნი.

ზეთი გამოხატავს არა საქმეებს, არამედ ამ საქმეების საშუალებით ადამიანის არსებაში შემოსულ საღმრთო მადლს, მის მომაქცეველს ხრწნილებიდან უხრწნელებად, სულიერი სიკვდილიდან — უკვდავებად, სიბნელიდან — სინათლედ, ჩვენი შინაგანი არსების გამოქვაბულიდან (სადაც პირუტყვთა და მხეცთა მზგავსად ვნებებრ მკვიდრობენ) — ტაძრად ღმრთეებისა, ყოვლად ბრწყინ-ვალე სასძლოდ საუკუნო სიხარულისა, უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს მიერ, შემოქმედისა და მსხენლისა და საუკუნოღმსა-სიძისა სულთა ჩვენთაღმსა. რაოდენ დიდია სობრალული ღმრთისა ჩვენი უძღურების — ჩვენივე ხსნისათვის მისი ზრუნვის დაუნახაობის — გამო, როდესაც იგი ამბობს: „აჰა, ვდგა კართა თანა და ვირეკ“... კარს შემოიდებს სახედ ჩვენი ცხოვრების მდინარებისა, რომელიც ვერ არ დახშულა სიკვდილით.

ო, როგორ ვისურვებდი, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, რომ ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში ყოველთვის განუშორებლად იყოთ საღმრთო სულთან. უფლის სიტყვისაებრ, ყოველი ადამიანი განისჯება იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაში მოგვისწრებს იგი. ვაი ჩვენდა, თუ ამაო საზრუნავითა და სოფლიური (ცხოვრებისეული) მწუხარებით დამამიმბეზლებს მოგვისწრო. ვერაინ დათ-მინოს რისხვა მისი და ვერცა დადგენ წინაშე პირსა რისხვისა მისისასა. ამისთვის წერილ არს: „იღუპებით და ილოცვებით, რაღთა არა შეხუდეთ განსაცდელსა“ (მათე 26,41; მარკ. 14,38), ესე იგი ნუ მოაკლდებითო სულსა საღმრთოსა, რამეთუ მღვდობრება და ლოცვა მოგვანიჭებენ ჩვენ მადლსა მისსა. ცხადია, ყოველი სათ-ნოება, ქრისტესთვის ქმნილი, გვაძლევს მადლსა სულისა წმიდისასა, მაგრამ სათნოებათაგან ყველაზე უფრო მეტად — ლოცვაა მისი მომატყვებელი (მომტანი, შემამთხვეველი), რადგან იგი მუდამ ჩვენს ხელშია, როგორც იარაღი, მომპოვებელი მადლისა საღმრთოღმსა სულისა.

სხვა სათნოებათა ქმნა ყოველთვის როდია ჩვენს ხელში. მაგალითად, ეკლესიაში მისვლა განიზრახეთ ღმრთისმსახურებაზე დასასწრებად; შეიძლება ისე მოხდეს, რომ ან ეკლესია ვერსად ნახოთ თქვენს მახლობლად, ან მსახურება უკვე დამთავრებული იყოს. ვთქვათ, გან-იზრახეთ გლახკთა შეწვევა. ირგვლივ, შესაძლოა, ვერაინ ნახოთ ასეთი, ანდა მისაცემი არაფერი გქონდეთ. იქნებ ქაღალდების დამარხვა (დაცვა) გსურდეს, მაგრამ ვერც ეს სურვილი შეისრულო, პირადი აგებულების ანდა მტრის მზაკვარებათა გამო, რომელთა წინა-აღდგომა, ადამიანური უძღურების გადამაკიდე, ყოველთვის არ ძალგისძის. სხვა რომელიმე სათნოების ქმნაც შეიძლება

გენადოს ქრისტესთვის, მაგრამ ან ძალა არ გვეყოს, ან საჭირო გარემოება არ მოგვეცეს. ლოცვას კი არც ერთი ეს წინააღმდეგობა არ ელის. ლოცვა ყველასათვის და ყოველთვის შესაძლებელია, — მდიდრისა და გლეხაკის, აზნაურისა და უაზნოს, ძლიერისა და უძლურის, ჯანმრთელისა და ავადმყოფის, მართლისა და ცოდვილ-სათვის. რა დიდა თუნდაც ცოდვილი ადამიანის ლოცვის ძალა, როცა იგი ყოველითა სულითა აღველინება, კარგად ჩანს ერთი საღმრთო გადმოცემიდან:

შეხავი ვინმე დედაკაცი, რომელსაც ერთადერთი შეილი მოჰკვდომოდა, მწუხარებით სასომხილი მივიდა უფალთან და შეჰჯალადა: „არა ჩემთვის, საწყალობელისა, არამედ შეილზე მგლოვიარე დედის ცრემლთათვის, შენს მოწყალებასა და ყოვლის შემძლებელობაზე სასოების დამდებელისა, უფალს ქრისტეს ღმერთს, აღადგინე მეკვდრეთით ძე ჩემი მხოლოდშობილი.“ ცოდვილი იყო დედაკაცი, ჯერ არ განწმედილიყო სულ მცირეოდენი ხნის წინათ აღსრულებული ცოდვისაგან, მაგრამ მხურვალე ლოცვა უფალმა შეისმინა; ქრისტეს ღმერთმა აღადგინა ძე მისი.

ესოდენ დიდა; თქვენო ღმრთისმოყვარებავე, ძალა ლოცვისა; იგი სხვა სათნოებებზე უფრო მეტად მოუხვეჭს ადამიანს საღმრთო სულს, თანაც მისი აღსრულება უფრო მოსახერხებელია ყველასათვის და ყოველ ეამს. ნეტარნი ვიქნებით, თუკი უფალი გეპოვებს ჩვენ მღვიძარედ, ხავსებასა შინა ნიჭთა სულისა მისისა წმიდისათა. მაშინ ჩვენ შეგვეძლება კეთილ-სასოებისა და კადნიერებით მთველოდეთ „აღტაცებასა ღრუბლითა შემთხუვებდ უფლისა პაერთა ზედა“ (1თეს.4,17), მომავლისა დიდებითა და ძალითა მრავლითა „განსჯად ცხოველთა და მკუდართა“ და „მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.

აჲ, თქვენო ღმრთისმოყვარებავე, დიდ ბედნიერებად თველით გლახაკ სერაფიმესთან საუბარს; დარწმუნებული, რომ იგი საღმრთო მადლს მოკლებული არაა. რაღა ვთქვათ თავად უფლისათვის, — ყოველთა ზეციურთა და ქვეყნიურთა კეთილთა მარად დაუწყვედელი წყაროსათვის! ლოცვით ხომ თავად მას, ყოვლად სახიერსა და ცხოველმყოფელ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს თანავეზრახებით! მაგრამ აქაც ლოცვა ჯერ-არს მხოლოდ მანამდე, სანამ ღმერთი — სულიწმიდა არ მოგვეფინება თავისი ზეციური მადლის განსაზღვრული ზომით. — და როდესაც იგი ჩვენთან მოსვლას იწყებს, უკვე ხაჭირო იქნება ლოცვის შეწყვეტა. რატომღა უნდა ვილოცოთ მის წინაშე: „მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმიდამყუნე ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვენენ, სახიერო, სულნი ჩუნნი“, თუ იგი უკვე მოვიდა ჩვენთან „ცხოვრებად ჩუნნად“, მოსხვთა მისთა და სახელისა წმიდისა მისისა მომწოდებელთა ჭეშმარიტებით; ესე იგი სიმდაბლით და სიყვარულით მივეგებეთ მას, ნუგეშინისმცემელს, „ტაძართა შინა სულთა ჩუნთაჲთა“, მშვიერთა და მწყურვალეთა მოსვლისა მისისათა.

თქვენს ღმრთისმოყვარებას განგუმარტავ ამას მაგალითით: ვთქვათ, თქვენ სტუმრად მიმიწვიეთ და მეც გვევიეთ; მსურს ვიყო თქვენთან და გესაუბროთ, თქვენ

კი აგრძელებთ მოპატიუებას და მევედრებით: მობრძანდით, გეთავყვა, წყალობა მიიღეთ, გთხოვთ, გელით... ჩემდა უნებურად აღბათ ვრტყვი: რას ჰკავს ეს ჭკუაზე ხომ არ შემოიღდა! მე უკვე მოვედი მასთან, ის კი ძველებურად აგრძელებს მიპატიუებას. სწორედ იგივე იოქმის საღმრთო და წმიდა სულის შესახებაც ამიტომაცაა ნათქვამი: „მოიცალეთ და გულისხმა ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი, აღვმდლდე წარმართთა შორის, აღვმდლდე ქუეყანასა ზედა“, ესე იგი გამოვეცხადებთ ყოველსა ჩემდამი მორწმუნესა და მწოდებელსა ჩემსა, თანავეზრახები მას, ვითარცა ოდესმე ადამთან ვზრახვედი საშოთხემი, აგრეთვე აბრაამთან, იაკობთან და სხვათა. მონათა ჩემთა თანა, მოსე, იობ და მსგავსთა მათთა. ზოგიერთი განმმარტებელი ფიქრობს, რომ ეს „მოცლა“ შეეხება მხოლოდ მსოფლიო (ამქვეყნიურ) საქმეებს, ე.ი. ღმერთთან ლოცვით ზრახვის (საუბრის) დროს საჭიროა განვთავისუფლდეთ („მოვიცალოთ“) ქვეყნიურ საქმეთაგანო. ლოცვის დროს ასეთი საქმეებისაგან, დიხაც, უნდა მოვიცალოთ, მაგრამ მე უმეტეს გეტყვით: როდესაც სარწმუნოებისა და ლოცვის ყოვლისშემძღობით უფალი ღმერთი — სულიწმიდა იწყებს მოგვხედოს ჩვენ და მოვიდეს ჩვენთან-თავისი გამოუთქმელი სიტყვების მთელი სავეებით, მაშინ ლოცვისაგანაც უნდა მოვიცალოთ. სული კაცისა იტყვის და ხმობს მაშინ, როდესაც ლოცვა ასრულებს; სულიწმიდის მოუენის შემდეგ კი იგი მდუმარედ უნდა იყოს და ისმინოს ცხადად და გულისხმისყოფით ყოველნი სიტყვანი საუკუნოჲსა ცხოვრებნანი, რომელთა უწყებასაც მაშინ იწყებს სული წმიდა. სულითა და სამშინველით ფიზიკელი უნდა ვიყოთ იმ დროს, უბიწო და განწმედილი — ხორციით, ასე მოხდა ქორების მთასთან, როცა ისრაელი ებრძანა, სინა ს. მოაზე ღმრთის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე არ მიჰკარებოდნენ ცოლებს, რამეთუ ღმერთი ჩვენი არს „ცეცხლი, რომელი შესჭამს ყოველსა არაწმიდასა“, და მასთან მიახლება ვერ ძალუქს სულითა და ხორციით შებილწულ კაცს.

IV

— სხვა სათნოებების შესახებ რაღას იტყვით, მამარ, რომელთაც ქრისტესთვის ვიქმთ სულიწმიდის მადლის მოსახვეჭად? თქვენ მხოლოდ ლოცვაზე იწყებთ საუბარს.

— მოიხვეჭეთ მადლი სულისა წმიდისა ყოველივე ქრისტესმთავრი სათნოებით; მოივაჭრეთ ისინი სულიერად; მოივაჭრეთ განსაკუთრებით ისეთი სათნოებანი, რომელნიც უფრო მეტ სარგებლობას მოგცემენ. შეკრიბეთ კაპიტალი საღმრთო სახიერების მადლიანი სარფისა, შეინახეთ იგი საუკუნო საღმრთო დომბარდში უსყულო პროცენტთაგან და არა ოთხ-ოთხი და ექვს-ექვსი ასზე, არამედ ას-ახი თითოეულ სულიერ მანეთზე და უფრო მეტიც. თუ ვთქვათ, უფრო მეტ საღმრთო მადლს გაძლევთ ლოცვა და მღვიძარება, იღვიძებით და ილოცვებით, თუ მეტ საღმრთო მადლს მარხვა მიგამთხვევთ, — იმარხულით, თუ უფრო მეტს გაძლევთ მოწყალება, — უხვად გასცემდით; იგივე იოქმის ქრისტესთვის ქმნილი ყოველი

სხვა სათნოების შესახებაც.

მე მოგიხსნობო ჩემს თავგადასავალს. გლახაკი ხერაფიმი; წარმოშობით კურსიკიდან ვარ, ვაჭრის ოჯახიდან. სანამ მონასტერში მოვიდოდი, მეც ვვაჭრობდი ისეთი საქონლით, რომელიც სხვაზე მეტ მოგებას იძლეოდა.

ასე მოიქცეოდა თქვენც, ბატონო ჩემო. ის კი არაა საქმე, რომ ოღონდ კი ივაჭროთ და მეტი არაფერი; საქმე ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოთ. ასევეა სულიერ ცხოვრებაში: მარტო იმით არაფერი გამოვა, რომ ვილოცოთ ან სხვა რაიმე ქველის საქმე ვქმნათ. მართალია, მოციქული ამბობს: „მოუკლებლად ილოცედი“ (I თესალ. 5,17), მაგრამ ხომ გახსოვთ, იქვე დასძენს: „არამედ გკლესიასა შინა მნებავს ზუთ სიტყუა ზონებითა ჩემითა სიტყუად, რაჲთა სხუათაცა უმოძღურო, ვიდრე ბევრთა სიტყუათა ენითა“ (I კორ. 14,19). ხოლო უფალი ამბობს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე — უფალო, უფალო! — შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ჰეცათაჲსა“ (მათე 7,21), ე.ი. რომელიც საღმრთო საქმეს იქმს კრძალულებით, „რამეთუ წყველ არს ყოველი, რომელი იქმოდეს საქმესა ღმრთისასა უდებებით“ (სიზარამაციო, დაუდევრობით). საღმრთო საქმე კი არის „რა თა გრწმენეს ღმერთი და რომელი იგი მან მოავლინა — იესუ ქრისტე.“ თუ სწორად განვსჯით ქრისტეს მცნებებსა და მოციქულთა სწავლებას, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისათვის უმთავრესია არა ქველის საქმეთა უბრალო რიცხვობრივი ზრდა (ქველის საქმეებისა, როგორც ქრისტიანული ცხოვრების საშუალებებისა, და არა საბოლოო მიზნისა), არამედ მათგან უმეტესი მოგების მიღება, ე.ი. სულიწმიდის უმეტესი ნიჭის მოპოვება.

ვისურვევდი, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, რომ თქვენც მოგეპოვებინათ საღმრთო მადლის ეს მარად დაუშრობელი წყარო, და მუდამ იმის გამოძიებაში ყოფილიყავით, ხართ თუ არა საღმრთო სულით გარემოცული. თუკი ხართ, — კურთხეულ არს ღმერთი, — ნუღარაფერს ინადვლებთ; თუნდაც ახლავე წარდგებით ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე. რამეთუ „რომელსა შინა ვპოვო, მითცა განვსავო“, — იტყვის უფალი. ხოლო თუ საღმრთო სულს მოკლებული იქენით, უნდა გაერკვეთ, რატომ და რა მიზეზით მიგატოვებთ უფალმა ღმერთმა — სულიწმიდამ, და თავიდან მოიძიოთ და მოიპოვოთ იგი; არ მოისვენოთ, სანამ პირველ საუკუნეთა (საუკუნეთა უწინარესი) უფალი ღმერთი — სულიწმიდა თავისი საღმრთო მადლით კვლავ არ დაისადგურებს თქვენს შორის. მტრები კი, რომელნიც ესწრაფიან საღმრთო მადლისაგან თქვენს განშორებას, ისე უნდა შემზაროთ, რომ მტკვროც კი აღარ დარჩეს მათგან. დავით წინასწარმეტყველის სიტყვისაებრ — „წარუხდუნო მტერნი ჩემნი და ვეწიო მათ.“ და არა უკუ-მოვიტვე, ვიდრემდის აღესრულნდეს, ჭინჭაწარო და ვერღა შეუძლონ დამტკიცებად, დაეცნენ სტინი ქვეშე ფერხთა ჩემთა“.

ასე ბატონო ჩემო, ინებეთ ვაჭრობა სულიერად, ქველის საქმეებით. გაუნაწილეთ ყოველ მსურველს ნიჭი

სულიწმიდის მადლისა, რომელიც ანთებული სათნოს მსგავსად თვითონაც ანათებს და სხვა სათნოებსაც აღაგზნებს ისე, რომ ამით სიცხოველე არ აკლდება. თუკი ეს ითქმის ამქვეყნიური ცეცხლის შესახებ, რაღა უნდა ვთქვათ საღმრთო ცეცხლის — ყოვლადწმიდა საღმრთო სულის მადლისათვის, ცეცხლის ენებად რომ მოეფინება მორწმუნეთ.

სხვა მაგალითით: ამქვეყნიური სიმდიდრე განაწილებსა და განყოფისას მცირდება, ზეციური სიმდიდრე კი (საღმრთო მადლი), რაც უფრო მეტს გაუნაწილებდა, მით უფრო განუმრავლდება ამ მადლის განმცემელს.

ასევე, უფალმაც ინება სამართკელისათვის ეთქვა: „ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, მსწუროდეს კუვლადცა, ხოლო რომელმან მსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივცე მას, არღარა მსწუროდეს უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა; რომელი ვიდოდეს ცხორებად საუკუნოდ“ (იოვანე 4,13-14).

V

— მამაო, — ვუთხარ მე. — თქვენ საუბრობთ სულიწმიდის მადლის მოპოვების, როგორც ქრისტიანული ცხოვრების მიზნის შესახებ, მაგრამ სად და როგორ შემიძლია მისი დანახვა? ქველის საქმეები ხილულია; და ნუთუ სულიწმიდის დანახვაცა შესაძლებელია? როგორ უნდა გავიგო, არის თუ არა იგი ჩემთან?

— ამჟამად, — მითხრა მოხუცებულმა, — უფლისა ჩვენი იესუ ქრისტეს წმიდა სარწმუნოებისადმი ჩვენი საზოგადო გულგრილობისა და მის საღმრთო განგებულებისადმი უყურადღებობის გამო იქამდე მივდით, რომ თითქმის სრულიად განვეშორეთ ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას. ამჟამად უკვე უცნაურად გვეჩვენება საღმრთო წერილის ის ადგილი, სადაც საღმრთო სული მოსეს პირით ამბობს: „ესმა ადამს კმა უფლისა ღმრთისა, მაგალისაჲ სამოთხეს შინა“ (დაბადება 3,8), ანდა მოციქულ პავლეს სიტყვები: „მივიდოდით აქაიას, და სული ღმრთისა არა თანამავალ იყო ჩვენდა; მოვიტყეოდით მაკედონისას, და სული ღმრთისა ვიდოდა ჩვენ თანა“. სხვაგანაც არაერთგზისა აღწერილია საღმრთო წერილში ღმრთის გამოცხადება კაცთა მიმართ.

ზოგი ამბობს: „ეს ადგილები ჩვენთვის გაუგებარია. ნუთუ ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი თვალთი ღმრთის ხილვა?“ გაუგებარი კი აქ არაფერია. სწორედ იმან წარმოშვა გაუგებრობა, რომ ჩვენ დაგვარგეთ პირვანდელი ქრისტიანული შემეცნების სიწყოება, და განათლების მომიზეზებით შევედით უმეცრების ისეთ წყლადში, რომ უკვე მიუწვდომლად გვეჩვენება ყოველივე ის, რასაც ჩვენი წინაპრები ადვილად და ნათლად გულისხმობდნენ (ხედებოდნენ, სცნობდნენ): სახელოდობ, მათთვის უცხო არ იყო კაცთა შორის ღმრთის გამოცხადება, და ჩვეულებრივ საუბარშიც კი არავის ეცნაურებოდა მსჯელობა ამის შესახებ. მაგალითად, იობი, როდესაც მას მეგობრები ღმრთის გმობას აბრალებდნენ, პასუხად ეუბნებოდა: ეს როგორ იქნება,

„ვიდრემდე სამშენველი ესე ჩემ თანაღა იყო და სული საღმრთოჲ, რომელ არს ცხ რთა შინა ჩემთა“-ო (იობი 27,3), ესე იგი, როგორ შემიძლია ღმრთის გეობა, სანამ სული წმიდა ჩემთან განისვენებს; მე თუ ღმერთის ვგეობ, მაშინ სულიწმიდა განმეუწორებოდა; მაგრამ მე მის სუნთქვასაც კი ვგრძნობ ჩემს ცხვირშიო. იგივე უნდა ითქვას აბრაამისა და იაკობის შესახებაც: ისინი ხედავდნენ უფალს და საუბრობდნენ მასთან. იაკობი შეებრძოლა კიდევ მას. ღმერთი იხილა აგრეთვე მოსემ და მოელმა მისმა ერმა, როდესაც იგი ღირს-იქმნა მიეღო ღმრთისაგან ფიცარნი სჯულისანი სინაჲს მთაზე. ცეცხლოვანი სვეტი, ანუ მადლი სულისა წმიდისა, წინ მიუძღოდა ღმრთის ერს უდაბნოში. ღმერთსა და მისი წმიდა სულის მადლს ერი ხედავდა არა სიხმრად, ან ოცნებით, ანდა დაბნეულობისაგან დაჩლუნგებული წარმოსახვით, არამედ ჭეშმარიტად და ცხადად.

ძალზე უყურადღებო გავხდით საკუთარი ცხოვრებისა და ხსნის საქმეთა მიმართ. ეს კი ნაშნავს, რომ ჩვენ და მრავალი სხვა ადამიანი საღმრთო წერილის სიტყვებს ვიღებთ არა იმ აზრით, რომლითაც ჯერ-იყო. ამიტომაც, რომ არ ვეძიებთ საღმრთო მადლს; გონების ამპარტავნების გამო არ ვანებებთ მას, რათა დაემკვიდროს ჩვენს სულებში და ამიტომაც ვართ მოკლებული უფლისმიერ ნათელს მისი ჭეშმარიტი შემეცნებისას. ეს ნათელი მოეფინება მხოლოდ ისეთ ადამიანთა გულებს, რომელთაც მოელი არსებით შიათ და სწავრიათ საღმრთო ჭეშმარიტება. ბიბლიის სიტყვებს — „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტურისა მიმღებულმან ქუჩუნისაგან და შობაჲ პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (დაბ. 2,7) — განმარტავენ, თითქოს ადამს მანამდე არ ჰქონდა კაცობრივი სული და სამშენველი, არამედ იყო მხოლოდ სხეული, შექმნილი მიწის მტერისაგანო. არასწორი განმარტებაა, რადგან უფალმა ღმერთმა ადამი შექმნა იმ სახისა, როგორცადაც წმიდა პავლე მოციქული წარმოიდგენს: „ხოლო თავადმან ღმერთმან მშუდობისამან წმიდა გყუნენ თქუენ ყოვლითა სრულებითა და ყოვლითა სიცოცხლითა, სული თქუენი, სამშენველი და გუამი უბიწოდ, მოსღვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დაჰმარხენ“ (1 თეს. 5,23). სამივე ეს ნაწილი ჩვენი ბუნებისა (სული, სამშენველი და გვამი) შექმნა ღმერთმა მიწის მტერისაგან. თავდაპირველად მკვდრად კი არ შეუქმნია მას ადამი, არამედ ცოცხალ არსებად, სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად. შემდეგ კი „შობაჲ პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ“, ესე იგი მადლი უფლისა ღმრთისა — სულიწმიდისა, რომელიც „მამისაგან გამოვალს და ძისა თანა განისვენებს“, და ძის მიერ ამქვეყნად მოივლინება. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ე.ი. ადამს სულიწმიდა რომ არ მიეღო, მაშინ იგი, რაც არ უნდა სრულქმნილი ყოფილიყო და ღმრთის სხვა ქმნილებებზე აღმატებული, მაინც მოკლებული იქნებოდა სულიწმიდის იმ მადლს, რომელმაც იგი ღმრთის „ხატებასა და მსგავსებამდე“ (დაბ. 1,26) მიიყვანა, და, ამრიგად, დაემსგავსებოდა ღმრთის სხვა დანარჩენ ქმნილებებს. ამ უკანასკნელთ კი, თუშეცა სხეულიც

ჰქონდათ, სამშენველიც და სულიც, — თითოეულს „ნათესაობისაგებ“ (დაბ. 1,21-25), — არ გააჩნდათ სული წმიდა. ხოლო როდესაც უფალმა „შობაჲ პირსა მისსა (ადამისა) სული სიცოცხლისაჲ“, მოსეს სიტყვისაგებ, იგი „იქმნა სულად ცხოველად“, ე.ი. სრულიად მსგავსი ღმრთისა, და, მაშასადამე, უკვდავი უკუნითი უკუნისამდე. პირველქმნილი ადამი ყოველგვარ სტიქიაზე მაღლა იდგა: იგი არც წყალში ჩაიძირებოდა, ვერც ცეცხლი დაწვავდა, ვერც უფსკრულები შთაიქამდნენ, ვერც ქარი რას ავნებდა. ყოველივე მას ემორჩილებოდა, როგორც ღმრთის რჩეულს, როგორც მეუფესა და მპყრობელს. ყველანი მას შესტრფოდნენ, ღმრთის ქმნილებათა ყოველდსრულქმნილ გვირგვინს.

ყოვლის შემოქმედისა და ყოვლის მპყრობელი ღმრთისაგან ასეთი მაცხოვარებითი სულით განსულიერებული ადამი სიბრძნის ისეთ საუფჯედ იქცა, რომ საუკუნითგან მისებრი არავინ გამოიჩინილა და ალბათ აღარც მომავალში უნდა ველოდეთ. როდესაც უფალმა შობაჲ მას ეწოდებინა სახელები ყოველი ცხოველისათვის, მან თითოეულ მათგანს ისეთი სახელი გამოუქმნა, რომელიც სრულად მიანიშნებდა თითოეულის ყოველგვარ თვისებას, მინიჭებულს ღმრთის მიერ შესაქმის კამს ცხოვრების სულით (სულიწმიდით) გარდამოვლნილი ზებუნებრივი საღმრთო მადლითა და ნიჭით ადამს შეეძლო ეხილა და გულისხმა-ეყო უფლის სიარული სამოთხეში, გაეგო მისი სიტყვები, მოეხინა წმიდა ანგელოზთათვის და ჩაწვდომოდა ყოველი ცხოველის, ფრინველისა და ქვეწარმავლის ენას, აგრეთვე ყოველივე იმას, რაც ამჟამად ჩვენთვის, ცოდვით დაცემულთათვის, დაუარულია; ადამისათვის კი იმჟამად, ცოდვით დაცემამდე, ყოველივე ნათელი და ადვილად მისაწვდომი იყო. ასეთივე სიბრძნე და ძალა, ყოვლისშემძლეობა და ყოველი სხვა სიკეთე უფალმა ღმერთმა მიანიჭა ევასაც. მან იგი შექმნა არა მიწის მტერის, არამედ ადამის ფერცხლისაგან (ნეკნისაგან), და ისიც დაამკვიდრა სატკბოების ედემს, ქვეყნის შუაგულში დაფუძნებულ სამოთხეს. იმისათვის, რათა ადამსა და ევას სამუდამოდ დაემკვიდრებინათ უკვდავება, შეენარჩუნებინათ ცხოვრების სულისაგან (სულიწმიდისაგან) მინიჭებული საღმრთო მადლი და სრულქმნილება, ღმერთმა სამოთხის შუაგულში დარგო ცხოვრების ხე, რომლის ნაყოფიც მოიცავდა მისი საღმრთო სულის ნიჭთა მიეღ საცესებას. თუკი არ შესცოდავდნენ, ადამსა და ევას, აგრეთვე მათ შთამომავლობას, შეეძლო ყოველთვის ეგემნა ცხოვრების ხის ნაყოფი, და ამით შეენარჩუნებინა საღმრთო მადლის ცხოველმყოფელი ძალა; სხეულის, სამშენველისა და სულის მარადიული სიტკბოვე, თავისი ყოველად ნეტარი არსებობის მარადიულობა და დაუბერებლობა, ეგზომ მიუწვდომელი რომაა ჩვენი წარმოსახვისათვის.

კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან ნაყოფის მიღება ნაადრევი და ღმრთის მცნების საწინააღმდეგო იყო: მართალია, ამ ხის ნაყოფის მიღებით ადამმა და ევამ შეიტყვეს კეთილისა და ბოროტის რაობა, მაგრამ ამას მიაღწიეს ღმრთის მცნების დარღვევის ფასად. სწორედ ღმრთის მცნების გარდასვლამ დაუღო სათავე ყველა მათ

უბედურებას. ისინი მოაკლდნენ საღმრთო სულის მადლსა და ნიჭს. ამ დროიდან მოკიდებული, ღმრთისა და კაცის, ქრისტე მაცხოვრის, განხორციელებამდე სული ღმრთისა „არღა მოცემულ იყო, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ“ (იოვანე 7,39).

ეს არ ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში საღმრთო სული სრულიად არ ყოფილა ამ სოფლად, მაგრამ ის ყოფნა ვერ შეედრება იმ სავსებას, როგორც იგი სუფევდა ადამში და სუფევს ჩვენში, მართლმადიდებელ ქრისტიანებში. ადამიდან ქრისტეს მოსვლამდე სულიწმიდა „კაცთა გარეგან“ (ადამიანთა არსებაში შეუსვლელად) მოქმედებდა, და მისი ნიშნები ადამიანთათვის ცნობილი იყო. მაგალითად, ადამსა და ევას, ცოდვით დაცემის შემდეგ გამოეცხადათ მრავალი საიდუმლო, რომელიც უკავშირდებოდა კაცთა მოდგმის მომავალ ხსნასა და ცხოვრებას. აგრეთვე კენისათვის, მიუხედავად მისი უკეთურებისა და დანაშაულისა, შესაძლო შეიქნა საღმრთო ხმის, თუმცა მამხილებლის, მოსმენა. ღმერთთან საუბრობდა აგრეთვე ნოე. აბრაამმა იხილა ღმერთი და განიხარა. გარეგან მოქმედი მადლი სულისა წმიდისა აისახა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა და წმიდათა ცხოვრებაში. ებრაელთა შორის დაარსებული იყო საგანგებო საწინასწარმეტყველო სასწავლებლები, სადაც ასწავლიდნენ ღმრთისა და მის ანგელოზთა გამოცხადების ნიშნებს, აგრეთვე სულიწმიდის მოქმედების გარჩევას სხვა ჩვეულებრივ ამქვეყნიურ მოვლენათაგან. სვიმეონ ღმრთისმამრქმელს, ღმრთისმშობლის მშობელთ იოაკიმესა და ანას, და სხვა მრავალ სათნო ღმრთის მონას ჰქონდა სხვადასხვაგვარი ცხადი საღმრთო გამოცხადება, ხმა და შთაგონება, რომლებიც მართლდებოდნენ თვალსაჩინო სასწავლებლთა და საკვირველთა მოქმედებებით.

საღმრთო სულის გამოვლინება ხდებოდა წარმართთა შორისაც, თუმცა არა ისეთი ძალით, როგორც ღმრთის ერში (ისრაელში). წარმართნი არ იცნობდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, მაგრამ მათ შორისაც კი პოულობდა ღმერთი სიწმიდით გამორჩეულ ადამიანებს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ქალწული წინასწარმეტყველები — სიბილები, რომლებმაც თავისი ქალწულება, მართალია, უცნობ ღმერთს შესწირეს, მაგრამ მაინც ღმერთს, სამყაროს შემოქმედსა და ყოვლისმპყრობელს, სამყაროს განმგებელს, როგორც იგი წარმართებს ჰყავდათ წარმოდგენილი. ასევე წარმართი ფილოსოფოსები, რომლებიც, მართალია, საღმრთო ნათელს მოკლებულნი იყვნენ და სიბნელეში დაიარებოდნენ, მაგრამ მაინც ჭეშმარიტების შეცნობას ესწრაფოდნენ (ჭეშმარიტების ძიება კი ღმრთისათვის დიდად მოსაწონია) და ამ სათნო მისწრაფების ჯილდოდ სულიწმიდის ზიარებას (სულიწმიდასთან მიმთხვევას) იღებდნენ. ამრიგად, წარმართები, რომელნიც არ იცნობდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, შეიძლებოდა ბუნებითი სჯულით განმართლებულიყვნენ და ღმრთის სათნო საქმეები ექნათ. ჭეშმარიტებას უფალი ნეტარ-ჰყოფს სულიწმიდის მიერ შთაგონებული სიტყვებით: „ჭეშმარიტება ქუყვანით აღმოცენდა და

სიამართლე ზეცით გამოხდა“ (ფს. 84,12).

ამრიგად, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, როგორც ებრაელთა საღმრთო ერში, ისე ღმრთის უმეცარ წარმართებშიც შენარჩუნებული იყო ღმრთისმცნობა იმდენად მაინც, რომ ჰქონოდათ ნათელი წარმოდგენა ადამიანზე სულიწმიდის მოქმედების შესახებ და განესაზღვრათ, რომელი გარეგანი და შინაგანი შეგრძნებები მოწმობდნენ ადამიანზე სულიწმიდის მოქმედებას, რათა იგი მტრის მანქანებისაგან განერჩიათ. ასეთი სულიერი გამოცდილება არ გაწყვეტილა ადამის დაცემიდან უფლისა ჩვენის იესუ ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე.

უამისოდ, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, სულიწმიდის მოქმედებათა შეგრძნებისა და შეცნობის უნარის გარეშე, რომელსაც კაცთა მოდგმა ყოველთვის ფლობდა, შეუძლებელი გახდებოდა დაზუსტებით გაეგოთ ადამიანებს, — მოვიდა თუ არა სოფლად ადამისა და ევასათვის აღთქმული მხსნელი, შემეუსვრელი გველის თავისა. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სვიმეონ ღმრთისმამრქმელი, რომელსაც 65 წლის ასაკში ეუწყა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან მაცხოვრის შობის საიდუმლო, და ყოვლადწმიდა საღმრთო სულის მადლით კიდევ იცოცხლა 300 წელიწადს. 365 წლის მოხუცებულმა, რომელმაც ტაძარში იხილა ყრმა იესუ, სულიწმიდის მადლით ნათლად შეიგრძნო, რომ ესაა სწორედ ის ქრისტე, მხსნელი სოფლისა, რომლის ზებუნებრივი ჩასახვისა და შობის ამბავი სამასი წლის წინათ ეუწყა ანგელოზისაგან.

წმიდა ანა წინასწარმეტყველსაც, ფანოელის ასულს, ღმრთის ტაძარში დამკვიდრებულს ქერიობიდან ოთხმოცი წლის განმავლობაში და ღმრთის წმიდა მსახურს, სულიწმიდის განსაკუთრებული მადლით ეუწყა, რომ ყრმა იესუ სოფლისათვის აღთქმული მესიაა, ჭეშმარიტი ქრისტეა, ღმერთი და კაცი, მეუფე ისრაელისა, მოსული ცხოვრებად ადამისა და ყოვლისა კაცთა ნათესავისა (მთელი კაცთა მოდგმისა).

ხოლო როდესაც უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ აღასრულა საქმე ჩვენისა ცხოვრებისა, შემდგომად აღდგომისა თვისისა გამოეცხადა თავის მოციქულთა შეშებერა მათ და განუახლა სული ცხოვრებისა. ადამის მიერ დაკარგული მადლი ყოვლადწმიდისა საღმრთო სულისა ხელახლა მიენიჭა ქრისტეს მოციქულებს. „უმჯობეს არს თქვენდა, — უთხრა იესუმ თავის მოწაფეებს, რადღა მე წარვიდე (მამისა); უკუეთუ მე არა წარვიდე, წუკმინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქვენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქვენდა“ (იოვანე 16,7) და წარგიძღვეს თქვენ გზათა ჭეშმარიტებისათა და „მოგაქსენოს ყოველი, რაოდენი გარკუ თქვენ“ (იოვანე 14,26), ოდეს-იგი ვიყავ სოფელსა შინა. ამით ქრისტემ აღუთქვა მოწაფეებს „მადლი მადლისა წილ“ (იოვანე 1,16), და აი, დღესა მეურგასისასა გარდამოუვლინა მათ სული წმიდა ცეცხლის ენათა სახით, „დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა“ (საქმე მოც. 2,3) და აღავსო ისინი საღმრთო მადლის ცეცხლოვანი ძლიერებით. ეს ცეცხლი დამწველი კი არა, შე-

მაცრეველი იყო. სულიწმიდასთან ზიარებამ სიხარული და ნეტარება მოჰყვინა ქრისტეს მოციქულთ.

სწორედ ეს ცეცხლოვან-სულიერი მადლი სულიწმიდის გადმოდის ყოველ მორწმუნე ქრისტიანზე ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების ჟამს და მორონცხების ბეჭდით განმტკიცდება იგი. წმიდა ეკლესია გვასწავლის, რომ მორონცხება ჯერ-არს ჩვენი სხეულის სრულიად განსაზღვრულ ადგილებზე; იმ ადგილებზე, რომლებსაც ძალუთი საუკუნოდ შეინარჩუნონ ეს მადლი. მორონცხების დროს ითქმის: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“ (სიტყვა-სიტყვით: „ბეჭედი ნიჭისა სულისა წმიდისა“). ჩვენ გლახაკნიც ხომ, თქვენო ღმრთის-მოყვარებავ, ბეჭედს ვადებთ მხოლოდ იმ ჭურჭელს, რომელშიც რაიმე ძვირფასეულობას ვინახავთ! რა შეიძლება იყოს ამქვეყნად უფრო ძვირფასი, ვიდრე სულიწმიდის ნიჭი და მადლი, ზეგარდამოვლენილი ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების ჟამს! ნათლისღების მადლი იმდენად დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამიანისათვის, იმდენად ცხოველმყოფელია თითოეული დაბადებულისათვის, რომ მწვალებლებსაც კი არ განეშორება იგი სიკვდილის დღემდე. თუკი აღარ ვცოდავთ, დაგრჩებით საუკუნოდ წმიდანი, ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან განწმენდილი, სათნონი ღმრთისანი. უბედურება ისაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ჩვენ ისე როდი გვემატება საღმრთო მადლი და გულისხმისყოფა, როგორც უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტეს. პირიქით, ნელ-ნელა ვიზრუნებთ, გაკლდება ყოველწმიდა საღმრთო სულის მადლი, და ვიტვირთებით უამრავი სხვადასხვაგვარი ცოდვით. ხოლო როდესაც ჩვენი ხსნისა და საუკუნო ცხოვრების მეძიებელი საღმრთო სიბრძნე გულისხმისყოფად მოიყვანს ვისმე და მღვთობად, აღმსობად ღმრთისა მიმართ, მაშინ ეს კაცი უნდა მიეცეს ჭეშმარიტ სინანულს, და ისწავოს ჰქმნას ისეთი ქველის საქმეები, რომლებიც მის მიერ ქმნილი ცოდვებისაგან სრულ მოქცევას საცნაურ-ჰყოფენ და ქრისტესთვის ქმნილი სათნოებით იღვწოდეს სულიწმიდის მოსაპოვებლად; იმ საღმრთო სულის მოსახვეჭად, რომელიც ჩვენ შორის დამკვიდრდება და ჩვენს სულში ღმრთის სასუფეველს დაამყარებს.

ტყუილად როდი ამბობს საღმრთო სიტყვა: „თქვენ შორის არს სასუფეველი ღმრთისა და მაიძულებელნი მიიტაცებენ მას“. ე.ი. სასუფეველს „მიიტაცებენ“ ის ადამიანები, რომლებიც, თუმცა ცოდვის საკრველით არიან შებოროტნი და ამის გამო ახალ-ახალ ცოდვების განსაცდელიც ეძლევათ და სრული სინანულისათვის მაცხოვართან მისასველელი გზებიც ეკეტებათ, ისინი მაინც არაფრად აგდებენ ამ განსაცდელს, და ცოდვის საკრველთა შემუსვრას ლამობენ. ასეთი ადამიანები ღმრთის წინაშე ჩანან „უფროს თოვლისა განსპეტაკებულნი“ მისივე მადლის წყალობით. „მოვედით, — იტყვის უფალი, — და უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თქუენნი, ვითარცა ბოწეულინი მეწამულნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო“ (შდრ. ესაია 1,18).

საიდუმლოთა მხედველმა იოვანე ღმრთისმეტყველმა

ოდესმე იხილა ასეთი ადამიანები, — „სპეტაკითა შემოსილნი“ (გამოცხადება 7,9), რომელთაც ხელთ ეპყრათ ფინიკები ძღვევის მომასწავლებლად და გალობდნენ ღმრთის მიმართ: „აღელეუა“. და მათი გალობის სიტკბობა მიუწვდომელი იყო. ღმრთის ანგელოზმა მათ შესახებ თქვა: „ესენი არიან; რომელნი მოსრულ-არიან ჭირისა მისგან დიდისა, და განურეცხნიეს მათ სამოსელნი მათნი, და განსპეტაკნეს სისხლითა მით კრავისაღთა“ (გამოცხ. 7,14). „განრეცხნეს“ ტანვეით და „განასპეტაკნეს“ ზიარებითა ყოვლადწმიდისა და ცხოველმყოფელისა ხორცისა და სისხლისა კრავისა — უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა, პირველ ყოველთა საუკუნეთა ნებისთ დაკლულისა სოფლისა ცხოვრებისათვის, მარადის და მოაქამომდე დაკლვადისა და: განყოფადისა, გარნა არა განლევადისა, მომნიჭებელისა ჩვენდა საუკუნოდსა და მოუკლებელისა საცხოვრებელისა საგზლისა, ნაცვლად ყოველთა გონებათა აღმატებულისა ცხოვრების ხის ნაყოფისა, რომლისა მიღებასა (წართმევას) კაცთა ნათესავისაგან ისწრაფდა მტერი მისი, ცათაგან გარდა-მთხეული (გადმოგდებული) მოიბები. თუმცა მტერმა ეშმაკმა ევა მაინც შეაცდინა, და მასთან ერთად დაეცა ადამიც, მაგრამ უფალმა არ გაწირა ისინი; მიმხდლა მათ გამოყიდველი, ქალწულის ნაყოფ-ქმნილი და სიკვდილითა სიკვდილის დამორგუნველი. მომადლა აგრეთვე მარადის-ქალწული მარიამი, შემმუსვრელი გველის თავისა, განუშორებელი და უძლეველი მეოხი თვით უსასოდ შეცოდებულთათვის. ამიტომაც, რომ დედა ღმრთისა „ეშმაკთა წყლულებად“ იწოდება; ეშმაკს არ ძალუთს ადამიანის დაღუპვა, თუკი თავად ეს კაცი ღმრთისმშობლის შეწევნის მოხმობად არ დაცხრება.

VI

მერმე, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, გლახაკმა სურათიმე უნდა განგიმარტოთ, რა განსხვავებაა ქრისტეს მორწმუნეთა გულებში ღმრთივსაიდუმლოდ დამკვიდრებული სულიწმიდის მოქმედებასა და ცოდვითი სიბნელის მოქმედებას შორის, ეშმაკის წაქეზებით რომაა ჩვენში აღძრული. საღმრთო სული შეგვასხენებს ხოლმე სიტყვებს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა და თანამოქმედებს მასთან ერთად, სიხარულით ადავსებს გულთა ჩვენთა და წარმართავს სღვათა ჩვენთა გზათა მშვიდობისათა. ხოლო სული მაცთური და საეშმაკო ქრისტეს წინააღმდეგოსა ზრახავს; მისი მოქმედება აღმაშფოთებელი და დამგულარძნელია (გამამრუდებული), ხორციელი ვნებებისა და უსაფუძვლო სიამაყის აღმძვრელია. „ამენ, ამენ, გეტყვ თქუენ, ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“ (იოვანე 11,26). რომელსა აქენდეს მადლი სულისა წმიდისა, მიღებული მართლისა სარწმუნოებისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესისა, რომელიმე ცოდვით სულიერად რომც მოკუდეს კაცობრივი უძღურების გამო, მისი სიკვდილი საუკუნო როდი იქნება; იგი აღდგება მადლითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესითა,

რამეთუ იგია აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა, უსასყიდლოდ მომცემული მადლისა, მადლისა წილ. მთელ მსოფლიოსა და კაცთა მოდგმავ გარდამოვლენილ ამ მადლს გულისხმობს მახარებელი, როცა ამბობს: „მის თანა ცხორება იყო და ცხორება იგი იყო ნათელ კაცთა“ (იოვანე 1,4) და იქვე დასძენს: „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოვანე 1,5). ეს წინავე, რომ სულიწმიდის მადლი, მონიჭებული ჩვენა ნათლისღების კაშს (ხოლო ვინათლებით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა), მიუხედავად ცოდვითი დაცემისა, მიუხედავად სიბნელისა, რომელსაც ჩვენი სული გარე-მოუცავს, მაინც ანათებს საღმრთო ნათელის პირველქმნილი ბრწყინვალეობით. ესე ნათელი ქრისტესი ცოდვათა მოუწინებლობისა და დადებს მამა-ღმერთის მიმართ: „აბბა, მამაო“ (რომ. 8,15; გალ.4,6), „ანუ უკუნისამდე მრისხავ ჩუენ“ შეუწინებლობისათვის. ხოლო მერმე, სინანულად მოქცევისას, სრულიად წარბოცს ცოდვათა ნაკვალევსაც კი; სჯულის გარდამავ-ალს ხელახლა შეკმოსს სამოსელსა უხრწნელებისასა, რომელიც მოქსოვილია მადლითა სულისა წმიდისათა, რომლის მოპოვების, როგორც ჩვენი ცხოვრების მიზნის, შესახებ უკვე ამდენი ხანია ვესაუბრები თქვენს ღმრთისმოყვარეებს.

სხვა რამესაც გეტყვით, რათა უფრო ნათლად გაიგოთ საღმრთო მადლის რაობა, შეიძლოთ საღმრთო მადლის გამოვლინებათა შემჩნევა ღმრთივ-განათლებულ ადამიანებზე დაკვირვებისას. მადლი სულისა წმიდისა არის ნათელი, რომელიც განანათლებს ადამიანს. ამას დალ-ადებს მთელი საღმრთო წერილი. მამად ღმრთისა წოდებული დავითი იტყვის: „სანთელ არს ფერუთა ჩემთა შუკული შენი და ნათელ — ალაგათა ჩემთა“ (ფს. 118,105), „არათუმცა შუკული შენი ზრახვა იყო ჩემდა, მაშინვე სამემცა წარეწყმდი სიმდაბლესა შინა ჩემსა“ (ფს. 118,92). ე.ი. მადლი სულისა წმიდისა, რომელიც გამოხატულია ღმრთის მცნებებსა და საღმრთო შუკულში, არის სანთელი და მანათობელი ჩემი; თუკი იგი ზრუნვათა სიბნელეში მყოფს მომეკლინებოდა, საიდან ვიკვებდი ნათლის სხივს ცხოვრების გზის გასანათებლად?

უფალმა მრავალციხოვან მოწმეთა წინაშე არაერთგზის მოუვლინა ადამიანებს მადლი სულისა წმიდისა. გა-ვისხენოთ მოსე სინაღს მთაზე ღმერთთან საუბრის შემდეგ. ისეთ უჩვეულო ნათელს მოეცვა მისი პირისახე, რომ ხალხმა ვერ შეძლო თვალი გაესწორებინა მისთვის. იგი იძულებული გახდა პირი დაეხურა და ისე სჩვენებოდა მათ. გაისხენოთ ფერისცვალება უფლისა თაბორის მთაზე. დიდებულმა ნათელმა მოიცვა იგი, ასევე „სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (მარკ. 9,3). მოწაფენი „დავარდეს პირსა ზედა თუსსა და შეეშინათ ფრიად“ (მათე 17,6). საღმრთო ნათლით შემოსილნი გამოჩნდნენ მოსე და ელიაც, და რათა ამ ნათლის ბრწყინვალეობას არ დაეებრძავებინა ქრისტეს მოწაფენი, „ღმრთი ნათლისა აგრილობდა მათ“ (მათე 17,5).

ამრიგად, მადლი ყოველადწმიდისა საღმრთო

სულისა გამოუთქმელი ნათლით მოველინება ყველას, რომელთაც ღმერთი მის მოქმედებას განუცხადებს.

VII

— მე როგორღა უნდა მივხვედ, რომ სულიწმიდის მადლია ჩემზე გადმოსული? — ვკითხე მამა სერაფიმეს.

— ეს, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, ძალზე ადვილია, — მომიგო მან, — სწორედ ამიტომ ამბობს უფალი: „ყოველივე ადვილ არს მოპოვნელთათვის გულისხმისყოფისა“... მთელი ჩვენი გაჭირვება ისაა, რომ ჩვენ თვითონ არ ვეძიებთ საღმრთო გულისხმისყოფას, ის კი ძალით თავს არ გვეხვევა და არ ყვირის, რადგან „არა ამის სოფლისაგან არს“. ღმრთისმეცნიერება და საღმრთო გულისხმისყოფა აღსავსაა სიყვარულით ღმრთისა და მოყვასისადმი. იგი ყოველ ადამიანს აღაშენებს საცხოვრებელად. ვითარცა წერილ არს, ღმერთს ნებავეს „ყოველთა კაცთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარი-ტებისასა მოსლვაჲ“. მოციქულებს გულისხმისყოფის უქონლობის გამო უფალმა უთხრა: „ანუ არა გულისხმა-გიყოფიეს, ანუ არა აღმოგიკითხავსა წერილი, ანუ იგავთა ამით ვერ მიწომილ ხართა?“ ამავე გულისხმისყოფაზეა ლაპარაკი სახარებაში: „მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისხმის-ყოფად წიგნთა“ (ლუკა 24,45). ამ საღმრთო გულისხმის-ყოფით შეეძლოთ მოციქულებს გაეგოთ, განისვენებდა თუ არა საღმრთო სული მათ შორის, და როდესაც განიმსჭვალე-ბოდნენ ხოლმე სულიწმიდით და შეიგრძნობდნენ მის მოქმედებას, დაბეჯითებით შეეძლოთ ეთქვათ, რომ საქმენი მათნი წმიდა და ღმრთივ-სათნო იყო. ამით აიხსნება ის, თუ რატომ წერდნენ ისინი თავიანთ ეპისტოლეებში: „სათნო-ეყო სულსა წმიდასა და ჩუენ“. თავიანთ უფლებამოსილებას მოციქულები ამყარებდნენ საღმრთო მადლის მოვლინებაზე, რომელსაც ისინი ცხადად შეიგრძნობდნენ და ეპისტოლეებას გაგზავნი-თ ისინი საღმრთო ნების გამოცხადებას ესწრაფოდნენ. ხედავთ, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, რა ადვილი ყოფილა ყოველივე ეს?

— მაინც არ მესმის, — მივუგე მე, — რით შეიძლება ვიყო მტკიცედ დარწმუნებული, რომ ჩემთან საღმრთო სულია. სახელდობრ რაში უნდა ამოვიცნო მისი ჭეშმარიტი მოვლინება?

— მე უკვე გითხარით, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, რომ ეს ძალზე ადვილია, — მითხრა მამა სერაფიმემ, — ისიც დაწვრილებით მოგიყვით, როგორ მოიპოვებენ ადამიანები საღმრთო სულს და რით უნდა მიხვდნენ მის მოვლინებას. მეტი რაღა გნებავთ, ბატონო ჩემო?

— მე მინდა ყოველივე ეს უკეთ გაგიგო, — ვუთხარი მე.

მაშინ მამა სერაფიმემ მხარში მომიკიდა ხელი და მითხრა:

— ამჟამად ჩვენ ორივენი, ბატონო ჩემო, საღმრთო სულის მოქმედებას განვიცდით... რატომ არ

შემომხედვად თვალეში?

— არ შემიძლია, მამაო, შემოხედვა, რადგან თქვენს თვალთაგან ელვა გამოკრთის. თქვენი პირისახე იქმნა უნათლეს მზისა, და თვალთა შედგომად უძლურ ვიქმენ.

— ნუ შეშინდებით, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, — მითხრა მამა სერაფიმემ, — ახლა თქვენც ისეთივე ნათლით შემოსილი ხართ, როგორც მე. ამჟამად თქვენ საღმრთო სულის საცსებას განიცდით. ეს რომ არა, ვერც ჩემს ნათელმოსილებას დანახავდით.

მამა სერაფიმე გადმოიხარა ჩემსკენ და წყნარად მიწურულა:

— მაღლობდეთ უფალსა ღმერთსა გამოუთქმელისა მოწყალებისათვის, რომელი მოიღო თქვენ ზედა. თქვენ ნახეთ, რომ მე პირველად არ გადამიხანავს; მხოლოდ ჩემს გულში, ფიქრებით შევეყვადე მაღალთა შინა მყოფს: „უფალო, ღირს-ყავ მონა ესე შენი ხორციელითა თვალთათვა ხილვად გარდამოსლვა სულისა შენისა ჩენი ზედა, ოდეს ინებო გამოცხადება ჩვენდა დიდადშენიერებითა დიდებისა შენისათა“. და, მართლაც, უფალმა მცვესკულად აღასრულა თხოვა გლახაკისა სერაფიმესი. როგორ არ უნდა ვმაღლობდეთ მას ჩვენზე გარდამოვლენილი ესოდენი გამოუთქმელი წყალობისათვის! ყოველ მეუდაბნოეს და ყოველთვის როდი გამოუცხადებს უფალი თავის წყალობას, თუნდაც ისინი დიდი მოღვაწენი იყვნენ. საღმრთო მაღლმა თქვენი შემუსრვილი გულის ნუგეშინისცემა ინება, როგორც შეილთმოყვარე დედამ, ვედრებითა და შუამდგომლობითა ყოველადწმიდისა დედისა ღმრთისათა. ბატონო ჩემო, კვლავ არ მიყურებთ თვალეში? შემომხედეთ, ნუ გეშინიათ, უფალი ჩვენთანაა“.

ამ სიტყვების შემდეგ მე გაბებრად მისთვის პირისპირ შემიხედდა და უფრო მეტი თავხარი დამეცა. წარმოიდგინეთ შუადღის მცხუნვარე მზის თვალისმომჭრელი დისკოს შუაგულში ადამიანის პირისახე. თქვენ ხედავთ, როგორ თანა-გეზრახვით ეს ადამიანი, ხედავთ მისი ბაგეების მოძრაობას, თვალეების გამომეტყველების ცვლილებას, გესმით მისი ხმა და გრძნობთ, რომ მას ხელთ უპყრია თქვენი მხრები, მაგრამ ვერ ხედავთ არა მარტო ამ ხელებს, არამედ ვერც მისი სხეულის სხვა ნაწილებს, ვერც თქვენსავე სხეულს; ხედავთ მხოლოდ დამაბრმავებელ ნათელს, რამდენიმე საუენის მანძილზე რომ გაუჩირადდნებია ყოველივე — თოვლით დაფარული მდელი, ციდან მოფარფატე ფიფქები, საკვირველი მოხუცებული და თქვენ თვითონაც. ძალგიძთ წარმოიდგინოთ ის განცდები, რომლითაც იმჟამად ვიყავ მოცული?

— როგორ გრძნობთ თავს ამჟამად? — მკითხა მამა სერაფიმემ.

— უჩვეულოდ კარგად, — გუპასუხე.

— მაინც როგორ? სახელდობრ რას განიცდით?

— ვგრძნობ ისეთ მკუდროებასა და სიმშვიდეს სულში, რომ არავითარი სიტყვით არ ძალმიძს მისი გამოხატვა.

— ეს, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, ის მშვიდობაა, რომელზედაც უთხრა უფალმა თავის მოწაფეებს: მშვიდობა დაგიტევებთ თქვენ, მშვიდობას ჩემსა მიტევებთ თქვენ, არა ვითარ სოფელმან მისცის, მე მიტევებთ თქვენ“ (იოვანე 14,27). „უკუეთუმცა სოფლისაგანი იყუენით, სოფელიმცა თხოთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩინე თქვენ სოფლისაგან, ამისთჳს მსძულთ თქვენ სოფელსა“ (იოვანე 15,19), „არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევდეს სოფელსა“ (იოვანე 16,33). სწორედ სოფლისაგან მოძულებულ ადამიანებს, რომელთაც უფალი გამოირჩევს, აძლევს იგი იმ მშვიდობას, რომელსაც ამჟამად თქვენ გრძნობთ. მშვიდობა, მოციქულის სიტყვისაგებ, „აღმატებულ არს ყოველსა გონებასა“. ასეთად მოიხსენებს მას მოციქული, რადგან შეუძლებელია სიტყვით გამოხატოთ ის სულიერი კეთილდღეობა, რასაც ამკვიდრებს უფალი ადამიანის არსებაში მშვიდობის შეტანით. მშვიდობა — მარტოოდენ ღმრთის მოწყალებაა, და ამა სოფლისაგან მას ვერ მოვიპოვებთ, რადგან ვერავითარი წარმავალი ამკვეყნიური კეთილდღეობა ჰქმნარს მშვიდობას ვერ წარმოშობს ადამიანის გულში. იგი ზეგარდამო ენიჭება თვით უფლისა ღმრთისაგან; ამიტომაც იწოდება იგი საღმრთო მშვიდობად. მითხარით, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, კიდევ რას გრძნობთ თქვენ? — კვლავ მკითხა მამა სერაფიმემ.

— უჩვეულო შვებასა და სიტკბობას, — მივუგე მე. ხოლო მან განაგრძო:

— ეს ის შვება და სიტკბობაა, რის შესახებაცაა თქმული საღმრთო წერილში: „დაითვრნენ იგინი სიბოხითა სახელისა შენისათა და ლუარი საშუებელისა შენისა ასუა მათ“ (ფს. 35,9). შვებას აღუვისა ჩვენი გულეობა და ძარღვებში მიმოხნეულა გამოუთქმელი სიტკბობით. ჩვენ ორივე ისეთ ნეტარებას მოვუცავთ, რომ ბრძენთა ენასაც „გამოთქუმად მისა ვერ ძალუც“. კიდევ, თქვენო ღმრთისმოყვარებავ, კიდევ რას განიცდით?

— უჩვეულო სიხარულსა და ნეტარებას-მეთქი, — მივუგე.

მამა სერაფიმემ ისევ განაგრძო:

— როდესაც საღმრთო სული გარდამოდის კაცზე და მოიცავს მას საცსებითა მოსვლისა მისისათა, მაშინ ადამიანის სული აღივსების სიხარულით, რადგან საღმრთო სულს სიხარული მიაქვს ყველასთან, ვისაც კი შეეხება. ამ სიხარულის შესახებ ამბობს მაცხოვარი სახარებაში: „დედაკაცი რაჟამს შობს, მწუხარე არს, რამეთუ მოიწია ჟამი მისი; ხოლო რაჟამს შშნს ყრმა, არღარა მოე სენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშუა კაცი სოფელსა შინა. ხოლო თქვენ აწ ჭირი გაქუს, და მერმე კუალად გიხილნე თქვენ და უხაროდეს გულთა თქვენთა, და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (იოვანე 16,21-22).

როგორი ნუგეშინისმცემელიც არ უნდა იყოს ის სიხარული, რომელსაც ამჟამად გრძნობთ თქვენს გულში, ის მაინც არარად მოჩანს იმ სიხარულთან, რომლის



შესახებაც მოციქულის პირით ბრძანა თვით უფალმა: „რომელი თულამან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუ და, რომელი განუშხადა ღმერთმან მოყვარეთა თ სთა“ (1 კორ. 2,9; ესაია 64,4).

იმ სიხარულის წინდი გვეძლევა ჩვენ ამჟამად. და თუ ესეც ეგზომ დამატკობელია და სულთა ჩვენთა განმამხიარულებელი, რაღა უნდა ითქვას იმ სიხარულზე, რომელიც ცათა შინა განმზადებული ქვეყანასა ზედა მგლოვარეთათვის! თქვენც, ბატონო ჩემო, საკმაოდ გიგლოვით ამქვეყნიურ ცხოვრებაში, და დახეთ, ჯა სიხარული მოგვიღინათ უფალმა ნუგეშისსაცემლად სააქო ცხოვრებაშიც კი! ასღა ჩვენზეა, ბატონო ჩემო, საქმე, რათა განუწყვეტელი შრომითა და მოღვაწეობით „ვიდოდეთ ძალითი-ძალიად“ (ფს.83,8) და მივიწივნეთ საზრმსა ქრისტეს-მთერისა აღვსებისასა, რათა აღვსრულოს სიტყვა უფლისა: „ხოლო რომელთა დაუთმონ უფალსა, ფრთოვან იქმნენ, ვითარცა არწივნი; ვიდოდიან იგინი ძალითი ძალიად და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა ხონს“ (ფს. 83,8). მაშინ კი მიელი თავისი საცხებით გამოგვინდება ის სიხარული, - რომელიც ამჟამად ნაწილობრივ შევიგრძენით. ზეციური ნეტარებით აღვსილთ ვედარავინ წაგვართმევს ამ სიხარულს. კიდევ რას გრძნობთ ამჟამად, თქვენო ღმერთისმოყვარება?

მე მივუგე:

— უნვეულო სითბოს.

— რომელ სითბოს, ბატონო ჩემო! ჩვენ ხომ ტყეში ვსხედვართ. ზამთარია და ზეხქვეშ თოვლი გვიგია, ზევიდანაც ფანტელბად გვაკვივა და ერთი თითის დადებაზე დაგვარა კიდევც... რა სითბო შეიძლება იყოს აქ...

— ისეთი სითბოა, როგორც აბანოში იცის ხოლმე, ღუმელს რომ გააჩაღებენ და მხურვალე ორთქლს ააღენენ.

— სუნიც ისეთივეა, როგორც აბანოში? — მკითხა მან.

— არა, — მივუგე მე, — ამქვეყნად არ არსებობს მსგავსი კეთილსურნელება. დედაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც მე ბალებითა და საცეკვო საღამოებით ვიქცევიდი თავს ხანდახან დედაჩემი ნაირგვარ სუნამოს მასხურებდა ხოლმე; ისინი ყაზანის საჯკეთესო და მოღურ მაღაზიებში პქონდა ნაყიდი. მათი სუნი ოდნედაც ვერ მოვა იმ კეთილსურნელებასთან, რომელსაც ამჟამად ვგრძნობ.

მამა სერაფიმე ღმილით მითხრა:

— ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილია, ბატონო ჩემო. განგებ გკითხეთ, რათა თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობა თქვენვე აღგაწერათ. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა, თქვენო ღმერთისმოყვარება. ვერავითარი ამქვეყნიური კეთილსურნელება ვერ შეედრება იმას, რასაც ჩვენ ამჟამად ვგრძნობთ; ეს კი იმიტომ, რომ ჩვენ გარემოცული ვართ საღმრთო სულის — სულიწმიდის კეთილსურნელებით. როგორ შეიძლება რაიმე ამქვეყნიური მას გაუთანასწორდეს? დააკვირდით, თქვენო ღმერთისმოყვარება; თქვენ ხომ თქვეთ, ირგვლივ აბანოსავით სითბოა; თოვლი კი, ზედ რომ გვადებ და

ჩვენს ფერხთ ქვეშაცაა გაფენილი, არ დნება. გამოდის, ეს სითბო ჰაერში კი არა, თვით ჩვენშივე ყოფილა. ეს სწორედ ის სითბოა, რომლის შესახებაც გვათქმევინებს სული წმიდა ლოცვის სიტყვებს უფლისა მიმართ: „მღუღარებითა სულისა წმიდისათა განმატყე მე“. ამ „მღუღარებით“ გამთბარ მეუღაბნოეთ არ აშინებთ ყინვა ზამთრისა, თითქოს თბილ ქურქში იყვნენ ისინი გახვეულნი; სიცივისაგან მათ იფარავთ სულიწმიდის მიერ მოქსოვილი მადლიანი სამოსელი. ეს ასეც უნდა იყოს, საღმრთო მადლი უნდა სუფევდეს ჩვენ შორის, ჩვენს გულებში, რამეთუ, უფლის სიტყვისაგან, სასუფეველი ღმრთისა ჩვენ შორის დამკვიდრებულ არს. ღმრთის სასუფევლად უფალმა მოიხსენია მადლი სულისა წმიდისა. ამ გაგებით სასუფეველი ღმრთისა ამჟამად ჩვენსა შემოსული, მადლი სულისა წმიდისა განგვარწყნებს და გვათბობს ჩვენ; მრავალფერი კეთილსურნელებით განაზავებს ჰაერს, ატკობს ჩვენს საცნობელთ (შეგრძნებებს) ზეციურ სიტკობებით, გულებს აღგვისებს გამოუთქმელი სიხარულით. ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას შეესატყვისება მოციქულის სიტყვები: „არა არს სასუფეველი ღმრთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმაართე და მშ.ღობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ.14,17). ჩვენი სარწმუნოება არის „არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათა თა, არამედ გამოცხადებითა სულისა თა და ძალითა“ (1კორ.2,4). სწორედ ამ მდგომარეობაში ვართ ამჟამად მე და თქვენ. ასეთ ყოფნას გულისხმობდა უფალი, როცა თქვა: „არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ, სიკუდილისაი, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისა, მომავალი ძალითა“ (მარკ.9,1; შდრ.მათე 16,28; ლუკა 9,27). აი, ღმრთისმოყვარე ბატონო ჩემო, ვითარ გამოუთქმელი სიხარულის ღირს-გეყო უფალმა ღმერთმა. აი, რა ყოფილა საცხება სულისა წმიდისა, რომელსაც წმიდა მაკარი მეგვიპტელი მოიხსენებდა: „მე ვიყოფოდი საცხებასა შინა სულისა წმიდისასა“. სულიწმიდის ამ საცხებით (მადლის სისრულით) აღგავსო ამჟამად უფალმა ჩვენც, გლახაკნი. ამის შემდეგ, გვრნებ, აღარ გაგინდებათ კითხვა, თქვენო ღმერთისმოყვარება, თუ რა სახით შეიგრძნობენ ადამიანები სულიწმიდის მადლს. გეხსომებათ კი ის გამოუთქმელი მოწყალება, რომლითაც მოგცხედა ღმერთმა ამჟამად?

— არ ვიცი, მამო, ღირს-მყოფს თუ არა უფალი, ცოცხლად და ნათლად მასხოვდეს მუდამ ეს გამოუთქმელი მოწყალება მისი.

— მე კი ვფიქრობ, — მითხრა მამა სერაფიმე, — უფალი შეგეწევით და არასოდეს წარხოცს ყოველივე ამას თქვენი ხსოვნადან; ეს რომ არა, გლახაკი სერაფიმეს მდაბალი ლოცვის პასუხად იგი მეყვეულად როდი მოიღებდა თქვენზე კეთილსა ამას სახიერებისა თვისისასა. მით უფრო, რომ მარტოოდენ თქვენთვის როდია მოცემული უწყება ესე, არამედ თქვენ მიერ — ყოვლისა სოფლისათვის, რამეთუ თქვენ, რაჟამს განმტკიცდებით ღმრთის სარწმუნოებაში, სხვათა სარგებლობასაც შესძლებთ. მე თუ მონაზონი ვარ, თქვენ კი, ბატონო ჩემო,

— ერისკაცი, ამაში დამაბრკოლებელი არაფერია. ღმერთი გამოიძიებს მხოლოდ მართალ სარწმუნოებას, ჭეშმარიტი ღმრთისა და მისი მხოლოდშობილი ძის წრფელ თაყვანისცემას. ამიტომაც, რომ სულიწმიდის მადლი უხვად მოგვეფინება ზეგარდამო. უფალი ეძებს გულს, აღვსილს ღმრთისა და მოყვასისადმი სიყვარულით; აი საყდარი (სავარძელი), რომელზედაც სათნო-უნჩს მას დაბრძანება, და რომელზედაც გამოცხადდება იგი თავისი ზეციური დიდების სასესებით (სისრულით). „ძეო, მომეცი მე გული შენი“, — ამბობს იგი, — „სხვა ყოველივეს კი მე თვითონ შეგძენ შენ“. გულს ითხოვს, რადგან ადამიანის გულში შეიძლება დატევნულ იყოს სასუფეველი ღმრთისა. უფალი ამცნებს მოწაფეთა თვისება: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმათლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ (მათე 6,33), რამეთუ იცის მამამან თქვენმან ზეცათამან, რაჲ გი მს ამათ ყოველთაგანი“ (მათე 6,32). უფალი ღმერთი არ გვაყვადებს ამქვეყნიური სიკეთით სარგებლობას; იგი თვითონვე ამბობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დროს ყოველივე მისი სიკეთე „გვი მს“ (გვჭირდება) ჩვენ. გვჭირდება ყოველივე ის, რაც დააწინარებს ჩვენს ცხოვრებას და შეგვეწევა ზეციური მამულისაკენ მიმავალ გზაზე. ამას გულისხმობს წმ. მოციქული პეტრე, როცა ამბობს, რომ ამქვეყნად არაფერია უკეთესი კეთილმსახურებაზე, როცა იგი შეერთებულია გულ-სავსე ყოფასთან (გულ-სავსე ყოფა — დაკმაყოფილება ამქვეყნიური ნივთებით). წმიდა ეკლესიაც ღმრთისადმი იმისათვის, რათა უფალმა ღმერთმა მოგვმადლოს ყოველივე კეთილი. თუმცა ნაირგვარი შეჭირვება, მწუხარება და უბედურება ხშირად ახლავს ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას, მაგრამ ღმერთს როდი სურს, მუდმივი განსაცდელის ჩიხში შეგვიმწყვდიოს. პირიქით, მოციქულთა პირით იგი გვამცნებს: „ურთიერთას სიმძიმე იტ რთეთ, და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6,2). უფალი იესუ პირადად გვამცნებს, რათა „იკვირებოდეთ ურთიერთას“ (იოვანე 13,34-35; 15,12,17), და თანა-რუგეშინისცემით ვიმსუბუქებდეთ ზეციური მამულისაკენ მიმავალ მძიმე და საჭირველგზას. რისთვის გარდამოხდა ცათაგან ძე კაცისა? არა იმისათვის, „რაითამცა იმსახურა“ (ე.ი. მოიმსახურა სხვანი), არამედ მსახურებად (ე.ი. რათა თავად ემსახუროს სხვებს), და მიცემად სული თ:სი სა სრად მრავალთათ.ს (მათე 20,28). თქვენც-იგივე ჰქმენით, თქვენო ღმრთისმოყვარება, და რაჲმს იხილოთ თქვენზე გარდამოვლენილი წყალობა ღმრთისა, თქვენს მიერ ნაპოვნი საღმრთო გზა აუწყეთ ცხოვრების მსურველთ. „სამკალი ფრიად არს, — ამბობს უფალი, — ხოლო მუშაკნი მცირედ“ (მათე 9,37; ლუკა 10,2). უფალმა ღმერთმა სამუშაოდ გამოგვიყვანა, და მოგვმადლა ნიჭი მადლისა თვისისა. რათა მოვიმუშაოთ მრავალი ძნეული. ე.ი. ღმრთის სასუფეველისაკენ წარვუძღვეთ ჩვენს მოყვასს და გამოვიღოთ მოღვაწეობის ნაყოფი, „რომელთამე ოცდაათი, რომელთამე — სამეოცი, რომელთამე — ასი“ (მდრ. მათე 13,8; მარკ.4,20). ხოლო ვეკრძალოთ (გავფრთხილდეთ), ბატონო ჩემო, რათა არ

გამოვინდეთ ბოროტ და დახსნილ (ზარმაც) მონად, რომელმაც დაფლა ქვეყანასა ტალანტი თვისი (იხ. მათე 25,18), არამედ ვისწრაფოთ მიბაძვად იმ კეთილ და სათნო მონებისა, რომელთაც თავის ბატონს მართვეს ტალანტი თავისი ნამატით: ერთმა — ორის ნაცვლად ოთხი, სხვამ — ხუთის ნაცვლად ათი (იხ. მათე 25,20-23). ღმრთის მოწყალებაზე დაეჭვება უსაფუძვლოა. თვითონვე ხედავთ, თქვენო ღმრთისმოყვარება, როგორ გამართლდა ჩვენზე უფლის სიტყვები, თქმული წინასწარმეტყველის მიერ: „არა ვარ ღმერთი შორეული, არამედ ახლოს ვარ, და პირსა შენსა არს ცხორება შენი.“ გერ მოვასწარ მე, გლახაკმა, პირველად გადამესხა; მარტო გულში ვისურვე, რათა ღმერთს ღირს-ექმენ მის მოწყალებათა ხილვად მთელი სასესებით. მან კი არ ინება დაყოვნება ჩემი სურვილის აღსრულებისა და მეცხველად გამოვიცხადათ იგი. თავის საქებად როდი გეუბნებით ამას, თითქოს მინდოდეს ჩემი დამსახურების ხაზგასმა და ამით თქვენში შურის გამოწვევა. არც იმისათვის მოგახსენებთ, რომ მე მონაზონი ვარ, თქვენ კი — ერისკაცი. არა, თქვენო ღმრთისმოყვარება; „ახლოს არს უფალი ყოველთა მღალადებელთა მისთა ჭეშმარიტებით, და არა არს მას-თანა თუალ-ღება; მამასა უყუარს ძე და ყოველივე მოსცა ელთა მისთა“ (იოვანე 3,35). ოღონდ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი ზეციური მამა და ძე მისი მხოლოდშობილი. უფალი ერთნაირად შეისმენს მონაზონის ღმრთისმოყვარებას და ერისკაცისასაც, თუკი მართლმორწმუნენი იქნებიან ისინი და შეიყვარებენ ღმერთს „სიღრმითა სულისათა“, მღოვრის მარცვლი-სოდნა სარწმუნოება თუ ექნა ვისმე, მთის გადაადგი-ლებადაც შესძლებს (იხ. მათე 17,20; ლუკა 17,6). უფლის სიტყვისადგომ „ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკ.9,23), წმიდა მოციქული პავლე კი ხმამაღლა ღმრთისადმი გვამცნებს: „ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ“ (ფილ. 4,13). უფალი ჩვენი იესუ ქრისტეს მორწმუნეთა შესახებ ამბობს: „რომელსა რწმენეს ჩემდა მომართ, ქმნეს არა ხოლო საქმენი იგი, რომელთაცა ვიქმ მე, არამედ უმეტესიცა ამათსა ქმნეს.რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა და გამოვიტხოვო მისგან, რათა სიხარული თქუენი სასესებით იყოს. აქამომდე არარა გითხოვიეს სახელითა ჩემითა, ხოლო აწ ითხოვდით და მოიღოთ“ (იოვანე 16,24). ასე რომ, თქვენო ღმრთისმოყვარება, უფლისა ღმრთისაგან მიღებთ ყოველივეს, რასაც კი სთხოვთ მას; ოღონდ კი ღმრთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ უნდა იყოს ეს საქმე მიმართული. თვით მოყვასის სარგებლობაც ღმრთის სადიდებელი საქმეა. ამიტომ ამბობს: „რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანს ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25,40). ამრიგად, მცირედი ეჭვიც ნუ გექნებათ, რომ უფალი ღმერთი აღასრულებს თქვენს ყოველ თხოვნას, რომელიც ღმრთის სადიდებლად ან მოყვასის სასარგებლოდ და აღსაშენებლად წარემართება. მეტიც, ღმერთი საჩქაროდ შეგისრულებთ ისეთ თხოვნასაც, რომელიც თქვენი პირადი სარგებლობისა და საჭიროების, მოგებისა და აღშენებისათვის აუცილებელი

იქნება, რამეთუ ღმერთს უყვარან მოყვარენი მისნი. უფალი სახიერი და მოწყალეა ყველასათვის; თავის მადლს უშურველად უნაწილებს იგი იმათაც, ვინც არ იცნობს ღმერთს და ლოცვით არ მიმართავს მას, მაგრამ ღმრთის მოშიშთ უფალი უსმენს და ნებასა მათსა ჰყოფს. იგი შეასრულებს თქვენს თხოვნასაც, თქვენო ღმრთის-მოყვარებავე, ოღონდ გაფრთხილდით; ნუ სთხოვთ უფალს ისეთ რამეს, ურომლისოდაც არაფერი გაგიჭირდებათ. იმას როდი ვამბობ, თითქოს აუცილობელი საჭიროების გარდა თქვენს თხოვნას არ შეიწყნარებს უფალი; არა, მართლმორწმუნეთა ყოველი თხოვნა შესმენილი და შეწყნარებული იქნება, მაგრამ უფალი მოიკითხავს მათგან, რატომ შეაწყუბეს იგი განსაკუთრებული საჭიროების გარეშე, და სთხოვეს ისეთი რამ, ურომლისოდაც ბევრი არაფერი მოაკლდებათ.

თქვენო ღმრთისმოყვარებავე, მე უკვე ყველაფერი გითხარით და საქმიანაც გაჩვენეთ, რისი თქმა და ჩვენებაც ინებეს თქვენთვის უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა ჩემ მიერ, გლახაკისა სერაფიმისი, ხოლო აწ ვიდოდეთ მშვიდობით. უფალი ღმერთი და დედა ღმრთისა იყავნ თქვენ თანა ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ. ვიდოდეთ მშვიდობით“...

მას შემდეგ, რაც მამა სერაფიმეს პირისაზე განრწყნდა, ეს ხილვა არ შეცვლილა ჩემს თვალთა წინაშე ჩვენი საუბრის დამთავრებამდე. არ შეცვლილა მამა სერაფიმეს ნათელშემოსილი პირისაზე. მე საკუთარი თვალებით ვიხილე მისგან გამომავალი გამოუთქმელი ბრწყინვალეობა. მზად ვარ ეს ფიცითაც დაგამტკიცო.

აქ მთავრდება მოტოვილოვის ხელნაწერი. მართლმადიდებლობის ზეიმის ამ აქტის სიღრმე და მნიშვნელობა ჩემს კალამს არ შეუძლია გამოხატოს. მას არც სჭირდება სხვა რაიმე მოწმობა, რადგან თავის თავზე იგი სწამებს ისეთი დამორტუნავი ძალით, რომ მისი მნიშვნელობის დამცრობა არავითარ ამქვეყნიურ ცუდმეტყველებას არ ძალუშს.

მაგრამ უნდა გენახათ, რა მდგომარეობაში ვნახე მე მოტოვილოვის ჩანაწერები. წმიდა მოხუცებულის

ღმრთივსათნო ცხოვრების ეს ფასდაუდებელი მოწმობა ინახებოდა მოტოვილოვის საიდუმლო საცავში. მტკერი, ფრინველის სიბინძურე, მტრედის ბუმბული, სრულიად უინტერესო ანგარიშები, საბუხპალტრო და სასოფლო-სამეურნეო ამონაწერები, საქმიანი ქაღალდები და მათი ასლები, პირადი წერილები — ყოველივე ეს ერთ მილიან გროვას ქმნიდა. ძველისძველ ფურცლებზე ისეთი სწრაფი და გაურკვეველი ხელით იყო ნაწერი ტექსტი, რომ საგონებელში ჩავვარდი; შევძლებ კი მათ ამოკითხვას?

დღეხანს უიმედოდ ვფურცლავდი ამ ქაოსს. ავტორისეული ხელი გადაულახავ დაბრკოლებად მესახებოდა. მაგრამ აი, მთელ ამ მაკულატურაში გაიბრწყინა ძნელად გასარჩევმა ფრაზამ: „მამა სერაფიმემ მითხრა“... რა უთხრა ნეტავ! რა საიდუმლოს ჰფარავენ ეს ამოუხსნელი იეროგლიფები?

მთელ დღეს გულმოდგინედ და შეუპოვრად ვუკირკიტებდი ხელნაწერს, მაგრამ უნაყოფოდ. უიმედობამ მომიცვა და შევღალადე მამა სერაფიმეს: „წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო, ნუთუ იმიხათვის გამხადე ღირსი შენი მოწაფის ხელნაწერის პოვნისა, რომ წაუკითხავადვე მისცემოდა იგი დავიწყებას“?

ხელნაწერის გარჩევა მეორე დილასაც ვცადე და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც უცრად აღმოვაჩინე, რომ მოტოვილოვის ხელწერა იოლი წასაკითხი შეიქნა ჩემთვის. განსაკუთრებით გავიხარე, როდესაც წავიკითხე ნიშანდობლივი სიტყვები:


„მე კი ვფიქრობ, — მითხრა მამა სერაფიმემ, — უფალი შეგაწვევით და არასოდეს წარხოცს ყოველივე ამას თქვენი ხსოვნიდან. ეგ რომ არა, გლახაკი სერაფიმეს მღაბალი ლოცვის პასუხად იგი მეყვესულად როდი მოილებდა თქვენზე კეთილსა ამას სახიერებისა თვისისასა. მით უფრო, რომ მარტოოდენ თქვენთვის ბრაა მოცემული უწყება ესე; არამედ თქვენ მიერ — ყოვლისა სოფლისათვის“...

სამოცდაათი წელი იღო ეს განძეული სხვეწე, ხვიმირ—ქვეშ, დიდი ხნის დავიწყებულ ძველმანებს შორის. საჭირო კი იყო მისი დაბეჭდვა და ისიც რა დროს! — მამა სერაფიმეს წმიდა ნაწილების თაყვანისცემის დაწესების წინ, რათა ამიერიდან მართლმადიდებელი ცელესია დაუცხრომელად ევედრებოდეს:

„ღირსო მამაო სერაფიმე, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს“.

19 მაისი 1903 წ. ს.ნ.

თარგმნა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა



# ეკლესიის მამათა აზრები ეკლესიის შესახებ

(წიგნიდან — „სამოძღვრო ღვთისმეტყველება“)

I-III საუკუნეებში ქრისტეს ახალგაზრდა ეკლესია განიცდიდა სასტიკ დევნას ჯერ იუდეველთა და მერე წარმართთაგან. ასეთ პირობებში მისთვის ძნელი იყო მთელი სისავსით, მეოთღურად ჩამოეყალიბებინა ღვთისმსახურის შერჩევისა და მისი ქცევის წესების განსაზღვრა, რომელიც შეესაბამებოდა ამ მაღალ წოდებას. ამიტომაც ამ პერიოდის ეკლესიის მამათა შრომებში არ გვხვდება სრული და სისტემატიზებული გადმოცემა მოძღვრის მოვალეობის შესახებ, მაგრამ მათს თხზულებებში მოთავსებულია მოკლე მითითებანი, რომლებშიც ისინი ეხებიან მოძღვრის მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს და გამოირჩევიან წმინდა მამობრივი უბრალოებითა და სიყვარულით.

წმ. ეგნატე ღმერთმემოსილი ( 107 წ) მოუწოდებს მოძღვრებს: „შეასრულე შენი მსახურება ყოველგვარი გულმოდგინებით, სულიერად და ხორციელად... ისწრაფე ერთობისათვის, იყავი ღმობიერი ადამიანებთან, დაუოკებელი ლოცვაში, იტვირთე სხვისი უძღურება, რადგან სადაც დიდია ღვაწლი, იქ სასყიდელიც დიდია... იყავი ფხიზელი, ვითარცა ღვთისათვის მოღვაწე... იდექი მტკიცედ, როგორც გრდემლი, როცა მას ურტყამენ. კარგი მეომრისათვის დამახასიათებელია დარტყმების ვაგაკცურად მიღება, საბოლოოდ კი გამარჯვებაა მისი ხვედრი. განსაკუთრებით კი ყოველივე უნდა დავითმინოთ ღვთის გულისათვის, რათა მან მოგვითმინოს ჩვენ. ისწავლე გულისხმისყოფა დროის გარემოებისა...“ წმ. ეგნატე შეაგონებს მღვდლებს, რათა ისინი იყვნენ შესაბამის დაქვემდებარებაში ეპისკოპოსებთან.

აზრი ორმხრივი მშვიდობისა და ერთობისა ეპისკოპოსსა, მღვდელთა და მრევლს შორის, აგრეთვე ეკლესიაში არსებული წესრიგისა და დაქვემდებარების შესრულების შესახებ, დაწერილებით არის განვითარებული წმ. კლიმენტი რომაელის ( 101) ეპისტოლეში კორინთელთა ეკლესიის მიმართ.

წმ. პოლიკარპე, სმირნის ეპისკოპოსი (დაახლ. 80-169) მოითხოვს, რომ მოძღვრები იყვნენ „გულკეთილნი, მოწყალენი ყველასთან, გზასაცდენილთა მომაქცეველნი,

ავადმყოფთა მომკითხველნი, ქვრივებსა, ღატაკებსა და ობლებზე მზრუნველნი. ასევე, თავი შეიკავონ მრისხანებისაგან, შურისძიებისაგან, პირფერობისაგან და უსამართლობისაგან, განემორონ ყოველგვარ ვერცხლისმოყვარეობას და მოერიდონ ცილისმწამებელ ადამიანებს.“

წმ. ირინეოსი, ლიონის ეპისკოპოსი (დაახლ. 130-202) მსჯელობს რა იმაზე, თუ როგორი სასტიკი სასჯელი მოელით უღირს მოძღვრებს და როგორ დიდად ფასობს ჭეშმარიტი მოძღვარი, არწმუნებს, განემორონ ამ პატივს ისინი, რომლებიც „ბევრს მიანია მოძღვრად, ხოლო ისინი მსახურებენ თავიანთ ავხორცობას, თუმცა სჩანან ღვთისმოშიშნი, მაგრამ სპობენ სხვებს, ამაყობენ თავიანთი უფროსობით და დაფარულად იქმან ბოროტს.“

წმ. კიპრიანეს, კართაგენის ეპისკოპოსის (+ 258) სწავლების მიხედვით: „ყოველი, რომელიც ღირსი გახდა მღვდლობისა, უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ საკურთხეველსა და მსხვერპლს, ყოველთვის დაკავებული უნდა იყოს ლოცვით და არ დაუშვას ეკლესიაში მიწიერი საკითხებით დაინტერესება, ხოლო დღითა და ღამით იღვაწოს მხოლოდ ზეციური და სულიერი საქმისათვის.“

IV საუკუნიდან დადგა შედარებითი სიმშვიდის პერიოდი. მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე ღვთის სიტყვის საფუძველზე და სამოციქულო პერიოდის ეკლესიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, განსაზღვრულ იქნა კანონები, რომლებიც ეხებოდა ეკლესიის კეთილმოწყობის სხვადასხვა სფეროს. მათ შორის მითითებულ იქნა, კანონიკური პირობები სამღვდლო დასში შესვლისა, ასევე, ეკლესიის მსახურთა უფლებანი და მოვალეობანი, რაც გათვალისწინებული და დამუშავებული იქნა ეკლესიის შემდეგდროინდელ მამათა თხზულებებში.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (329-389) ძალზე მაღალი აზრისაა ღვთისმსახურის წოდებაზე, რომელიც არავინ არ უნდა მიიღოს წინასწარი გულმოდგინე მომზადების გარეშე, მით უმეტეს, საკუთარი ბიწიერი მიზნების განხორციელებისათვის. ეკლესიის მოძღვარი, წმ. გრიგოლის აზრით, ვალდებულია „იდგეს ანგე-

ლოზებთან, დიდებისმეტყველებდეს მთავარანგელოზებთან ერთად, აღამაღლოს მსხვერპლი სამსხვერპლოზე, იმღვდელმსახურის ქრისტესთან, ააღორძინოს ქმნილება, აღადგინოს ხატება ღვთისა ადამიანში... მე მრცხვენია იმათ მაგივრად, რომლებიც არაფრით არ გამოირჩევიან, დაუბანელი ხელებით და არასუფთა სულებით იღებენ წმიდა მსახურებას და მანამ, სანამ გახდებიან ღირსი მღვდლობისა, იჭრებიან წმიდათაში, მჭიდროვდებიან და იკვრებიან წმ. ტრაპეზის ირგვლივ, როგორღაც წარმოუდგენიათ მღვდლობა არა სამაგალითო კეთილმოღვაწეობად, არამედ შემოსავლის წყაროდ. არა მსახურებად, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას შეიცავს, არამედ უფროსობად, რომელიც არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი... იმან, რომელმაც არ იცის რა ილაპარაკოს და არც ის, რა გააკეთოს, ჯობია ისწავლოს, ვიდრე არმცოდნე მსწავლოს. ამიტომაც უნდა იტვირთოს სწავლა, სანამ თვით არ განისწავლება საკმარისად. ასეთი ადამიანები ერთი გამონათქვამის მსგავსად - დიდი თიხის ჭურჭელზე სწავლობენ პატარა ქოთნების კეთებას, ესე იგი, სხვისი სულების საშუალებებით ვარჯიშობენ ღვთისმოსაობაში. ჩემის აზრით, ეს დამახასიათებელია უკიდურესად უგუნური და თავხედი ადამიანისათვის.“ წმ. გრიგორი კიცხავს იმათ, რომლებიც „სანამ შეიკვცევენ პირველად თმებს და დატოვებენ ბავშვურ ტიტინს, სანამ გაიტებენ წმ. წიგნთა სახელწოდებებს და ისწავლიან ერთმანეთისაგან გაარჩიონ წერილი და მათი ავტორები ძველი და ახალი აღთქმისა, ძლივძლივობით განამტკიცებენ ერთ-ორ სიტყვას ღვთისმეტყველებაში, მასაც ყურმოკვრითა და არა წიგნთა მეოხებით — უკვე თავს ბრძნებად, მწიგნობრებად და სჯულისმცოდნეებად თვლიან და სურთ, რომ ადამიანები მათ პატივისცემით ეძახოდნენ — მოძღვარო.“ მღვდელმსახურის მოვალეობებზე მსჯელობისას, წმ. მამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღვთის სიტყვის ქადაგებას, როგორც მკურნალს სამწყისოს სულიერი უძღურებისას და მცველს ქრისტეს ეკლესიის წმიდა ტემპლარტებისა მტრებისაგან. დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, საკმარისი არ არის მხოლოდ პრაქტიკული ღვთისმოსაობა, არამედ უაღრესად საჭიროა არსებითი თეორიული მომზადება. იგი წერს: „დავუშვათ, რომ რომელიმე უბიწო ადამიანი ავიდა მაღალ საფეხურზე სათნოებისა. მაგრამ ვერ ვხედავ, თუ რომელი სათადარიგო ცოდნის, რომელი ძალის მეოხებით დასთანხმდა ის ასეთ წოდებას? რადგან უხელმძღვანელო ადამიანს, ყველაზე ცბიერსა და ცვალებად სულიერ არსებას — ეს არის ტემპარტად ხელოვნება ხელოვნებათა და მეცნიერება მეცნიერებათა... და ამისათვის რაოდენი განათლება საჭირო, რაოდენი ზედმეწივნი და და ღრმა ცოდნა გემართებს ადამიანური ბუნებისა და სულისა, როგორი შორსმჭვრეტელობა, რაოდენი გამოცდილება! აი, რატომ არ არის მართებული მღვდლობის ქება ახალგაზრდობაში, აი, რატომ ადგენს ეკლესია გარკვეულ ასაკს, რომელზე ადრეც ამ პატივის მიღება არ არის ნებადართული.“

წმ. ამბროსი მედიოლანელი (340-397) იძულებული იყო მრევლისა და სამღვდლოების თხოვნით მიეღო ეპისკოპოსის ხარისხი, თუმცა იგი მოულოდნელი იყო მისთვის. ამისა გამო, ის სწორად გრძობდა უხერხულობას, რადგან წინასწარ მომზადებული არ იყო ამისათვის, ამიტომ თავისი ეპისკოპოსობის დროს წმ. ამბროსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ პირთა მომზადებას, რომლებიც მოძღვრობას აპირებდნენ. ამ საქმეს მან სპეციალური ნაშრომი უძღვნა „ღვთისმსახურთა მოვალეობების შესახებ“, რომელიც სამი წიგნისაგან შედგება. ამ თხზულებაში წმ. ამბროსი ეკლესიის მოძღვართ აძლევს რჩევებსა და მითითებებს უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისას, რომლებშიც მოხმობილია ცხოვრებისეული მაგალითები ძველი და ახალი აღთქმის მართალთა მოღვაწეობისა. ყოველი ხარისხის საფუძვლიანად გასვლისათვის, წმ. ამბროსი საჭიროდ თვლის 4 სათნოებას, ესენია: სიბრძნე, სამართლიანობა, ვაჟკაცობა და თავშეკავება. თითოეული ზნეობრივი მოქმედება ან საქციელი ადამიანისა, ძირითადად უნდა გამოიხატებოდეს ნების მტკიცე დაქვემდებარებაში გონებისადმი, გატაცებისა და ზომიერების გარეშე. ღვთისმოსავისათვის არ არის მართებული იხიბლებოდეს მიწიერი სიამოვნებებით, პირიქით, იგი ვალდებულია გამოავლინოს ყველა ის ზნეობრივი მოთხოვნა, რომლებსაც მოციქული პავლე ითხოვს მისგან — I ტიმოთეს მიმართ, III თავში და გაუფრთხილდეს საზოგადოებრივ აზრს მასზე, რათა არ დასცეს თავისი წოდების ავტორიტეტი, რადგანაც ყოველი, რომელიც ხელავს მსახურს ღვთის საკუთხევილს, რომელიც შემკულია სათანადო სათნოებით, ადიდებს უფალს და შემოქმედს, რომელსაც ყავს თავის მსახურთა დასში ესეთი მოღვაწეები (წიგნი I, თავი 50).

წმ. იოანე ოქროპირი (დაახლ.350-407) იყო რა დიაკონის ხარისხში ანტიოქიაში (380-386) და ცდილობდა გაანრიდებოდა მღვდლობასა და შემდეგ ეპისკოპოსობას, წინა თავის გამამართლებელ თხზულებას „ეკესი სიტყვა მღვდლობის შესახებ“, რომელიც გადმოცემულია საუბრის ფორმით. წმ. მამა ესაუბრება თავის მეგობარს ბასილის. იგი განსაკუთრებული მოწიწებით ეხება მღვდლობის ხარისხს, თვლის მას ისეთ მაღალ წოდებად, რომ ეშინია უდიდესი პასუხისმგებლობისა, რომელიც თან ახლავს მას. „მღვდელმსახურება, — ამბობს ის, სრულიად სამართლიანად, ზეციური განწესებით აღესრულება ამ სოფელში. რამეთუ კაცმა, ანგელოზმა, მთავარანგელოზმა და რომელიმე ქმნილმა ძალამ კი არა, თავად ნუგეშინისმცემელმან განაწესა ეს ხარისხთა მიმდევრობა და ჯერაც ხორცში მყოფი ხალხი გახდა წარმომადგენელი ზეციური მსახურებისა. ამიტომაც, ისეთი წმინდა უნდა იყოს მღვდელმსახურების აღმსრულებელი, ვითარცა ცათა შინა იმ ძალთა წინაშე მდგომარე... როცა ხელავ უფალს დაკლულსა და შემოგებებულს, მოძღვარს ამ სამსხვერპლოს წინაშე მდგომარეს და მლოცველს და ყველას, განწმენდილს სისხლითა პატიოსნითა, ნუთუ თავი მაინც ამ სოფელში, კაცთა შორის გგონია? ნუთუ არ გცილდება შენ ყოველი გულისთქმა ხორციელი და

არ მივახლები იმ წამს ზეცას, განწმენდილი სული და გონი ნუთუ ვერ ჭკრეტს ზეციურს?... ხალხს, ჯერაც ამ სოფელში მიმოქცეულთ, ენიჭებათ განმტკბობა ზეციურისა, უფლება, რომელიც ღმერთს თავისი ანგელოზებისა და მთავარანგელოზებისთვისაც არ უბოძებია. მათთვის არ უთქვამს: „... რაოდენი შეპკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რაოდენი განაძხნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 18,18)... განა არსებობს ამაზე დიდი უფლებამოსილება?“

შემდგომ ლაპარაკობს რა მღვდელმსახურის ზნეობრივ სიწმინდეზე, რომელიც შეესაბამება მის მაღალ მსახურებას, წმიდა იოანე ოქროპირი იკითხავს: „როგორი უნდა იყოს ის, რომელიც ლოცულობს მთელი ქალაქისათვის, მთელი მსოფლიოსათვის და ევედრება ღმერთს ყველას ცოდვის მოსატყვევლად, არა მხოლოდ ცოცხლების, არამედ მკვდრებისათვისაც? ასეთი ლოცვისათვის მე მოსესა და ელიას კადნიერებას არა ვთვლი საკმარისად. მღვდელმსახური ისე ევედრება ღმერთს, თითქოს მისადმი არის მიწოდებული მთელი სამყარო და ის არის მამა ყოველთა: ... ლოცულობს ომების შეწყვეტისათვის, ამბოხებულთა დაწყნარებისათვის, ითხოვს მშვიდობას, ნაყოფიერებას, ყოველი უბედურების თავიდან აცილებას. ის ვალდებულია ყველაფერში აღემატებოდეს ყველას, ვისთვისაც ითხოვს, როგორც დამცველი აღემატება დასაცველს. და როდესაც ის იწვევს სულიწმინდის, ასრულებს საშინელ მსხვერპლშეწირვას და მუდამ მივახლება უფალს, — მითხარი მე — სად მოვთავსო იგი, როგორი სიწმინდე და მოწიწება მოვითხოვო მისგან? დაფიქრდი, როგორი უნდა იყვნენ ხელები, ამისი მმსახურებელი და როგორი ბაგე, რომელიც წარმოსთქვამს ამ სიტყვებს? განა არა ყველაზე უფრო სუფთა და ნათელი სული, რომელიც მიმღებელია სულისა? მაშინ ანგელოზები წარუდგებიან მღვდელმსახურს, მთელი ზეციურ ძალთა ხარისხები სასობენ და დგებიან წმიდა ტრაპეზთან წინადაცხადების ღირსებისათვის.“

გასაკვირი არაა, ისეთი უდიდესი ადამიანიც კი, როგორიც არის მოციქული პავლე, რომელიც აღტაცებულ იქმნა მესამე ცადმდე და ღირსიქმნა ცნობად ღვთის საიდუმლოთა (2 კორ. 12,2), ყოველთვის შიშით უყურებდა ღვთისმსახურის ვალდებულებას. უბრუნდება რა თავის განრიდებას ამ ხარისხისადმი, წმიდა იოანე პასუხობს: „... რომ შეიძლებოდეს, მოძღვარი მარტო სახელად გერქვას და დაკისრებული საქმეც, როგორც გამოგივა, ისე აღასრულო და ამის გამო არანაირი საშიშროება არ მოგელოდეს, ვისაც მოესურვება, დაე იმან მიძახოს, ამავითაო. მაგრამ თუკი ამ საქმის მტკირთველს უნდა გააჩნდეს კეთილგონიერება დიდი და ამაზე უწინ, დიდებული მადლი ღვთისა, ზნეობა-გამართული, ცხოვრება-წმინდა და უამრავი სულიერი სათნოება, არ გამამტყუნო, თუ ტყუილუნალოდ წახდენა და დაღუპვა არ ვისურვე... მე კარგად ვიცი ჩემი სუსტი და უძლური სულისა. ვიცი ამ მსახურების მნიშვნელობაცა და სირთულეიც მისი. ხუცესის სულს ხშირად დაჰფარავენ ხოლმე ტალღები, ზღვაზე რომ ჩნდება

ხოლმე ქარის ამოვარდნისას, იმაზე დიდი. პირველი რომ, პატივმოყვარეობა კუნძულია; გაცილებით უფრო საშიში, ვინმე მეივავეთა მიერ შეთხზული სირინოზების კუნძული... და თუკი ვინმე მაგ ხელისუფლებას მომანდობს, ეგ იგივე იქნება, რომ იმ კუნძულზე მცხოვრებ ურჩხულებს საჯიჯვნად ხელებშეკრული მიმცეს. რა ურჩხულებია ასეთი? მრისხანება, სასოწარკვეთა, შური, მტრობა, ცილისწამება, განკითხვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, მზაკვრობა, გულმვირობა უდანაშაულო ხალხის მიმართ, მწუხარება მათს კეთილდღეობასა ზედა, თავის ქების სურვილი, ვნება ყველანაირი პატივის მიმართ (ეს ყველაზე უფრო აღეღებებს ადამიანის სულს), სწავლება პირფერული, ალერსი თვალთმაქცური, კაცთმოთნეობა მდაბალი, უგულვებელყოფა გაჭირვებულთა, მსახურება მდიდრებისა, საშიში და უგუნური უპირატესობების მინიჭება, მოწყალებანი საშიშნი, როგორც გამცემელთათვის, მიმღებელთათვისაც, მონური შიში, გაუბედობა, მოჩვენებითი სიმდაბლე, თუალაღებთი მხილება და სჯა, უფრო სწორედ, უბრალო ხალხის მიმართ — სიმკაცრე უბოძო, ძლიერთა წინაშე-უსიტყვობა.“

შემდგომ წმიდა იოანე ოქროპირი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ „მოძღვრის ნაკლი არ დაიძალდება, ზოგიერთი მათგანი კი ძალიან სწრაფადაც ვლინდება... როცა ჩვეულებრივი ხალხი ცოდავს, ისინი ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენ და მათი ცოდვაც თითოს დაფარულია. მაგრამ გამოჩენილი და ცნობილი ხალხის შეცოდება ბევრზე მოქმედებს უარყოფითად.“ ამიტომაც „სამღვდლოდ არჩეულნი უნდა იყვნენ ისეთი სულები, როგორებიც ბაბილონში სამი წმიდა ყრმა იყო სახმელის მიცემული.“ ღირსება კანდიდატისა, რომელიც სამღვდლოდ არის მომზადებული, წმიდანის აზრით, მხოლოდ მისი შინაგანი დამსახურება და ღვთისმოსაობა არ არის. „ვიცი ბევრნი — წერს ის — მარტოდმყოფელი და დაყუდებულ ცხოვრებას მიდევნებელი, საკუთარი ცხოვრების მარხვით დამატყნობელი. ეს ხალხი, განმარტოებით როცა იყო, კიდევ ზრუნავდა საკუთარ სულზე და სათნონი გაუხდნენ უფალს დღითიდღე მატულობდა მათი სიბრძნისმოყვარეობა. მაგრამ როცა მათ ხალხის უმეცრების გამოსწორება დაევალათ, ზოგმა თავშივე ვერ ივარგა, ნაწილმა იძულებით გააგრძელა მსახურება, მოსწყდა საკუთარ ცხოვრებას, სხვებს ვერაფერი არგო, საკუთარ სულს კი დიდი ზიანი მიაყენა. ვინმეს რომ მსახურების დაბალ დონეზე ეწიოს სიბერე, სწორედ რომ ვერ მივაგვდნი მხოლოდ ასეთი ასაკის გამო, ასეთ პატივს.“

„ხელდასხმელს ევალება დიდად გამოსცადოს ხელდასასხმელი, ხოლო ხელდასასხმელმა კიდევ უფრო დიდად უნდა გამოსცადოს საკუთარი თავი.“ წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით, მოძღვარი უნდა იყოს განათლებული, განსწავლული ადამიანი, ზედმიწევნით მცოდნე წერილისა და მტკიცე ქრისტიანულ დოგმატებში, რადგან გამოცდილი იყოს ყველანაირ კამათში: „გამოუცდებლობისა გამო ერთს შეუძლია მრავალნი აცდუნოს და დაღუპოს.“ განსაკუთრებით კი მოძღვარი უნდა იღვწოდეს განავითაროს თავისთავში სიტყვიერების მადლი. გა-

ნათლებული ადამიანები გაცილებით მეტს უნდა მეცადინებოდნენ, ვიდრე გაუნათლებელნი, რადგან არავინ დაადანაშაულებს უკანასკნელთ, თუკი ისინი არ წარმოთქვამენ რაიმეს ყურადღების ღირსს, ხოლო ისინი, რომლებიც ყოველთვის არ წარმოთქვამენ იმაზე მეტს, რასაც მისგან ელიან, მიიღებენ შენიშვნას. და რამდენადაც სიტყვის ძალა დამოკიდებულია არა ბუნებაზე, არამედ სწავლაზე, თუმც კი ვინმემ ის სრულქმნილებამდე მიიყვანა თავისთავში, შესაძლებელია დაჰკარგოს, თუკი მონღომებითა და ვარჯიშით არ განავითარებს ამ ძალას.

ნეტარი იერონიმე (340-420) თავის თხზულებაში „კლერიკოსთა და მღვდელმსახურთა ცხოვრების შესახებ“, ილაშქრებს დასავლეთის სამღვდლოების ნაკლებობაზე და მიმართ და იძლევა მრავალ ბრწყინვალე პრაქტიკულ რჩევას, რომელიც შეეხება მღვდელმსახურებას. იგი წერს: „კლერიკოსი, რომელმაც თავი განუკუთნა ქრისტეს ეკლესიისადმი მსახურებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩასწავდეს თავისი წოდების მნიშვნელობას და შეიცნოს რა მას, უნდა გაამართლოს იგი თავისი მსახურებით. ბერძნული სიტყვა „კლეროს“ ნიშნავს საკუთრებას. კლერიკოსები ასე იმიტომ იწოდებიან, რომ ისინი შეადგენენ უფლის საკუთრებას, ან იმიტომ რომ თავად უფალი არის მათი. პირველ და მეორე შემთხვევაში კლერიკოსი ისე უნდა იქცეოდეს, რომ შეეძლოს თავად იყოს უფალთან, ხოლო უფალს შეეძლოს მათი ყოლა. ვინც უფალთან არის, შეუძლია წინასწარმეტყველთან ერთად თქვას: „ჩემი ხვედრია უფალი, ამბობს ჩემი სული; ამიტომაც იმედი მაქვს მისი“ (გოდ.იერემიასი 3,24). ღვთისმსახურს არაფერი არ გააჩნია ღვთის გარდა. თუკი მას ექნება რაიმე სხვა, მაშინ უფალი არ იქნება მასთან... და ასე რომ, ქრისტეს მსახურებაში მყოფი ნუ ეძიებ ამ სოფლიურ სასყიდელს. წინააღმდეგ შემთხვევაში შენზე იტყვიან: „დათესეს ხორბალი და ეკალი მოიმკეს. დაშვრნენ და სარგებელი ვერ ნახეს. გრცხვენოდეთ ამ თქვენი მოსავლისა — უფლის რისხვისა“ (იერ. 12,13). დაე, შენთან მოკრძალებულ ტრაპეზს იყოფდნენ ლატაკნი, ვნებულნი და მათთან ერთად თვით ქრისტე. ისეთ კლერიკოსს, რომელიც სავაჭრო საქმეს მისდევს და გამდიდრდა, გაექცევი როგორც ჭირს. მღვდელმსახური, რომელიც იღწვის საკუთარი გამდიდრებისათვის, თავისთავს იხდის უღირსად.“ კლერიკოსებმა ფიქრითაც კი არ უნდა ისარგებლონ სხვა რაიმით, ნეტარი იერონიმე ურჩევს მათ შეძლებისდაგვარად თავი შეიკავონ საჩუქრების მიღებისგანაც, ასევე „არ შეუდგე ქეიფს, მოერიდე მას, რათა არასოდეს შენგან არ მოდიოდეს ღვინის სუნი. თუკი ღვინის გარეშეც შენში ახალგაზრდობის აღი და სისხლი გიჩქვს, თუ შენი სხეული ნორჩია და მტკიცე, შენ

შეგიძლია იოლად გახვიდე ფილის გარეშე, რომელშიც მაინც არის უმნიშვნელო რაოდენობის შხამი. ხშირად იკითხე საღვთო წერილი და უკეთესია, თუკი ხელიდან არ გაუშვებ წმიდა წიგნებს. რაც უნდა ასწავლო, თავად უნდა ისწავლო. უფრთხილდი, რათა შენი საქმეები არ ეწინააღმდეგებოდნენ შენივე სიტყვებს, რადგან იმ დროს, როცა ქადაგებ ეკლესიაში, ვინმემ არ თქვას გულში: რატომ შენ არ აკეთებ იმას, რაზედაც გემოძღვრავ? როცა შენ ასწავლი ტაძარში, ეცადე რომ კი არ გაქებდნენ, არამედ გულის სიღრმეში ოხრავდნენ. შენი შექება მსმენელთა ცრემლებია მხოლოდ. მღვდელმსახურის სიტყვა გამშვენიერებული უნდა იყოს საღვთო წერილის ციტატებით. მე არ გისურვებ, რათა შენ მჭერმეტყველებდე მოსაჩვენებლად, მოჩვენებითი მღვდვარებით დაკარგო კონტროლი საკუთარი თავის მიმართ, ილაპარაკო გაუთავებლად ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო არაფერს“...

წმიდა გრიგოლ დილოგოსს ( 604) თავის ნაშრომში „მღვდელმსახურთა წესების შესახებ“, ხელმწიფებით აქვს განხილული მღვდელმსახურის კერძო დამოკიდებულება მრევლთან. წმ. მამა განსაკუთრებული დაუინებით მოუწოდებს მოძღვრებს სიყვარულისადმი, რომელიც გამოიხატება სუსტებისა და უძლურებისადმი გულმოდურებაში, ქველმოქმედებაში. ასეთი სიყვარული, მისი თქმით, „მაღლდება ცად და განსაკუთრებით გვაახლოებს ღმერთთან.“ მოძღვარი, როგორც თავისი სამწყსოს ხელმძღვანელი, ვალდებულია — „აღლერსიანად და მეგობრულად მოექცეს ზნეკეთილ ადამიანებს და იყოს სამართლიანობის მტკიცე დამცველი იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც მის გარშემოა, იესო ქრისტემ თქვა: „...უწყითა, რამეთუ მთავარი წარმართთანი უფლებად მათ ზედა და დიდ-დიდნი ხელმწიფებედ მათ ზედა? ხოლო თქვენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებეს თქვენ შორის დიდყოფა- იყავნ თქვენდა მსახურ. და რომელსა უნებს შორის წინა ყოფა- იყოს იგი თქვენდა მონა. ვითარცა ძე კაცისა- არა მოვიდა, რა-თამცა იმსახურა და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის“ (მათე 20,25-28). ეკლესიის მოძღვარი არ უნდა იმძიმებდეს თავს ამსოფლიური ურვით, რათა არ შესუსტდეს ზრუნვა სამწყსოს ზნეობრივი მოთხოვნილებებისადმი. მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა ივიწყებდეს მათს შინაურ კეთილდღეობასაც. წმ. გრიგოლ დილოგოსი რჩევას აძლევს მოძღვრებს, რომ არ ეიონ პოპულარობა და განეშორონ ადამიანის საკუთარი ანგარებისათვის გამოყენებას, კარგად იყვნენ გარკვეულნი თავიანთი მხილებებში და მაგილთით იყვნენ თავდაპირველობაში, გულმოდგინებასა და თავდადლობაში. საკუთარი დარიგებები შეუხამონ მსმენელთა სხვადასხვა სულიერ მდგომარეობას. წმ. მამის თხზულების ბოლო ნაწილი შეადგენს თავისებურ პროგრამას ამგვარი რჩევებისას.

მასალა მოამზადა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტმა შოთა ჯიჯეიშვილმა



უფალო, ნათლითა ჰირისა  
შენისათა ვიდოდეთ და  
სასულითა შენითა ვისარებდეთ  
უკუნისამდე.

ვისაროდენ, უძლეველო  
წინამძროლო ქართუელთა  
ერისა და მფარველო  
ჩვენი ეკლესიისა.







**წმიდა  
მკურნალნი  
და  
უუამდგომელნი  
ჩვენნი  
ღმრთის  
წინაშე**

**წინასიტყვა**

„რომელნი კეთილად მსახურებდენ, პატივი თავთა თ სთა კეთილი მოუგონ და მრავალი განცხადებულება სარწმუნოებითა ქრისტე იესუ-სითა,“ — ამბობს წმიდა მოციქული პავლე (I ტიმ. III, 13). მართლაც, ღმრთიესათნო წმიდანებმა ღმრთის-განვე მიიღეს კურნებათა მადლი (I კორ. XII, 9) თვით უფლის სიტყვების აღ-სასრულებლად: „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ... სნეულთა ზედა ელთა დასდებდენ და განცოცხლდებოდენ“ (მარკ. XVI, 17-18).

ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესიური რწმენა, ასახული საეკლესიო საგალობლებში (კონდაკებში, ტროპარებში, დასდებლებში და სხვ.) და ლოცვებში, თითქოს შეერწყა და გაერთიანდა ხალხურთან. სხვა შემთხვევებში კი ხალხური რწმენა გასცდა საეკლესიო საზღვრებს. რომელიმე წმიდის მიმართ საგანგებო ლოცვების მეშვეობით ამა თუ იმ ავადმყოფობისაგან განკურნების ხალხური რწმენა მყარადაა დაფუძნებული უფლისა და წმიდა მოციქულ პავლეს სიტყვებზე, აგრეთვე საეკლესიო გად-მოცემებზე. დასტურს კი იგი პოულობს წმიდათა მიერ აღსრულებული სასწაულე-ბრივი კურნებებისა და მადლით შემოსილი შეწევნის ამსახველ მოთხრობებში, რომლებიც თავმოყრილია წმიდათა ცხოვრების წიგნებში, პაგიოგრაფიულ თევენში და სხვ.

ცნობები წმიდათა ცხოვრების შესახებ ჩვენს მიერ განლაგებულია მოსახსენ-ებულ დღეთა თანმიმდევრობით, კალენდრის რიგზე, თვეებისა და რიცხვების მიხედვით.

წლიურ ციკლს, ტრადიციულად, ვიწყებთ საეკლესიო ახალი წლით (1 სექტემბერი). წმიდის სახელის წინ დასმული ციფრი აღნიშნავს თვის რიცხვს, რომელშიც ეკლესია დღესასწაულობს მის ხსენებას.

### ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი

#### 1. ღირსი სვიმეონ მისკიტი

დაიბადა და ცხოვრობდა დიდ ანტიოქიაში, სირიაში, სადაც საფუძველი ჩაუყარა მესვეტეობას — მოღვაწეობის ახალ სახეს. ის მიიცვალა მოხუცებული 459 წელს. მისი კეთილმსახურებით შთაგონებული წარმართები ქრისტიანად ინათლებოდნენ, მწვალებელნი კი ბრუნდებოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში.

მასზე ლოცულობენ სატანის ხრიკებით ეკლესიიდან განდგომილთა მობრუნებისათვის.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 1. სექტემომინებისა ქმნილი, ებაძევი პირველთა მამათა, ღირსო, იობს — ვნებათა შინა, და იოსებს — განსაცდელსა, და უტორცოთა — მოქალაქობასა, მყოფი ორცთა შინა. მამაო წმიდაო სვიმეონ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალე ბად სულთა ჩუენთათ ს.

#### 2. წმიდა მოწამე მამა

ეწამა აერელიანეს (270-275) დროს. გადმოცემით, იგი დიდხანს განმარტოებით ცხოვრობდა უკაცრიელ ადგილას. სახელი გაითქვა ღმრთივ-სათნო ცხოვრებით. გარეული მხეცები მოუშინაურდნენ და არაფერს ვნებდნენ.

წმ. მამას, როგორც პირუტყვთა მფარველს, ევედრებიან ყოველი სნეულებისაგან მათი დაცვისათვის.

ძველ ქართულ კურთხევაში შეტანილი იყო „ლოცვა დიდებულისა მოწამისა მამა სი, ყოვლისავე სნეულებისა პირუტყვთასა“ ( 450, 354V-356 ; 72, 238V-240 ). „მამაწმიდობას“ სოფ. გორისციხეში (ყაზბეგის რ-ნი) აღნიშნავენ 2(15) ივლისს. ცნობილია „მამაწმიდის“ ეკლესიები — სოფ. უბისის მახლობლად (ხარაგაულის რ-ნი) და სხვ.

#### 13. წმ. დიდი მოწამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი

კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე, თეიმურაზ I-ის დედა, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული. გამაჰმადიანებაზე უარი განუცხადა ირანის შაჰს აბას I-ს, რისთვისაც საშინელი სისასტიკით აწამეს (1624 წ.) მისი წმიდა ნაწილი (თავი) დაკრძალულია ალავერდის მონასტერში.

წმ. მოწამის ლოცვით განიკურნა მრავალი სნეული — „ცხოვრიანი, გინა წყლით-მანკიერნი, სხვითა სენითა რა თმე შეპყრობილნი“ (გრიგოლ დოდორქელი).

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 4: მოწყლულმან სურვილითა საღმრთოთა, წყლულებანი მრავალნი თავს ისხენ, და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევა ზეცისა დაიძვიდრე, სამ გზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალე ბად სულთა ჩუენთათვის.

#### 26. წმიდა მოციქული და მახარებელი იოვანე ღმრთისმეტყველი

დაიბადა გალილეის ბეთსაიდაში; ზებედეს ძე, უმცროსი ძმა იაკობ მოციქულისა, საყვარელი მოწაფე უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, რომლის ყოვლადწმიდა დედა უფლის ჯვარცმის შემდეგ წაიყვანა თავის სახლში, სადაც იგი იმყოფებოდა მიძინებად (48 წ.). ღმრთისმშობლის მიძინების შემდეგ იოვანე მოციქული ქადაგებდა

ქრისტეს მოძღვრებას ეფესოში. დომიციანეს დროს ის იქნა წარგზავნილი რომში, სადაც ეწამა ქრისტესათვის; 94 წელს გადაასახლეს კუნძულ პატმოსზე, სადაც დაწერა წიგნი გამოცხადებისა (აპოკალიფსი). გადასახლებიდან დაბრუნდა 97 წელს. დაახლოებით 98 წელს ეფესოში დაწერა სამი „კათოლიკე ეპისტოლე“, ხოლო დაახლოებით 102 წელს — სახარება, რომლის დასაწყისი სიტყვების მიხედვით ეწოდა მას „ღმრთისმეტყველი“. იოვანე მახარებელი მიიცვალა ეფესოში დაახლოებით 110 წელს.

„პროლოგში“ მოთხრობილია, თუ როგორ ასწავლა მან ერთ ემაწვილს (გამოცხადებით) ხატთწერა.

**აქედან წარმოიშვა ხალხური რწმენა წმიდა იოვანე ღმრთისმეტყველის შეწვეობის ხატწერის შემსწავლელთა მიმართ.**

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 2. დიდებულეზანი შენნი, ქალწულო, ვინმე მიუთხრნეს, რამეთუ აღმოადინებ საკ რველებათა, და აღმოაცენებ კურნებათა, და მეოხ ხარ სულთა ჩუენთათ ს, ვითარცა ღმრთისმეტყუელი და მეგობარი ქრისტესი.

### ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

2. წმიდა მღვდელმთავარი კვირიანე და წმიდა მოწამე იუსტინა ძალწული აწამეს ნიკომიდიასი 304 წელს დიოკლეტიანეს დროს. თავდაპირველად წმიდა კვირიანე იყო მოგვი (მისანი) და ერთი ემაწვილის თხოვნით ცდილობდა ჯადოთი (გრძნებით) შეეუღლებინა მისთვის ქრისტიანი ქალწული იუსტინა. გამოსცადა რა ეშმაკის მზაკვრობათა გაწმენება ჯვრის ძალით, მიიღო წმიდა ნათლისღება და ბოლოს მშობლიური ქალაქის — ანტიოქიის პისიდის ეპისკოპოსიც გახდა.

მის მიმართ ლოცულობენ ბოროტი მოხიბლისაგან (ჯადოქრობისაგან) დაფარვისათვის.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 1. ხელოვნებისა მისგან მოგვობისა მოისწრაფე შენ, ღმრთიე-გონიერო, საღმრთო სა მეცნიერებისა მიმართ, და აჩუენე სოფელსა სიბრძნე შენი, ყოველად ბრძენო, და პატივისმცემელთა შენთა კურნებასა მიანიჭებ. კვირიანე იუსტინას თანა, მეოხ გუეყვენით წინაშე კაცთმოყუარისა მეუფისა, რა თა ვედრე-ბითა თქუენითა შეიწყალნეს სულნი ჩუენნი.

2. წმ. დიდნი მოწამენი, დავით და კონსტანტინე

არგვეთის მთავარნი VIII ს. I ნახევარში. მოწამებრივად აღესრულნენ მურვან ყრუს შემოსევების დროს, 730 წელს, ქრისტესთვის წამება მათ სიხარულით შეიწყენ-არეს და „გუამთა მათთა განუხრწნელად დამარხვა ილოცეს და ითხოვეს ღმრთისა-გან, რა თა, რომელნი შეეხნენ და რომელთა სახელი მათი მოიხსენონ, ყოველთა საღმობათაგან განიკურნენ“. წმ. მოწამეთა გვამები დღესაც განუხრწნელადაა დაცული მათ სახელზე აგებულ მოწამეთის მონასტერში (ქუთაისის მახლობლად) და „ჰკურნებენ ყოველთა ვნებულთა და უძლურთა, რომელნი სარწმუნოებით მოივლტიან ტაძარსა მისსა“.

ზოგიერთ სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ წმ. დავით და კონსტანტინეს ხსენების დღედ დასახელებულია 31 ოქტომბერი. ქუთაისელი მორწმუნენი მოწამეთა ხსენე-ბას აღასრულებენ 4 იელისსაც (ახ. სტ.), რადგან ამ დღეს მოხდა მათი წმიდა ნაწილების გადასვენება ქუთაისის მუზეუმიდან მოწამეთის მონასტერში (1954 წელს, მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძის ინიციატივით).

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 2: ვარდნო შევნიერნო ზეცისა მტილისანო, რომელნი ჰფშეით სუნნელებასა ყოველთა კიდეთა, და კურნებასა აღმოუდინებთ სურვილით მედღე-

სასწაულეთა თქუენტა, დავით უძლეველობითა გვირგვინოსანო, და კონსტანტინე, ჭურო სიმხნისაო, მაქებელთა თქუენტა სამღვთვარენი განსაცდელნი თანა-წარხადენით, და ოხითა თქუენითა მომადლეთ მშვიდობა .

#### 5. ღირსი მამა ბრიგოლ ხანძთელი

VIII-IX სს-ის უდიდესი სულიერი მოღვაწე, კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტი. საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ცხოვრებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დააარსა ხანძთისა და შატბერდის მონასტრები. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში. მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზე, როგორც კელესის მეთაურის (კათალიკოსის), აგრეთვე სხვა უმაღლეს იერარქთა სულიერი მოძღვარი.

წმ. გრიგოლი ცნობილი იყო სასწაულთმოქმედებით. გიორგი მერსულის სიტყვით — „უძღურნი, თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი და ვნებულნი სულთაგან არაწმიდათა, ლოცვითა მისითა და ცრემლითა განიკურნებოდეს თხოვისაებრ სარწმუნოებით მედრებელთა სა.“

კონდაკი, ხმა 2: უდიდესი იგი ქრისტესი მიიღე გრიგოლი, და მხართა შენთა ზედა იტვირთე ჯუარი მისი, ვნებათა მისთა საღმრთოთა საწერტელად ყოვლადწმიდად ხორცთა შინა შენთა მტვირთველმან, რომლისათვის საღმრთო სა დიდებისა მისისა ზიარად გამოჩნდი, მომგებელი ჯილდოდ ღირსებისა მოსაგებელსა.

#### 16. წმიდა მოწამე ლონგინოზ ასისტავი

წარმოშობით იყო კაპადოკიიდან. ის ესწრებოდა მაცხოვრის ჯვარცმას, იწამა იესუ ქრისტე და მიატოვა სამხედრო სამსახური. სამშობლოში ქადაგებდა სახარებას, რის გამოც თავი მოჰკვეთეს. წმიდა ლონგინოზს უფლის განგმირული გვერდიდან თვალში მოხვდა სისხლის წვეთი და განიკურნა თვალების ავადობისაგან. ამიტომაც ლოცულობენ ლონგინოზის მიმართ თვალთა სენის განკურნებისათვის.

კონდაკი, ხმა 4. მხიარულებით განცხრების კელესია დღეს სახსენებელსა შენსა, ყოვლად ქებულო ლონგინოზ, მდაღადებელი: შენ ხარ, ქრისტე, ძალი და სიმტკიცე ჩემი.

#### 18. წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა

წარმოშობით იყო დიდი ანტიოქიიდან. შეისწავლა სამკურნალო ხელოვნება და ფერწერა. წმიდა მოციქულ პავლესთან ერთად ანტიოქიაში ქადაგებდა სახარებას, მისი მიცვალების შემდეგ კი — სხვადასხვა ქვეყნებში. 84 წელს ის ჩამოახრჩვეს ზეთისხილის ხეზე ვეგობტის ქალაქ თებეში. მან დაწერა სახარება და საქმე მოციქულთა. პირველმა შეასრულა ღმრთისმშობლის ხატი პირველ საუკუნეთა ყრმით.

ლუკა მახარებლის მიმართ ლოცულობენ თვალთა სენისაგან განკურნებისა და ხატწერის შესწავლაში დახმარებისათვის.

ტროპარი, ხმა 5. გამომთქმელსა საქმეთა მოციქულთასა და აღმწერელსა სახარებისა ქრისტეს მაცხოვრისასა, წმიდასა მოციქულსა ლუკას ყოვლადქებულსა, გალობითა საღმრთოთა ვაქებდეთ, რამეთუ იგი არს მკურნალი კაცობრივისა უძღურებისა, რომელი გვიღვინებს ხორციელთა საღმობათა და სულიერთა წყლულებათა, დაუცხრომელად მედრებელი სულთა ჩვენთათვის.

#### 19. ღირსი იოანე რილელი

წარმოშობით იყო ბულგარელი, 60 წელი მოღვაწეობდა რილეს უდაბნოში, სადაც დააარსა საფანე. მიიცვალა 946 წელს. მისი ნაწილები მოგვიანებით ქალაქ ტრაპი-

ზონში გადაასვენეს.

ღირს მამა იოანეს მიმართ ლოცულობენ სიმუნჯისაგან განსაკურნებლად.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 1. სინანულისა საფუძველი და ღმობიერებისა სახე და სულიერისა სისრულისა ხატი არს ანგელოზებრი ცხორება შენი, ნეტარო იოვანე, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 8. ანგელოზთა ცხორებასა მობაძავე ექმენ, ღირსო, და ქუეყანასა ყოველი დაუტევე ქრისტესა შედგომილმან, და მცნებითა მისითა შეიზღუდე, და გამოსჩნდი გოდოლ მტკიცე მტერთა წყობისაგან, ვინა ცა გიდაღაღებთ შენ: გიხაროდენ, მამაო იოვანე, მნათობო ყოვლად ბრწყინვალეო.

26. წმიდა დიდმოწამე დემეტრე თესალონიკელი

ცხოვრობდა და ეწამა ქრისტესათვის ქალაქ თესალონიკში მაქსიმიანეს დროს 306 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ მხედველობის მომადლებისა და მტრის თავდასხმისას შეწვევისათვის.

წმიდაო და დიდებულო ქრისტეს დიდო მოწამეო დემეტრე, მსწრაფლ შემწეო და მხურვალეო შუამდგომელო სარწმუნოებით შენდა მოღვთოვითაო, კადნიერად წარდგომილმან წინაშე ზეცათა მეუფისა, ითხოვე მისგან შენდობა შეცოდებათა ჩუენთა, და რა თა განგუარინნეს ჩუენ ყოვლად მომსრველისა წყლულებისა, ძრვისა, სრვისა, ცეცხლისა, მახვილისა და საუკუნო სასასჯელისაგან. ევედრე მოწყალებასა მისსა, რა თა განამდიდროს ქალაქი ესე (ანუ: წმიდა მონასტერი ესე), და ყოველი სოფელი ქრისტეანეთა. შუამდგომელ გვექმენ წინაშე მეუფისა მეუფეთა სა ძლევად მტერთა ჩუენთა, და დამორჩილებად ქუეშე ფერხთა მეუფეთა ჩუენთასა, წინამძღუართა ჩუენთა მოანიჭე მშვიდობა, მყუდროება, სიმტკიცე სარწმუნოებასა ზედა, და გარდამატება კეთილშახურობასა შინა. ხოლო ჩუენ, პატივისმცემელთა პატიოსნისა ხსენებისა შენისათა, გვითხოვე მადლი და დამტკიცება კეთილთა საქმეთა ზედა, რა თა ვედრებითა შენითა დავიმკვიდრნეთ ზეცათა სასუფეველი და ღირს ვიქმნნეთ საუკუნოდ დიდებად ქრისტესა მეუფისა ჩუენისა, თანა მამით და სულით წმიდითურთ. ამენ.

28. წმიდა დიდი მოწამე პარასკევა

ცხოვრობდა მცირე აზიის ქალაქ იკონიაში და ეწამა ქრისტესთვის დიოკლეტიანეს დროს. მისი სახელი, ბერძნულადაც და ქართულადაც მიგვიტოთებს პარასკევ დღეს, ასე უწოდეს იმის გამო, რომ დაიბადა დიდ პარასკევს, უფლის ვნების დღეს, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ მისი მშობლები.

წმიდა პარასკევას მიმართ ლოცულობენ ბავშვების განსაკურნებლად.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 3. ყოვლად წმიდა და უბიწო სისხლი შენი შესწირე, ვითარცა სუნელი ყოვლად პატიოსანი, უკვდავსა სიძესა ქრისტესა, და ანგელოზთა სიხარულსა მიემთხვიე, და მძლე ეშმაკისა მანქანებასა, ამისთვის, ყოვლად პატიოსანო, სარწმუნოებით პატივს გცემთ, მოწამეო პარასკევა მრავალმოღვაწეო.

**ნ ო ე მ ბ ე რ ი**

1. წმიდანი საპირველთმომკმადნი და უპაცხლონი კოსმა და დამიანე

წარმოშობით იყვნენ აზიიდან; შეისწავლეს რა სამკურნალო ხელოვნება, ისინი უსასყიდლოდ ემხარებოდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ პირუტყვსაც, ორივე ძმა მიიწვალა მშვიდობიანად და დაკრძალულნი არიან ფერეჰმანში.

მათ მიმართ ლოცულობენ გონების გასანათლებლად წერა-კითხვის შესწავლისას.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 8. წმიდანო უვეცხლონო მკურნალნო, საკვირველთმოქმედნო კოსმა და დამიანე, მოიხილენით და განკურნენით უძღურებანი სულთა და ხორცთა ჩუენთანი, უსასყიდლოდ მიგიღებთ და უსასყიდლოდ მოგვეცემდით ჩუენ.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 2. რომელთა მადლნი კურნებათანი მიიხვენით, და მიჰყენთ ჭირვეულთა სიმრთელესა, საკვირველნო მკურნალნო დიდებულნო, მოხედვითა თქუენითა მბრძოლთაცა სილაღე და აცხრვეთ, სოფლის მკურნალნო საკვირველბათა მიერ.

## 2. წმიდა მოწამე მინა

წარმოშობით იყო ეგვიპტიდან და მსახურობდა ჯარში ფრიგიის ქალაქ კოტუსაში, სადაც წამებულ იქნა 306 წელს დიოკლეტიანეს დროს.

მის მიმართ ლოცულობენ თვალების ავადობის განკურნებისათვის.

ჰოი,

ღვაწლის მძლეო წმიდაო მოწამეო მინა! მხილველნი ხატისა შენისანი და მომხსენებელნი კურნებათა, რომელნი შენ მიერ მიეცემიან სარწმუნოებითა და კრძალულებით შენდა მოღვთოვითა, შეგივრდებით შენ და, მომდრკველნი მუხლთა გულისა ჩუენისათა, ყოვლითა სულითა გვედრებით, შუამდგომელ გვექმენ წინაშე უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, უძღურებათა ჩუენთათვის, თანამგზავრ გვექმენ და ნუგეშინის გვეც უამსა მწუხარებისასა, მოგვმადლე განცდა ცოდვთა ჩუენთა, ხელი აღგვიპყარ ქვეყნიურ ღელვათა და განსაცდელთა შინა შთათხეულთა, განრინებად ყოვლისა ჭირისაგან, აღძრულთა ჩუენ ზედა. ამენ.

## 11. ღირსი თევდორე სტოდიელი

მოღვაწეობდა სტოდიელთა მონასტერში კონსტანტინოპოლში. ბევრი მოიჭირვა ხატო-მბრძოლთაგან და მიიცივალა გადასახლებაში 826 წელს აკრიტს. თავის ძმა იოსებთან ერთად იგი ითვლება მარხვანის (ტრიოდონის) შემდგენელად.

გადმოცემით, სიცოცხლის დროს წმ. თევდორეს აწუხებდა კუჭი; მოგვიანებით, მისი ხატები სასწაულებრივად კურნადნენ მორწმუნეთ. ერთ მათგანს კუჭის კურნება მიუღია.

ამიტომაც წმ. თევდორეს მიმართ ამიერიდან ლოცულობენ კუჭის დაავადებათა განკურნებისათვის.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 2. მმარხველობითა ანგელოზებრ სცხოვნდებოდი და დევნულებითა განაშუენენ შრომანი შენნი, და უხორცოთა თანაზიარ იქმენ, თევდორე, მათ თანა ქრისტესა ღმერთსა ევედრე და უცხრომელად ჩუენ ყოველთათვის.

## 15. წმიდა მოწამენი ბური, სამონ და აბიბო

წმიდანი გური და სამონი ეწამნენ 306 წელს, ხოლო წმიდა დიაკონი აბიბო 322 წელს ედესაში. ცნობილია სასწაული ერთი ქალწულის სიკვდილისაგან დახსნისა, რომელიც წამებულთა კუბოსთან ფიცის მიმცემმა მეუღლემ მოატყუა.

ეს წმიდა მოწამენი პატივცემულ არიან, ვითარცა დამსჯელნი პირობის შეუსრულებლობისათვის, განსაკუთრებით, თუ ქმარი უდანაშაულოდ შეიძულებს თავის ცოლს.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 2. მადლით მოიღეთ მადლი ბრძენო, განსაცდელთა შინა შეწვენად, ყოვლად ქებულნო, ამისთვისცა მწარისა სიკვდილისაგან ქალი იხსენით წმიდანო, ჭეშმარიტად თქუენ ხართ ედესისა დიდება და ყოვლისა სოფლისა სიხარული.

19. ღირსი მამა ილარიონ ქართველი

IX ს. მოღვაწე, სამონასტრო ცხოვრების ბურჯი. წარმოშობით კახეთიდან. დიდხანს მოღვაწეობდა საზღვარგარეთ (იერუსალიმი, საბაწმინდა, ულუმბო, კონსტანტინოპოლი, რომი...). აღესრულა თესალონიკეში, დაკრძალეს რომანის (პრომანა) ქართველთა მონასტერში (კონსტანტინოპოლში). როგორც სიცოცხლეში, ისე მიცვალების შემდეგ ღირსმა მამა ილარიონმა მრავალი სწეული და ეშმაკეული განკურნა.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 5: მადლი ჰპოვა სოფელმან შობითა შენითა, ღირსო, და იხარებს ერი ქართველთა მის შორის აღმოცენებისა შენისათვის, რამეთუ გხედვენ მადლსა საღმრთოსა მქონებელად, რომელმან ანგელოზებრ უხორცო აჩვენე ცხოვრება, და სასწაულთა მოქმედებითა შეიმკვე, მოღვაწეთა შუენიერებაო ილარიონ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

24. წმიდა დიდი მოწამე ეკატერინე

ცხოვრობდა და აწამეს ქრისტესათვის ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში მაქსიმინეს დროს. საშინელ ტანჯვათა შემდეგ (ურმის თვალზეც დააკრეს სატანჯველად) მას მოჰკვეთეს თავი. ცნობილია მისი კამათი ფილოსოფოსებთან სოფლიური სიბრძნის ამაოებაზე.

წმ. დიდმოწამის მიმართ ლოცულობენ ძნელი მშობიარობის დროს.

ჰოი, წმიდაო ეკატერინე, ქალწულო და მოწამეო, ჭეშმარიტო სძალო ქრისტესო! გვედრებით შენ, საკვირველთა მადლითა შენითა, რომლითაცა წინაგიძლოდა სიძე შენი, ტბილი იესუ, რა თამცა არცხვინნე საცთურნი მტანჯველთანი სიბრძნითა შენითა, ორმეოცდაათი რიტორი სძლიე და დაარწყულე ზეციურითა მოძღვრებითა, ნათელსა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისასა წინა წარუძელე მათ, ესრეთვე ითხოვე ჩვენთვისაცა საღმრთო იგი სიბრძნე. ამენ.

27. ღირსი რომანოზ საპვირველთმოქმედი

იღვწოდა მეხუთე საუკუნეში დიდი ანტიოქიის მახლობლად. იგემებდა მხოლოდ პურს, მარილსა და წყალს, არასოდეს არ სარგებლობდა სახათით. კურნავდა სწეულით. მის მიმართ ლოცულობენ უშვილოთა ნაყოფიერებისათვის.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

4. წმიდა დიდი მოწამე ბარბარე

ცხოვრობდა და აწამეს ქრისტესათვის (დაახლოებით 306 წელს, ფინიკიის ჰელიოპოლში). მას საკუთარმა მამამ დიოსკორემ მოჰკვეთა თავი.

წმ. ბარბარეს მიმართ ლოცულობენ უეცარი სიკვდილისაგან დახსნისათვის.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 4: ბარბარეს წმიდასა პატივს-ვცემდეთ, რამეთუ მტერისა საფრხენი შემუსრნა, და, ვითარცა სირი, განურა მახისაგან შეწვენითა და საჭურველთა პატიოსნისა ჯუარისათა.

6. წმიდა ნიკოლოზი, მირონ-ლუპიის მთავარეპისკოპოსი, საპვირველთმოქმედი

დაიბადა დაახლოებით 280 წელს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წელს (ნიკეაში). ღმერთმა იგი განადიდა სასწაულთმოქმედების მადლით.

მის მიმართ ლოცულობენ სხვადასხვა გასატყირში დასახმარებლად, პატივს მიაგებენ, როგორც ქვრივთა და ობოლთა განმკითხველს, მოუწოდებენ საშველად წყალში დახრჩობის საშიშროების დროს. წმიდა ნიკოლოზის შეწვევის რწმენა (არა მარტო

მართლმადიდებლების, არამედ მუსლიმანთა და წარმართთა მხრივ) ეკრძნობა გადმოცემებს მისგან მოვლენილ მრავალრიცხოვან სასწაულებზე, როგორც სიცოცხლის დროს, ასევე განსაკუთრებით, მისი მიცვალების შემდეგ.

კონდაკი, ხმა 3: მირონთ გამო, წმიდაო, მსხუერპლის შემწირველად გამოჩნდი, რამეთუ შენ ქრისტეს სახიერება აღასრულე, და დასდევ სული შენი ერისა მისთვის შენისა, და იხსენ უბრალონი სიკვდილისაგან, ამისათვისცა წმიდა იქმენ შენ, დიდი მესაიდუმლოე მადლისა ღმრთისა.

12. წმიდა სპირიდონი ტრიმიტუსტალი ეპისკოპოსი

დაიბადა და ცხოვრობდა კუნძულ კვიპროსზე, სადაც იყო ეპისკოპოსად. თავისი ლოცვით იგი განსაკუთრებით შეეწოდა კუნძულის მკვიდრთ მოუსაველიანობის დროს. მიიცვალა დაახლოებით 348 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ შიმშილობის დროს დახმარებისათვის. წმიდა სპირიდონის შეწვევის რწმენას საფუძვლად დაედო მის მიერ შიმშილისაგან ერთი ღარიბის გადარჩენა გველის საკვირველი გარდასახვით ოქროს ზოდად.

ტროპარი, ხმა 1: პირველსა კრებასა შინა გამოჩნდი მბრძოლად ძლიერად, საკვირველთმოქმედო, ღმერთშემოსილო სპირიდონ, მამაო ჩუენო, მკვდარსა ჰკითხევდრა, მეყვსეულად ხმა გიყო შენ, რამეთუ გუელი ოქროდ შესცვალე, და ლოცვათა შენთა ზედა ანგელოზნი გაქუნდეს თანა-შემწედ, და თანამწირველად, შენ, ყოვლადსამღვდელოო, დიდება, რომელმან გადიდა შენ, დიდება, რომელმან გვირგვინოსან გყო შენ, დიდება, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა სასწაულთა.

13. წმიდა მოწამენი ევსტრატო, ავსტანტი, ევბენი, მარლარი და ორისტი

ეწამნენ ქრისტესთვის პონტოს სებასტოპოლისში დიოკლეტიანეს დროს. თავისი მიცვალების შემდეგ მათ სასწაულებრივი შეწვენა მოუვლინეს ერთ სავანეს (მონასტერს), როდესაც იგი განიცდიდა საზრდოს ნაკლებობას.

ამიტომ მათ მიმართ ლოცულობენ გასაჭირში შეწვევისათვის.

წმიდანო ღვაწლისმძღენო მოწამენო, და მხურვალენო შუამდგომელნო წინაშე საღმრთო სა საყდრისა, მოჰხედეთ ჭირთა და იწროებათა, ჩვენ ზედა მოწვენულთა, და გვიხსნენით მოსწრაფებით, სარწმუნოებითა და სურვილით პატივისმცემელნი თქვენნი.

18. წმიდა მოწამე იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსი

თავდაპირველად მოღვაწეობდა სინაზე, შემდეგში არჩეულ იქნა იერუსალიმის მთავარეპისკოპოსად. მიიცვალა 634 წელს. გადმოცემით, ერთ-ერთ იერუსალიმელს მან გაუცოცხლა პირუტყვი.

ამიტომ მის მიმართ ლოცულობენ პირუტყვის სიკვდილიანობის თავიდან აცილებისათვის.

ი ა ნ ე რ ი

8. წმიდა მოწამე ჰაბო ტფილელი

წარმოშობით არაბი. ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახური. ჰაბო საქართველოში ქრისტიანად მოიქცა, რითაც თანამემამულენი განარისხა. ქართლის დამპყრობელმა არაბებმა ჰაბოს მოსთხოვეს, მაჰმადიანობას დაჰბრუნებოდა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს. ამირას ბრძანებით წმ. მოწამეს თავი მოჰკვეთეს (დაახლ. 786 წ.).

მაგრამ ამით არ დამცხრალა მტრის გაბოროტება. იმისათვის, რათა ქრისტიანებს



ჰაბოს სხეული პატივით არ დაეკრძალათ და მისი საფლავისა და წმიდა ნაწილების თაყვანისცემა საკურნებლად არ გამოეცხადებინათ, მთლიანად დაწვეს იგი.

მოძალადეთა ჩანაფიქრი მაინც ვერ შესრულდა. ქრისტიანები მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მოწამის სხეული დაეწვათ, „აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე ღღესა შინა განიკურნებოდეს“ (იოვანე საბანისძე).

14. წმიდა მოციქულთასწორი ქალწული ნინო

წარმოშობით კაბადუკიელი, იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის დასწული. მისი კურთხევით ჩამოვიდა საქართველოში და განანათლა იგი ქრისტეს მოძღვრებით (IV ს.).

წმ. ნინოს ცხოვრებაში აღწერილია მის მიერ ქმნილი მრავალი სასწაულებრივი კურნება.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 4: სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანა-მოსაგრეთა და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

17. ღირსი ანტონი ღიღი

სამონაზვნო ცხოვრების უდიდესი ბურჯი; მოღვაწეობდა თებაიდის უდაბნოში. მიიცვალა 105 წლისა, 356 წელს.

ითვლება უძღურთა მფარველად.

19. ღირსი მაკარი ალექსანდრიელი

დაიბადა III ს-ის ბოლოს ალექსანდრიაში. 40 წლისა მოინათლა და დაეკუდა უდაბნოში. მიიცვალა 395 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ ეშმაკეულთა განკურნებისათვის.

20. ღირსი ეპვთიმე ღიღი

დაიბადა მელიტიში (სომხეთში). 29 წლისა დასახლდა იერუსალიმის მახლობლად თარანის ლავრაში. შემდეგ ახალი სავანეც დააარსა. მიიცვალა 97 წლისა 473 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ უნაყოფობისაგან (უშვილობისაგან) განსაკურნებლად, აგრეთვე შიმშილობის დროს შეწვევისათვის.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1. წმიდა მოწამე ტრიფონი

ცხოვრობდა III ს-ში, ქალაქ აპამეის მახლობლად, ფრიგიაში. წმიდა და უმწიკლო ცხოვრებისათვის უფლისაგან მიიღო კურნებათა ნიჭი. ქრისტიანობის აღსარებისათვის ანატოლიის ეპარქია აკეილინემ ბრძანა მისი შეპყრობა. წმ. ტრიფონი თავადვე ჩაბარდა ეპარქიის წარგზავნილთ. იგი წაიყვანეს ნიკეაში და სასტიკად აწამეს. მოწამებრივად აღესრულა 250 წელს (იმპერატორ დეკიუსის დროს).

წმ. ტრიფონის მიმართ ლოცულობენ ბაღების, მინდვრებისა და ბოსტნების დაცვისათვის მანებელ ჭიათაგან, შეწვევისათვის სხვადასხვა განსაცდელის ჟამს, აგრეთვე ქალწულთა ბედნიერი დაქორწინებისათვის.

წმ. ტრიფონს, როგორც ბაღ-ბოსტნისა და ყანის მფარველს, დიდ პატივს მიაგებდნენ საქართველოში. შიდა ქართლის ერთ-ერთ დიდ ვაკეს მის პატივსაცემად ტირტფონის კელი შეერქვა (ტრიფონის სახელი ძველად გამოითქმებოდა, როგორც „ტ რიფონი“;

რაც „ტირიფონთან“ ძალიან ახლოსაა. ამ ფორმით გვხვდება წმიდა მოწამის სახელი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგ. XVI ს. თვენში № 461, ფურც. 68).

### 3. წმიდა მართალი სვიმეონ ღმერთის მიმკვეთი

მოხსენიებულია ლუკას სახარებაში (2,22-35), როგორც მხილველი ყრმა იესუსი და მიმკვეთი მისი. სულიწმიდისაგან მას უწყებულები ჰქონდა, რომ უფლის ცხებულის ხილვამდე არ აღესრულებოდა. როდესაც ყრმა იესუ აღიყვანეს იერუსალიმში უფლის წინაშე წარდგინებისათვის, ტაძარში მას მიეგება წმ. მართალი სვიმეონი, მკლავზე მიიქვა და იწინასწარმეტყველა მისი ვნება და მაცხოვრება.

წმ. სვიმეონი ითვლება ყრმათა მფარველად და მათ კურნებას შესთხოვენ ხოლმე. კონდაკი, ხმა 4: მოხუცებული დღეს განხსნასა ევედრების საკრებელთაგან ამის ხორციელისა ცხორებისათა, და ქრისტესა მიიქუამს მკლავთა ზედა, შემოქმედსა და უფალსა.

### 10. წმიდა მღვდელმთავარი ხარალაპი, მახნისის ეპისკოპოსი

აწამეს ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისათვის 202 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ უცარი სიკვდილისაგან დაფარვისა და მიწის ნაყოფთა სიუხვისათვის.

### 11. წმიდა მღვდელმთავარი ვლასი, სებასტიელი ეპისკოპოსი

ცხოვრობდა პონტოს ქალაქ სებასტიაში და ეწამა 316 წელს, ლიცინიოსის დროს.

მის მიმართ ლოცულობენ პირუტყვის დაცემის თავიდან ასაცილებლად, ყელის ტკივილის განკურნებისა და მიწის ნაყოფთა სიუხვისათვის.

### 17. წმიდა დიდი მოწამე თეოდორე ტირონი

ცხოვრობდა ამასიაში, ეწამა მაქსიმიანეს დროს, დაახლოებით 306 წელს. მოგვიანებით მისი წმიდა ნაწილები გადაასვენეს კონსტანტინოპოლში. იულიანე განდგომილის დროს წმ. მოწამე სიზმრად გამოეცხადა ეპისკოპოსს და გააფრთხილა, რომ დიდი მარხვის პირველ შეიდეულში კერპთმსახური გასაყიდად გამოიტანდნენ ნაკერპავი სისხლით სხურებულ სანოვავეს. ასე იხსნა წმ. მოწამემ ქრისტიანენი წაბილწვისაგან.

მის მიმართ ლოცულობენ მოპარულის პოვნისათვის.

### მ ა რ ტ ი

#### 4. ღირსი ბერასიმა იორდანელი

დაიბადა მცირე აზიაში. მოღვაწეობდა იორდანის სანაპიროებზე, მიიცვალა 475 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ გარეულ მხეცთა მოთვინიერებისათვის, რადგან, გადმოცემის თანახმად, მოშინაურებული ჰყავდა ისინი. მონასტერში ღირს მამას ლომი ემსახურებოდა.

#### 26. ღირსი ბასილი ახალი

ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, მიიცვალა 944 წელს. არაერთხელ განკურნა ციებისაგან ავადმყოფები.

ამიტომ მის მიმართ ლოცულობენ ციებისაგან განკურნებისათვის.

ა პ რ ი ლ ი

1. ღირსი მარიამ მამვიკიძე

დაიბადა ალექსანდრიაში, მრავალწლიანი ცოდვილი ცხოვრების შემდეგ განმარტოვდა უდაბნოში და იქ იღვწოდა 48 წელი სინანულით. მიიცვალა 521 წელს.  
მის მიმართ ლოცულობენ ხორციელ ვნებათაგან განკურნებისათვის.

11. წმიდა გვგდელოვანა ანტიპა, აერბამოს ეპისკოპოსი

წმ. იოვანე ღმრთისმეტყველის მოწაფე. იმპერატორ დომიციანეს დროს, 92 წელს დაწვეს აღუღებულ ტყეიაში.

მის მიმართ ლოცულობენ კბილის ტკივილის დროს. კურთხევანში შეტანილი იყო ლოცვა „კბილთა ტკივილისათ ს, წმიდისა ანტ პისი“ ( 450, ფურც. 343-345).

23. წმიდა დიდი მოწაფე გიორგი ალექსანდრიელი

წარმოშობით კაბადოკიელი, მხედართმთავარი. მრავალი წამება მოითმინა იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს. ბოლოს თავი წარკვეთეს ნიკომიდიაში 303 წელს.

მის მიმართ ლოცულობენ გარეულ მხეცთაგან შინაურ ცხოველთა დაცვისათვის. ითვლება აგრეთვე მეომართა მფარველად და სნეულთა მკურნალად.

მ ა ი ს ი

1. წმიდა იარამია წინასწარმეტყველი

ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი, გადმოცემით, იგი „ჰკურნებს ნაკენსა ასპიტისასა“ ( 1369, ფურც. 15).

სულთმოფანოვის შამგორში ოთხშაბათი — მცხეთის ჯვარის აღმართების დღე ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა წმ. ნინოს მითითებით მცხეთის გაღმა, კოხის (მაგარ-კლდოვან) გორაკზე აღმართა ნიში ჯვარისა („კოხის ჯვარი“), რომლის მადლითაც მრავალი სნეული განიკურნა სასწაულებრივად. შემდგომში მცხეთის სასწაულთმოქმედი ჯვარის სახელზე მრავალი ტაძარი და ნიში აშენდა საქართველოში. ზოგან მას „კოხის ჯვარიც“ ეწოდებოდა. ამიტომ მცხეთის ჯვარის დღესასწაულს მეორენაირად კოხიჯვრობა (იმერეთში — კოხინჯრობა) შეერქვა.

ი ე ნ ი ს ი

12. ღირსი ონოფრე დიდი

50 წელს მოღვაწეობდა ეგვიპტის უდაბნოში. მიიცვალა დაახლოებით 400 წელს. მის მიმართ ლოცულობენ უეცარი სიკვდილისაგან გადასარჩენად.

კონდაკი, ხმა 3: ბრწყინვალეობითა ყოველად წმიდისა სულისათა განათლდი შენ, ღმრთივ-განბრძნობილო, და დაუტყვენ საყოფელი შფოთისანი და მიიწიე უდაბნოდ, ღირსო მამაო, და იხარებდი ყოველთა ზედა ღმრთისა მიმართ დამბადებელისა, ამისთვის გადიდა შენ ქრისტემან, ნეტარო, ნიჭთა დიდთა მომცემელმან.

16. წმიდა ტიხონი, ამათუნტელი ეპისკოპოსი

მოღვაწეობდა V ს-ში. ცნობილია მისი მრავალი საკვირველთმოქმედება. მაგალ-თოდ, ლოცვით სასწაულებრივად გააშენა ვენახი უნაყოფო ადგილზე.

მის მიმართ ლოცულობენ მიწის ნაყოფიერების მომადლებისათვის.

19. ღირსი პაისი ღიღი  
 მოღვაწეობდა ნიტრიის უდაბნოში. მიიცვალა V ს-ის შუა ხანებში.  
 მის მიმართ ლოცულობენ მონანიების გარეშე აღსრულებულთა გამოსახსნელად  
 სატანჯველისაგან.

ი ვ ლ ი ს ი

20. წმ. წინასწარმეტყველი ელია  
 ცხოვრობდა IX ს-ში ქრისტეს შობამდე, ისრაელის მეფის აქაბის დროს. დაიბადა  
 გალაადის თეზიბში, რის გამოც ეწოდა თეზბიტელი. წმ. ელია იყო საღმრთო სჯუ-  
 ლის თავგამოდებული დამცველი. წმიდა ცხოვრებისათვის იგი ცოცხლად იქნა  
 აყვანილი ზეცაში.

მის მიმართ ლოცულობენ გვალვის დროს წვიმის მოვლინებისათვის.

27. წმიდა ღიღი მოწამე და მკურნალი პანტელეიმონი  
 დაიბადა ნიკომიდიისში. ქრისტიანობის აღიარებისათვის თავი მოჰკვეთეს 305  
 წელს, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს.

მის მიმართ ლოცულობენ ყოველგვარი დაავადებით შეპყრობილთა განკურნე-  
 ბისათვის. შეუძლებელია აღვრიცხოთ სხვადასხვანაირი კურნებანი, რომელნიც წმიდა  
 პანტელეიმონს მოუმაღლებია მის მიმართ მლოცველთათვის.

ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 3: ღვაწლით შემოსილო წმიდაო მკურნალო პანტელეიმონ,  
 ევედრე მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა  
 ჩვენთა — ღიღი წყალობა.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 5: მიმსგავსებულ იქმენ ყოვლადმოწყალისა, და მოიღე მადლი  
 კურნებათა, ღვაწლით შემოსილო მოწამეო ქრისტეს ღმრთისაო, ლოცვითა შენითა  
 სულთა ჩვენთა სენნი განჰკურნენ, და განსდევნენ ეშმაკისა საცთურნი ჩვენგან,  
 რომელნი ვლადებთ: გვაცხოვნენ ჩვენ, უფალო.

ა გ ვ ი ს ტ ო

10. წმიდა მოწამე მთავარღიაკონი ლავრენტი  
 ეწამა რომში 258 წელს ვალერიანეს დროს. იგი დაწვეს რკინის ცხაგზე. წმ.  
 მოწამეს საკვირველმოქმედების ნიჭი ჰქონდა. სახელდობრ, თვალის სინათლეს  
 აძლევდა ბრმადშობილთ.

ამიტომ მასზე ლოცულობენ თვალის სნეულებათა განკურნებისათვის.

18. წმიდა მოწამენი ფლორო და ლავრო  
 ცხოვრობდნენ ილირიაში II ს-ში. ეწამნენ ქრისტიანობის აღიარებისათვის.  
 მათ მიმართ ლოცულობენ ცხენების დაცემისაგან დახსნისათვის.

28. ღირსი მოსე შავი  
 თავდაპირველად ავაზაკობდა, შემდეგში მოინანია და ბერად აღიკვეცა. მიიცვალა  
 75 წლისა, მოწამეობრივი სიკვდილით (დაახლ. 400 წელს).

მის მიმართ ლოცულობენ ლოთობისაგან განკურნებისათვის.

კ ო ნ დ ა კ ი, ხმა 4: შავთა მათ, ყვრიმალთა ეც ძლიერად, და პირსა ეშმაკათსა

შენერწევე გონიერად, და განბრწეინდი, ვითარცა მზე ბრწეინვალე, წმიდითა ცხოვრებითა, და მოძღვრებითა შენითა უძღვი სულთა ჩვენთა.

28. წმიდა მოწამე დედოფალი შუშანიკი

მეუღლე სჯულისაგან განდგომილი ვარსქენ პიტიახშისა (V ს.). ქრისტიანობის ერთგულებისათვის მრავალი ტანჯვა დაითმინა მეუღლისაგან და მოწამეობრივად აღესრულა.

წმ. შუშანიკი ლოცვით კურნავდა სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილებს. იაკობ ხუცესის სიტყვით — „ვის რა უხმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა... უშილოთა — შვილი, სნეულთა — კურნებაი, ბრმათა — თვალთა ახილვაი...“


ტ რ ო პ ა რ ი, ხმა 8: წამებისა გვირგვინითა შეიმკვე მეუღლისა შენისაგან, დედოფალო წმიდაო შუშანიკ, და წარმავალისა დედოფლობისა წილ მოიგე სუფევა წარუვალი, და აწ კადნიერად მდგომარე ხარ წინაშე სიძისა შენისა, უკვდავისა ქრისტესა, მეოხ გვეყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო.

29. თავისკვეთა წმიდისა წინასწარგმთხველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესი

წმიდა იოვანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთა მეფე ჰეროდე ანტიპამ, მისი ბიწიერი ცხოვრების მხილებისათვის (32 წელს).

უფლის წინამორბედის მიმართ ლოცულობენ თავის ტკივილისაგან განკურნებისათვის.

თარგმნა რევაზ სამუკაშვილმა  
ქართული მასალით შეავსო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა



## ლიტურგია

# მღუდელმთავართა ლიტურგიის სახისმეტყველებითი განმარტება

(ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერი)

მღუდელმთავართა ლიტურგიის განმარტება სახისმეტყველებითი, ვითარმედ ყოველსავე მღუდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრის: —

ღმერთმთავარო გონებაო, გამომაბრწყინებელი ღმერთმთავარისა სიტყვისაო, და გამომაგლინებელი ღმერთმთავარისა სულისაო, მომეც „სული სიბრძნისა“, და მადლი სიტყვისა აღებისა პირისა ჩემისა, რა თა სათნოდ შენდა აღესწერო წინამდებარე ესე აზრი, რამეთუ შენ მიერ არს ყოველი ნიჭი სრული და მადლი მამისაგან ნათლისა და შენგან შობილისა ძისა და შენგანვე გამოშავლისა სულისა წმიდისა და შენდა შევნი დიდება პატივი და თაყვანისცემა პირველ საუკუნეთა აწდა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

წმიდა ეკლესია სახე არს ხილულისა ამის სოფლისა, რომლისათვის წმიდა ღმრთისმეტყველი გრიგოლი იტყვის: „ღმერთმან პირველად მოიგონა უხილავი იგი სოფელი, და მერმე ხილული ესე და მოგონება მისი საქმე იყო სიტყვითა აღსრულებული და სრულითა სრულ ქმნილი: —

საკურთხეველი სახე არს სამოთხისა, მით, რამეთუ დაასხა სამოთხე ედემს აღმოსავლეთისასა ადგილსა მალალსა და შევნიერსა: და ვითარცა სამოთხით გამოვლს წყარო და განიყოფის ოთხ თავად აღმომაცენებელი ოქროსა და ანთრაქისა, ეგრეთვე წმიდისაგან საკურთხეველისა გამოვლს ჭეშმარიტი წყარო ცხოვრებისა. წმიდა სახარება განყოფილი ოთხ თავად აღმომაცენებელად სათნოებისა და მაცხოვრებელ კაცთა სულებისა: ხოლო ტაძარი სახე არს სოფლისა ამის, რამეთუ სოლომონცა სოფელსა ამას შინა აღაშენა ტაძარი ღმრთისა იერუსალემს: მღუდელი სახე არს პირველისა მის ადამისა: და მღუდლისა საკურთხეველით გამოსვლა, შეემთხვიოს რა წმიდასა ტრაპეზსა, და საშვეთლოზედ მოქმედობა გამოსახავს ადამის სამოთხით ექსორიობასა და საქმედ ქვეყანის მოქმედებასა: ცილის ზარით რეკა ხანგაშეგებით მოასწავებს სუთი ათასს სუთას წელიწადთა განვლასა და მაშინდა მესიას მოლოდებასა, ვითარცა მოციქული იტყვის „ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთა, მოავლინა ღმერთმან ქე თ სი, შობილი დედაკაცისაგან: ხოლო ყოველთა ზართა ერთბამად რეკა მოასწავებს ემმანუილის შობასა ზედა ანგელოზთაგან ჰაერთა შინა დადადებასა, ვითარმედ: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქუყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის

სათნობა“ და მღუდელმთავარის ეკლესიად შესვლა მოასწავებს ღმრთისა სიტყვისა ქვეყანასა ზედა გამოჩენასა, ვითარცა წერილ არს: „ქვეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა“ მღუდლის ჯვართომიგებება გამოსახავს „სვიმეონ რა მიეგება ცხებულსა უფლისასა.“ ცხებული ეწოდების, რამეთუ მამა არს მცხებელი, ძე არს ცხებული და სული წმიდა საცხებელი, ვითარცა თვით ბრძანებს ისაიას მიერ: „სული უფლისა ჩემზედა, რომლისათ ს მცხო მე.“ ხოლო ჯვარი მოასწავებს ჯვარცმასა. ვითარცა ს მეონ რქვა მარიაჲს დედასა მისსა: „თ თ შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი რა თა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“. ხოლო მღუდელმთავარისა მანტიის წარმოსხმა, რომელსა მდინარე ეწოდების წყაროების გარდამოდენისათ ს, მოასწავებს იორდანესა ძისა ღმრთისა განცხადებასა, ვითარცა მამა სწამებს: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“. მღუდელმთავარისა უკანა მღუდლისა შედგომა მოასწავებს ქრისტეს და მოციქულთა შედგომასა, ვითარცა წერილ არს: „მეყვესულად დაუტევს ბადე მათი და შეუდგნენ მას: ხოლო იპოდიაკონთაგან ლამპრისა და ჯვარის სანთლებით წინამავლობა მოასწავებს იერუსალიმად შესვლასა იესუსა. მოიღეს რა ყრმათა რტოები და ნავის კუდთაგან მლაღადებელთა: „ოსანნა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა თა, მეუფე ისრაელისა“, წინაშე ამბიონისა ლოცვისა წართქმა და ხატთა ამბორის ყოფა მოასწავებს ქრისტეს ქადაგებასა შორის ტაძრისა და მღუდელმთავართასა, ვითარმედ „ასწავებდა იესუ შესაკრებელთა შორის მათსა და ქადაგებდა. სახარებასა სასუფეველისასა:“ მღუდელმთავარისა ამიერ და იმიერ ჯვარის წერა მოასწავებს ქრისტეს სასწაულთა და საკირველმოქმედებასა, ვითარმედ. „განკურნებდა იესუ ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის და მას ჟამს მღუდელმთავარისა ხელთა მთხვევა მოასწავებს სიტყვასა მას, ვითარმედ „რაოდენი ფესვსა სამოსლისა მისისა შეეხებოდეს განიკურნებოდეს.“ ხოლო მღუდელმთავარისა იგი კვარცხლებსა ზედა აღსვლა მოასწავებს ქრისტეს გოლგოთას ზედა აღსვლასა, ვითარცა წერილ არს: „მოიყვანეს იგი გოლგოთას, ადგილსა,“ ხოლო ანაფორის გახდა და სტიხარის ჩაცმა გამოგვიცხადებს სიტყვასა მას, „ვითარმედ „განმარცვს

იგი და ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას:“ ხოლო ეპიტრახილი წარმოგ დგენს, ყელზე რა საბელი მოაბეს და მიიზიდვის: სარტყელი სახე არს, სვეტზე რა მიაკრეს: და სამკლავე საბლით ელნი რა შეუკრნეს, ვითარმედ: „შეიპყრეს და შეკრეს იგი“. ენქერი მოასწავებს, პირსა რა დაბერეს და სვეტდეს მეტყველნი გვიწინასწარმეტყველებდ ჩვენ ქრისტე, ვინ არს რომელმა გვა შენ“. ბისონი სახე არს ჯვარის აკიდებისა ვითარმედ წერილ არს „დაედვა თვით ჯვარი თ სი იესოს“, ხოლო ომფორი სახე არს ქრისტეს ტკბილის უღლისა და მოასწავებს წარწყმედილისა ცხოვარისა პოვნასა და მხართა თ სთა ტ რთვას, ვითარცა ბრძანებს: „ჰოოს რა, დისვას იგი მხართა თ სთა ზედა სიხარულით:“ ხოლო ყელს-საკიდი ხატი — ვითარმედ: „ხატი მონისა მიიღო და მსგავს კაცთა იქნა; და ყელსსაკიდი ჯვარი მოასწავებს იესოს ჯვარცმასა, ვითარცა წერილ არს: “იყო ეამი მესამე და ჯვარს აცვეს იგი“. და მოციქულიცა იტყვის: „არა რა სხვა დავიდევ გულსა ჩემსა, გარნა იესუ და ესეცა ჯვარცმული“; ხოლო მიტრა მოასწავებს კლის გ რგ ნსა, ვითარმედ „შეთხზეს გ რგ ნი კეალთაგან და დადგეს თავსა მისსა:“ და სამწყემსო კვერთხი ლელწამსა, ვითარმედ „ლელწამი მისცეს მარჯვენსა ელსა მისსა;“ ხოლო ჯვარის სანიღებით ხელის განაპრობა მოგვაგონებს ტკბილსა იესოს, ჩვენთვის განკვართულსა. და ხუთობით რიცხვი სანთელთა წარმოგვიდგენს ხუთ ნაკადულთა სისხლთა. მარჯვენისათა სამნი სანთელნი ცხად ყოფენ ელით, ფერხით და გვერდით, ხოლო მარცხენით ორნი ელით და ფერხით გარდამოდენილთა სისხლთა წყაროთა და მით ჯვარის წერითა განკურნებს ხუთ საგრძნობელთა ჩვენთა; ხოლო აღნთებულთა სანიღებით ოთხთა კიდეთა მიხედვა მოასწავებს „ვითარმედ: „აღანთო სანთელი და მომართა სახლი და ეძიებნ გულსმოდგინედ დრაქმასა“. ხოლო მლუდელთათაგანისა იგი კათედრაზე დაჯდომა ჯამობასა ზედა მოასწავებს ქრისტეს ხორცილთა გარდამოსხმასა, ვითარცა წერილ არს: „გარდამოსხნა იგი ძელისა მისგან“; ხელთა ბანა და მანდილითა წარხოცა მოასწავებს ნელსაცხებლთა შემოურვასა და არმენაკითა წარგრანასა; ვითარმედ: „შეგრანეს იგი ტილოებითა ხუნნელთა მათ თანა, ვითარცა ჩვეულება არს პურიათა დაფლვისა“; და კვერქსის თქმაზედ ჯდომით ლოცვის წაკითხვა რომელ არს: „ღმერთო, ღმერთო ჩვენი, რომელმან მოავლინე უფალი ჩვენი და ღმერთი იესუ ქრისტე, მაცხოვრად და მხსნელად,“ — მოასწავებს ჯოჯოხეთის წარმოტყვევნასა და ადამიანთა ტყვეობიდან გამოსხმასა და ცხოვრებასა, ვითარცა იტყვის: „აღლხდა მადლსა, წარმოსტყვენა ტყვე.“ ხოლო სახარებით გამოსვლაზე მლუდელთათაგანისა კათედრით აღდგომა მოასწავებს ქრისტეს აღდგომასა, ვითარცა თ თ ბრძანებს: „ესრეთ ჯერ იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკუდრეთით შესამესა დღესა.“ და მახარებელი იტყვის: „ნამდ ლვე აღდგა უფალი და ეჩვენა სვიმეოსს.“ და სახარებისა მთხვევნა მოასწავებს, ვითარმედ „ყოველივე მას შინა წერილი აღმისრულებიეს:“ და აღვალ მაძისა ჩემისა და

მაძისა თქვენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქვენისა.“ ხოლო დიაკონისაგან ხმაშეწერილად ხმაობა: „საბრძნით აღმართენით“ — მოასწავებს ანგელოსთაგან წინასრობლასა ამაღლებასა უფლისასა, მეტყველთა ზეცად მიმართ: „აღახვენით ბჭენი თქუ ნი მთავარნო და აღეხვენით ბჭენი საუკუნენი, რა თა შევიდეს მეუფე დიდებისა“. ხოლო მუნით წარმოსვლაზე მლუდელთა მიერ გალობა და დიაკონთაგან საკმევილისა ხმოვნება — მოასწავებს, ვითარმედ „ამაღლდა ღმერთი დაღადებითა და უფალი ხმითა საყვირისა თა და ამბიონსა ზედა აღსვლა — ვითარმედ: „ღრუბელმან შეიწვნარა იგი თვალთაგან მათთა“ და ზე არწივსა ზედა დგომა, ვითარმედ: „აღლხდა ხერუვიმთა ზედა და აფრინდა და აღფრინდა იგი ფრთეთა ზედა ქართასა“. ხოლო ამბიონზე აღაპრობა ხელთა და ჯვრის წერა მლუდელთა მიმართ და მათ მიერ თაყვანისცემა, ვითარმედ: „აღიპყრა ხელნი თვისნი და აკურთხნა მოციქულნი დი იგინი თაყვანისცემდენ მას“. ხოლო მლუდელთათაგანისა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა უპირატესსა აღვილსა დგომა მოასწავებს, ვითარმედ: „ამაღლდა ზეცას და დაჯდა მარჯვენით ღვთისა,“ ვითარცა სტეფანეცა იგი, გვირგვინი მოწამეთა, იტყვის: „აჰა, ესერა, ვხედავ ცათა განსმულთა და ძესა კაცისასა მარჯვენით ღვთისა მდგომარესა.“ ხოლო საკმეველი გულისხმა-იყოფის, რომელსაცა მაშინ მლუდელთათაგანნი ხელად მიიღებს, ვითარმედ თვით ბუდე ცეცხლისა სახე არს ღვთისმშობლისა: მას შინა ნაკვერცხალი სახე ღვთისა სიტყვისა, რამეთუ ქალწულმან დაიტია ცეცხლი ღვთაებისა. ოთხნი ჯაჭვნი სახე-ოთხთა მახარებელთა და მათ ზედა ეგვანი, ვითარმედ: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი.“ ხოლო „სუნი სუნნელთა“ მსგავსება სულისა წმიდისა მადლთა: ხოლო მლუდელთათაგანისა მიერ საკურთხეველსა შინა შემოქმევა და მუნ გალობა მხიარულებით მოასწავებს კაცობრივის ბუნებით რა ეჩვენა ანგეთოზთა, მთავარანგელოზთა, მთავრობათა, უფლებათა, ძალთა, ხელმწიფებათა, საყდართა, ქერუვიმთა და სერაფიმთ, განაკვირნა, განანათლა, განაბრწყინვა და განახარნა, ვითარმედ: „ჩემთანა გიხარინ, რამეთუ ვპოე დრაქმა იგი რომელი წარმიწყმდა.“ და მლუდელთათაგანისა საკურთხეველით გამოსვლა და ამბიონით ერისა მიმართ კმევა მოასწავებს მეათეს დღეს სულის წმიდის მოსვლასა, ვითარცა წერილ არს: „აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა:“ ხოლო მარჯვენისა ელითა პყრობა საკმევილისა და მისი ხმოვნება ვითარმედ: „და იყო ზეცით ოხურვა, ვითარმედ მოწვენა ქარისა სასტიკისა და სუნნელებისა მიფენა,“ ვითარმედ „მიფენით სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა“. ხოლო მარცხენითა ელითა აღნთებულთა სანთელთა პყრობა, ვითარმედ: „ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი“. ხოლო მლუდელთათაგანნი „წმიდაო ღმერთოსა“ გალობასა ზედა მარჯვენისა ელთა მიიღებს ორიანსა ჯვარის სასანთელსა და მით შეახებს ოთხთა კიდეთა წმიდისა სახარებისათა; ოთხთა კიდეთა შეხება მოასწავებს ოთხთა მახარებელთაგან დაწერილსა სახარებასა, ხოლო ორნი სანთელნი ორთა

სჯულთა, ვითარმედ „სჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესუს მიერ იქმნა“. მისი პყრობა ცხად-ყოფს, ვითარცა თ თ იგი წმინდა სახარება უპყრის მარჯვენითა, ვითარცა უპატიოსნესი. ხოლო მარცხენითა იპყრობს პატიოსანსა ჯვარსა. ესრეთ მაკურთხეველი მოასწავებს მოციქულთა განბრძნობასა და სახარების ქადაგებად წარვლინებასა, ვითარმედ: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე.“ და სანთელთაბრ სასწაულითა სოფლისა განათლებასა, ვითარმედ: „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა.“ ხოლო მარცხენითა ხელითა ჯვარი მოასწავებს მოღვაწეობასა მათსა, ვითარმედ „სოფელსა ამას ჭირი გაქუსთ და ვითარცა მე, თქვენცა ჯვარცმად ხართ სოფელსა შინა,“ რამეთუ პავლეცა იტყვის. „სოფელი ჩემდამო ჯვარცმულ არს და მე სოფლისა.“ და შემდგომთა წმინდაოს ღმერთის გალობისა ხმა კოლოფების განმრავლება მოასწავებს წმინდისა სწმებისა ქადაგებასა ყოველსა სოფელსა შინა განფენასა და განმრავლებასა ვინაითგან „წმინდაო ღმერთო“ არს „მამაო წმიდაო ძლიერო“, ძეო წმიდაო უკუდაო, სულო წმიდაო და სურვილით ვევედრებით შეგვიწყალენ ჩვენ, ვითარცა მგალობელი ილოც და: „სურის სულსა ჩემსა ღმერთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა“. ხოლო „წმიდაო ღმერთო“ გალობისა სრულყოფა მოასწავებს სოფელსა ამის აღსასრულსა, ვითარცა უფალი ბრძანებს: „იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, ყოველსა სოფელსა, და მაშინ მოიწიოს აღსასრული და სამოციქულოს წარდგომისა ფსალმუნის ცხადყოფს წინასწარმეტყველთაგან პირველვე, ქრისტეს მეორედ მოსვლასა მოასწავებს, ვითარმედ: „ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩვენი არა დასჯუმნეს, ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს,“ ხოლო სამოციქულოზედ კმევის ხმოვანება მოასწავებს, ანგელოზთაგან საყვირისა დაცემასა, ვითარცა იტყვის: „საყვირსა დაეცნეს და მკუდარნი იგი აღსდგენ“. და სამოციქულოს წარკითხვა მოასწავებს ქრისტეს მეორედ მოსვლასა, ვითარცა მუნვე წერილ არს: „რაჟამს მოვიდეს დიდებად შორის წმინდათა მისთა და საკვირველებად ყოველთა შორის მორწმუნეთა მისთა.“ ხოლო მლუღელმთავრისა იგი მაღალდასაჯდომელისა საყდარსა ზედა დაჯდომა და მლუღელთა მისთანა ხარისხებით სხდომა წარმოაჩენს სიტყვასა მას, რომელ რქუა უფალმან მოციქულთა: „რაჟამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თ სისათა და სხდეთ თქვენცა ათორმეტთა საყდართა და სჯად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა.“ ხოლო აღილუია ცხადყოფს მართალთაგან დიდებასა და ქებასა ღმერთისასა, რამეთუ ებრაულითა ენითა არს და გამოითარგმანების: „ალი“ — აქებდით. „ლუ“ — ნამდვილად აქებდით ღმერთსა. ხოლო მღვდელმთავრისა მიერ „მშვიდობა ყოველთა“ — მოასწავებს, ვითარცა უბრძანა უფალმან: „მშვიდობასა მივცემ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა დაგიტევენ თქვენ,“

ხოლო რომელი ერი მიუგებს: „სულისაცა შენისა თანა“, ამას მოასწავებს, ვითარმცა ეტყოდეს: „მშვიდობა შენი მოგიცემის ჩვენდა მეუფეო, გმადლობთ, გარნა გვევედრებით, რათა სულისაცა შენისა თანა გვაქუნდეს მშვიდობა სამარადისო მას საუკუნესა“. ხოლო სახარებისა განლება მოასწავებს, ვითარმედ: „წიგნი განეხუნენ და დაფარულნი გულთანი გამოსცხადდნენ.“ და წარკითხვა წმინდისა სახარებისა მოასწავებს მართლმსაჯულებითა მართლის განჩინებასა, ვითარცა ბრძანებს: „მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქვენთვის განმზადებული სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა“ და შემგომი. ხოლო კათაკმეველთა განვლენა მოასწავებს ცოდვილთა ჯოჯოხეთად წარვლენასა, ვითარმედ: „წარვედით ჩემგან წყეულნი ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ემშაკისათვის და მორჩილთა მისთათვის.“ ხოლო „რომელი ქერუვიმთა“ გალობასა ზედა აღპყრობა ხელთა მოასწავებს მართალთა მათ გონებითა აღპყრობითა და თვალთა სულისათა ფროთვანყოფითა ქერუვიმთაგებ აღპყრობითა ფრთეებითა, ხამ წმინდა არსობითა მადლობითა გალობისა შეწირვასა უფლისა ღმერთისა საბათისა, რომელი სუფევს საყდართა ზედა ქერუვიმთასა, სერაფიმთა უფალი და მეუფე ახლისა ისრაელისა, და წინადაგებულთა შესაწირავისა საკურთხეველად შეყვანებასა. მლუღელმთავარი რა ეტყვის „ყოველნი თქვენ მართლმადიდებელნი ქრისტიანენი მოგიხსენით უფალმან ღმერთმან სასუფეველსა: „მოასწავებს მყის თანად ღმერთის თანა მართალთაცა სასუფეველად აღყვანასა, ვითარცა იტყვის „მათ თანავე აღვიტაცნეთ ღმერთითა შემთხვევად უფლისა პაერთა ზედა და ესრეთ უფლის თანა ვიყოფოდეთ“. მაშინ საკურთხეველი შეიცვალების ცად, ვითარცა იტყვის: „ცა ახალი და ქვეყანა ახალი“. ხოლო მლუღელმთავარი რა უკმევს წინადაგებულთა და იტყვის: „კეთილი უყავ უფალო ნებითა შენითა სიონსა და აღვშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი“ იმას მოასწავებს, ვითარმედ: „ზეცისა იერუსალიმის ზღუდენი ერთი ვერმორა დაირღვეს და გარდამოითხინეს მთიებნი დასითურთ თვისით. აწ ჩვენ ქრისტიანეთა მიერ აღეშენა ნაკლულეგანი იგი ზღუდენი და სრულ იქმნა მგრგელობა ანგელოზთა, ვითარცა მამათა სთქვეს. ხოლო მღვდელმთავარი დასითურთ, რომელ სდგანან მწყობრად ირგვლივ წმინდისა ტრაპეზისა კრძალულებითა მოასწავებს საგანეთა მათზე ცისათა მართალთა განწყობილებასა ბრწყინვალეობითა და შორის მათსა სუფევს ღმერთგებწყენვალე იგი ტარიგი, ვითარცა შანთი ოქროსა აკრობს შარავანდედთა თვისთა და განაბრწყინებს ცხოვრება შემოსილთა მართალთა გარემოს მისსა. ნამდვილ სამოთხისა უშვენიერეს და ყოველისა სამეუფო სასახლისა უბრწყინვალეს ნათობენ, ვითარცა უფალი ბრძანებს მაშინ მართალნი გამობრწყინდენ...“

მასალა მოამზადა სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტმა ლუკა ლევითემ



## მწუხრის განმარტება

(გაგრძელება)

სალოცავად გამზადებული კაცი უნდა იყოს დაშვებულად, ე.ი. განწმობილი ყოველივე ფიქრისაგან ქვეყნიურ კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით კი თავისუფალი უნდა იყვეს ბოროტ განწყობილებისაგან მოყვასისადმი.

1. პირველი თხოვა დიდი კვერქისა იკითხება ასე: „ზეგარდამო შვიდობისა და ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

ღმერთი არის საზღვარდაუდებელი სახიერება — სიყვარული, სრული დაუშრეტელი ნეტარება, ერთადერთი ჭეშმარიტი, უცვლელი წყარო ბედნიერებისა; და მან შექმნა რა კაცი, რასაკვირველია, გააჩინა იგი ბედნიერებისათვის. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა თვისი ხატება: გონება, გული და მნებლობა, ღრმად ჩაუნერგა მას სულში და მერე მრავალგზის სიტყვიერად გამოუცხადა-აუხსნა კანონი ანუ წესი, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი, რა უნდა ჰქმნას, რას უნდა ერიდოს, რომ თვისს შემოქმედს მიემსგავსოს, დაუახლოვდეს და მიიღოს მისგან ბედნიერება. კაცმა უნდა მიაპყრას თვისი ყურადღება, თვისი გონება ბუნების მრავალგვაროთ მოვლენათა, გამოიკვლიოს ისინი, სცნოს ქმნილებათა სიდიადე, მიხედვს შემოქმედის სიბრძნესა, სახიერებას და ყოვლის შემძლებობასა, მისს განგებლობასა და იწყოს კრძალულებითი ღტოლვა მისადმი. ადამიანმა უნდა განამტკიცოს თვის გულში მზურვალე სიყვარული მოყვასისადმი, საზოგადოებისადმი: მან თვისი თავი, თვისი ცხოვრება უნდა შეუერთოს მოძმეთა ცხოვრებას, თვისი პირადი სარგებლობა უნდა დასთმოს, უარჰყოს სხვისი კეთილდღეობისათვის. და ესრეთ ადამიანი, გამომძიებელი ღვთის ძლიერებისა და დიდებულების, ცხადმოფი თვის ცხოვრებაში ცხოველ-ყოფილის ძალისა — სიყვარულისა, მოქმედი მოძმეთა სასარგებლოდ, უნდა აღინთოს სიყვარულითა ღვთისადმი, შეუწერებლივ ისწრაფვოს მისდამი და შეუერთდეს მას: როდესაც კაცი აღასრულებს უფლის მიერ ნაჩვენებ დანიშნულებას, მიიღებს ღვთის მსგავსებას, ე.ი. გამოიჩინს, შეიძენს ღვთაებრივ თვისებათა, უმაღლესთ სათნოებათა, ზნობრივად განსაპეტაკება და იწყებს აღმაფრენას უზენაესისადმი, მაშინ მას იგი მოწყალებით მოხედავს, განაბრწყინებს და აღავსებს სიხარულითა და სიტკბოებით; და ესეთი ღვთივ განათლებული ადამიანი იწყებს

ნამდვილ ბედნიერ ცხოვრებას, და ვერავითარი მწუხარება და უბედურება ამა სოფლისა მას ვერ შეეხება, ვერ გაუშწარებს ყოფასა. აი, ამნაირი უნდა იყვეს ადამიანის ცხოვრება! მაგრამ საუბედუროდ დღეს ამას ვერ ვხედავთ.

კაცის ბუნება განხრწნილია, დაწულულებული ცოდვებითა; ადამიანის ნება, და საერთოდ, ყოველნი ძალნი, უფრო მიდრეკილნი არიან ბოროტებისადმი, ვიდრე კეთილისადმი; კაცი ადვილად და სიამოვნებით აკმაყოფილებს სინდისისა და ღვთისგან აღკრძალულ და მავნებელ ბიწიერ მიდრეკილებებსა, ვიდრე კეთილ და ღვთისთვის სასიამოვნო მოთხოვნილებებს. რა შედეგი მოჰყვა მცნებათა გარდასვლას, ზნეობრივი კანონის დარღვევას კაცის მიერ? პირველად ისა, რომ ბიწიერნი სურვილნი კაცისა უფრო და უფრო იზრდებიან, მატულობენ და მთელს მისს არსებას ატყვევებენ, შეაქვთ მასში აღრეულობა, ხრწნილება; ბოროტნი მიდრეკილებანი კაცს უხშვენ, უჩლუნგებენ სულიერო ნიჭთა, უსუსტებენ შემოქმედების ძალასა; ამის გამო ადამიანს არ ძალ-უძს იცხოვროს ნამდვილის, წესიერის ცხოვრებითა, ქმნას იგი, რის ქმნაც მას შეეძლებოდა, რომ ბოროტებით შემპყრობილი არ ყოფილიყო. ამასთანავე, ბოროტება ბადებს ადამიანის სულში უკმაყოფილებასა და უსიამოვნებას. თვით ცოდვას ისეთი თვისება აქვს, რომ მას, თუ პირდაპირ არა, შემდეგში უსათუოდ თანჰყვება მწუხარება, ტანჯვა; და რამდენადაც იგი ხშირად განმეორდება, იმდენად უფრო ძლიერდება და მატულობს მის მიერ წარმოშობილი უკმაყოფილება. მეორედ, ადამიანი ჰგრძნობს, რომ იგი არ შერება იმას, რასაც მას სინდისი უჩვენებს და ღმერთი უბრძანებს. იგი ხედავს, რომ ის მონაა თვის ცუდ ჩვეულებათა, რომ იგი თვისს კაცურ დანიშნულებას არ ასრულებს. და ეს აზრი მას აწუხებს, სინდისი მას ჰქეჯნის, მოსვენებას არ აძლევს. მართალია, ხანდისხან კაცი თავისუფლდება სინდისის მხილებისაგან, უგულვებელს ჰყოფს, არ ჰგრძნობს სინდისის მიერ გამოწვეულ უკმაყოფილებასა. ეს ხდება მაშინ, როცა კაცი ამა თუ იმ ქვეყნიურ სიამით სარგებლობს. მაგრამ ესეთი მდგომარეობა კაცისა მოკლეაძიერი; ყოველი სიამე ამა სოფლისა დაუფრობელია; გაივლის ის და კაცს სინდისი ეღვიძება, და იგი მას უმოწყალოდ, სასტიკად სჯის, აღავსებს მას უსიამოვნო გრძნობებით. მესამედ, რადგანაც კაცის

ბუნება მიდრეკილია ბოროტებისადმი, რადგანაც მან ღვთის მსგავსება დაჰკარგა, ამის გამო ღმერთი მისგან განშორებულია, არ აცხოველებს მას თვისი მადლითა. ღმერთთან კავშირს მოკლებულ ადამიანს არ ძალ-უძს იცხოვროს ნამდვილის წესიერის ცხოვრებითა და იყოს ბედნიერი; მისი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას შეუძლია იცხოვროს ნორმალურის, წესიერის ცხოვრებითა, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ღმერთთანაა დაკავშირებული. კაცი არის ქმნილება უფლისა და იმისგან არის დამოკიდებული; იმისგან მიიღო მან ყოველნი ნიჭნი და მხოლოდ მასთან ერთად ყოფნითა, მის კანონისა და ბრძანებისამებრ მოქმედებითა შეუძლია მოიპოვოს ზნეობრივი სისპეტაკე და ბედნიერება. გარეშე ღვთისა, კაცური ცხოვრება და ჭეშმარიტი ბედნიერება შეუძლებელია, სწორედ ისე, როგორც რქა ვერ გამოიღებს ნაყოფსა, თუ ვაზისგან მოიკვება. და აი, მოკლებულნი ღმერთთან კავშირსა და ამ კავშირისაგან წარმომდინარე კაცურ ცხოვრებას, ჩვენ ვითხოვთ უფლისგან „ზეგარდმო მშვიდობასა და ცხოვრებასა სულთა ჩვენთასა“, ე.ი. ვითხოვთ, რომ უფალმა შეგვაძლებინოს აღვადგინოთ ჩვენი დაცემული ბუნება, ვსძლიოთ, უკუვაქციოთ ბოროტი სურვილები, შევიძლიოთ სათნოებებით, ვიქონიოთ მასთან ერთობა, ვიქნეთ თავისუფალნი ყოველივე ქვეყნურ მწუხარებისაგან, ვიყვნეთ მხიარულნი, კმაყოფილნი.

ხოლო როგორ შეუძლია ცოდვებით დატვირთულ კაცს მოიპოვოს ცხოვნება, ე.ი. კავშირი ღმერთთან და ნეტარება? თავდაპირველად კაცმა თვისი ყურადღება, თვისი გონება უნდა მიაპყროს ღვთისადმი, მუდამ მასზე უნდა ფიქრობდეს, მარადის მისს მოქმედებას იგონებდეს. მაგრამ, ღმერთი ხომ უხილავი არსებობს, იმისი შინაარსისა და ცხოვრების გაგება-წარმოდგენა შეუძლებელია, და მამასადამე, ხორცშესხმულმა ადამიანმა როგორ უნდა მიაპყროს თვისი გონება უფლისადმი და შეიყვაროს იგი? აი აქ, კაცს ყოველად მოწყალე ღმერთმა დახმარება აღმოუჩინა. მეორე პირი ღვთაებისა, ძე ღმერთი, განხორციელდა, განკაცდა, ცხოვრობდა კაცთა შორის, ქადაგებდა. ძე ღვთის ქვეყნად მოსვლით ცხად-ყოფილ იქმნა ღვთაება; იესო ქრისტესით ადამიანს მიეცა ხილული სახე ღვთისა და ამით მიენიჭა საშუალება წარმოიდგინოს ღმერთი და შეუერთდეს მას. ამის გამო, თუ ვისმეს სურს დაუკავშირდეს ღმერთს, მან უსათუოდ თვალწინ უნდა დაიყენოს სახე მაცხოვრისა იესო ქრისტესი. ასე, პირდაპირი, უმამკობითი დამოკიდებულება ღმერთთან კაცისთვის შეუძლებელია; კაცი ჯერ მაცხოვარს უნდა შეუერთდეს და ამით ღმერთსაც მიუახლოვდეს, რადგან იესო ქრისტე იგივე ღმერთია. იმიტომაც ბრძანა იესო ქრისტემ თავის თავზე: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება... და ვერვის ძალუძს მისგლა მამასთან (ღმერთთან), თუ არა ჩემ მიერ. წარმოდგენა იესო ქრისტესი და მასთან ღვთაებისა სრულ იყოფის ლოცვაში. ლოცვა არის გულითადი საუბარი კაცისა ღმერთთან. ვინც ხშირად წარმოიდგენს უფალს იესო ქრისტეს, ვინც ნათლად, ცოცხლად დაისურათხატებს

თვალწინ მისს ნათელმოსილ ცხოვრებას, ის მით დამტკიცებს, რომ მართლა უყვარს ღმერთი და სურს მასთან დაკავშირება. სიყვარული მაცხოვრისადმი და აქედან ღვთისადმი არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო მოგონებითა და ლოცვით. ამასთან ერთად, აუცილებლად საჭიროა მნებელობითი მოქმედება, ასრულება იმისა, რასაც ითხოვს ზნეობრივი კანონი, რაც ნაბრძანებია ღვთის მიერ. ხოლო ღმერთი იმას გვიბრძანებს, რომ ზნეობრივად გავსწორდეთ, გავუმჯობესდეთ, შევისისხლხორცოთ სახარებისებრივნი სათნოებანი. თავდაპირველად კაცმა უნდა იცნოს თვისი თავი, უნდა ჩაიხედოს თვის სულის სიღრმეში, პირუთვნელად გამოიძიოს და შეიტყოს, თუ რა ცუდი თვისებები აქვს მას; თვისი ბიწიერი მიდრეკილებანი მას მუდმივ თვალწინ უნდა ჰქონდეს დაყენებული და ყოველთვის, როცა კი ისინი თავს იჩენენ, მოითხოვენ დაკმაყოფილებას, უნდა შეებრძოლოს მათ და უკუაქციოს ისინი. თუ მან გამუდმებით ბრძოლა იქონია იმათთან, მაშინ ისინი შესუსტდებიან და ბოლოს აღმოიფხვრებიან. ბრძოლა ცოდვით სურვილებთან ძლიერ ძნელია, ამისთვის დიდი მოთმინება, ენერგია და გამჭირაობა საჭირო. კაცი ამ ბრძოლაში ბევრჯერ დამარცხდება, ბევრს მწუხარებას გამოივლის, გარნა იმედი არ უნდა დაჰკარგოს და არ უნდა აიღოს ხელი მასზე — ბრძოლაზე. თვით გასწორება, ბრძოლა ცოდვით სურვილებთან ძლიერ ძნელია ვაკაცობაში; იგი უფრო ადვილია ყმაწვილობაში, როცა სულიერნი ძალები ჯერეთ არ არიან გამტკიცებულნი ბოროტებაში და, მამასადამე, მათი მიდრეკა კეთილისადმი ადვილია. ამიტომ ადამიანმა თვისის თავის გასწორება სიყმაწვილეშივე უნდა დაიწყოს. თვის ბოროტ მიდრეკილებების მოსპობასთან ერთად კაცმა უნდა განავითაროს, განაძლიეროს ის კეთილი თვისებები, რომელნიც მას თანდაყოლილი აქვს, და კიდევ, უნდა შეიძინოს ის ღირსებანი, რომელიც მას არა აქვს, მაგრამ რომელთა შექმნასაც ითხოვს მაცხოვრის სწავლა. განსაკუთრებით მან უნდა აღანთოს თვის გულში სიყვარული მოყვასთადმი, რადგან იგი არის დედა ყოველთა სათნობათა, ნიშანი, ძალა ქრისტეანობისა. როცა კაცი თვით-გასწორების და თვით-სრულყოფის საქმეს შეუდგება, მაშინ მას ღმერთი მოანიჭებს თვისს მადლს; და ის აღივსება ზეციურის სიტკობითა და კმაყოფილებითა. ამ ღვთაებრივის ძალით განმხნელებული და წაქეზებული კაცი უფრო და უფრო მედგრად ეომება თვისს ცოდვითს მოთხოვნილებებს და უფრო მომტკბულ ძალას გამოიჩენს კეთილმოქმედებაში. თუ განაგრძო კაცმა ცხოვრება ღვთის ნებისამებრ, მაშინ მას უკვე მინიჭებული მადლი უფრო გაუცხოველდება, გაუღვივდება და იგი გარემოიცვება ღრმა, შეუწყველი სიხარულითა. ამგვარად, კაცი მომტკბედი სინდისისა და სახარებისამებრ, სულიერად მადლდება, სპეტაკდება, უერთდება უფალსა და ამით იწყებს ნამდვილს, წესიერს, საღს ცხოვრებას, ე.ი. ისეთ ცხოვრებას, რომელიც მისთვის დადებულია, ნაჩვენებია ღვთისაგან; და იმის არსებაში მყარდება მშვიდობა და სიხარული, იგი ხდება უვნებელი

სოფლიურ მწუხარებათაგან, იმის კმაყოფილება დაურღვეველია.

2) მეორე თხოვაში ვლოცულობთ მთელი სოფლის, ანუ ქვეყნის მშვიდობისათვის, წმ. ეკლესიათა კეთილმდგომარეობისათვის და ყოველთა ქრისტიანეთა შორის დამყარებისათვის ერთობისა, ანუ მჭიდრო ზნეობრივი კავშირისა, სიყვარულისა, კეთილგანწყობისა.

3) მესამე თხოვაში ვლოცულობთ სალოცავ სახლისათვის და მასში მლოცველთათვის.

4) მეოთხე თხოვაში ვლოცულობთ უმაღლეს სასულიერო მთავრობისათვის: მმართველ სინოდისათვის, ანუ ეპისკოპოსთა კრებისათვის; კიდევ ვლოცულობთ მღვდელთა, დიაკონთა, ეკლესიის ყველა მსახურთა და მათი მრევლისათვის.

5) მეხუთე თხოვაში ვლოცულობთ საერო მთავრობისათვის: ხელმწიფისა და მთელი სამეფო სახლისათვის, პალატისათვის, ე.ი. უმაღლეს მსახურთა პირთათვის და მხედართათვის, ანუ ჯარისკაცთათვის.

6) მეექვსე თხოვაში ვლოცულობთ, რომ დაცულ იქნეს სახელმწიფოში მშვიდობა და წესიერება, შინაურ მბრძოლეთაგან, ანუ მეამბოხეთაგან, და გარეშე მტერთაგან, უცხო ხალხთაგან.

7) მეშვიდე თხოვაში ვლოცულობთ ყველა ქალაქისა და სოფლისათვის და მათ შინა მორწმუნე მცხოვრებელთათვის.

ყოველ ადამიანს სწყურია ბედნიერება, სურს იყოს მუდამ კმაყოფილი, მხიარული და გამოსცადოს, რაც შეიძლება, ცოტა მწუხარება და უბედურება. კაცი შესდგება სულისა და სხეულისაგან; ამის გამო იგი ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებული არიან იმისი როგორც სულიერნი მოთხოვნებიანი, აგრეთვე ხორციელნიცა. იმის სრულ ბედნიერებისათვის საჭიროა, რომ იგი იმყოფებოდეს იმისთანა პირობებში, რომელნიც მისი სხეულის კეთილმდგომარეობას ხელს უწყობენ; ხოლო ისეთი მოვლენანი კი, რომელნიც იმის სხეულს ვნებენ, უკარგავენ ძალას, ასუსტებენ, იმისგან გაშორებულნი უნდა იყვნენ, ღმერთმა კაცი შექმნა როგორც სულიერ, ისე ხორციელ, ქვეყნიურ ბედნიერებისათვის. იმან პირველნი კაცნი მშვენიერ ბაღში დაასახლა, საზრდოდ მრავალნი, სხვადასხვაგვარი ნაყოფნი მისცა და ყოველნი ცხოველნი დაუმორჩილა. ამის გარდა, ადამიანის შინაგან ზნეობრივ ცხოვრებასა და გარეგან ხორციელ ცხოვრებას შორის ურთიერთობა და დამოკიდებულებაა. ხორციელ, ქვეყნიურ ცხოვრების მოვლენათ კაცის სულის მდგომარეობაზე დიდი ზედავლენა აქვთ. შიმშილი, წყურვილი, ავადმყოფობა, მწუხარება, შევიწროება, დევნას კაცთაგან ცუდი ზემოქმედება აქვთ ადამიანზე, ხალისს უკარგავენ მას, მისწრაფებას კეთილმოქმედებისადმი უსშვენ, ძალ-ღონეს ართმევენ და აბრკოლებენ ზნეობრივ ცხოვრებაში. კაცს დიდი სიმტკიცე უნდა აქონდეს, რომ გაჭირვებას გაუმარდდეს, უძლეველი დარჩეს, სულით არ დაეცეს და სულიერ ცხოვრებაში წინამატების მოპოება შეძლოს. საერთოდ კი ასეა, რომ თუ კაცი გარემოცულია მწუხარებით, იგი უძლურდება

და ბრკოლდება ზნეობრივ ცხოვრებაშია — და აი, ჩვენ დიდი კვერქის თხოვნებში ღმერთსა ვსთხოვთ ყოველი ქვეყნიური მწუხარება — გაჭირვება ავადმყოფობა და ნუ შეგვიყვანს განსაცდელში, გვიხსნას ბოროტისაგან.

8) „კეთილ შეზავებისათვის ჰაერთასა, კეთილგამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყნისათა და ჟამთა მშვიდობისათვის უვლისა მიმართ ვილოცოთ“.

აქ ვითხოვთ იმას, რაზედაც დამოკიდებულია კეთილმდგომარეობა სხეულისა, ე.ი. კეთილ-შეზავებასა პურთასა და კეთილ-გამოღებასა ნაყოფთა ქვეყნისათა. კეთილშეზავება ჰაერთა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გარემოცულნი ვიყვნეთ ჰაერის ისეთ მოვლენათა მიერ, რომელნიც ჩვენთვის სასიკეთონი არიან, ე.ი. იყოს თავთავის დროზედ ზომიერი სითბო, სიგრილე, წვიმა, ნიავი, ქარი, თვით ჰაერი იყოს სუფთა, საღი. ხოლო ბუნების მრისხანე მოვლენანი კი, მაგალითად, მომეტებული სიცხე, სიცივე, ქარიშხალი, ნიაღვარი, სენის გავრცელება ჰაერში და სხვანი, რომელნიც ჩვენთვის მავნებელნი არიან, განშორებულნი უნდა იყვნენ ჩვენგან. ნაყოფის გამოღება არის ის, რომ იყოს საკმაო მოსავალი საჭირო მასაზრდოებელ ნაყოფთა. ყოველივე ამას ვითხოვთ, რათა ქვეყანაზედ სუფევდეს ჟამთა მშვიდობა, ანუ მშვიდობიანობა, რომ ჩვენ თავისუფალნი ვიყვნეთ მწვავის და სულის დამამძიმებელ ზრუნვისაგან ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და მთელი ჩვენი ყურადღება და ძალ-ღონე მივაქციოთ ზნეობრივ განვითარებას და სულიერი ბედნიერების მოპოვებას.

9) „მენავეთა, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის უვლისა მიმართ ვილოცოთ“.

ამ თხოვნაში ღმერთს ვვედრებით შევიწოთ, დახმარება აღმოუჩინოს ადამიანს სხვადასხვაგვარ გასაჭირ მდგომარეობაში, მაგ. ზღვაზე და ხმელეთზე მოგზაურობაში, ავადმყოფობაში, უზომო შრომაში და ტყვეობაში. ამ თხოვნის თქმის დროს უნდა წარმოვიდგინოთ მრავალგვარ შიშა, მწუხარებასა და გაჭირვებაში მყოფნი ადამიანნი. რამდენი ადამიანი მოგზაურობს ზღვაზე და ხმელეთზე და რამდენ საუბედურო შემთხვევითაა გარემოცული იმათი მოგზაურობა! რამდენ იმათგანს მოელის უდროოდ წუთისოფლის გამოსაღება, ანუ ჯანმრთელობის დაკარგვა, დასახიჩრება, და ამ გარემოებას რამდენი ცუდი შედეგი მოჰყვება ხოლმე! რამდენ ადამიანს ააცრემლებს იგი და ბედნიერებას მოუსპობს! — და ამ დროს კი ჩვენ მოსვენებულნი ვართ თავთავიანთ სახლში, არავითარი შიში არა გვაქვს. რამდენი კაცია შეპყრობილი უოჯალის გვარის სნეულებებითა! მოკლებულნი არიან ისინი ამ ბედნიერებას, რომლის მოპოვება შეადგენს კაცის კანონიერ სურვილს და რომელიც ადამიანს სულიერად აღაფრთოვანებს, ზნეობრივად აღამაღლებს და ღვთიანადმი აღიყვანს. საბრალონი მუდამ ერთ ალაგას, ოთახში, მძიმე, დახშულ ჰაერში იმყოფებიან; თვის გარშემო მხოლოდ წამლებს ხედვენ და აუტანელ ტკივილებს ითმენენ. — ამ დროს კი ჩვენ ჯანმრთელად ვართ და შეძლება გვაქვს ამ სოფლის სიამე გამოვცა-

დღით. რამდენი ადამიანი იბულებული ლუკმა-პურის შოვისსათვის, თვისის თავის შენახვისათვის, ოჯახის რჩენისათვის უზომო, შეუწყვეტელ შრომაში იცხოვროს შეხუთულ, მოწამლულ ჰაერში, მთელი თვისი ძალ-ღონე შეაღიოს ამა თუ იმ საძინელო საქმის კეთებას! რამდენი მოხუცებულია ისეთი, რომელიც თვისის მიმქრალის ძალ-ღონით ეტანება დიდ ჯაფას, ხელს არ აჩერებს, წვალობს სულის განტევაბამდე! სამართალი კი მოითხოვს, რომ იგი მოსვენებული იყოს და სხვანი ემსახურებოდნენ. რამდენი ყმაწვილი ჰკარგავს თვისის მომეტებულის შრომით თვის ძალ-ღონეს, სიცოცხლეს, სიღამაზეს, ტყდება, უდროოდ ხუცდება და სამარეში ჩადის! რამდენი ადამიანი თრთის სიცივისაგან, წვალობს შიმშილისა გამო! — და ამ დროს კი, ჩვენ გვაქვს საკმაო საზრდო, ხანდისხან მომეტებულის, თუმცა უზომო შრომას არ ვეწვევით. რამდენი ადამიანი მოკლებული თავისუფლებას, ამ დაუფასებელ საუნჯეს, დამწყვედულია ოთხკედელს შუა მყარალ ჰაერში! ვერ სჭვრეტენ ივინი ვარსკვლავებით მოჭედლი ცას, ვერ ხედვენ გამაცოცხლებელ, გამამხიარულებელ მზეს; იტანჯებიან სულითა და ხორცით, დაშორებულნი არიან თვის ნათესავებს, ნაცნობებს. აი, ამ ზემოსხენებულ გარემოებებში მყოფნი უნდა წარმოვიდგინოთ და ღმერთს შევეკედროთ, მოწყალებით მოხედოს მათ, გასაჭირისაგან იხსნას და მოანიჭოს ცხოვრება, ანუ ცხოვნება, რომელსაც თან მოსდევს ტანჯვა-წვალებათაგან ხსნაც.

10) „ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

ღმერთსა ვსთხოვთ დაგვიფაროს: 1) ჭირისაგან — ყოველივე იმისაგან, რაც წარმოშობს ჩვენში მწუხარებას, რომელიც გვისშობს კეთილ სურვილს, გვაბრკოლებს ხელობრივ ცხოვრებაში; 2) რისხვისაგან — ყოველივე იმისაგან, რაც განგვარისხებს, გავგაბოროტებს, აღგვაშფოთებს, რადგანაც ასეთი მდგომარეობა დიდად საშიშია იმით, რომ იმაში მყოფი ადამიანი უფრო მეტს ბოროტებას იქმს; 3) და იწროებისაგან, ე.ი. ისეთი მდგომარეობისაგან, როცა კაცს რამე უჭირს, როცა რამე აუცილებლად საჭირო აკლია, და მუდამ მასზე ფიქრობს, და შთანთქმული ზრუნვითა მის მოპოებაზე, გულმოდგინედ ვერ ეპყრობა თვის სულის განათლიერების საქმეს.

11) „შეგვიწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიფარენ ჩვენ, ღმერთო, შენითა მადლითა“.

ეს თხოვნა თვის შორის შეიცავს მოკლე შინაარსს ყველა ზემოაღნიშნულ თხოვნათა. უმთავრესი საგნები ამ თხოვნებისა არის: პირველად, ცხოვრება, ე.ი. ღმერთთან მჭიდროდ დაკავშირება და ამით სულიერი ბედნიერების მოპოება, მეორედ, გარეგანი, ქვეყნიური კეთილდღეობა, ხსნა ყოველი მწუხარებისა და ვევედურებისაგან. ამით ვითხოვთ ხოლმე ღვთისაგან და ვევედრებით მას შეგვიწყლოს — მოგვხედოს, დაგვეხმაროს, რადგან არ ძალგვიძს მხოლოდ თვისის ბუნებრივის ძალით თავი ვიცხოვნოთ, თვისის მოწყალეობით გვაცხოვნოს ვითხოვთ კიდევ, შეგვიწყალოს, შეგვიბრალოს, და ყველა ცუდ, უბედურ მდგომარეობისგან დაგვიფაროს. თუმც ჩვენ იმის შეწვევის ღირსნი არა ვართ, მაგრამ მაინც მან

ჩვენი უძლურება, უღირსობა თვისის განუზომელი-კაცთმოყვარეობით, თვისის მადლით დაუფაროს. ადამიანის ბუნება იმდენად დაცემულია, ცოდვებით დაწყულულებულია, იმისნი სულიერი ძალნი იმდენად დასუსტებულნი არიან, ბოროტება იმის ძეაღსა და რბილში იმდენად გამჯდარია, რომ მას არ შეუძლია თავისთავად, თვისის ძალ-ღონით შეებრძლოს თვისის ბიწიერ მიდრეკილებათ, ცოდვით სურვილებს, განაძეოს ივინი თვის სულისაგან და ადგილი მისცეს მასში სახარებისმიერ ცხოვრებას. აქ იმისთვის აუცილებლად საჭიროა დახმარება ყოველად სახიერ და ყოვლის შემძლებელ ღვთისაგან. და თუ ზეციერმა მამამ მოხედა უბადრუკს ადამიანს, მსურველს მისდამი ზეადსვლისა, მასთან შეერთებისა, და მოანიჭა მას თვისი ღვთაებრივი ძალა, მაშინ ეს ძალა იმის ბუნებრივით ლტოლვილებას ეხმარება, აღვიძებს, აცხოველებს, აძლიერებს, და ასე, შეერთებულის მიქმედებით მეფობა ბოროტებისა იმის ბუნებაში ორღვევა, ცოდვითი მოთხოვნილებანი ჰქრებიან და მაღალი წმიდა ცხოვრება მყარდება. რამდენადაც კაცი პასუხს აძლევს იმ მონიჭებულ ძალას, ემორჩილება და მისდევს იმის ჩვენებას, იმდენად ეგე ღვთაებრივი ძალა მასში უფრო და უფრო ღვივდება, მეტ მოქმედებას იჩენს და იმის სულს უფრო და უფრო ანათლიერებს, სრულყოფს და ავსებს მომეტებული სიხარულითა და სიტკბოებით, ნეტარებით მოსავს. ოხ, რა ბედნიერია ის კაცი, რომელშიაც ეს ღვთაებრივი ძალა სუფევს და მოქმედებს! აი, ამ მადლის ბოძებას ღვთისაგან ვითხოვთ მეთერთმეტე თხოვნაში.

12) „ყოველად წმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დედოფლისა ჩვენისა, ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთი ერთარს და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესსა ღმერთსა ჩვენსა შევედროთ“.

ლოცვაში მოვიხსენიებთ, მოვუწოდებთ ხოლმე ყოველად წმიდა ღვთისმშობელს მარიამს და ყოველთა წმიდათა, რათა მათ შეავდრონ ჩვენი თავი უფალს, დაგვეხმარონ ცხოველმყოფელის მადლის მოპოებაში, სულიერ მოთხოვნილებათა და კანონიერ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. ეს შეწვევა წმიდანების ზეციერ მამისაგან წყალობის მოღებაში ისე კი არ უნდა გვესმოდეს, ვითომც ისინი თვისის ვედრებით მოალობენ უფლის გულსა, მოწყალეობას მოანიჭებენ კაცისათვის, სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყანაში ხდება შუამდგომლობა კაცთა შორის, როცა რომელიმე პირი ვისიმეს თხოვნით ეწევა სხვასა. არა, ასეთი მოქმედება ყოველად წმიდა, ყოველად სახიერ ღმერთს არ შეეწენის. იმას ყოველი ადამიანი ერთნაირად უყვარს; ის არავის არ არჩევს; იგი მუდამ მზად არის დაუახლოვდეს ადამიანს, თუკი მან ისურვა დახმარება წმიდანისა ანაირად უნდა გვესმოდეს: წმიდანებს ჩვენ ვითხოვთ იქნონ ჩვენთან მჭიდრო კავშირი, შეგვიყვარონ, რათა მათის სიხალღოვით გაციებულნი გული გაგვიბოძოს, ცოდვებით დამძიმებული სული აღგვიფრთოვანდეს და ჩვენს ლოცვას ღვთისადმი მეტი

ძალა მიეცეს, ჩვენმა ლტოლვამ უფლისადმი მომეტებული სიტყვით იქონიოს. თუ როგორ შეუძლიათ წმიდანებს ასეთი ზეგავლენა ჩვენზე, ამას ადვილად შევიგნებთ, თუ წარმოვიდგინებთ შემდეგ მაგალითებს. სულს სულზე დიდი ზეგავლენა აქვს. ავიღოთ ყმაწვილი — მოსწავლე. თუ იგი ხედავს, რომ მშობლებს, მასწავლებლებს და უფროსებს ის მხურვალედ უყვართ, ძლიერ მოწადინებული არიან, რომ მან ჯეროვანი სწავლა-განათლება მიიღოს, ცდილობენ ხელი შეუწყონ იმის განვითარებას, — მაშინ იგი ხალისდება, ქებდება, სურვილი სწავლის შეტენის უძლიერდება, მეტს გულისხმობს იმის, მომეტებულის ძალით შრომობს და ამიტომაც სწავლის შეტენაშიც წარმატება აქვს. ან კიდევ, წარმოვიდგინოთ ორი ყმაწვილი, ერთი მათგანი ნიჭიერი და ბეჯითია, თანაც წყნარია, კარგის ყოფაქცევისა; მეორე კი — ცელქი და ხარმაცია. თუ ესენი ერთიმეორეს დაუშანაგდნენ, დაუმეგობრდნენ, მაშინ პირველი მეორეზე კეთილ გავლენას იჩენს, მასში ცვლილებას ახდენს და უკანასკნელი კარგ ყოფაქცევას ითვისებს და სწავლას მუყაითად ეკიდება. ამნაირადვე ხდება წმიდანებსა და ადამიანებს შორის. წმიდანები — ღვთ.ე.შემოხილნი, ნათელ-მოცულნი, ღვთაებრივის მადლით აღსავსენი სულნი — ამ ქვეყანასთან კავშირს არ სწყვეტენ; მუდამ სჭვრეტენ ამ წუთისოფელში მყოფ ადამიანებს, ხედვენ მათ მოთხოვნილებათა, მათ საჭიროებათა, და როგორც უღრმესის და უცხოველესის სიყვარულის მქონენი, მონდომებულნი არიან, რითაც კი შეუძლიათ, დაეხმარონ საწყალ კაცს და სურთ ყოველი ადამიანი დადგეს ღვთისადმი და ნამდვილი ბედნიერებისადმი მიმყვანელ გზაზე. და თუ რომელსამე ადამიანსა და წმიდანს შუა ცხოველი კავშირი დამყარდა, მაშინ პირველი იგრძნობს წმიდათა სიახლოვეს, იმათ სიყვარულს, იგრძნობს აგრეთვე, რომ ისინი მსურველნი არიან მისი გაბედნიერებისა და ამ თვის სურვილს ღვთისადმი ლოცვაში ცხადყოფენ; და აი, ყოველივე ამის სულიერად მხედველი ადამიანი ხალისდება, ფრთოვანდება და ხნობრივად მძლავრდება. უპირველესად, ლოცვაში ყოველად წმადა ღვთისმშობელს მოუწოდებთ, რადგან იგი ყველა წმიდანზე უფრო აღმატებულია სიწმიდითა, უხრწნელებითა, ანუ უმანკობითა, უბიწოებითა, არის მშობელი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი იმის კაცობრივის ბუნების მხრივ და ამის გამო ღმერთთან ყველაზე უფრო დაახლოვებულია კაცობრიობაში. იგი უპირველესია და ამიტომ უფრო მომეტებულად იკურთხევის — იქებ-იღილებს. მოუწოდებთ რა ყოველთა წმიდათა, ვაცდრებთ ჩვენს თავს, მთელს ჩვენს სიცოცხლეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესსა, რომელთან დაკავშირება იგივე ღმერთთან დაკავშირებაა, და რომელიც ადამიანს სრულ კმაყოფილებას და ნეტარებას ანიჭებს.

დიდი კვერქისის გათავების შემდეგ მღვდელი იტყვის შემდეგ სიტყვებს: „რამეთუ შენის შენდა ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.“ ამ წარმოთქმას ასამაღლებელს უწოდებენ,

რადგან მღვდელი ხსენებულ სიტყვებს ხმადაღლა, ხალხის გასაგონად ამბობს. ასამაღლებელს უწოდებენ გასარჩევად იმ ლოცვებისაგან, რომელთაც მღვდელი ჩემად, თავისთვის კითხულობს. ამ სიტყვებით მღვდელი უფალსა სთხოვს ყოველივე ნათხოვარი ზემოაღნიშნულ კვერქსში აღგვისრულოს, რადგან იგი არის ყოველად სახიერი, ანუ კეთილ მოწყალე და ყოვლის შემძლებელი. და ამ უხვ მოწყალებისათვის მას შეენის, შეფერის დიდება, ქება, პატივი და თაყვანისცემა სამუდამოდ, დაუსრულებლად. ამ ასამაღლებელის შემდეგ მაგლობელნი, ანუ მღვდელთა იტყვის: „ამინ“, რომლითაც იხატება სურვილი, რომ ნამდვილად ასრულდეს ის, რასაც ღვთისაგან ვითხოვთ.

დიდი კვერქისის ყოველ წარმოთქმასე მაგლობელნი გალობენ: უფალო შეგვიწყალენ.

მოკლეა ეს ლოცვა, მაგრამ იგი თვისის შინაარსით ძლიერ ღრმა და მრავალმნიშვნელოვანია, მასში კაცის მრავალგვარანი საჭიროებანი გამოიხატებიან.

უფალო, შეგვიწყალენ! — უფალო, მოგვხედე, შეგვიბრალე, დაგვეხმარე, შეგვევიე!

უფალო შეგვიწყალენ! — უფალო, თუმცა მთელი ჩვენი ცხოვრება ცოდვითა, ყოველი ჩვენი შინაგანი, სულიერი მოძრაობა და გარეგანი მოქმედება ბიწიერია და ამის გამო შენის მოწყალების ღირსნი არა ვართ, — გარნა, სულგრძელო და მრავალმოწყალო, ნუ განგვირისხდება, ნუ განგვეშორები, ნუ მოგვაკლებ შენს განსაკუთრებულს მფარველობას, შენს მამობრივ მზრუნველობას, დაფარენ ცოდვანი ჩვენი შენის განუსაზღვრელის სიყვარულითა, მოგვიტევენ შეცოდებანი, აღგვისრულენ თხოვნანი ჩვენი, გვისხენ წვალებათაგან, როგორც ამა ცხოვრებაში, ისე საუკუნისაშიაც! უფალო, შეგვიწყალენ! აურაცხელი ცოდვითი ვნება-მიდრკილებანი, წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, გვფლობენ, გვებრძვიან, გვძლევენ, ბუნებას გვიწყობენ, გვამახინჯებენ, გვოკარგავენ შენს ხატებ-მგზავსებასა, გვადევნებენ, გვაშფოთებენ; ვიქმთ არა იმას, რაიცა გვენებავს, არამედ მას, რაც არა გვსურს; ძალაუნებურად ვასრულებთ არა კეთილ-განზრახულებასა, არამედ ბიწიერ მოთხოვნილებასა. და ეს უთანხმოება ჩვენს სურვილსა და მოქმედებას შუა წარმოშობს ჩვენში დიდს მწუხარებას, ტანჯვა-წვალებას. ღმერთო, ყოველად სახიერო! მოხხედე ჩვენს უძლურებას, ჩვენს გაჭირვებას, მოგვეც შეძლება გეომოთ და ვსძლიოთ ჩვენს ბუნებაში გამეფებულ ბოროტებას, მოგვანიჭე ძალა შევებრძოლოთ და უკუაქციოთ ყოველი ცოდვითი სურვილი და მიგსცეთ ადგილი კეთილს წადილსა, ცხადეჰყოთ და განვაძლიოთ მნებელობა ჩვენი მხოლოდ კეთილ მოქმედებაში და მით განვთავისუფლდეთ ცოდვებისაგან წარმოძინარე წვალებათაგან.

უფალო, შეგვიწყალენ! — უფალო! შენ ხარ ერთადერთი წყარო ჭეშმარიტის ბედნიერებისა; შენ ხარ მომცემი სრულის სულიერის კმაყოფილებისა; გარეშე შენსა არა არს ნამდვილი და მუდმივი მშვიდობა და სიხარული. ნეტარ არს ის, ვინც შენ გაახლოვდება, გიერთდება, ვინც წვრთნის თვისს თავსა, ისისხლ-

ხორცებს სათნობათა. მას შენ ანიჭებ შენს ცხოველსმყოფელ მადლსა, მას შენ ადავსებ ზეცოურის სიტკბოებითა. ღმერთო — სიყვარულო განუზომელო, საუნჯეო კეთილთაო! გვწყალობდე ჩვენცა, სულით ღატაკთა. მოგვეც ძალა აღვადგინოთ დაცემული ბუნება ჩვენი, აღმოგვიყვანენ ბოროტების უფსკრულისაგან, აღვგამაღლე, ღირს გეყავ შენთან განუწყვეტელ მჭიდრო კავშირისა, მოგვფინე ნათელი შენი, აღგვიჩქუფე გულში ნაკადული დაუშრეტელის ნეტარებისა.

უფალო შეგვიწყალებ! — მრავალნი ჭირნი და საღმობანი გარემოგვიცვენ ჩვენ; გარს გვახვევიან უთვალავნი მწუხარება-წვალებანი კაცთაგან, ბუნების მრისხანე და მავნებელ მოვლენათაგანაც და თვით ჩვენის დასუსტებული, განხრწნილის სხეულისაგანაც. მუდამ ზრუნვა თვითარსებობაზე, მუდამ ფიქრი თავისთავის დაცვაზე, მუდამ მღვლეარება და შუთით, მუდამ შიში და ძრწოლა — აი, ჩვენი ცხოვრება! ზრუნვანი ესე ქვეყნიერნი იპყრობენ მოელს ჩვენს ყურადღებას, ატყვევებენ მოელს ჩვენს არსებას, გვაშორებენ სურვილს შენთან შეერთებისას, გვიკარგავენ ყოველივე ხალისს, გვაღონებენ, გვამწუხრებენ, უნუგეშგეყოფენ. ღმერთო, ყოვლად ძლიერო! მოგვხედე გაჭირვებულთა, შეგვიმსუბუქე შევიწროებული ყოფა-მდგომარეობა, შეგვიმცირე ტანჯვანი, გვისხინე-გვილხინე, რათა ცხოვრების უღლის სიმძიმისა გამო სულით არ დავეცეთ და ადამიანური ღირსება სულერთიანად არ დავკარგოთ.

დიდი კვერქისი შემდეგ მგალობელთა გუნდი გალობს: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზა ცოდვილთა წარწყმდეს“... და სხვა. ეს სიტყვები ამოკრებილია პირველ, მეორე და მესამე ფსალმუნებიდან. ფსალმუნებად იწოდება ისეთი საღმრთო ნაწერები, რომელშიც გამოხატულია ადამიანის სულის მდგომარეობანი ამა თუ იმ გარემოებაში: ჭხარული და მწუხარება, თხოვა-ვედრება და ღვთის ქება-დიდება, რომელთაც ებრაელები ღვთისმსახურების დროს გალობდნენ საკრავ იარაღებზე დაკრასთან ერთად. ფსალმუნები, რიცხვით 150, შეადგენენ ერთს წიგნს, რომელიც იწოდება დავითნად. ეს წიგნი იწოდება ამ სახელით იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი ფსალმუნებისა ებრაელთა მეფის დავითის მიერაა შედგენილი. დავითნი ჩვენს ეკლესიაში დიდ ხმარებაშია; იგი ყოველ კვირაში — შვიდეულებში — თითოჯერ წაიკითხება, ხოლო დიდ მარხვაში — კვირაში ორჯერ.

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა“. ნეტარ არს — ბედნიერია; ზრახვა — ფიქრი, აზრი, გულითადი სურვილი; უღმრთონი, წარმართნი — კაცნი, რომელნიც წარემართნენ ღვთისაგან, განშორდნენ მას და იქცვიან არა ისე, როგორც უფალმან მათ ვალად დაუდგინა, არამედ ნებისაებრ თვისისა, ბოროტად ცხოვრობენ. ფსალმუნთა მგალობელის სიტყვისამებრ, ნეტარ არს ის ადამიანი, რომელიც არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, ე.ი. რომელიც თავის გულში წარმართულ, ბიწიერ, ღვთის მიერ დაშლილ ფიქრს, სურვილს არ გაიტარებს, რომელიც ბოროტ

კაცების ცუდ მაგალითს, რჩევა-დარიგებას არ მისდევს, რომელიც კეთილ ცხოვრებაში, ღვთის ნების აღსრულებაში მტკიცე და შეუწყვეელია. ამგვარი ადამიანი ბედნიერია იმიტომ, რომ მასთან სუფევს ღმერთი, და ამით იგი მშვიდობასა და სიხარულს პოულობს. თუ ვინცოცაა მან ამ ქვეყანაში ვერ დაიმკვიდრა სრული მშვიდობა შევება, მაგიერად იგი მომავალ საუკუნო ცხოვრებაში ცხადად და სავსებით იხილავს ღვთაებრივ სიტკბოებას.

და გზა ცოდვილთა წარწყმდეს. — ის ადამიანი, რომელიც ბოროტების გზაზე მსვლელობს, რომელიც ღვთის მცნებას არღვევს, რომელიც სათნოებებით კი ვერ იპყობს თავის თავს, არამედ ბოროტ თვისებებს იძენს, — წარწყმდება, გაუბედურდება. თუ როგორმე ამისთანა კაცმა ამ სოფელში ვერ შეიგნო თვისი სულიერი სიღატაკე, ვერ იგრძნო თვისი დაცემულობა, მომავალ ცხოვრებაში მაინც მას არ აცილდება ტანჯვა-წვალება; მას თვალწინ ცოცხლად გადაეშლება ბოროტებაში, სიაკვაცობაში განვლილი ცხოვრება-თვისი და ყოველ ცოდვის მოგონებაზე მასში უსახლგრო მწუხარება წარმოიშობა, და მისი ხვედრი იქნება მუდმივი გლოვა-გოდება ქვეყანაზე არსებობის დროს ბოროტებაში გატარებული ცხოვრების გამო. საშინელია ასეთი ყოფა! მუდამ ცოდვების წარმოდგენა და მუდამ კენესა-მოთქმა!

მონებდით უფალსა შიშით, — რათა ადამიანი საუკუნო წარწყმედას, საუკუნო ტანჯვა-წვალებას აშორდეს, რათა იგი გახდეს საუკუნოდ ბედნიერი, ამისთვის იგი უფალს უნდა მონებდეს, ანუ ემსახურებოდეს, ე.ი. ღვთის ნებას უნდა ასრულებდეს, უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც უფალმან განუწესა მას, უნდა იქცეოდეს შინაგანის ზნეობრივის კანონის, ანუ სინდისისა და გარეგანის წერილობითის კანონის, ანუ წმ. განცხადებისამებრ, თანახმად სახარებისა. იგი კეთილს უნდა იქმოდეს — და ამით, ე.ი. წმიდა ცხოვრებით ღმერთს უნდა აქებ-ადიდებდეს. ამისთანა კაცი უფალს უნდა მონებდეს, ემსახურებოდეს შიშით. მას წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს, რომ ღმერთი უმაღლესი, განუსაზღვრელი, მიუწვდომელი არსებაა, რომ იგი ყოველისავე დამბადებელ-შემქმნელია, და ამასთან, ის ღვთისადმი კრძალვა-მორიდებას უნდა გრძნობდეს და უნდა სცდილობდეს არ განარისხოს იგი თვისის ცუდის ყოფაქცევითა. ადამიანს ღვთისადმი უნდა ჰქონდეს არა დამამცირებელი, სულის-შემწუთველი მონური შიში, არამედ ისეთი შიში, როგორსაც გრძნობს კეთილგონიერი შვილი თვის მშობლებისადმი, — შიშსა სიყვარულით შეზავებულსა, ე.ი. კრძალვა-მორიდებასა.

და უგალობდით მას ძრწოლით. — საეკლესიო ენაზე გალობა ნიშნავს სიტყვით გამოხატვას სულიერის სიხარულისა. ამგვარად, უგალობდით იგივე იხარებდითა.

იმ ადამიანს, რომელიც კეთილ ცხოვრების უმაღლეს ხარისხამდე მიაღწევს, ღმერთთან შეერთების ღირსი გახდება, ცხოველ-მყოფელ მადლს მიიღებს, სულიერ კმაყოფილებასა და სიხარულს მოიპოვებს — დიდი სიფრთხილე მართებს. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ

ღმერთი რამდენადაც სახიერია, იმდენადაც უუღიდესია, რომ კაცი, რაც უნდა იგი ზნეობრივად ამაღლებული იყოს, მანაც ღვთის წინაშე არარაი არს. ადამიანი, თუ მას რაიმე კეთილი აქვს, იძენს მას არა თვისი შეძლებითა, არამედ მხოლოდ ღვთის სახიერებითა, ღვთის შეწვევითა, და ამიტომ იგი ღვთის წინაშე არ უნდა გაკადნიერდეს, არ უნდა გათამამდეს, თვისი თავი ღირსეულად არ უნდა ჩათვალოს. პირიქით, თვისს თავს უღირსად უნდა რაცხდეს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასში დაისადგურებს ამპარტავნება, რასაც მყისვე თან მოჰყვება ღვთისაგან განშორება და მით სიწმიდისა და ბედნიერების დაკარგვა.

ნეტარ არიან ყოველნი, რომელნი ესვენ უფალსა. — ბედნიერნი არიან ისინი, რომელნიც ესვენ უფალს, რომელთაც სრული იმედი აქვთ ღვთისა, რომელნიც მუდამ, ყოველ გარემოებაში ღვთის სახელს ასხენებენ, ღმერთზე ფიქრობენ და უიჭვენეულოდ, შეურყეველად დარწმუნებული არიან, რომ იგი მათ კეთილს მიაგებს, თვის სიყვარულის სხივებს მიჰყვებს და სამუდამოდ ნეტარ-ჰყოფს. ნეტარ არიან ასეთნი პირნი, იმიტომ რომ, იმათ იმედი აუსრულდებათ თუ ამ სოფელში არა, საუკუნო ცხოვრებაში მაინც.

აღსდევ უფალო, მაცხოვრე, ღმერთო ჩემო! — აღსდევ: ინებე, ისურვე, კეთილ ინებე, უფალო, და შემადლებინე გამსახურო მხოლოდ შენ, ყოველი ჩემი იმედი დავამყარო მარტო შენზე, ვეომო და ვსძლიო ბოროტებას, განვაკარგო, განვაუმჯობესო ჩემი ბუნება და მით შენ შემოგიერთდე და ვცხოვრდე, განვთავისუფლდე ტანჯვა-წვალებისაგან, მოვიპოვო სრული კმაყოფილება და სიხარული.

უფლისა არს ცხოვრება და ერსა შენსა ზედა კურთხევა. — ცხოვრებასა და კურთხევას ვითხოვთ უფლისაგან, იმიტომ რომ, ჩვენ არ ძალგვიძს მხოლოდ ჩვენისავე ძალით და მოქმედებით ვიცხოვროთ თავი, ბედნიერ ვიქმნეთ. ცხოვრება ღმერთზეა დამოკიდებული, მის შეუწვეველად ცხოვრება შეუძლებელია.

„ნეტარ არიან-ის“ შედეგ მთავარ-დიაკონი იტყვის კერედ წოდებულს მცირე კვერქს. კვერქსი ესე იწოდება მცირედ შედარებით დიდ კვერქსთან; იგი მხოლოდ სამის თხოვნისაგან შესდგება. ეს თხოვნები ამოღებულია დიდის კვერქსიდან. ამ კვერქსის შემდგომ მგალობელნი გალობენ: „უფალო, ღაღად ვყავ შენდამი“... — 104-ე ფსალმუნიდან. „ღაღადვყავ“ ნიშნავს — ხმამაღლა ვსოქვი, გიგალობე, მსურვალედ გთხოვე.

უფალო, ღაღადვყავ შენდამი, ისმინე ჩემი, უფალო. — უფალო! ცოდვათა შინა მშვე მე დედამან ჩემმან; სიყრმიდანვე თან დამყვნი ბოროტნი თვისებანი; თანაშეზრდილნი ცოდვითნი მიდრეკილებანი ყმაწვილობაშივე გაბიძგიდნენ; მომშეთა ჩემთა ცუდ მაგალითთა სული ჩემი გარყვნეს, წარწყმიდეს, მიმანვიეს ბოროტებას. — და ასე, ჩემში გამეფდა ცოდვა. აწ რა შევიგენ უღირსობა, დაცემულობა ჩემი, ვსცდილობ. ბოროტებას განვემორო, მაგრამ ცდა-შრომა ჩემი ამაოა. მუდამ ვითმენ დამარცხებას, მუდამ ვხედები ვნებათა მსხვერპლი,

და ის მოვლენა მიმწარებს მე სიცოცხლესა. ვაიმე, უბადრუკსა! ვაიმე, ცოდვილსა! როდემდე ვიქნები ესრეთ ტანჯული ცოდვათა მიერ? როდემდე უნდა ვიყო ვნებათა შინა? როდემდე უნდა ვიწვალო ცოდვათაგან? უფალო! გვედრები მომხედენ, დამიამე სულისა წყლულნი, დააცხრე ვნებანი ჩემნი, შემოაშუქე სიბნელით მოცულს ჩემს სულში, დასორგუნე მასში ბოროტება, გაამეფე სათნოება და მით მომანიჭე მე სიხარული. უფალო! ისმინე ჩემი, ამისრულე თხოვნა-ვედრება.

მოხედენ ხმასა ლოცვისა ჩემისასა. ღაღადებასა ჩემსა შენდამი. — უფალო! გამრავლდენ მოძულენი და მტერნი ჩემნი: მუდამ მდევნიან მე საწყალსა; ელოდებიან მარჯვე დროსა, ეძიებენ შემთხვევასა მახე დამიგონ, შემაცდინონ, მაგონ, დაარღვიონ ჩემი კეთილ-ღეგობა, დამლუპონ. ველარ გავუძელ მათ დევნასა; ვერ აიტანა სულმან ჩემმან ამოდენი მწუხარება. უფალო! გვედრები, მომხედენ, მისხენ მტერთაგან, დამიფარენ მათ მახვილთაგან, დამიცვენ მათ ბოროტ-მოქმედებისაგან; ნუ მიმიყვან სასო-წარკვეთილებამდის და ნუ წამართმევ იმედსა, ნუ ჩაბადებ ცოდვაში. უფალო! ისმინე ჩემი, განფანტე მაჭირვებელნი ჩემნი და დამიამე ცხოვრება.

უფალო ისმინე ჩემი. — უფალო! გარემომადგენ მე ჭირნი მრავალნი. სასტიკმა სიღარიბემ მომიწამლა მე სიცოცხლე. ჰაი, რაოდენი კეთილ-შობილური სურვილნი მემარხებიან. რებიან აუსრულებელნი ნივთიერ შეძლების უქონლობისაგამო!... რა რიგ ხელს შეუწყობდა ზომიერი კეთილდღეობა სულის აღმაფრენასა! და აწ ეს ღატაკური ცხოვრება ჩემი გულს მიღრღნის, მიღობავს გზას წარმატებისასა. სნეულებათა შემიპყრეს; იმათგან შავნი ფიქრნი თავს დამტრიალებენ, სულიერნი ძალნი მიჩლუნდებიან, მეხშებიან. უზომო, გადაჭარბებულ შრომა-ჯაფამან მომკლა, დამაძაბუნა და სხვადასხვა გაჭირვებათა შემავიწოვეს, გამტყეს, ბნელით შემოსეს, გამიმრავლეს კვნესა-ვაება უფალო, გვედრები, მომხედენ, მისხენ ჭირთაგან და გამიადვილე ცხოვრება.

წარემართენ ლოცვა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, აღპყრობად ხელთა ჩემთა მსხვერპლ სამწუხროდ, ისმინე ჩემი, უფალო. — ამ სიტყვებით გამოეხატავთ სურვილს, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული მსურვალე თხოვნა-ვედრება პირდაპირ ღვთისადმი წარემართოს — აღვიდეს ისე, როგორც კმევის დროს კვამლი მაღლა-მაღლა ადის, და საღამოს ჩვენი ხელთაღპყრობა, ანუ ლოცვა ჩვენგან მსხვერპლად მიიღოს და ნაცვლად მისა გარდაბოვილინოს თვისი საღმრთო მადლი და კურთხევა და დაგვიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი.

დასდევ, უფალო, საცო პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. ისმინე ჩემი, უფალო. — ადამიანს, ჭირსა შინა მყოფსა, დიდი სიფრთხილე, დიდი მოთმენა, დიდი სიმტკიცე მართებს, რომ სულით არ დაეცეს, არ გაბოროტდეს და არ იწყოს ღვთის ყვედრება-გმობა, მოყვასთა ცუდად ხსენება, განკითხვა-შჭყენება. და აი, ჩვენ ვსთხოვთ უფალსა, ამ ზომამდე ნუ მიგვიყვანს და ღვთის საგმობ და კაცთა საწყენ საშინელ სიტყვებს ნუ გვათქმევინებს.

ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა სიტყვათა მიმართ უკეთურებისათა, მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა. ისმინე ჩემი, უფალო! — შევიწროებული მდგომარეობა ადამიანისათვის დიდად დამაბრკოლებელია; მას იგი დიდ განსაცდელში შეჰყავს ხოლმე. ხშირად კიდევაც აიძულებს მას ბოროტებისადმი. კაცს ხასიათის სიმტკიცე უნდა ჰქონდეს, რომ თავი დაიჭიროს და ცოდვა არ ჩაიდინოს. მომეტებულ ნაწილად, ადამიანი თავს ვერ იკავებს, ცოდვას იქმს და თავს იმართლებს იმითა, რომ მას ცოდვა გაჭირვება აქმნევინა, ღმერთმა მასზე ხელი აიღო, უმწიფოდ დასტოვა და იგი იძულებული იყო უღმობელ გასაჭირ გარემოებას დამორჩილებოდა, ბოროტება ჩადენდა. ასეთი ქცევა, ასეთი მართლება თავისა დიდად საშიშია, — და აი, ღმერთსა ვსთხოვთ დაგვაფაროს იმისგან.

„უფალო დალაღვავ“ — ის შემდეგ გალობენ სტიქარონებს. სტიქარონებში, ანუ საგალობლებში, გამოხატულია სხვადასხვა შემთხვევები მაცხოვრისა, ღვთისმშობლის და წმიდანების ცხოვრებიდან, და იქებ-იდიდება იმათი სახელი. სტიქარონების გალობა ბოლოვდება საგალობლით, რომელიც იწოდება ღვთისმშობლისად, ანუ დოგმატიკოსად. ღვთისმშობლისად იწოდება იგი, რადგან მასში იდიდება დედოფალი მარიამ, ხოლო დოგმატიკად იმიტომ, რომ იგი თვის შორის შეიცავს დოგმატს, ე.ი. სწავლას მაცხოვრის, ძისა ღვთისასა ხორცილსხმაზე, განხორციელებაზე. როცა დოგმატიკონის გალობას დაიწყებენ, მაშინ გაიღება აღსავლის კარები, მღვდელი და მთავარდიაკონი საკურთხეველიდან ჩრდილოეთის კარებიდან გამოვლენ და სამეფო კარების წინაშე წარსდგებიან. დიაკონი კმევის შემდეგ აღსავლის კარებ-შუა დადგება და წარმოსთქვამს: „სიბრძნით, აღემართენით!“

სტიქარონებისა და დოგმატიკონის გალობის და საკურთხეველიდან მღვდლის გამოსვლა მოასწავებს ლოდინს ძველ აღთქმაში კაცობრიობის მიერ მაცხოვრის მოსვლისას. ღმერთმა ადამიანთა მოვლინება მსხნელისა სამოთხეშივე შეცოდებისათანავე აღუთქვა, და ეს დაპირება კაცთა ნათესავსა მამამთავართა და წინასწარმეტყველთა მიერ არაერთგზის განუყოფა.

მლოცველთა უნდა წარმოიდგინონ კაცობრიობის უნუგეშო, სამწუხარო მდგომარეობა იესო ქრისტეს მოსვლამდე; უნდა მოიგონონ, თუ როგორ მოკლებული იყო იგი ჭეშმარიტება-სიმართლესა, სწორ მსოფლიო მხედველობასა; თუ როგორ ნატრულობდა, მოუთმენლად მოელოდა იგი ნათლის მომფენსა, ჭეშმარიტების მაწუქებელსა. მსხნელსა მოელოდნენ არა მარტო ებრაელები, რომელთაც უფლთან კავშირი ჰქონდათ, არამედ წარმართნიც. ერთი უგანათლებულესი ბერძენთაგანი ამბობდა: კაცობრიობის ცხოვრებაში თუ ღმერთი არ ჩაერია და მას მსხნელი არ მოუვლინა, იგი აუცილებლად დაიღუპებაო.

როგორც უკვე ვთქვით, მთავარდიაკონი იტყვის; „სიბრძნით, აღემართენით!“ სიტყვით: „სიბრძნით“ დიაკონი მლოცველებს წინად აუწყებს, ანიშნებს, რომ იმ საგალობელში, რომელიც უნდა იგალობონ ამის შემდეგ,

გამოხატულია სიბრძნე, ღრმა, გონივრული აზრი; ხოლო სიტყვით: „აღემართენით“ იგი ასწავებს ხალხს აღმართოს, სწორედ, პირდაპირ დასდგეს და საგალობელი განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმინოს, სახელდობრ:

„ნათელი მზიარული, წმიდისა დიდებულისა, უკვდავისა, მამისა ზეცათასა, წმიდა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე; მოსრულთა დასვლასა მზისასა, ვიხილოთ ნათელი სამწუხრო, ვაქებთ მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა ღმერთსა, ღირსმცა ვართ ყოველსა ჟამსა მგალობლად შენდა, ხმითა ტკბილითა, ძეო ღვთისაო ცხოვრების მომცემელო, რომლისათვისცა ყოველი სოფელი შენ გადიდებს.“

ეს საგალობელი შედგენილია მეშვიდე საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქის სოფრონის მიერ. მასში უფალი იესო ქრისტე იწოდება მზიარულ, ე.ი. წყნარ, მკრთალ ნათელად. როცა მზე შუადღისას პირდაპირ დაგეცქერის, ჩვენ მას თვალს ვერ ვუხსწრებთ, მის ელვარებას, სიდიადეს და სიმშვენიერეს ვერ ვსჭვრეტთ. ხოლო სწლამოს ჟამსა, როცა იგი თვის სხივებს ჩვენკენ აღმაცრივ გზავნის, როცა ის სიბნელით ცოტათი იმოსება, მაშინ შეგვიძლია მას პირდაპირ ვუყურეთ და იმის საამურ შეხედულობით ვისიამოვნეთ — ვიმზიარულოთ. ამგვარადვე, ღმერთი, ნათელი მიუწვდომელი, როგორც შუადღის მზე, გახდა მშვიდ, წყნარ ნათელად, როგორც მზე საღამოსის ჟამისა. ღმერთი თვალმიუწვდომი ნათელია. იმისი ხილვა არავის ძალუძს. ადამიანი, განსაზღვრული არსება, მას, განუსაზღვრელს, ვერ გარემოცავს, იმასთან იგი პირდაპირ დამოუკიდებლად კავშირს ვერ იქონიებს. ხოლო ადამიანისათვის კი ღმერთთან დამოკიდებულება — შეერთება მიუცილებლად საჭიროა. უიმისოდ იმისი ბედნიერება შეუძლებელია, გარეშე ღვთისა ბედნიერება არა სუფევს. აქ ადამიანს თვით უფალი დაეხმარა. მან ინება ხორცის შესხმა, განკაცება და ამით კაცობრიობის ბუნების ქვეშე თვისი ღვთაებრივი ელვარება, ძალა-დიდება დაჭარა, და მით კაცს მიეცა საშუალება ღვთის ნათლიერების ხილვისა, მასთან დაახლოებისა, მის სიდიადით, სიმშვენიერით დატკობისა. ამნაირად, ზემოხსენებულ საგალობელში უფალი იესო ქრისტე სისწორით იწოდება მზიარულ, წყნარ საამო ნათელად.

მწუხრი სრულდება ღამის ჟამსა, და აი, მზის დასვლა, საღამოსის წყნარი, სუსტი სინათლე მოგვაგონებს მაცხოვარსა, მზიარულს, მშვიდსა ნათელსა და მას ვუგალობთ. ამ ნათელის მოსვლას კვლავ აღთქმაში ელოდნენ, ჩვენ-კი იგი პირისპირ ვიხილეთ და მის მიერ სასუფეველი ღვთისა, ნეტარება დავიმკვიდრეთ. ამის გამო გემართებს ვადილოთ იგი დაუცხრობლად, სამუდამოდ, საუკუნოდ. რომ ის არა, ჩვენ ესლავ ღვთისგან განშორებული ვიქნებიდით, არ გვეციოდინებოდა ნამდვილი მიზანი ჩვენის არსებობისა, გვექნებოდა შემცდარი შეხედულება ქვეყნიერების შესახებ, ვიქნებოდით შოთოვასა და დრტინევაში, განხეთქილებასი, ჩვენი მდგომარეობა იქნებოდა საშინელი, აუტანელი, ჯოჯოხეთური.



მოგვევლინა ნათელი მხიარული და ცხოვრება დაგვიამდა, ჭეშმარიტება ვსცანით, შევიგნეთ ჩვენი ნამდვილი დანიშნულება, გავიგეთ, თუ რა შინაარსის უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, თუ როგორ შეიძლება ბედნიერების შექმნა.

ქრისტიანე! ყოველივე ესე ნათლად წარმოიდგინე და გულმხურვალედ სთქვი: გადიდებთ, იესო ქრისტე, ნათელი მხიარულო, წყნარო და მშვიდო! შენმიერ ვსცანით ღვთაება, ვიხილეთ მისი ძალა — ელვარება, სისპეტაკე, მშვენიერება; შენმიერ ვეზიარეთ ღვთაებრივ ცხოვრებას, დავუკავშირდით უფალსა.

გაქებთ, მაცხოვარ, ნათელის მომფენო, ჭეშმარიტების მაუწყებელო, უმეცრებისაგან გამოწყვანო, დაცემულთა აღმადგენელო!

გიგალობთ, იესოვ ტკბილო, ტანჯვა-ვაებათაგან გამომსხნელო, სულიერთა წყლულთა მკურნალო, მწარე ცხოვრების შემსუბუქებულო და დამაამბელო! დიდების გმეტყველებთ, ძეო ღვთისაო! შენ ხარ ერთადერთი „ზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება.“ ადამიანი სასუფეველში შენ მიერ შევალს, დიდსა ღმერთსა უერთდება და პოულობს სიტბობა-მშვიდობასა, სამუდამო ნეტარებას.

მწყემსო კეთილო! შენ იქნები კაცობრიობისათვის სამარადისოდ შეურყეველი სიმტკიცე, ძალა უძლეველი, გზის მანათობელი, ჭეშმარიტების მაუწყებელი, ნუგეშინის მცემელი, და ამისთვის მადლობელი კაცობრიობა გიღალადებს ყოველთა ჟამთა, საუკუნოდ.

„ნათელი მხიარულის“ შემდეგ გალობენ წარდგომას, ანუ საგალობელს, რომელიც სახარების, სამოციქულოს და საზოგადოდ საღმრთო წერილის საკითხავთა წარუდგების, წინაუძღვის. იგი ასე კიდევ იმიტომ იწოდება, რომ წინაუძღვის ლექსთა, ანუ სიტყვათა, საღმრთო წერილიდან, მომეტებულ ნაწილად ფსალმუნთაგან ამოღებულია. ჯერ საგალობელი ითქმების, მერე ლექსი. მაგალითად, მოვიყვანოთ ის წარდგომა, რომელიც საკვირაო მწუხრზე, ე.ი. შაბათს საღამოს გვესმის. ჯერ იგალობებენ: „უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა.“ ამის შემდეგ მთავარდიაკონი წარმოსთქვამს: „შეიმოსა უფალმან ძალი და გარეშეირტყა.“ კიდევ მგალობენ: „უფალი სუფევს.“ — მერე მთავარდიაკონი: „და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას“. მგალობენ: „უფალი სუფევს...“ მთავარდიაკონი: „სახლსა შენსა შენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა შინა დღეთასა“ (92 ფს.16).

ამ წარდგომის ლექსებში ღმერთი იხატება, როგორც მეუფე ქვეყნისა, კერძოდ, ეკლესიისა.

უფალი სუფევს, შვენიერება შეიმოსა. — ღმერთი არის და მთელს ქვეყნიერობას მფლობელობს; განაგებს; მასთან იგი გარეშემოცავს სიმშვენიერესა, ე.ი. ყოველი იმისი ქმნილება — მშვენიერი, საამო და საუცხოვოა და ადამიანის გულში სანეტარო გრძობებს აღძრავს. მზე მანათობელი და მაცოცხლებელი, ცა, ურიცხვ ვარსკვლავებით მოჭედელი, ბადრი მთვარე თვის მკრთალ, კერცხლისფერ სინათლით, მთანი, მინდორ-ველნი, მწვანე ბალახით და ყვავილებით დაფენილნი, ჩანჩქერნი და

მდინარენი თვის მობიბინე ნაპირებით და სხვანი საგანნი და მოვლენანი ბუნებისანი წარმოადგენენ მშვენიერ სურათსა, ხიბლავენ ადამიანსა და ტკბილად აუღერებენ იმის გულის სიმებსა.

შეიმოსა უფალმან ძალი და გარეშეირტყა.— ბუნებაში ცხადად სჩანს ძალა უფლისა, იმისი ყოველისშემძლებელობა: ყოველივე ქმნილება დაღადებს ღვთის სიდიადეს, სიძლიერეს; კვლევა-გამოძიება ცის სივრცისა. და დედამიწის სიღრმეთა ცხადჰყოფენ, თუ რამდენად ყოველისშემძლეა უფალი.

და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძრას. — ღვთის ძალა გამოიხატება იმაში, რომ მსოფლიოში ყოველისფერი მტკიცედაა, მაგრადაა; არ ხდება ხოლმე რამე აღრეულობა, სხვადასხვა სხეულთა შეხლა-შეტაკება; ყოველივე წარმოებს წესისამებრ, თავის რიგზე.

სახლსა შენსა შენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა დღეთასა. — აქ სახლის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სამყოფელი — ბინა უფლისა, ე.ი. ეკლესია, საზოგადოება ღვთის მორწმუნეთა. ამ საზოგადოებას შეშვენის სიწმიდე, ე.ი. მას შეფურის წმიდა ცხოვრება სიგრძესა დღეთასა, ანუ ყოველთა ჟამთასა. წევრნი ამ საზოგადოებისანი ყოველ ბიწიერებას უნდა ერიდებოდნენ და სათნობათა უნდა ცხადჰყოფდნენ, იქმოდნენ.

ზემოაღნიშნულ წარდგომის გალობა დადგენილია საკვირაო მწუხრზე იმისთვის, რომ კვირა ღღის ღვთისმსახურება დაწესებულია მოსაგონებლად მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა, და ამ წარდგომით აღინიშნება ისა, რომ აღდგომილი იესო ქრისტე გახდა მეუფედ ქვეყნისა და ეკლესიისა კაცობრიულის ბუნებითაცა. ამის შემდეგ მთავარდიაკონი წარმოსთქვამს კვერექს, რომელიც იწოდება შეგვიწყალებად, ანუ მრჩობლ კვერექსად. შეგვიწყალებად იწოდება იმისთვის, რომ იგი იწყება ასე: „შეგვიწყალებ ჩვენ“, ღმერთო. ხოლო მრჩობლად იმიტომ, რომ მასში თვითუფლ თხოვნის შემდეგ „უფალო შეგვიწყალებ“—ს გაძლიერებულად, სამგზობ გალობენ. ამ კვერექსში ჩვენ ვევედრებით უფალს სამეუფო სახლისათვის, უწმიდესი სინოდისათვის, მხედრობისათვის, მლოცველთათვის, ნაყოფის შემომწირველთათვის, ე.ი. პირთათვის, რომელთაც მოაქვთ ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნაყოფნი, ნივთიერებანი: პური, ღვინო, ზეთი, სანთელი და სხვა. — კეთილისმყოფელთათვის, ე.ი. იმათთვის, ვინც სწირავენ ეკლესიას გამშვენიებისათვის; მშრომელთათვის, ე.ი. იმათთვის, ვინც ეკლესიის კეთილმდგომარეობაზე ზრუნვენ, იღვწიან, და ყოველთა ადამიანთათვის.

შეგვიწყალების შემდგომ წაითხება — და ღირს მყვენ, უფალო, მწუხრსა ამას. ამ საკითხავში ჩვენ ვსთხოვთ უფალს დაგვიფაროს ცოდვისაგან, გამოაჩინოს ჩვენზე თვისი წყალობა, განგვაშარლოს — გვაცხოვნოს, განგვანათლოს. მერე მთავარდიაკონი იტყვის კვერექსს, რომელიც იწყება ასე: აღუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა. ამ კვერექსის თვითუფლი თხოვნის შემდეგ მგალობენი გალობენ: „მოგმადლე უფალო!“ მოგმადლე ე.ი. მოგვანიტე, მოგვეცი, აღგვისრულე. იმაში ღმერთსა

ესთხოვთ ღამე მშვიდობიანად, უცოდველად გაგვატარებინოს, მოგვივლინოს ანგელოზი, რომელიც, იესო ქრისტეს სიტყვისამებრ, ყოველ მორწმუნეს ეტლევა, — გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი, ე.ი. მორწმუნეთა, ცათაშინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა. (მათ.18,10). და რომელიც ყოველ ცუდისაგან, სულის სიწმიდისათვის და ხორციელ, გარეგნობით კეთილმდგომარეობისათვის მავნებელ საქმისაგან გვფარავს. შემდეგ ესთხოვთ შეცოდებანი გვაპატიოს, მოგვანიჭოს კეთილნი და უშუაბუნნი სულთა ჩვენთანი, ე.ი. ის, რაც ხელს უწყობს ჩვენი სულის განვითარებას, აღორძინებას, ზეიარსებას, განათლიერებას. ვითხოვთ კიდევ შეძღვრომა ეამთა ცხოვრებისა ჩვენისათა უჭირველთა, ურცხველთა. ვევედრებით უფალსა, რომ აღსასრული, სიკვდილი ჩვენი იყოს უჭირველი — გაუჭირვებელი, უმტკივნეულო, უტანჯველი, წყნარი, მშვიდობიანი, — ურცხვენელი, ანუ შეურცხვენელი, დაუძრახველი, პატიოსანი, — რომ უცოდველად ვიცხოვროთ და უცოდველადვე განვუტეოთ სული. ვითხოვთ კეთილ სიტყვის გებასა საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა, ე.ი. განმართლებას, ცხოვნებას უკანასკნელ განსჯის, განკითხვის დღესა, რომელიც, განსჯა იქნება მაცხოვრის მეროდ მოსვლის დროსა: „რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დასჯდეს საყდართა დიდებისა თვისისასა, და შეკრბეს წინაშე მისსა ყოვილნი ნათესავნი...“ (სახ.მათ. 25,31).

შემდეგ გალობენ სტიქარონებს. კვერქსში ვითხოვთ რა კეთილ განსვენებას, პატიოსან, მშვიდობიან მიცვალებასა, ჩვენ უნდა მოვიხსენოთ ის პირნი, რომელთაც არამც თუ კეთილად, არამედ დიდებულადაც განისვენეს და ახლა სასუფეველში ნეტარებენ, ე.ი. წმიდანები. აი, მომეტებულ ნაწილად, ამათ ვადიდებთ ხსენებულ სტიქარონებში. აგრეთვე მათში დიდებისმეტყველებით იესო ქრისტეს მოსვლასა, რომელიც ჩვენთვის იყო მაცხოვრებითი, რომლის ძალითაც მოგვეცა საშუალება ამქვეყნიური ცხოვრების წმიდად განვლისა და უფლის წინაშე განმართლებულად წარდგომისა. აგრეთვე წმ.

კვლესია მოგვაგონებს ხოლმე, თუ როგორი სანატრელი იყო სიკვდილი წმ. სვიმეონ მოხუცისათვის, თუ როგორ სიხარულით მიეგება იგი საუკუნო ცხოვრებაში გარდასვლასა. ამას მოგვაგონებს იგი იმ სიტყვების გალობით, რომელნიც წმ. სვიმეონმა თვის სიკვდილის წინ წარმოსთქვა: „აწ განუტევე მონა შენი, უფალო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრება შენი, რომელი განუშაადე წინაშე პირისა ყოველთა კაცთასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართა ზედა და დიდებად ერისა ისრაილისა“. წმ. სვიმეონი ცხოვრობდა იესო ქრისტეს მოსვლამდე. მას სულიწმიდამ აღუთქვა, რომ იგი სიკვდილს არ იხილავს, სანამ მხსნელი არ მოვა — და აი, როცა იესო ქრისტე დაიბადა და იგი, მერმოდე დღეს ტაძარში მიიყვანეს, მაშინ, სულისწმიდის ჩაგონებით წმ. სვიმეონიც იქ მივიდა, ყრმა მიირქვა, მკლავებზე მიიღო, დაისვა და სთქვა: „ახლა კი განმიტევებ, გამიშვებ, უფალო ამ საწუთროსაგან მოსვენებულსა, ნუგეშცემულსა, რადგან ვნახე მხსნელი კაცობრიობისა, ძე ღვთისა, რომელიც შენ მოავლინე ამ სოფლად განსანათლებლად, საცხოვნებლად წარმართთა და სადიდებლად ძეთა ისრაილისათა, რომელთა შორის იგი მოვიდა“. სვიმეონი ასე გახარებული მიეგება სიკვდილს იმიტომ, რომ იგი იყო სულით აღფრთოვანებული ღვთისადმი, იმასთან დაკავშირებული მტკიცე სიყვარულითა, და იმის მუდმივ ნეტარებას ღმერთთან ყოფნა შეადგენდა. თუ ჩვენც გვსურს, სიკვდილი საშიში კი არა, სანატრელი იქმნეს, სვიმეონ მოხუცისამებრ სულის სიწმიდევ უნდა შევიძინოთ, სახარებისებრივი სათნოებანი უნდა შევისისხლოხროთ. ნეტარ არს კაცი, მართალი, მმოსავი ღვთისა, მსვლელი გზათა ზედა უფლისათა! აღსასრული იმისი პატიოსან არც მას საუკუნოში დაუსრულებელი სიტკბობა — სიამოვნება მოვლის.

აგრეთვე „აწ განუტევე“ გალობის დროს უნდა წარმოვიდგინოთ ძველი აღთქმის განტეგება, დასრულება. მოვიდა მაცხოვარი, რომელსაც ძველს აღთქმაში მოულოდნენ, და დადგა დრო ახლის აღთქმისა, ახლის ცხოვრებისა, ახლის კავშირისა ღმერთთანა.

**21 ნომბერი (4 დეკემბერი)**  
**ტაძრად მოყვანება ყოველადწმიდა ღვთისმშობლისა**  
**და ქალწულისა მარიამისა**

დღეს განგებულებისა ღვთისა დასაბამი არს და საუკუნითგან საიდუმლოისა მის აღსრულებისა დაწყება, რამეთუ ტაძარსა შინა ღვთისასა ქალწული დაემკვიდრების და ქრისტესა ყოველსა გვახარებს, ამას უღადადოთ ხმამაღლა: გიხაროდენ, განგებულებისა ღვთისა აღსასრული.

...აცადენ მკუდარნი დაფლვად თ სთა მკუდართა  
(მთ. 8,22)

ა.წ. ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილისა და თაისი ტორონჯაძის გამოკვლევა „დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარი“, სადაც, სხვათა შორის, ავტორები გვთავაზობენ ძველი ქართული საეკლესიო დღესასწაულის, „გარეგნობის“ შინაარსის საკუთარ ახსნას.

უნდა ითქვას, რომ გარეგნული ნიშნებით ეს დღესასწაული მართლაც გვაფიქრებინებს, თითქოს იგი მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეა, მაგრამ თუ გადავხედვით ზოგადქრისტიანულ ტრადიციას და აღდგომის დღისა და საერთოდ ბრწყინვალე შეიდეულის საღმრთის-მეტყველო განმარტებას, მაშინ ადვილად დაერწმუნდებით, რომ საკითხის ასეთი ახსნა უბრალო გაუგებრობად შეიძლება ჩაითვალოს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აღდგომის დღესასწაული მთელი ბრწყინვალე შეიდეულით არის ცოცხალთა და არა მიცვალებულთა დღესასწაული. იესუ ქრისტემ თავისი ბრწყინვალე აღდგომით შეასრულა დანაპირები და განგვიმტკიცა რწმენა, რომ ასევე აღადგენდა მკვდრებით თავის მორწმუნეთ და დაუმკვიდრებდა ცათა სასუფეველს. უფრო მეტიც, მკვდრებით აღდგომის შემთხვევები, რომელიც უშუალოდ თან სდევდა ქრისტეს აღდგომას, დადასტურებულია თვით. სახარებაში: „ხოლო იესუ კუალად ხმა-ჰყო ხმითა დიდითა, და განუტევა სული.“

და აბა, კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად, ზეითგან გიდრე ქუჩამდე; და ქუეყანა შეიძრა; და კლდენი განსქდეს; და საფლავნი აღიქუნენ; და მრავალნი გუამნი შესუქნებულთა წმიდათანი აღსდგეს;

„და გამოვიდეს საფლავით მათით, და შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა, და გამოეცხადნეს მრავალთა.“ (მთ. 27,50-53).

როგორც ვხედავთ, „მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღსდგეს“ ქრისტეს სიკუდილისთანავე და მისი (ქრისტეს) აღდგომის შემდეგ შევიდნენ წმიდა ქალაქმა, ე.ი. იერუსალიმში და „გამოეცხადნენ მრავალთა“. გარდა მათე მახარებლის ამ ცნობისა, რომელიც სრულიად საკმარისია ყოველი ქრისტიანისათვის, როგორც უტყუარი საბუთი, ჩვენ მოგვეპოვება აპოკრიფული

თხზულებებიც, რომლებიც დაწვრილებით ასახავენ ამ მოვლენას და ასახელებენ კიდევ მკვდრებით აღმდგარ მართალთაგან ზოგიერთს (მაგ. ს. ჯ. მონ დმრთის-მიმრქმელის ორ ვაჟს და სხვათა).

ისმის კითხვა: თუ აღდგომას წმიდათა საფლავები ცარიელია (იხ. მთ. 27,52-53), მაშ რისთვის შეიძლება გადავიდეს ქრისტიანი სასაფლაოზე? ალბათ, მხოლოდ იმ მიცვალებულთათვის, რომელთაც უმჯულოებით წარიწყმიდეს სული და არ არიან ქრისტესნი. აქ, არ შეიძლება არ გაეხსენოთ თვით მაცხოვრის სიტყვები, რომლითაც მიმართა მან მოწაფეს, მის თხოვნაზე, რათა ჯერ დაესაფლავებინა მამა და მერე შესდგომოდა უფალს (მთ. 8,21-22):

„და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან პრქუა მას: უფალო! მიბრძანე მე პირველად მისლუად, და დაფლუად მამისა ჩემისა. ხოლო იესუ პრქუა მას, შენ მომდევდი მე, და აცადენ მკუდარნი დაფლუად თუსთა მკუდართა.“

უფლის ამ სიტყვების შემდეგ ალბათ გასაგებია რომელ „მკუდართ“ უნდა აცადოს მისმა, მოწაფემ „თუსი მკუდრის“ დაფლვა! ეს ის ადამიანებია, რომელთაც ქრისტეს ნათელთან საერთო არაფერი აქვთ და ისინი ღმრთისათვის სიცოცხლეშივე მკუდრები არიან! მაშ, რაღა საერთო შეიძლება ჰქონდეს ქრისტიანს ასეთებთან მათი ფიზიკური სიკვდილის შემდეგ, ისიც მისი მეუფის იესუ ქრისტეს სიხარულის დღეს? ამ დროს ასეთებთან წასვლა ნიშნავს ქრისტესაგან განდგომას და მისი სიხარულის არგაზიარებას, რადგანაც ამ დროს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი: ცოცხალიც და მკვდარიც, ქრისტესთანა და ქრისტიან მკუდართა საფლავები ცარიელია!

მაშ, რას შეიძლება ნიშნავდეს ძველი ქართული ქრისტიანული დღესასწაული „გარეგნობა“?

ზემოხსენებული სტატიის ავტორთა მიერ მოძიებული ცნობა გვაუწყებს, რომ აღდგომის მეორე დღეს — ორშაბათს, მლოცველები გადიოდნენ „გარეგან, გკლესისა ან ქალაქისა“ და ვველგან, სადაც ჯვარი იყო აღმართული, ლოცვას აღავლენდნენ. გარდა ამისა, სხვა რაიმე გარეგულის თქმა ვერ ხერხდება ინფორმაციის უკონლობის გამო. ვერაფერს ამბობს თვით კამეკელიძეც,

ვისი ორი გამოკვლევიდანაცაა მოტანილი ცნობები „გარეგნობის“ შესახებ.

მოფუსმინოთ, რას ამბობს პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში:

„მაქუს ჩუქნ საკურთხეველი, რომლისაგან ჭამად ვერ ელ-ეწიფების, რომელნი იგი კარავსა მას მსახურებენ. რომელსა იგი შეიწირვის საცხოვართა სისხლი ცოდუათათუს, სიწმიდესა მას შინა მღუდელთ-მთავრისა მიერ, ამათნი იგი კორცნი დაიწუებოდეს გარეშე ბანაკსა მას; ამისთუსცა იესუ, რათა წმიდა ჰყოს თუ სითა სისხლითა ერი, გარეშე ბჭეთა ივრო.

აწ უკუწ განვიდეთ მისა გარეშე ბანაკსა მას, და ყუედრებაჲ იგი მისი მოვილოთ.

რამეთუ არა მაქუს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“ (ებრ. 13,10-14).

აქ (ცნობისათვის), უნდა გავიხსენოთ, რომ ებრაელთა ძველი აღთქმის ჩეულები თანახმად, წელიწადში ერთხელ, ერის ცოდვითა მისატეებლად შეიწირვოდა ზეარაკი, რომლის სისხლს მღუდელთ-მთავარი აკურებდა წმიდათა-წმიდაში, ხოლო სხეული გაქონდათ ადრე სადგომის, ხოლო მას შემდეგ, რაც ტაძარი აშენდა, იერუსალიმის კედლებს გარეთ და იქ წავიდნენ. ამიტომაც, იესუ, ამბობს მოციქული პავლე, — რათა განსწმიდოს ერი თავისი სისხლით ცოდვებისაგან, ქალაქის გარეთ ივრო. და მოუწოდებს ქრისტიანებს მოციქული, რომ განვიდეთ ჩვენც „გარეშე ბანაკსა მას“ (ანუ გარეშე ადამიანთა სადგომისა, ქალაქი იქნება ეს თუ სოფელი) და „ყუედრებაჲ იგი მისი მოვილოთ“, ანუ გავიზიაროთ მისი ყოფა, შეურაცხყოფა. და ბოლოს ამბობს „რამეთუ არა მაქუს ჩვენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“ (ებრ.13,14). ე.ი. ადამიანთა სამყოფიდან, ქალაქიდან გარეთ გასვლა აღნიშნავდა იმას, რომ ქრისტიანი უარს ამბობდა მასზე, რომ არ მქონდა „აქა საყოფელად ქალაქი“, არამედ „მერმესა მას ეძიებდა“, ანუ ეძებდა საუკუნო სასუფეველს ღმრთისას, საიდანაც უეჭველია, წარმოსდგა დღესასწაულის სახელიც — „გარეგნობა“, რაც აღნიშნავს, რომ დღესასწაულის მთავარი შინაარსი, სწორედ გარეთ გასვლაში დევს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზემოდასახელებული ორი წყაროდან, რომლებიც კაცკელიძემ გამოიკვლია და რომლებიდანაც მოწოდებული გვაქვს ცნობები „გარეგნობის“ შესახებ, ორივე აღმოსავლურია: პირველი გახლავთ იერუსალიმის VII ს-ის კანონარი, ხოლო მეორე სინას მთის მოღვაწე X ს-ის ცნობილი ქართველი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს „მცირე კანონი“, რომელიც სინური კოლექციის ხელნაწერს წარმოადგენს. ეს გახლავთ კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ სწორედ აღმოსავლურ და თანაც ებრაულ-ქრისტიანულ წიაღში უნდა აღმოცენებულიყო აღნიშნული ტრადიცია.

რაც შეეხება დასახლების გარეთ გასვლას და ჯვრის წინაშე ლოცვას, ეს, ამ შემთხვევაში, არათუ ბუნებრივია, სხვანაირად შეუძლებელიც კია, რადგან სწორედ ჯვარი იმის წმიდათა-წმიდა სამსხვერპლო, რაზედაც იესუ ქრისტეს

უბიწო სისხლი დაიდგარა და ხსნა მოგვიტანა.

თუ ვინმეს მანც ეჭვი ეპარება და ფიქრობს, რომ შეიძლება ის ჯვრები მიცვალებულთა საფლავებზე იდგა და ქრისტიანები მიცვალებულთა დღეს აღნიშნავდნენ, შევახსენებთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ამის გამაბათილებელ არგუმენტს. კერძოდ იმას, რომ ამ დღეს, ბოლო დროის საქართველოს გარდა, არცერთ ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიცვალებულთა ხსენება და საფლავთა კურთხევა არ აღინიშნება და არც ამისი ისტორიული მაგალითი მოგვეპოვება, რასაც ზემოდასახელებული წერილის ავტორები თვითვე აღიარებენ. გარდა მათი ვარაუდისა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ ქრისტიანები ამ დღეს ქალაქიდან გადიოდნენ და აღბათ სასაფლაოზე მიდიოდნენ, რადგანაც სასაფლაო გარეთ იყო და ჯვრებიც სასაფლაოზე იქნებოდა, ამ ვერსიას ვერ ამავრებს ვერცერთი ისტორიული წყარო. ასე რომ არ იყოს და ეს ტრადიცია ბოლო დროის არ იყოს, რაც არცთუ იშვიათია ჩვენს სინამდვილეში, როცა სარწმუნოებას და ეკლესიას მოწყვეტილი ხალხის შეგნებაში მრავალი ტრადიცია განიცდის ტრანსფორმაციას, მაშინ არ გაუჭირდებოდა მსგავსი დასკვნის გამოტანა ზემოხსენებულ ისეთ დეაწლმოსილ მეცნიერს, როგორც იყო კაცკელიძე.

და ბოლოს, თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს საეკლესიო კალენდარში მიცვალებულთა ხსენების დღედ აღდგომის ორშაბათი მხოლოდ 1952 წლიდან იხსენიება, არ მიუთითებს მის დღევანდებლობაზე? რაღა ვთქვათ ამ დღეს საფლავის კურთხევაზე, რომელიც კიდევ უფრო გვიანდელი „ტრადიციისა“ — 1963 წ. (იხ.საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1963 წლისათვის, გვ.26)<sup>1</sup>.

ბოდიშს ვიხდით წერილის ავტორთა და მათ წინაშე, ვისაც შესაძლოა უნებლიე წყენა მივაყენეთ, თუმცა ჩვენი მიზანი მხოლოდ ჭეშმარიტების აღდგენა იყო.

ქრისტესმიერი სიყვარულით,  
მღვდელი ლავრენტი

1 ოქტომბერი, 1992 წ.

<sup>1</sup> დანარჩენ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიებში მიცვალებულთა ხსენება აღინიშნება აღდგომიდან მე-9 დღეს, თომას კვირიაკის სამშაბათს.

მით უფრო, რომ იგი ხალხურიდან შემოვიდა საეკლესიო ტრადიციაში (იხ. ზემოდასახელებული წერილი „ღიღუბის ღმრთისშობილის ტაძარი“, თურნ. „ჯვარი ეპისა“, 1992 წ., № 1, გვ.61).

### რა დღესასწაულია ოცობა?

ოცობა — ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი თუშეთში ხალხური დღესასწაული, რომელიც ხარებობის დღეს, 25 მარტს ემთხვევა.

ხარება — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დღესასწაული — ცკლესიაში საზეიმო ჟამისწირვით, გალობითა და ღმრთივ-სულიერ წიგნთა კითხვით აღინიშნება. თუშეთში კი ეს დღე, „ოცობად“ სახელდებული, საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან ყოფილა დაკავშირებული.

როგორც ფიქრობენ, ოცობა „ბედობის დღეც“ იყო. „მთელი წლის იღბალი ან უიღბლობა, ამ დღეზე იყო დამოკიდებული... იგი ზამთრიდან ზაფხულისაკენ შემობრუნების დღედ ითვლებოდა და ნებისმიერ ამინდში, სიმბოლურად მაინც, უნდა გაეყვანათ ხარი მინდორში. გაყვანის წინ ავი თვალისა და ავი სულელებისაგან უნდა დაეცვათ. ხარებობის მეორე დღიდან იწყებოდა საზაფხულო სამუშაოები.“<sup>1</sup>

ამრიგად, „ოცობის“ დღე საგაზაფხულო სამუშაოების — ხენა-თესვის — რიტუალური დასაწყისი ყოფილა. როგორც პროფ. სერგი მაკალათია მოგვითხრობს, ეს რიტუალი ითვალისწინებდა გუთნით სამი კვალის (ორნატის) გავლებასა და თითო მუჭა ქერისა და პურის დათესვას, რასაც მოჰყვებოდა ხენა-თესვასთან დაკავშირებული სხვა რიტუალური წესები: კარგი მოსავლის მისაღებად დაილოცებოდნენ ჯვრიანი ლავაშის შემოტარებით უღელზე („უღელდების“ წესი), ამ პურს ორივე ხარს შეატყევენ, კულებზე „უნძრახის თურსას“ შეაბამდნენ წითელი ძაფით, და ა.შ. თუშეთში იცავდნენ ხენა-თესვის რიტუალთან დაკავშირებულ სხვადასხვა მაგიურ აკრძალვასაც.<sup>2</sup>

აკად. აკ. შანიძე „ოცობას“ განმარტავს, როგორც „ხარებას“ (25 მარტი), და დასძენს: „იმ დღეს გუთანს პირველად გაატარებენ მამულში სამჯერ და ერთ მუჭა თესვას გადააქრიან.“<sup>3</sup> ასეთსავე განმარტებას იძლევა პ.ხუბუტია,<sup>4</sup> აღ. ჭინჭარაულს კი, რომელიც „ოცობას“ ხევსურეთშიც ადასტურებს, ეს ტერმინი „ავსების“ (აღდგომის) სინონიმად მიიჩნევა.<sup>5</sup>

რას ნიშნავს დღესასწაულის სახელი „ოცობა“ და რა კავშირშია იგი ან ხარებასთან, ან საზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან?

არსებობს მოსაზრება, რომ ხარების დღესასწაულმა ასეთი სახელი მიიღო მისი კალენდარული მდებარეობის

(სახელდობრ, გიორგობიდან 20 კვირით დაცილების) გამო. გიორგობას (10 ნოემბერს), საქონელი ბაგაზე დგებოდა და ოცი კვირის შემდეგ, ხარებობას, ხდებოდა მათი გამოშვებაო.<sup>6</sup>

ამრიგად, „ოცობა“ — საქონლის ბაგაზე დგომის ოცი კვირის შესრულების აღმნიშვნელადაა მიჩნეული.

ფიქრობთ, ასეთი მოსაზრება რამდენიმე დაბრკოლებას აწყდება: გაუგებარია, რატომ უნდა დაეყენებინათ საქონელი ბაგაზე მაინცდამაინც გიორგობის დღეს, და მაინცდამაინც ოცი კვირას დაეტოვებინათ იქ, რათა ხარებობას მისი დაბმის „ოცობა“ ედღესასწაულათ.

გარდა ამისა, ხარება, როგორც ბრწყინვალე საეკლესიო დღესასწაული — უქმეა, და ოცი კვირას საქონლის ბაგაზე დაბმა, იმისათვის, რათა მაინცდამაინც ამ საუქმო დღეს გამოეყვანათ მინდორში სამუშაოდ, — ლოგიკური არ არის. თუკი „ოცობა“ მხოლოდ სამეურნეო შინაარსის მქონე დღეობაა, რატომ უკავშირდება იგი ქრისტიანულ „გიორგობასა“ და „ხარებას“; ხოლო თუ ქრისტიანული დღესასწაულია, — რატომ უგულებელყოფს ხარებობის უქმობას?

დაბოლოს, გიორგობიდან ხარებამდე (10 ნოემბრიდან 25 მარტამდე) ოცი კვირა არ ითვლება; მცხრალ წელს ეს პერიოდი 135 დღიანია (ე.ი. 19 კვირა და 2 დღე). ნაკიან წელს კი — 136 დღიანი (19 კვირა და 3 დღე). მეოცე კვირად მითვლილი 2 დღე (თუნდაც 3) ნახევარ კვირასაც ვერ შეადგენს და სრულ მეოცე კვირად მისი ჩათვლა ხელოვნურია.

შესაძლოა „ოცობის“ ამხსნელნი შემოგვედონ; მართალია, მეოცე კვირა სრული არაა, მაგრამ თუ პირობითად მივათვლით წინა ცხრამეტ კვირას, მაინც ოცი გამოვაო.

ამაზე ჩვენ შეგვიძლია მივუგოთ ასე:

ქრისტიანულ კალენდარში კვირების (შვიდეულების) აღრიცხვა უძველესი დროიდანაა ცნობილი. საზოგადოდ, საეკლესიო კალენდარი მიღებულია უძრავი და მოძრავი საწელიწდო ციკლების ზედდებით. ამასთან, მოძრავი კალენდარი (დღესასწაულების ზუსტი აღრიცხვა შვიდეულებისა და კვირიაკების მიხედვით, აღდგომის დღესთან მიმართებით), ისტორიულად უფრო დატვირთული იყო დღესასწაულებითა და მოსახსენებლებით, ვიდრე მოძრავი კალენდარი; და, თუმცა დროთა განმავლობაში ზოგიერთი მოსახსენებელი უძრავ თვესა

და რიცხვზე დამაგრდა, ამით მოძრავი კალენდრის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა საეკლესიო ქრონოლოგიაში — ოდნავადაც არ დაკნინებულა. საგულისხმოა, რომ დღესაც, რიგით საკითხავებად (სამოციქულო-სახარებისა) მიჩნეულია მოძრავი ციკლის საკითხავები. უძრავი ციკლის საკითხავებს უპირატესობა ეძლევათ მხოლოდ უძრავ საუფლო დღესასწაულებსა და დიდ წმიდათა მოსახსენებლებზე, და ისიც — ყოველთვის არა.

მოძრავ კალენდარში კვირიაკებისა და შვიდეულების აღრიცხვა მკაცრადაა მოწესრიგებული. მაგალითად, დიდი მარხვის წინამავალი (ე.წ. „მოსამზადებელი“) შვიდეული — სამია: მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკიდან დაწყებული ყველიერის აღებაამდე, დიდ მარხვაში — ზუსტად ექვსი შვიდეული ითვლება (ყველიერის აღებიდან ბზობამდე), რასაც მოხდევს მეშვიდე — გნების შვიდეული. ზუსტადაა განსაზღვრული ზატიკის პერიოდიც: აღდგომის შემდეგ შვიდი კვირის თავზე — მეერგასის ანუ სულთმოფენობის (მარტ ლიის) დღესასწაულია. ტერმინი „მეერგასე“ (რაც „ორმოცდამეათეს“ ნიშნავს) დღესასწაულის ზუსტ კალენდარულ ადგილმდებარეობას გვიჩვენებს — აღდგომიდან ორმოცდაათი დღით დაცილებას. უძველეს ლიტურგიკულ ძეგლებში დაფიქსირებულია „მარტ ლიითგან მეშვიდე კვირაე“ — ათენაგნობა<sup>8</sup>. აქაც, როგორც ვხედავთ, შვიდეულების ზუსტი რაოდენობაა განსაზღვრული.

ისმის კითხვა: თუ საეკლესიო კალენდარში საზოგადოდ დაკანონებული იყო ზუსტი აღრიცხვა შვიდეულებისა, და, როდესაც ამბობდნენ „მეშვიდე კვირაე“-ს, ზუსტად შვიდეკვირიან პერიოდს გულისხმობდნენ და არა, ვთქვათ, ექვს კვირასა და ორ დღეს, რატომ უნდა დაშვებულიყო დაუდევარი ანგარიში შვიდეულებისა მხოლოდ გიორგობიდან ხარებაამდე პერიოდისათვის?

გარდა ამისა, როდესაც მოძრავი კალენდრის ესა თუ ის დღესასწაული გარკვეულ ადგილს იკავებდა სხვა დღესასწაულების მიმართ, გათვალისწინებული იყო მათი ეორტოლოგიური კავშირი. მაგალითად: სულიწმინდის მოფენის ანუ მარტვილის დღესასწაული დაწესდა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, „საქმე მოციქულთა“-ს მონაცემების საფუძველზე (საქმე 2,1). ხარების (25 მარტი), წინადაცვეთისა (1 იანვარი) და მირქმის (2 თებერვალი) დღეები გამოთვლილ იქნა ქრისტეს შობის (25 დეკემბრის) მიხედვით, მათი ბუნებრივი კავშირის გამო. მართლაც, ხარება ქალწულის შიდაგომილებისა უნდა მომხდარიყო ქრისტეს შობამდე ზუსტად ცხრა თვით ადრე, წინადაცვეთა — შობიდან მერვე დღეს (ლუკა 2,21), მირქმა კი — მეორმოცე დღეს, როდესაც „აღესრულნეს დღენი იგი განწმენისა მათისანი“ (ლუკა 2,22).<sup>9</sup> ცხადია, როდესაც ვანგარიშობთ ორ რომელიმე დღესასწაულს შორის მანძილს (როგორც შვიდეულების, ისე დღეების რაოდენობას), ხაზს ვუსვამთ ამ დღესასწაულთა ნათესაობას. არავის მოუვა აზრად, მაგალითად, თქვას — ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაულიდან მის შობამდე — ოთხი კვირააო, თუმცა,

ნამდვილად, 8 სექტემბერს 15 აგვისტოდან ზუსტად ოთხი კვირა აშორებს. ასევე არავინ იტყვის — ვეგორთამაღლებიდან (14 სექტემბერი) სვეტიცხოვლობამდე (1 ოქტომბერი) — 2 კვირა და 3 დღეაო, თუმცა ესეც სრული სიზართლე იქნება. ისტორიულ-ეორტოლოგიურად და კალენდარულად ამ დღეებს არავითარი კავშირი არ გააჩნიათ და ამიტომაც, რომ მათ შორის ინტერვალებს არავინ ითვლის. სულ სხვა მდგომარეობაა ბზობისა და აღდგომის, აღდგომისა და მარტვილის, აღდგომისა და აშაღლების, შობისა და მირქმის, შობისა და წინადაცვეთის, აგრეთვე სხვა მრავალი დღესასწაულის ურთიერთმიმართებაში. რაც შეეხება წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების დღესასწაულსა და ხარებობას — ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, და მათ შორის მიახლოებითი მანძილის დამოწმება ტერმინ „ოცობის“ ასახსნულად — ისეთივე არალოგიკურია, როგორც ღმრთისმშობლის მიძინებისა და შობის დღესასწაულთა ურთიერთდამორბებისათვის (4 კვირა) — რაიმე მნიშვნელობის მიცემა.

მით უმეტეს, რომ გიორგობიდან ხარებაამდე ოცი კი არა, ცხრამეტი კვირა და ორი დღე ითვლება!

შვიდეულების ზუსტ აღრიცხვას შეჩვეული კალენდრისათვის ცხრამეტი კვირა და ორი დღე საკმარისი არგუმენტი ვერ იქნებოდა საიმისოდ, რომ ხარების ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად ყურით მოთრეული ტერმინი — „ოცობა“ — დაემკვიდრებინა. ეს მიუღებელი იქნებოდა:

- 1) კალენდარული უზუსტობის გამო, და
- 2) იმის გამოც, რომ გიორგობასა და ხარებას შორის არავითარი ისტორიულ-ეორტოლოგიური კავშირი არ არსებობს.

ერთ-ერთი ამათგანიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ხარებობას „ოცობა“ არ შერქეოდა.

ამრიგად, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოიქმნული თვალსაზრისი „ოცობის“, როგორც ეორტოლოგიური ტერმინის, წარმოშობის შესახებ — ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. რიცხვ „ოც“ ხარებობის დღესასწაულთან საერთო არაფერი აქვს.

ისმის კითხვა: ხომ არაა „ოცობა“ რომელიმე ძველი ტერმინის დამახინჯებული ფორმა?

ეორტოლოგიური ტერმინების სახეცვლილებისა და დამახინჯების მაგალითების დასახლება უზრუნველყოფს ამჯერად კი რამდენიმე მაგალითით დაგვიმარჯობდები:

1. წმ. გიორგის ურმის თვალზე წამების მოსახსენებელი დღე (6 ნოემბერი) — „პარმატონობა“ (ბერძნ. „პარმა“, „პარმატოს“ — ურემი) — ქართულმა საღმრთისმსახურო პრაქტიკამ უძველეს დროს შეითვისა და დღემდე მოღწეული ცოტა შეცვლილი სახელწოდებით: „არმათიონი“ (სოფ. ზემო მანხანანის „არმათიონის წმინდა გიორგის“ ეკლესია).<sup>10</sup>

2. წმ. ესტატე პლაკიდას მოსახსენებელი დღე — „ესტატე-წმიდობა“ — დროთა განმავლობაში შეიცვალა „ერთაწმინდობად“ (წმ. ესტატეს ტაძრისაგან მიიღო სახელი შიდა ქართლის სოფელმა ერთაწმინდამ).

3. როგორც ცნობილია, სულიწმიდის მოფენის დღესასწაულს უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში „მარტვილია“ ეწოდება. ეს ტერმინი წარმომდგარა ბერძნული სიტყვიდან — „მარტ რია“, რომელიც დამოწმებას (დადასტურებას) ნიშნავს.<sup>11</sup> ბერძნულ ლიტურგიკულ ტერმინოლოგიას იგი მალე განუდევნია ხმარებიდან, და ბერძნული ენის ისეთი ღრმა მცოდნეცა, როგორც ეფრემ მცირე იყო, ქართულ „მარტ ლიასა“ და ბერძნულ „მარტ რიას“ შორის იგივეობას ვერ ხედავდა. „შეისწავე, — წერდა იგი სამოციქულოს თარგმანების სქოლიოში, — რამეთუ ბერძლ მეერგასედ უ მობენ სულისა წმიდისა მოსლვასა, ხოლო თუ მარტ ლია რომლითა ენითა არს, არა ვიცი“ (იერუსალიმის ქართული ხელნაწერი № 9, ფურც. 39).

ჩვენს დროში იყო ცდა — „მარტვილია“ დაეკავშირებინათ მოწამეთა სხენების დღეებთან (რადგან „მარტ რია“, გარდა „დამოწმებისა“, „მოწამეობასაც“ ნიშნავს), მაგრამ ასეთი დაკავშირება სრულიად არაბუნებრივი რომ არის, ხაზს უსვამს ეფრემ მცირის ზემოაღნიშნული კომენტარიც: იმდენად დაცილებული იყო ერთმანეთისაგან სულთმოფენობის დღესასწაული და მოწამეთა მსახსენებელი (როგორც შინაარსობრივად, ისე კალენდარულად), რომ მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა დიდ ქართველ მწიგნობარს აზრადაც არ მოსვლია. ამ მხრივ გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ ბერძნული „მარტ რია“ ქართულს შეთვისებული ჰქონდა მისთვის ბუნებრივი (მცირედ სახეცვლილი) ფორმით — „მარტ ლია“ (ფონეტიკური დისიმილაციის შედეგად).

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ლიტურგიკული ტერმინი შეიძლება ისე შეიცვალოს თუნდაც ერთი ბგერის შეცვლით, რომ მისი წარმოშობის გარკვევას სპეციალური კვლევა-ძიება დასჭირდეს.

ასეთი ტერმინია, შესაძლოა, „ოცობაც“. თუ ეს მართლაც ასეა, ოცობის პირველსახედ „ოცება“ შეიძლება ვიგულისხმოთ.

„ოცება“ ძველი ქართული ენის ლექსიკონებში განმარტებულია რამდენიმე მნიშვნელობით: „ფანც ბრება“, „შეკრთობა“, „ჩვენება“, „მოჩვენება“,<sup>12</sup> „საოცრება, მოჩვენებასავით“.<sup>13</sup>

ხანდახან „ოცება“ გაიგივებულია „ოცნებასთან“; პირველი მათგანი განიმარტება ზუსტად ისევე, როგორც — მეორე; აშკარაა, რომ „ოცნება“ „ოცების“ ვარიანტული ფორმაა, მასში „ნ“ ბგერის განვითარებით მიღებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ ორ სიტყვაში რამდენადმე განსხვავებულ შინაარსს გულისხმობენ.<sup>14</sup>

„ოცნების“ სულხან-საბასეული განმარტება ნემესოს ემესელის თხზულებას ემყარება.<sup>15</sup> სხვა ლექსიკოგრაფები „ოცნებას“ შემდეგნაირად განმარტავენ:

„სიჩქურე, ზმანება მღვდარისგან, ვითა ფანტაზია, (ვიოცნებებ, მეოცნების), მეზმანების, კიზრად წარმო-მიღებების, არა ნამღვლად, არამედ საგონებლად, ო“<sup>16</sup>

„ოცნება — სიზმარი, ჩვენება, მოჩვენება, ეოცნებოდა

— კჩვენებოდა.“<sup>17</sup>  
 „ოცნება“ (ეოცნა) — წარმოსახვა, ფანტაზიორობა, ბერძნ. „ფანტაძო“.<sup>18</sup>

ამრიგად, „ოცებისა“ და „ოცნების“ გაგებას ბევრი რამ აქვთ საერთო. მათი მნიშვნელობებიდან ჩვენთვის საინტერესოა „ჩვენება“, „მოჩვენება“, „ზმანება მღ ძარისაგან“. ამგვარი მნიშვნელობების ნათელსაყოფად აქვე მოგვყავს რამდენიმე ციტატა ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა ძეგლიდან.

ჯერ ვნახოთ ისეთი ტექსტები, სადაც გვაქვს „ოცება“ ფორმა:

„გეოცებოდენ საშინელება იგი სამსჯავრო სა“.<sup>19</sup>  
 „არცა ძილისა ოცება შეგაშინებს შენ“.<sup>20</sup>

„სულტანი... ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თ თ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თ სად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ჭგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღ ძარესა — სიკუდილი“.<sup>21</sup>

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების...“

„ო მიპლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების“.<sup>22</sup>

„რომე დავეყ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა, მაგრა მისი მნახავიცა სიზმრივ კაცი არ მეოცა“.<sup>23</sup>

ახლა ვნახოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ „ოცნებაც“ იმავე შინაარსით იხმარება, რომლითაც „ოცება“:

„ყოვლით კერძო ოქროსა. ოდენ ხედავ, ოქრო გეოცნების“.<sup>24</sup>

„ოთხ-კედელნი გოდოლნი მრგულად ეოცნებიან“.<sup>25</sup>

„...ხოლო ეშმაკი... უჩვენებს მას საშინელთა ოცნებათა, რამეთუ ოდესმე ვითარცა სიმრავლე მ ეცთა ზედა მოვალნ და ოდესმე ზღუა რეცა დანთქან“.<sup>26</sup>

„...ხოლო მას არარად შეერიცხა, არცა სუროდა ხილვა მათი და ზრახვა, არამედ იგი სასურველსა თ სსა იგონებდა, მას განიცდიდა გონებითა და იგი ეოცნებოდა“.<sup>27</sup>

ამრიგად, „ოცება“ (თავის ვარიანტულ ფორმასთან — „ოცნებასთან“ — ერთად) შეიძლებოდა მიჩნეულიყო „ჩვენების“, „ანგელოზის გამოცხადების“ აღმნიშვნელადაც.

ლუკას სახარებაში აღწერილია გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადება („ჩვენება“) ჯერ ნათლისმცემლის მამასთან, შემდეგ — უბიწო ქალწულთან. სახარების თანახმად, ზაქარიას „ეჩვენა“ ანგელოზი (ლუკა 1,11); „ჩვენება რა მე იხილა“ (ლუკა 1,22); და თუმცა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ჩვენება სხვა სიტყვებითაა გამოხატული „გაბრიელ ანგელოზი მოივლინა ღმრთისა მიერ“ (ლუკა 1,26), „შევიდა ანგელოზი იგი მისა“ (ლუკა 1,28), მაინც ამ ორ მოვლენას შორის მსგავსება თვალსაჩინოა.

მამასადამე, უბიწო ქალწულთან გაბრიელ მთავარანგელოზის მოვლინება შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც „ჩვენება“, „ხილვა“, „გამოცხადება“, ანუ — ძველი ტერმინოლოგიით — ოცება; ღმრთისმშობელს

ეოცა (ქრევენა, გამოცხადდა) უფლის ანგელოზი და ახარა მის მიერ განხორციელება ღმრთის სიტყვისა.

ეორტოლოგიურ ტერმინად ხელსაყრელი იყო როგორც „ოცების“, ისე „ხარების“ შემოღება. პირველი მათგანი მოვლენის გარეგნულ სახეს გვიჩვენებს, მეორე — მის სულიერ შინაარსს.

სადმრთო ისტორიის ერთი და იგივე მოვლენის აღნიშვნა სხვადასხვა ეორტოლოგიური ტერმინით — საკმაოდ ხშირი მოვლენაა. მაგალითად, მდინარე იორდანეზე მცხოვრისა და იოვანე ნათლისმცემლის შესვედრა იმთავითვე აღინიშნა ტერმინებით: „ბაპტიზმა“ (წყალში ჩაყოფა, ანუ შთაფლვა) და „ფოტიზმა“ (განათლება, ნათლით შემოსვა, ნათლისღება). პირველი მათგანი მოვლენის ხილულ მხარეს ასახავს, მეორე — სულიერს. ასევე, ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით — იწოდებოდა „პასექად“, „ადვსებად“; სულიწმინდის მოფენა ქრისტეს მოციქულებზე — „მარტულად“, „მეერგასედ“ და ა.შ.

ღმრთისმშობელთან მთავარანგელოზ გაბრიელის გამოცხადების აღსანიშნავ ეორტოლოგიურ ტერმინად ლიტურგიკულ ძეგლებში ყველგან გვხვდება „ხარება“ (ბერძნ. „ეჟანგელიზმოს“). „ოცება“ ჯერჯერობით არსად შეგვხვდებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თუშეთსა და ხევსურეთში შემორჩენილ ხალხურ საეკლესიო ტრადიციას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში „ხარებასთან“ ერთად ეს ტერმინიც ყოფილა გავრცელებული ადრექრისტიანულ ხანაში.

დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, „ოცება“ მთლიანად გამოდევნა ლიტურგიკული პრაქტიკიდან „ხარებად“,<sup>28</sup> და იგი შემორჩა მხოლოდ ისეთ კუთხეებში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ძველი საეკლესიო ტრადიციებისადმი პატივისცემა.<sup>29</sup> ამასთან, ტერმინის შინაარსის დაიფიქსირებამ და სახეცვლილებამ („ოცების“ „ოცობად“ შეცვლამ) წარმოშვა საჭიროება მისი ახსნისა. მართალია, „ოცობის“ დაკავშირება „ოც კვირასთან“ (გიორგობიდან ხარებამდე) ხელოვნურია და მიუღებელი, მაგრამ ამით, როგორც ჩანს, ერთგვარად დაკმაყოფილდა მთიელთა ინტერესი-თავიანთი დღესასწაულის არსის ცოდნისადმი.

რაც შეეხება ხარის მონაწილეობას სადღესასწაულო რიტუალში, ფიქრობთ, ესეც ხარების დღესასწაულთანაა დაკავშირებული; და, შესაძლოა, დაკავშირება მოხდა არა მარტო ამ სიტყვების შემთხვევითი მსგავსების გამო, არამედ სახარების იმ თავის მისათითებლადაც, რომელშიც აღწერილია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარება.<sup>30</sup>

შენიშვნები:

1 ნ. აბაკელია, ქ. ალავერდშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღესობათა კალენდარი, თბ., 1991, 85.

2 „დადგება თუ არა გაზავსულის პირი, თუშები ხენა-თესვის თადარიგს შეუდგებიან და ამისათვის 25 მარტს „ოცობას“ ასრულებენ. ამ დღეს გლეხი კარის ყანაზე ხამ კვალს გააგლეშებს და ერთ მუტა ქერსა და პურს დათესავს. სანამ ეს ჯუჯული არ ამოვა, მანამ ოჯახში არაფერ წველს არ მოგვებს, რომ ჯუჯული დაგრეხილი არ ამოიფიქს. ამ დღიდან ოჯახიდან ცეცხლი და „სულადი“ (ქერი და პური) არ

გაცივება, სანამ ხენა-თესვას არ მორჩებიან. ხარებსაც კვლავ „უნძრახის თურას“ წითელი ძაფით შეაბამენ. ამ დღეს დედაკაცები თავს დაიფარცნიან, ყანა დაიწმინდებო. ბაშტედან ძროხებს პირველად გამოიყვანენ, კუდის ბოლოებს ცოტათი შეაჭრიან და დანაზე გადაატარებენ, კლდიდან არ გადავარდნო. ჩქარა დაიწყება ხენა-თესვა. მაგრამ სანამ ყანაში გაუვლენ, ასრულებენ „უღელდებას“. აცხობენ ჯერიან ღაგაშს და სამეურა ხშიად, ანთებენ სანთელს და არასვც ჩამოსასამენ. მამაკაცი ამ ჯერიან პურს სამეურ უღელზე შემოატარებს; კარგ მოსავალზე დაილოცება, უღელზე გატეხს და ორივე ხარს შეაჭმევს უღელდების პურის გამოცხობი დედაკაცი სხვის ოჯახში ვერ შევა, პურის ბერაქს გაშვებო, არც მამაკაცი სხვისას წაიფიქს, კვალი უნდა შეენახა, რომ კვალი სხვის ოჯახში არ შესულიყო. თესვას რომ მორჩებიან, ყანაში მაღალ ვოხს ჩაარჭობენ და მას თავს გრძელად გადმოუხრიან, რომ ასეთი თავთაიანი პური ამოიფიქს“ (ს.ბაკალაია, თუშეთი, 1983, 195).

3 ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1984, 379.

4 „ოცობა — გუთნის პირველად შებმის დღე“ (ს.ხუბუტია, თუშეთი კილო, ლექსიკა, თბ., 1969, გვ. 130).

5 ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 237.

6 ნ. აბაკელია და სხვ., დასახ. კვლევდარი, გვ. 85.

7 მაგალითად, თუ წმიდის მოსახსენებელი კვირაიკეს დღემთხვა, საკითხავ-საგალობლებში უპირატესობა კვირაიკეს (ე.ი. მოძრავ კალენდარს) ეძლევა.

8 უხეველი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანჭივამ და ლ. ხევსურიანმა, 1980, 255.

9 ქ. აბაკელია, კომენი, ტ. II, 1946, 64-71.

10 ქ. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს ტოპონიმიაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი), ტურნ. „ჯვარი ვახისა“, 1989 წ., № 3, გვ. 80-83.

11 ამ თემას ეძღვნება ჩემი ორი წერილი: „მარტულთა დღესასწაულისათვის“ (თ.ჯვარი ვახისა“, 1992, № 2), „სულთმოფენობა თუ საქმობა?“ (თ. „ჯვარი ვახისა“, 1991, № 2).

12 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, 336.

13 თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, გ. შარაძის გამოცემა, 1979, 102.

14 ნემესისი ემესელის თხზულების („ბუნებისათვის კაცისა“) თარგმანში იოანე პეტრიწი ამ სიტყვებს მიგნავს შედგენიარად: „ოცნებით უკუ არს ძალი უტყუა სულისა, საგრძნობელთა მიერ მუმუქმედ; ოცებით უკუ — რომელსა ოცნება შთავარდების, კითარ რა გრძნობა და გრძნობელი“ (ნემესისი ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, 1914, 72).

15 „ოცებას“ ბერძნულში შეესაბამება „ფანტასმა“ (მოჩენება, გამოცხადება), „ოცნებას“ კი — „ფანტასია“ (წარმოუდგენა, წარმოსახვა, ფანტაზია).

16 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV I, 1965, 613.

17 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. დღონტის რედაქციით, 1961, 325.

18 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, I, 1946, 452.

19 ელ. ჭელიძე, წმიდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება „პასუხი ექუსთა მით დღეთათ ს“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, 355.

20 -1105, 83 რ (ციტირებას ვახდენთ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“).

21 იქვე, 276 გ.

22 „ცხობრება მუფეთ-მუფისა დავითისი“, ქართლის ცხოვრება, ხიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, 1955, 346.

23 ეფუხისტყაოსანი, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საქმბრად“.

24 იქვე, „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“.


25 ბახილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისწერილი თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, 1983, 91.



- 25 წახილი დიდი, ექუსთა დღეთა , 1947, 76.
- 26 „ცხოვრება თეოდორასი“, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, 309.
- 27 „მარტყოლა რაჟდენ პირველიოწამისა“, იქვე, გვ. 244.
- 28 ეს მოვლენა, საფიქრებელია, ბერძნულ სამყაროში მოხდა, და, მის კვლავდაკვალ, ქართულ საეკლესიო ცხოვრებაშიც აისახა. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ბერძნულად „ოცების“ შესატყვისი უნდა ყოფილიყო „ოპტასია“ (ლუკა 1,22).
- 29 როგორც ცნობილია, საქართველოს მთამ დღევანდლამდე

შემოინახა ადრინდელი ქრისტიანობის ისეთი ლიტურგიული ტრადიციები, რომელთაგან ზოგი დაფიქსირებულია უხველეს ლიტურგიულ ძეგლებში (მაგ. ათენგენობა, ღამპრობა და სხვ.), ზოგიც — უკვადლოდაა გამქრალი საეკლესიო პრაქტიკიდან.

30 ღმრთისმშობლის ხარება, როგორც უკვე ვთქვით, აღწერილია ღუკას სახარებაში. ხარი (კურო) მიჩნეულია სწორედ ღუკა მახარებლის სიმბოლურ სახედ (იოანეს გამოცხადება 4,7). სხვა მახარებლებს კი მოასწავებენ: ლომი (მარკოზი), კაცი (მათე) და არწივი (იოანე ღმრთისმეტყველი).



რუსთავეის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია



უწმინდესი და უნეტარესი, სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ტაბრის კურთხევის დროს

## აღიზარდენ შვილნი ჩვენნი სჯავლითა და მოკლვრებითა უფლისა თა

ადრე გავეცანით ბავშვთა ქრისტიანული აღზრდის ზოგად ხერხებს, ახლა კი გავეცნოთ მათზე ზემოქმედების კონკრეტულ საშუალებებს:

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ, რაც ადრე იწყება აღზრდა, მით უფრო შედეგაინა იგი, ის აკენიდანვე უნდა ხორციელდებოდეს. აქ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია წმიდა საიდუმლოებანი, სრული ეკლესიურობა, რწმენა და კეთილმსახურება შშობლებისა.

ხშირი ზიარება წმიდა ნაწილებისა ცოცხლად და ქმედითად მოქმედებს ბავშვზე, უწმიდესი სისხლისა და ხორცის საშუალებით უფალთან ერთიანდება. ეკლესიის ახალი წევრი და ბოროტ ძალთათვის შეუღწეველი ხდება, განიწმინდება და ნათლდება, მშვიდდება და ძლიერდება. ვინც ამგვარად იქცევა, მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩება ზიარების დღეს ბავშვის ღრმა მყუდროება და ბუნებრივ მოთხოვნილებათა მიმართ შესუსტებული ღტოლვა. ზოგჯერ ის მხიარულებითა და სულიერი სიხარულით ივსება, თითქოს მზადაა ყველას მოეხიოს, როგორც თავისიანს. არც თუ ისე იშვიათად, წმიდა ზიარებას სასწაულებიც ახლავს თან; მაგალითად, წმ. ანდრია კრიტიკი ბავშვობაში დიდხანს ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ როცა გულშემუსერილმა შშობლებმა ლოცვასა და მადლმოსილ ხერხებს მიმართეს, სწორედ მაშინ, ზიარებისას უფალმა გაუხსნა ენის ბორკილები თავისი მადლით, იმ ენისა, რომლითაც მორწყო შემდგომში ეკლესია ტკბილხმოვანებითა და სიბრძნის ნაკადით.

ერთი ექიმი თავის დაკვირვებებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ბავშვთა დაავადების უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელია მათი ზიარება, რის შედეგადაც ძალზე იშვიათად ხდება საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ეკლესიაში ხშირი სიარული, ჯვარზე, სახარებაზე თუ ხატებზე მთხვევა, წმ. წყლის სხურება, საკმევლის კმევა, მოძღვრის კურთხევა, მთარული ხატის ოჯახში მობრძანება, პირველის გადასახვა ყველაფერ იმაზე, რასაც ბავშვი ეხება და საერთოდ ყოველივე ეკლესიური, სასწაულებრივი სახით ათბობს და კვებავენ ბავშვის სულიერ ცხოვრებას. ყველაფერ ამასთან ერთად, უსაფრთხო და შეუღწეველ ჯებირს აღმართავს უხილავ

ბნელ ძალთა წინააღმდეგ, რომლებიც მუდამ მზად არიან დაიპყრონ და მოწამლონ მოზარდის ნორჩი სული. ამ ხილულ დაცვასთან ერთად არსებობს უხილავიც — მფარველი ანგელოზი, უფლის მიერ მიწინილი ნათლისღების წუთიდან, რომელიც ზემოქმედებს ჩვილზე და საჭირო შემთხვევაში შთააგონებს შშობლებს, თუ რით უნდა შეეწიონ განსაცდელში მყოფ ბავშვს.

სულზე და საუკუნო ცხოვრებაზე ზრუნვისას ქრისტიანებს არ რჩებათ უყურადღებოდ ხორცი და მიწიერი ყოფა, რადგან სულის დედამიწაზე ცხოვრება და მოქმედება სხეულის გარეშე შეუძლებელია; დროებითი სიცოცხლით ხომ მარადიულიც განისაზღვრება, ამიტომ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა სავალდებულო ხდება.

ბავშვის სულიერ ზრდასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ხორციელი ბუნება მისი, რომლის საარსებო წყაროს კვება წარმოადგენს. ზნეობრივ დამოკიდებულებაში კვება ხორციელი ტკბობის ენების დასაჯდომელია, ამიტომ, საჭიროა ისე ვასაზრდოთ ბავშვი, რომ ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, არ ავანთოთ სულში ხორცის მამებლობა; ნუ გამოუტენით პირს ათასგვარი ტკბილეულითა და სხვადასხვა ნუგბარი საჭმელებით, რაც უკიდურესად საზიანოა. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, საჭიროა, პირველი წლებიდანვე დავადინჯოთ უბეში ნივთიერებისაყენ მიდრეკილი სხეული, შევასწავლოთ მისი მოთვინიერება, რათა არა მარტო სიყმაწვილესა და ახალგაზრდობაში, არამედ მთელი შემდეგი დროის მანძილზე მსუბუქად და თავისუფლად შესძლოს მისი მართვა. გვახსოვდეს, პირველი საფუარი მეტად ძვირფასია. კვებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული მომავალშიც, რადგან შეუმჩნეველად შეიძლება განგავითაროთ გემოთმოყვარება და ნაყროვანება, ეს ორი სახე მუცელმურთობისა — დამღუპველი მიდრეკილებანი სხეულისა და სულისა კვებასთან დაკავშირებული.

მეორე მოქმედება სხეულისა მოძრაობაა; ორგანო — კუნთები, რომელშიც მოთავსებულია ძალა და სიმტკიცე სხეულისა, იარაღი შრომისა. სულთან დამოკიდებულებაში ის ნების დასაჯდომელია და დიდი უნარი შესწევს თვინუნებურება განავითაროს. ზომიერი, კეთილგონივრული სრულყოფა ამ მოქმედებისა, სხეულს მგზნებარებასა და სიცოცხლეს გადასცემს, შრომას აჩვევს, სიღარბისილეს

უყალიბებს. დამახინჯებული, უკუღმართი განვითარება კი თვითნებობას მინდობილი, ზოგში უზომო სიცვლქესა და გაბნეულობას, ზოგში კი მომგებულობას და სიზარმაცეს ანვითარებს.

მესამე მოქმედება სხეულისა ნერვებზე არის მოთავსებული, მასთან დამოკიდებულებაში წესის დადგენაა საჭირო, რომ სხეულმა უმტკივნეულოდ გადაიტანოს ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედება ჰაერისაგან, წყლისაგან, სინესტისაგან, სიცხისა თუ სიცივისაგან, ჭრილობისა და ტკივილისაგან. ვინც ასეთ ჩვევას შეიძენს, უბედნიერესი ადამიანი იქნება, ყოველგვარი რთული საქმის აღსრულებას შესძლებს, ყოველგან და ყოველთვის ხორცის ბატონ-პატრონი იქნება, არ გადასდებს, არ შესცვლის, არ დატოვებს არცერთ საქმეს სხეულის უსიამოვნების შიშის გამო, პირიქით, გარკვეული სურვილითაც კი მიმართავს იმას, რითაც სხეულის გაღიზიანება და გამოწრთობა შეიძლება. მთავარი ბოროტება ხორციან დამოკიდებულებაში ხომ სწორედ მისი სიყვარული და სიბრალულია, რაც ძალაუფლებას ართმევს სულს სხეულზე და პირველს მეორის მონად ხდის.

შეუბრალებელი, ხორცის არამამებელი, უშფოთველი ხდება ყველა თავის წამოწყებაში. ამასვე ეხება სამედიცინო რჩევები ბანვასთან, სამოსელთან, სეირნობის დროსა და ადვილთან დაკავშირებით, მთავარია მხოლოდ სასიამოვნო შეგრძნებათა ქვეშ არ ვიყოლიოთ სხეული, არამედ უფრო მეტად შემაწუხებელ შეგრძნებათა ქვეშ დავიმჭიროთ იგი, რაც განამტკიცებს და არ გაანებივრებს მას.

ბავშვის განვითარებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს სულის ყველა უმთავრეს ძალას: გონებას, ნებას და გულს.

ა) ბავშვის გონება ადრე ამულაწებს მოსაზრებულობას, ის ლაპარაკის თანადროულია და მასთან ერთად ვითარდება. ამიტომ გონების ჩამოყალიბება სიტყვასთან ერთად ხდება. მთავარი, რაც მხედველობაში უნდა გვქონდეს, ჯანსაღი მცნებები და ქრისტიანულ საწყისებზე დაყრდნობილი კეთილგონივრული განსჯაა ყველაფერ იმისა, რაც ბავშვს ხდება და მის ყურადღებას იპყრობს. რა არის კეთილი და ბოროტი, კარგი და ცუდი, რის გაკეთებაც ძალზე ადვილია ჩვეულებრივი კითხვა-საუბრების საშუალებით. მშობელთა მსჯელობას ბავშვებიც ისმენენ და ითვისებენ არა მხოლოდ აზრებს, არამედ მეტყველებისა და ქცევის ჩვეულებებსაც. ამიტომ ახსნა-განმარტებისას ყველაფერს თავისთ სახელი უნდა დაერქვას. მაგალითად: რას ნიშნავს აწყო ცხოვრება, ან რით დამთავრდება იგი, ვისგანაც მომდინარეობს ყოველივე, რა არის სიამოვნება, რა ფასეულობას წარმოადგენს ესა თუ ის ჩვეულება და სხვა. ესაუბრონ და განუმარტონ პირდაპირ ან უკეთესია მოთხოვნათა საშუალებით, კარგია თუ არა გამოპრანჭვა. ბედნიერებაა თუ არა ქების მიღება. ან კიდევ, ჰკითხონ რას ფიქრობენ ისინი ამა თუ იმ საკითხზე და თან შეუსწორონ შეცდომები. ამ უბრალო საშუალებებით ხანმოკლე დროში შეიძლება გადაეცეთ ბავშვს. საგანთა განსჯის

ჯანსაღი საწყისები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე წარუშლელად დარჩებიან. აუცილებელია მორიდება გამხრწნელი შეხედულებების მქონე წიგნებიდან (აქვე აღსანიშნავია ტელეეკრანთან განურჩეველი ჯღომა. გ.ო.), რის შედეგადაც მათი ნება წმიდა და ღვთაებრივ ჯანმრთელობით სრულიად შეინახება. ამაოდ არ ზრუნავენ ბავშვთა ამგვარ წრთვანზე იმ ვარაუდით, რომ ის ჯერ კიდევ პატარაა. ჭეშმარიტება ყველასთვის მისაწვდომია და რომ ქრისტიანი ბავშვი ფილოსოფოსებზეც ბრძენია, ეს ცხოვრების გამოცდილებამაც გვჩვენა; მაგალითად, მოწამეობისას მცირეწლოვანები უფლის მაცხოვრებაზე, კერპითაყვანისმცემლობის უგუნურებასა და მომავალ ცხოვრებაზე მსჯელობდნენ, რადგან დედ-მამის უბრალო საუბრების საშუალებით ჰქონდათ ეს ჭეშმარიტებები შთანერგილი, ასწავლიდნენ მათ გაფრთხილებას, უნათესავებდნენ მის გულს ისე, რომ მათთვის სიკვდილიც კი არ აშინებდათ.

ბ) ნება. ბავშვი მრავლის მსურველია, ყველაფერი იპყრობს, იტაცებს და სურვილს აღძრავს მასში. კეთილისა და ბოროტის განურჩევლობის გამო, ყოველივე სურს და რაც სურს მზადაა შეისრულოს. თავის თავს მინდობილი კი მოურჯულებელი თვითნება ხდება, რის გამოც, მშობლებს სულიერი მოღვაწეობის ამ სფეროში განსაკუთრებული სიფხილვე მართებთ. ყველაზე უბრალო საშუალება მათ საჭირო საზღვრებში მოქცევისა იმაში. მდგომარეობს, რომ ბავშვები უნებართვოდ არაფერს აკეთებდნენ და ყოველი სურვილით მშობლებს მიმართავდნენ. პირადი თუ სხვისი მაგალითით საჭიროა დავარწმუნოთ, რომ საშიშია უკითხავად საკუთარი ნების აღსრულება, ისე რომ, ეშინოდეთ კიდევ თვითნებურობისა. ამგვარი განწყობა საბედნიეროა და ყველაზე მსუბუქი აღსაბეჭდავად. ისინი ხომ ისედაც უფროსებს მიმართავენ კითხვით, შეგნებული აქვთ რა თავისი უცოდინარობა და სისუსტე. საჭიროა მხოლოდ ამ საქმის ამაღლება და უცვლელ წესად დადგინება. ბუნებრივი შედეგი კი (ქრისტიანი) მშობლების სრული მორჩილება, ბევრ რამეზე უარის თქმა და, რაც მთავარია, პრაქტიკულად დარწმუნება იმაში, რომ საკუთარ თავს ყველაფერში არ უნდა ვენდოთ. რაც გასაგებიცაა ბავშვისათვის მისივე გამოცდილებიდან, რადგან ხშირად მისი სურვილი მაგნებელი აღმოჩნდება ხოლმე სხეულისა და სულისათვის.

თვითნებურობის გადაჩვევასთან ერთად სიკეთის ქმნას უნდა შევანვიოთ იგი, ამისათვის მშობლებმა თვით უნდა მისცენ კეთილი ცხოვრების მაგალითი და გააცნონ ისეთები, რომელთა მთავარ-საზრუნავსაც სიამოვნება და წარჩინება კი არა, სულის ცხოვრება წარმოადგენს. ბავშვები მიბადვის მოყვარულები არიან და ადრევე ემსგავსებიან დედას ან მამას, აქ წარმოიშობა რაღაც მსგავსი იმისა, რაც ხმაშეწყობილ საკრავთა შორის ხდება.

ამავე დროს, საჭიროა ბავშვთა კეთილ საქმეზე გამოწვევა, დასაწყისში მითითება შეიძლება, ზოგჯერ ბრძანებაც კი, შემდეგ წარმართვა, რათა თვით შესძლონ

მათი აღსრულება. ამ შემთხვევაში ყველაზე ჩვეულებრივი საქმეებია: მოწყალეობა, თანაგრძნობა, გულკეთილობა, დამთმობლობა და მოთმინება. ყოველივე ამის შეთვისება არც თუ ისე ძნელია, შემთხვევა წუთიერია, ღირს ხელის მოკიდება; მაგალითად, გულწვილობასა და სიკეთეს რომ შევარჩიოთ, უნდა დავავალოთ მთხოვნელთათვის მოწყალეობის გაღება, თან გულმოდგინედ ვადევნოთ თვალი. ამ სახით სხვადასხვა კეთილ საქმეზე განწყობილ ნებას მივიღებთ, სიკეთისაკენ მიდრეკილს, რადგან სიკეთის ქმნასაც სწავლა უნდა, როგორც ყველა სხვა დანარჩენ საქმეს.

გ) გული. გონების, ნებისა და უმდაბლესი ძალების ამგვარად მოქმედებისას, თავისთავად ცხადია, გულიც ისე განეწყობა, რომ ჯანსაღი და ჭეშმარიტი გრძნობები ჰქონდეს. შეიძინოს ჭეშმარიტებით ტკობის ჩვევა და სრულებით არ თანაუგრძობდეს მას, რაც სიტკობების საფარველქვეშ შსამით ავსებს სულსა და სხეულს. გული ნიჭია, იგემოს და შეიგრძნოს მიღებული.


როცა ადამიანი ღმერთთან კავშირში იყო, ის გემოს ღვთაებრივ საგნებში პოულობდა. მაგრამ დაცემასთან ერთად ეს გემო დაკარგა და გრძნობადობის წყურვილი გაუჩნდა. ნათლისღების მადლმა მისგან განკეთავისუფლა, გრძნობადობა კი მზადაა კვლავ აგვივსოს გული — ეს

არ უნდა დაგუშვათ! უნდა შემოვლოთ გული. ყველაზე ქმედითი საშუალება ჭეშმარიტი გემოვნების აღზრდისა ცკლესიურობაა — თანაგრძნობა ყოველგვარი სიწმიდისა; გალობა, ხატები, უბრწყინვალესი საგნები თავისი ძალითა და შინაარსით; ეკლესია, მასში ყოფნით ტკობა, სიწმიდისა და სიბოხს გამო, მოწყვეტა ცხოვრებისეული ამაოებისაგან. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გემოვნებისდა მიხედვით, დაწესდება მომავალი მარადიული სამყოფელი, ხოლო გემო გულისა იქ ისეთივე ინქნება, როგორსაც აქ ჩამოვყალიბებთ, ამიტომ დავიცვათ ბავშვები ყოველი სახის წმიდა საგნებით.

ყველაფერს კი, რასაც გახრწნა შეუძლია, მაგალითად, გამოსახულებასა თუ ნივთს — გავაცილოთ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათი ცუდი მეგობრებისაგან დაცვა და მთელი მომავალი დროის მანძილზე ამ წესრიგის უცვლელად შენარჩუნება.

გონების, ნების და გულის ჩამოყალიბებისას, აღზარდებითად უნდა ვიმოქმედოთ მათი სულის უმაღლეს (რელიგიურ) ძალებზე. სული უფრო ადვილად ვითარდება, ვიდრე სამშენიელი და მასზე ადრე ავლენს თავის ძალასა და მოქმედებას, რასაც ღვთის შიში მიეკუთვნება (შესაბამისად გონებისა) და სინდისი (შესაბამისად გრძნობისა).

მასალა მოამზადა გონა ოდიშელიძემ სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტმა



6 (19) დეკემბერი  
ხსენება წმიდისა ნიკოლოზისა,  
მირონ-ლუკიის მთავ-  
არეპისკოპოსისა და  
საკვირველმოქმედისა

ტროპარი:

კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყოსა შენისათ ს ჭეშმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე. წმიდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალეზად სულთა ჩვენთათვის.

გიხაროდენ, ბრძენო მესაჭეო, ივერთის წმიდა ცკლესიისა და მფარველო ერისა ჩვენისაო.

## ეკლესია და სამყარო

### მიტროპოლიტი ვიტალი

## ტელევიზია და სამყარო

ჯერ კიდევ არ გვაქვს სრულად გაცნობიერებული, თუ რაოდენ გლობალური შედეგები მოჰყვა ტელევიზიის შექმნას. მან სტიქიურად დაიკავა ყველაზე საპატიო ადგილი ყოველ სახლსა და ყოველ ოჯახში, უთუოდ მაგიური მიზიდველი და მომწუსხველი ძალისა და ხრწნილების შემზარავი შხამის მეოხებით. თანამედროვე მოძღვარს არა აქვს უფლება, არ ესაუბროს საშფისოს ამ საფრთხის შესახებ, რადგან ტელევიზიას ძნელია რაიმე შეედაროს ადამიანის სულზე ზემოქმედების უნართ. ტელევიზიასთან ბრძოლა უნდა იყოს ჩვენი უპირველესი ამოცანა, რადგან იგი შეჭრილია ადამიანის სახლში და გაბუდებით, ყოველ საათსა და ყოველ წუთს ზემოქმედებს მასზე. მასთან ბრძოლის არსი კი უნდა გულისხმობდეს სწორ დამოკიდებულებას თანამედროვეობის ამ უდიდესი გამოგონების მიმართ. ამ ბრძოლის მთელი სირთულე ისაა, რომ ბრძოლა გვიწევს არა ტელევიზიასთან, არამედ უკიდურესად დაუძლეველ ადამიანის ნებასთან, რომელსაც აღარ ძალუძს საკუთარ თავში მოიძიოს ძალა, რათა დროულად დააღწიოს თავი ამ საოცრად მაცდურ და მომხიბვლელ სიამოვნებას. ამასთან დაკავშირებით, გვასხენდება პავლე მოციქულის სიტყვები: „ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს-არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ მე არა ვისსა ელმწიფებასა დავემორჩილე“ (1კორ.6,12).

ამგვარად, იმისათვის, რომ შედეგიანი იყოს ტელევიზიასთან ჩვენი ბრძოლა, საჭიროა, ერთხელ და სამუდამოდ გამოვიმუშავოთ მისდამი სწორი დამოკიდებულება. თავდაპირველად, აუცილებელია, უკიდურესი ობიექტურობით განვიხილოთ მისი დადებითი თვისებები, ხოლო შემდეგ გამოვააშკარავოთ მასში ჩადებული ბოროტბაც. მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი, ვისარგებლოთ მისი სიკეთით და ავირიდოთ მისი გამხრწნელი გავლენა.

პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი გამოგონება, ყოველგვარი მექანიზმი და მანქანა თავისთავად არ შეიძლება იყოს ბოროტება, რამდენადაც არ არსებობს თვითმყოფი ბოროტება. ბოროტება არსებობს მხოლოდ იმ გონიერი ქმნილების ნებაში, რომელიც არ ემორჩილება ღმერთს. პირიქით, ყოველ ამგვარ გამოგონებაში უნდა ვეძოთ ღვთის სიბრძნის ბეჭედს, რომელიც ბუნების კანონებშია გამგლავებული და მისი

ხილვისას მთელი გულით უნდა აღვავლინოთ დიდება ყოვლისშემოქმედის მიმართ.

ვიდრე ვისაუბრებდეთ თუ რაოდენ დიდია ტელევიზიის არხებიდან მომდინარე მაცდური სურათების მასშტაბი, ალბათ, არ იქნება გონივრული, არ აღვნიშნოთ ადამიანთა მასებზე მისი დადებითი, კეთილი გავლენა. კერძოდ, ტელევიზია ხელს უწყობს ადამიანთა დაბრუნებას საკუთარ სახლში.

სოციოლოგებისა და პედაგოგების დაკვირვებით, პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღევანდელ პერიოდამდე, აღინიშნება ადამიანის სწრაფვა ქუჩური გართობისაკენ. ადამიანები მხოლოდ დასვენებისა და საკვების მიღების მიზნით მიდიოდნენ სახლში. ისინი არასოდეს ატარებდნენ თავისუფალ დროს საკუთარ ჭერქვეშ. სპორტულმა გასართობებმა, კინოთეატრებმა, საცეკვაო მოედნებმა და სხვა მსგავსმა გატაცებებმა, რომელნიც ხრწნის შხამით იყვნენ აღვსილნი, ადამიანი მოსწვიტეს სახლს ოჯახურმა კერამ არნახული სისწრაფით იწყო დაკნინება და გაქრობა. ეს პროცესი განსაკუთრებული სიძვირით ისახებოდა ბავშვის შეგნებაში. ბავშვისათვის მშობლიური კერა არის ბუდე. იგი პირველად აქ აღახელს თვალს, აქაურობას მოავლენს გააზრებულ მზერას და შებურავს მას ბავშვური ფანტაზიის წარმოდგენებით. მისი წარმოსახვა სიყვარულით ანიჭებს სახლის გარემოს სულიერ ფორმებს და უმანკო ფანტაზიამაგორიის მთელს სამყაროს აგებს. მაგრამ ქუჩა იპყრობდა ბავშვსაც. თითქმის აკვნიდან, უკიდურესი სიუხეშითა და სისასტიკით, ყოველად მოუშხადებელი, იგი ეჯახებოდა ცხოვრების რეალიზმს, რომელიც შეურაცხყოფდა მის სულს.

პირველი ათი წლის განმავლობაში ტელევიზიამ დაიწყო ადამიანების საკუთარ სახლებში მობრუნება. თუმცა, მისი დამსახურება ამ დიდ-სოციალურ ცვლილებაში ძალზე მოკრძალებულია. მისი ზემოქმედების საგანი აღმოჩნდა ქუჩის იმავე ადამიანის უმდაბლესი ინსტიტუტები. მან დააბრუნა ადამიანი ოჯახურ კერაში მხოლოდ იმისთვის, რომ ქალაქური ყოფისა და ქუჩის სიამოვნებები მის საკუთარ სახლში გადაეტანა.

ცხადია, ეს პრინციპი შორს არის მალაღონებობრიობიდან, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების აურაცხელ

უმართებლობათა, ცდუნებათა და ხრწნილებათა შორის უნდა ვიყოფეთ მკვირვოლენი სარგებლობა, თუკი გვეძლევა მისი სიკეთისთვის გამოყენების შესაძლებლობა.

ამგვარად, მოდით, ვაღიაროთ, რომ ტელევიზიამ ხელი შეუწყო ადამიანის ოჯახურ კერასთან დაბრუნების პროცესს და შევეცადოთ, რომ გამოვიყენოთ მისი ეს დადებითი გავლენა. იგი ფლობს მიზიდულობისა და მომწუსხველობის იმგვარ მაგნიტურ ძალას, რომ კათედრიდან თუ ამბიონიდან მისი უბრალო, კატეგორიული უარყოფითი ამოვად გავირჯებით.

ბოლოსდაბოლოს, ტელევიზიას ძალუქს თვალსაჩინო და ამომწურავი გაკვეთილების წარმოდგენა მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის ყველა საკითხთან დაკავშირებით. მას შეუძლია განათლებისა და ცოდნის ხარისხის ამაღლებით ლახვარი ჩასცეს უმეცრებასა და არაპროფესიონალიზმს, რომლებმაც მრავალი უბედურება მოუტანეს სამყაროს.

ეს რაც შეეხებოდა ტელევიზიის დადებით მხარეს, ახლა კი ვისაუბროთ ადამიანის სულის მიმართ მისი დამღუპველი ზემოქმედების შესახებ.

ტელევიზია მოლიანად სწყვეტს ადამიანს კითხვისგან. რაღად გვინდა კითხვა, როდესაც შეგვიძლია არა მარტო ვიხილოთ, არამედ ვისმინოთ კიდევ? რისთვის უნდა დავძაბოთ ჩვენი წარმოსახვა, როცა ეს პროცესი უკვე აღასრულეს ჩვენს ნაცვლად, საგანგებოდ მოაშაადეს და მოგვანოდეს დახვეწილი, დასრულებული სახით? ისღა დაგვრჩენია, დაგვხდეთ და უზრუნველად მივიღოთ ეს ხიამოვნება.

საოცარია, ტელევიზიას, მიუხედავად იმისა, რომ ძალუქს გადაგვიყვანოს სამყაროს ყველა წერტილში, ჩაგვიყვანოს ზღვის ფსკერზე და გაგვიხსნას მიწის წიაღი, რომელსაც შეუძლია გაგვიღოს ყველა ქარხნისა თუ ფაბრიკის კარი, შეგვიყვანოს სამედიცინო პალატებში და დაგვასწროს ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი საშუალებით ჩვენ ვეცნობით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხს, რომელთა ნახვასაც ვერ შევძლებდით ვერასდროს, მიუხედავად ხილვადობის ამ გრანდიოზული დიაპაზონისა, ტელევიზია აძლიერებს ჩვენში უქმობის სენს და აპათიურ განწყობას. ადამიანს თითქოს ყირჭდება ეს ინფორმაცია; იგი ხდება განურჩეველი, და ბოლოსდაბოლოს, მასში მკვიდრდება უმეცრება.

რას ვგულისხმობ ამ სიტყვებში?

ადამიანის წიგნთან ურთიერთობის დროს, მასში მიმდინარეობს რთული ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც პირველყოვლისა ნებელობის დაძაბვას მოიცავს. იმისათვის, რომ აიღო წიგნი და დაიწყო კითხვა, საჭიროა, გარკვეულად აიძულო საკუთარი თავი, მაშინ როდესაც, ტელევიზიის ყურება არანაირ ძალისხმევას არ ითხოვს. როგორი სიზუსტიაც არ უნდა აღწერდეს ავტორი მოქმედებას, წიგნის კითხვისას ჩვენს წარმოსახვაში საკუთარი ხატები ყალიბდება და მხატვრულ სახეთა მთელი სამყარო იგება. სწორედ ამიტომ, ჩვენ სამართლიან მადლიერების გრძნობას განვიცდით მაღალი ღირსების ნაწარმოებთა ავტორთა მიმართ, რამდენადაც

მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ უხილავ შემოქმედებით პროცესში.

წარმოსახვა არის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ადამიანის სულისა. იგი არის შემოქმედებისა და შემართებლობის წყარო, რომელიც კითხვის ვაშს ვითარდება. მისი მემკვიდრით ადამიანი ხდება არამარტო სასარგებლო საზოგადოებისათვის, არამედ ყოფიერების სიცხველისა და სიხარულის მომნიჭებელიც.

ტელევიზია არ ითვალისწინებს ჩვენს წარმოსახვას, მას არც კი სჭირდება იგი. ყველაფერი წინასწარაა გაშაადებული, საჭიროა მხოლოდ ვნახოთ სრულიად უცხო წარმოსახვის მიერ შექმნილი ფორმები. ეს არის ფსიქოლოგიური დაპყრობა ჩვენი სულისა, ძალიმორება მის მიმართ და ჩვენი შემოქმედებითი ძალების დაკნინება. ტელევიზიის გამო ადამიანი თავს ანებებს წარმოსახვის პროცესს და აზროვნებასაც კი. იგი განაპირობებს მის სულიერ სიზანტეს. ტელევიზიის გავლენით ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგავს ყოველგვარი წარმოსახვის უნარს. იგი ჩამქრალი მხერტი შეჰყურებს ღვთის მიერ შექმნილ ქვეყნიერებას და არ ძალუქს ხილვა, რომ „უხილავი იგი, დაბადებითან სოფლისათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების“ (რომ.1,20).

ამგვარად, ტელევიზიის შემსარავი, საოცრად ფრთხილი ზემოქმედებით ადამიანი ხდება მატერიალისტი, რომელიც სულიერი თვალის გარეშე, ბუნებრივი ცხოველური მხერტი უყურებს საგნებს. ჩვენ სულ უფრო ხშირად მოგვიწოდებენ, რომ ვუყუროთ საგნს, მაგრამ არ ვიხილოთ იგი, ასე ვემსგავსებით იმ უსულს კერპებს, რომელთა შესახებაც მართითებს დავით წინასწარმეტყველი: „თუად ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ესმის, ცხვირ ასხენ და არა იყნოსენ... ემსგავსნენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“ (ფსალმ.113,13-14,16). ხოლო თუ ვუყურებთ საგნებს და ვერ ვხედავთ მათ არსსა და ურთიერთკავშირებს, მაშინ ჭეშმარიტად უმეცარნი ვართ.

უკვე ბევრი რამ ითქვა იმის შესახებ, რაოდენ დიდი გავლენა აქვს ტელევიზიას ადამიანის გარყვნის თვალსაზრისით. ჩვენ გვსურს კიდევ ერთხელ ვისაუბროთ მასზე.

ცხადია, არც ერთი მშობელი არ წაიყვანს თავის ოჯახს საეჭვო რეპუტაციის სახლში. თუკი მეგობარი შესთავაზებს მას, გაისეირნოს ქალაქის ყველაზე სამეფულ კვარტლებში, სადაც ცოფვა და ვნებაა გამეფებული, იგი ამას მიიჩნევს უგუნურ ხუმრობად, შეშლილობად ან სპირტიანი სასმელის გავლენად. მაგრამ, მამბო და დედებო, წესიერი მართლმადიდებლური ოჯახების მშობლებო, რისთვის თვალთმაქცობთ? განა ეს-ეს არ იყო, აიჩიეთ მხრები; როდესაც ქალაქის ამორალურ ადგილებში გასეირნება შემოგთავაზებს? ახლა კი, მთელი ოჯახით მოხერხებულად მოკალათებულხართ მისაღებ ოთახში და ტელევიზორის ეკრანიდან თქვენსავე სახლში, რომლის კედლებიც წმიდა ხატებით შეგმიკათ, მთელი ქვეყნიერების განგსტერებს, მკვლელებს, ფსიქოფატებს, ყოვლად უჩვეულო მანიაკებს,

ცოცხალი მსხვერპლით მოვაჭრეთ და სხვა მათ მსგავს პირებს ეპიტეფებით. უყურებთ მათ სინდისის ქვეწინს გარეშე, თითქოს ცუდს არაფერს ჩადიოდეთ, ხოლო თქვენს შეილებს დაერღვევათ ღამის სიმშვიდე, დასჩემდებათ ძილში ყვირილი, თანდათანობით მოემალებათ ნერვიული აშლილობა, სიფიცხე და თქვენვე აღმონდებით მათი გაუგონარი და ყოვლად დაუშვებელი ფორმით გამოხატული სიუხეშის ობიექტნი. ზნობრივი ბიწიერების სახეებით მიღებული მძიმე დატვირთვა თქვენზეც იქონიებს უსიამოვნო გავლენას, დაგაბავთ და დაგიფრთხობთ ძილს.

ასე აუწმიდურებთ ოჯახურ კერას, რომელიც მართლმადიდებლური ეკლესიის ღრმა გააზრებით არის შინაური ეკლესია, ეკლესია, რომელიც ადამიანის სახლშია დამკვიდრებული და მას არაერთხელ იხსენიებს პავლე მოციქული (რომ. 16,4. 1კორ.16,18. კოლ.4,15. ფილიპ.1,2).

თქვენ აუწმიდურებთ საკუთარ სულს და სულს თქვენი შეილებიას, რამდენადაც ხედვისა და სმენის საშუალებით, რომელიც ადამიანის სულის ორგანოებია, მასში აღწევენ ბილწი სახეები. ოსინი ფოტოგრაფის მსგავსად აღიბეჭდებიან ჩვენს ცნობიერებაში, მკვიდრდებიან ჩვენი სულის ყველაზე ფარულ ადგილებში და მოგვიანებით, ადამიანის დაზიანებული ფსიქიკის ჯერ გამოუკვლეველი კანონების მიხედვით ამოიჭრებიან თავთავიანთი სამყოფლებიდან, აბიწიერებენ ჩვენს ლოცვას, უსიამოვნებები შემოაკეთ ადამიანებთან ურთიერთობაში და გვიკარგავენ ცხოვრების სიხარულს.

სწორედ ამიტომ, ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელმაც იცოდა, თუ რა ზიანს აყენებს ადამიანს გარყვნილი ქნდაკებებისა და ნახატების ხილვა, კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრების განჩინების მე-100 მუხლად დაადგინა: „მართლად ხედავდნენ, უფალო, შენი თვალები“ (იგავ.4,25) და „ყოვლითა დაცვითა დაიცივი გული შენი“ (იგავ.4,23). სიბრძნე გიბრძანებს შენ, რომ ზორცის გრძნობადი ბუნება დევილად შეიტანს სულში თავის წაგრძნობს. ამიტომ, ფიცარზე ან სხვა საგანზე გამოსახული და მოხატული, რომელიც თვალით აღიქმება, გონებას გახრწნის და ბილწი გემოს ძლიერი სურვილით აღატყინებს. ვბრძანებ, ამიერიდან არ გამოსახონ და არც დახატონ არსად. თუ ვინმემ ამის ქმნას ხელი მიჰყოს, უზიარებელ იქნეს. ბოროტი დემონი იცინის ჩვენზე, მართლმადიდებელნი. რადგან არ გაცერიეთ ზნედაცემულთა საზოგადოებებში, მან ისე მზაკვრულად გააუწმიდურა ჩვენი გონება, რომ მძიმე შრომით მოპოვებული ფულით, საკუთარი ხელებით ვყიდულობთ ტელევიზორს და ჩვენვე შემოგვაქვს საკუთარ სახლში ხრწნილება, გარყვნილება, მკვლელობა და შემლილობა. სრულიად დაგაკრგეთ ადამიანური ღირსების განცდა ბოროტი ძალის წინაშე. ეს გრძნობა საოცარი სისასვით ჰქონდა დავით წინასწარმეტყველს და იგი მრავალგზის, შეუსვენებლად ევედრებოდა უფალს, რათა არ მიეცა იგი ბოროტი ძალის საცინლად.

ტელევიზიის მეშვეობით ცოდვილი ცხოვრების ამ

საშინელებათა ხილვის გამს ადგილი აქვს ერთ საოცრად დაფარულ, დამლუპებელ მოვლენას. უნდა ითქვას, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის სულს და ცოდვას შორის არსებობს გარკვეული გზა, რომელზეც დგანან ზნეობის, ყოფიერების, ფსიქოლოგიისა და სოციუმის დამცველი საშუალებები: სული თუნდაც თავისი სიზარმაცისა და უმოქმედობის გამო, ჩვეულებიანამებრ, იოლად ვერ უგულვებელყოფს მათ. ხოლო ტელევიზიის რეალობა ეხმარება ადამიანს უმტკივნეულოდ გაიაროს ყველა ეს წინააღმდეგობა. იოლად მისაღწევი ხდება ცოდვის მისასვლელი, თითქოს უკვე არაერთგზის გაგველოს ეს გზა და ცოდვაც მსუბუქად, თავისუფლად აღესრულება. აი, სწორედ ამის გამო მომრავლდა უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულად უჩვეულო, მოულოდნელი დანაშაულებები, რომელთაც არ უსწრებს წინ რაიმე ნიშანი, ე.ი. არა აქვთ გარკვეული წინაპირობა. ასე, მაგალითად, ყმაწვილმა, რომელსაც ჯერ არ ჩაუდგინა რაიმე დანაშაული, დილით მოკლა თავისი შშობლები, მოსწავლემ პატარა ახადა თავის მასწავლებელს. სხვა მრავალი მსგავსი შემთხვევის მოყვანა შეიძლება კრიმინალური პოლიციის ანალებიდან, მაგრამ ჩვენი ყურნალის ფურცლებზე მათი დაბეჭდვისაგან თავს შევიკავებთ.

და ბოლოს, ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ, ბრძოლის როგორი საშუალება შეგვიძლია შემოგთავაზოთ. პირველყოვლისა, უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ბრძოლა საჭიროა. მოძღვარმაც და მრევლმაც უნდა დაისახოს ტელევიზიასთან ბრძოლის ამოცანა. ყველაზე საუკეთესო და მარტივი საშუალებაა, რაც შეიძლება სწრაფად გაყიდოთ ტელევიზორი. ხოლო თუ მიღწიეთ გარკვეულ სულიერ სისავსეს, გირჩევთ, რომ მიღებული თანხა ეკლესიას შესწიროთ ან გლახაკთა შორის დაარიგოთ. ცხადია, ამის განხორციელება შედარებით მართალ სულებს ძალუძთ, ღვთის რჩეულობისადმი წადიერთ, ადამიანებს, რომელთა უპირველესი მიზანია სულის ხსნა. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ნეტარია ის, ვისაც ჯერ არ შეუძენია ეს აპარატი და არასოდეს უგრძენია მისდამი არანაირი მოთხოვნილება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს წინადადება ძლიერ „უხეშ“ საკვებს წარმოადგენს მრავალთათვის, რადგან ტელევიზიამ უკვე მძლავრად მოახერხა ადამიანთა შებოჭვა, ხოლო ჩვენი ნება საოცრად უძლურია და უსუსური. ვფიქრობთ, პირველი რჩევით მცირე თუ ისარგებლებს, მაგრამ ამაზე არ უნდა გაგვაოცოს — გმირი არასოდეს ყოფილა მრავალი, ყოველთვის ერთეულია. მართალინ მუდამ მარტონი იყვნენ.


ყოველ ჩვენგანს, რიგით ქრისტიანებს, მოუწოდებთ კვლავ გაიხსენონ ტელევიზიის ყველა დადებითი თვისება და განსაკუთრებით, მისი უნარი, დააბრუნოს ადამიანი ოჯახურ კერაში. გაეიხსენოთ, ვისაც გამოგვიცდია ქუჩაში ყოფნა, რომ არაერთხელ გვიგრძენია, თუ როგორი მკუდრობა სუფევდა ტელევიზორის შუქით განათებულ ოთახებში, სადაც წუნარად შეკრებილიყვნენ ოჯახის წევრები და თითქოს გარკვეული პატრიარქალური განწყობით, მკვობრულად ატარებდნენ საღამოებს.

ამგვარად, ტელევიზიის დამოუკველი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა დადის იქამდე, რომ ვისარგებლოთ მისი ამ თვისებით და ამცდროულად, აღგვეთით მისი დამოუკველი გავლენა. ამისათვის საჭიროა, გამოვიჩინოთ ნებისყოფა და დავამყაროთ მტკიცე დისციპლინა. არავის, გარდა მშობლებისა, ან სხვა პასუხისმგებელი პირისა, ოჯახში არ უნდა ჰქონდეს ტელევიზორის ჩართვის უფლება. მან უნდა მიიღოს აკრძალული ნაყოფის სახე. ბავშვს შეიძლება ვუჩვენოთ სასარგებლო ფილმები, როგორც გარკვეული ჯილდო მისი წარმატებისა და წესიერებისა. ძალზე სასარგებლო იქნება, თითოეულ ამგვარ ჩვენებას თუ დაგურთავთ განმარტებებს, გამოვიყენებთ სხვადასხვა


ისტორიულ მაგალითებსა და ლიტერატურულ შედარებებს; ცხადია, ჩვენი მხოვლმხედველობა ამ შემთხვევაშიც უნდა ეყრდნობოდეს მართლმადიდებელ მამათა სწავლებას.

გვსურს ვირწმნოთ, რომ მას, ვინც შემართებით შეებრძოლება ტელევიზიის დამოუკველ გავლენას, უფალი თვითონ ჩააგონებს ბოროტებისაგან განდგომის საშუალებებს. მარხვის ეამს შეგვიძლია წესად დავიდგინოთ ტელევიზიის აპარატის წყაროდან გამორთვა ან საერთოდ მისი მოცილება თვალის არედან. ეს ბრძოლა, ცხადია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ დიდია ჩვენში ცხონების სურვილი და ცკლესიის ერთგულება.

რუსულიდან თარგმნა ლელა ლაფარიძემ



ბეღია





### წმიდა ხატების თაყვანისცემა

ისტორია და ღოგმატი

სასწაული გრძნობა ეუფლება ხატის წინ მლოცველს; მასში მყოფი სიცოცხლის, არაჩვეულებრივი მისტიური განცდა. საიდან მოდის იგი? რა ძალა გვაიძულებს, ჩვენს რაციონალურ საუკუნეში, ხატის წინ ასეთ მოწიწებას, წარსულ დროში კი — მისი თაყვანისცემისათვის სიკვდილს. მართლმადიდებელ ქრისტიანს არ ჭირდება ახსნა, რომ სიყვარული ხატისა რწმენის ნაწილია. თუმცა დღესაც, როგორც ათასი წლის წინ, ეს სიყვარული ხშირად საჭიროებს დაცვას, რათა არავინ დაამახინჯოს მისი აზრი, დაამდალოს ან შეცვალოს მისი მნიშვნელობა ეკლესიის ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ პირველ ქრისტიანებთან, მიწისქვეშა კატაკომბური ტაძრების მოხატულობებში, ვხვდებით წმინდა გამოსახულებებს. იმის შიშით, რომ სიწმინდეები წარმართების მიერ არ შეგინებულიყო, მათ სხვადასხვა სიმბოლურ სახეებსა და წიშნებს აძლევდნენ. იესო ქრისტე შეიძლება გამოსახული ყოფილიყო მწყემსის სახით, რომელიც ცხვრის ფარას მწყემსავს, ან კრავის, მეთევზის, თევზის, ანდა სულაც მევენახის სახით... რა თქმა უნდა, ჯერ ხატები არ იყო ისეთი სახით, რა სახითაც მათ დღეს აღვიქვამთ, როგორც სავედრებელი სახე, რომელიც ყველაზე ხშირად „ტემპერას“ საღებავებით ფიცარზეა შესრულებული.

წმინდა გადმოცემამ შემოგვინახა, ჯერ კიდევ მათ სიცოცხლეში შექმნილი ღვთისმშობლისა და მაცხოვრის პირველი ხატების ისტორია. მაცხოვარმა თავისი ხელთუქმნელი გამოჩახულება სახეზე ტილოს აფარებით გამოსახა. მან ეს ედესის მეფის, ავგაროზისთვის გააკეთა, რომელიც კეთრით იყო დაავადებული. ხატის მიღების შემდეგ მუჟუ ავგაროზი კეთრისაგან განიწმინდა, ხოლო თავდოზ მოციქულმა კი ქრისტიანობას აზიარა. ავგაროზის გაწარმართებულ შეილისშვილს ამ სიწმინდის განადგურება უნდოდა, მაგრამ ქრისტიანმა ეპისკოპოსმა ეს ძვირფასი ტილო მის წინ ანთებული კანდელით, კედელში დაატანა. ტილო, ანთებული კანდელით რამოდენიმე საუკუნის შემდეგ იპოვეს. იგი სრულიად დაუზიანებელი იყო, მაცხოვრის სახე კი დაფარებულ კვებზე იყო აღბეჭდილი.

სადმართ გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის პირველი ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის აღწერილი.

სამი ხატიდან ორია ცნობილი — ერთი „უმილენი“ (გულის აჩუქება), სადაც ღვთისმშობელი თავის ღვთაებრივ პირმშოს გულში იკრავს, და მეორე — „ოდიგიტრია“ (გზაზე მატარებელი), სადაც ყოვლადწმიდა ქალწული წინ იყურება და ხელში მაკურობებელი ყრმა უჭირავს. მართალია, ამ ხატების დედანი არ შემორჩენილა, მაგრამ მათ შესახებ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მრავალი გადმოცემა მოგვეპოვება.

ხატები იწერებოდა იმ მიზნით, რომ მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმინდანების გამოსახულებათა თაყვანისცემით, მათთვის ეცათ თაყვანი. ამის გამო IV საუკუნეში წმ. იმპერატორ კონსტანტინეს დროს, როდესაც ეკლესია ბორკილებისაგან გათავისუფლდა, სიმბოლოები მათი ნამდვილი მნიშვნელობის გამოსახულებით შეიცვალა. თუმცა წარმართობა, თავისი მრავალრიცხოვანი კერპებით, რომელთაც ადამიანთა გამოსახულება ჰქონდათ და ადამიანის ფანტაზიით იყვნენ გასულიერებულნი, მრავალთა მესიერებიდან ჯერ კიდევ არ იყო ამოვარდნილი. ამის საფუძველზე ქრისტიანებს კერპმსახურებაში სდებდნენ ბრალს, ვითომც და, ისინი მკვდარ მატერიას ეთაყვანებოდნენ და არა ცოცხალ ღმერთს „რომელი არს ცათა შინა“. ეს ბრალდებები ძველადოქმისეულ გამოსახულებათა აკრძალვას ეყრდნობოდა.

თავდაპირველად, წმიდა მამები, როგორებიც იყვნენ: იოანე ოქროპირი, ათანასე დიდი, ბასილი დიდი, ხატთა თაყვანისცემის გასამართლავად უბრალო მაგალითებს ასახელებდნენ. ამ დროისათვის, ბიზანტიის ქალაქების მოედნებზე, მაშინდელი წესის თანახმად, გამოვიდული იყო იმპერატორის პორტრეტები. ამ პორტრეტებს ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. პორტრეტების მიმართ ასეთი ღამოკიდებულების საფუძველზე იოანე ოქროპირი სვამს კითხვას: „ნუთუ არ იცი, რომ როდესაც იმპერატორის პორტრეტს შეურაცხყოფას აყენებ, ამით მის პირველსახეს შეურაცხყოფ“. ამის გამო, „ხატის თაყვანისცემა სწორედ მის პირველსახეს მიეკუთვნება“ — ამთავრებს ბასილი დიდი.

ერეტიკოსები, რომლებიც უარყოფდნენ ქრისტეს ღმერთკაცობას, სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ ხატთა დევნას. 692 წელს კონსტანტინეპოლში V-VI

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიიღეს დადგენილება, ცხოველსმყოფელი ჯვრისა და წმინდა გამოსახულებების თაყვანისცემის აუცილებლობის შესახებ. ამასთან ერთად, აიკრძალა ქრისტეს გამოსახვა სხვაგვარად, გარდა კაცური, ადამიანური სახით, რომელიც ქრისტიანებისათვის მისი განკაცებული ცხოვრების, ვნებისა და მაცხოვრებელი სიკვდილის გახსენებას უნდა ემსახურებოდეს.

სამების მეორე პირის, ღვთის სიტყვისა და ღმერთკაცის იესო ქრისტეს ხორცშესხმამდე ჭეშმარიტება არ შეიძლებოდა გამოსახულიყო. ამიტომ, ძველ აღთქმისეულ პერიოდში არსებობდა მხოლოდ სიმბოლოები, რომლებიც მომავალს წინასწარ ასახავდნენ: სამსხვერპლო ზვარაკი, სპილენძის გველი. კრების დადგენილებით ეს გამოსახულებები შეცვლილი იქნა. ხატს, „ღვთის სიტყვის არა წარმოსახვითი, არამედ ჭეშმარიტი რწმენისათვის უნდა ემსახურა. ხატი არ შეიძლება იყოს მხოლოდ პორტრეტი, არამედ გამოსახულება „ღვთაების დიდებისა, რომელიც სხეულის დიდებად იქმნება“.

მაგრამ ამ კრების წესდებები საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა ხატმებრძოლთა ერესი მოეკვეთათ. ეკლესიას კიდევ რამოდენიმე საუკუნე დასჭირდა, რათა საბოლოოდ შეემუშავებინა სრული დოგმატიკური ხასიათის დასაბუთება და გაეხსნა მისი საღვთისმეტყველო არსი.

თითქმის ასი წელი (726-787 და 813-843) ბიზანტიის ძალაუფლებას ხატმებრძოლი იმპერატორები და პატრიარქები ფლობდნენ. ამ დროისათვის წმინდა ხატებს ანადგურებდნენ და ბილწავდნენ, ხოლო მათ თაყვანისმცემლებს დევნიდნენ და აწამებდნენ. ზოგჯერ ხატებს მათი თაყვანისმცემლების თავზე წვავენ. დიდი ღვაწლმოსილი, ღირსი თეოდორე სტუდიელი საპყრობილეში ისე სცემეს, რომ მას სხეული უღაპებოდა. მისი მოწაფე ნიკოლოზი იძულებული გახდა დანით ამოეჭრა ხორცი. წმიდა ხატმწერი ლაზარია, საშინლად აწამეს. ის კი წამების ადგილიდან პირდაპირ ტაძრისაკენ გაეშურა, რათა ხატი დაემთავრებინა. მიუხედავად იმისა, რომ ხელები დამწვარი აქონდა, ბერებს — თეოდორესა და თეოფანეს, წამების შემდეგ სახეზე ხატმებრძოლთა დამცინავი წარწერა ამოატიფრეს, რის გამოც ისინი წმინდა თეოდორე და თეოფანე დაადგულვებად იხსენიებიან.

მრავალმა უმოწყალო ტანჯვამ, რომელიც წილად ხვდა ეკლესიას, განაპირობა, რათა მიეღოთ ხატთაყვანისცემის დოგმატი და ჩამოეყალიბებინათ მისი საღვთისმეტყველო საფუძველი. ხატმებრძოლთა ყველა ძველსა თუ ახალ ერესს პასუხი წმიდა მამათა ნაშრომებმა გასცა. მართლმადიდებლური სახის ღვთისმეტყველებას მეშვიდე მსოფლიო კრების (787) შრომები მიეძღვნა, კერძოდ, ღირსი თეოდორე სტუდიელის ტრაქტატები. ხატმებრძოლთა ერესზე გამარჯვება, ეკლესიის მიერ, იღვესასწაულება მართლმადიდებლობის ზეიმის სახელწოდებით — იგ. 843 წელს, დიდმარხვის პირველ კვირა დღეს იქნა დაწესებული.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, ხატმებრძოლო-

ბის ერესთან ბრძოლა დაკავშირებული იყო ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლის — ღვთის სიტყვის განკაცების დაცვასთან. ხატმებრძოლთა მიერ დევნა და მათი თეორიული არგუმენტაცია, საჭიროებას იწვევდა, იესო ქრისტეს განკაცებისა და ხატთაყვანისცემის დოგმატიკური კავშირის ჩამოყალიბებისა.

„...უნივთო განხორციელდა. სიტყვამ შეისხა ხორცი, არაქნილი იქნა ქმნილებად, შეუხებადი გახდა შეხებადი. „ღმერთი თავისი დედისაგან ადამიანური ბუნების მიერ სისავსეს ღებულობს, და ამასთან, მის ღვთაებრიობას არაფერი მოსდის. ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნება, ღმერთკაცის პიროვნებაში შუურვენელად შეერთდა, ისე „როგორც ცეცხლის ალთან შეერთებული, ცეცხლად არა არსით, არამედ შეერთების ძალით, ააღებთა და მასში მონაწილეობით იქცევა“.

აღწერელი დაუსაბამო ღმერთი, მეორე ჰიპოსტაზი წმიდა სამებისა, ადამიანის სიყვარულით თავის შექმნილ მატერიას შეუერთდა — „მონის სახე“ მიიღო, რათა „ადამიანი გამხდარიყო ღმერთად“.

უფალმა, რომელმაც ნივთიერება შეიმოსა, განაარსა იგი, განაღმრთო და თავისა და სოფელს შორის ხიდად გაღო. რადგან, იმის გარეშე, რაც ბუნებით მეტად მშობლიურია კაცთათვის, შეუძლებელი იყო ღვთიური არსის ჭვრება. წმინდა მამათა სწავლებით, ხატი სწორედ ის მატერიალური შუამავალია, რომელიც ქმნილებას შემოქმედთან აკავშირებს, მიწიერს კი — ღვთაებრივთან. იოანე დამასკელი ამბობს: „— შე არ ვთაყვანებ ნივთიერებას, არამედ მის შემოქმედს, რომელიც ჩემი გულისთვის ნივთიერებად იქცა და მასში დაიღო ბინა და მისივე საშუალებით ჩემი ხსნა მოიტანა.“

თუმცა ხატმებრძოლი თეორეტიკოსები თავის თავს მართლმადიდებლობის დამცველებად წარმოგიდგენდნენ — მიუთითებდნენ, რომ ხატზე მხოლოდ ქრისტეს ადამიანური ბუნება გამოისახება, ხოლო ღვთაებრივი კი აღუბეჭდავი რჩება. ამისათვის ხატწერის სახემ შეიძლება ერესამდე მიგვიყვანოს, რადგან ხატზე ქრისტეს ორი ბუნება ან შერწყმულია, ან არადა გახლეჩილი. ეს კი, ღვთის განკაცების დოგმატს ეწინააღმდეგება. მართლმადიდებლობის განმანათლებლებმა, რომლებმაც მკვეთრად განსაზღვრეს ბუნებისა და პიროვნების გაგება, დაამტკიცეს მათი სწავლების სიმცდარე.

არსი ანუ ბუნება — ეს არის ღვთის მიერ შექმნილი მატერიის, ცხოვრების ფორმა. ბუნებას არა აქვს დამოუკიდებელი ყოფიერება და მხოლოდ პიროვნებებში არსებობს. მაგალითად, ბუნებით ყველა ადამიანი ერთნაირია, ხოლო პიროვნულად ინდივიდუალური და განუმეორებელი. ყველა მათგანს აქვს თავისი სახელი და თუ კი ჩვენ პორტრეტის შექმნას მოვისურვებთ, წარმოვადგენთ მის პიროვნებას და არა მის ბუნებას. საერთო, პორტრეტსა და ადამიანს შორის, იქნება არა ბუნება (საღებავსა და სხეულს ხომ სხვადასხვა ბუნება აქვს), არამედ სახელი, რომელსაც ადამიანი ატარებს.

იესო ქრისტეს პიროვნება არის მისი ჰიპოსტაზის, რომელშიც შეურვენელადაა მიცემული ორი ბუნება —

ღვთიური და კაცური. შესაბამისად, ხატზე გამოისახება ქრისტეს არა ერთი ან მეორე ბუნება, არამედ მისი პიროვნება. ხატსა და მის პირველსახეს მხოლოდ სახელი აკავშირებს, იმდენად, რამდენიდაც გამოსახულება თავად იქცევა პიროვნებად, არა არსობრივად, არამედ სახელით. ამიტომაც, ისევე როგორც მის პირველსახესთან, ურთიერთობა შეიძლება ხატის გამოსახულებასთანაც დამყარდეს და მიცემული პატივი მიმართული იქნება თვით ქრისტეს მიმართ.

თუმცა, სამების მეორე პირის გამოსახულება მთლად არ შეიძლება შევადაროთ პორტრეტს. მართალია, ადამიანი არსებითად განსხვავდება თავისი პორტრეტისაგან, მაგრამ არსით პორტრეტი და ადამიანი ორივე მატერიალურნი არიან. ქრისტე კი სამებაში „ერთ არსია მამისა“, მისი თანაარსი ღვთაებრივი ბუნებით.

აქედან, მის სახელს, რომლითაც იგი თავის გამოსახულებას უკავშირდება, შეუძლია აკურთხოს საგანი ხატისა და გახადოს მადლის წყაროდ. ეკლესიის წმინდა მამები ამბობენ: „რაც ღვთისადმი შეიწირება, იგი მისივე სუფევით იკურთხება“. ამავე ჭეშმარიტებას ამბობს თეოდორე სტუდიელის „აგი (ღვთაება) ასევე ჯვრისა და სხვა ღვთაებრივი ნივთების გამოსახულებებშიც სუფევს, მაგრამ არა ბუნების ერთობით, რადგან ეს ნივთები — ღვთაებრივი სხეული არ არის, არამედ ღვთაებრივი ზიარებით, რადგან ისინი მის მადლსა და პატივში მონაწილეობენ.“

მადლი სულისა წმიდისა, რომელიც ღვთის სახელით ნაკურთხ ხატზე სუფევს, მას ღვთაებრივ ძალას ანიჭებს. სიმეონ თესალონიკელის განმარტებით, ხატი ლიტურგიული სახეა. ეკლესიის სწავლებით კი — ხატი არა პასიური შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის, არამედ ადამიანის პიროვნების, ფერისცვალების ჭეშმარიტი მონაწილე. ღმერთი ადამიანთან ხატის საშუალებით ჩამოდის, რისი უტყუარი მოწმეც თვით ხატია. ადამიანი კი, იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორაა ნაზიარები ღმერთს, თავისი ამაღლებით პასუხობს მას.

ეკლესია, რომელიც უფრთხილდება ხატის მადლიან ძალას, მკაცრად უთვალთვალებდა მის კანონებს, რომლებიც ყოველთვის საღვთო გადმოცემის შემადგენელ ნაწილს შეადგენდნენ. ეს კანონები წმინდა მამათა ღვთაებრივ განცხადებას ეფუძნებოდნენ, რომლებიც მათ მიერვე იყო ჩამოყალიბებული. რომელ მხატვარს შეუძლია გამოსახოს ის, რაც არასოდეს უნახავს. „რა შეიძლება ითქვას ღვთისა და წმიდანების, ანდა ღვთის ყოვლისმტეტრეტელობის შესახებ, რომლითაც წმიდანთა გულებია გაცისკრონებული. ამის დანახვას

ვერ შესძლებს ის, ვისაც ჯერ არ განუცდია იგი და მისი გული არ არის სავსე ამ სინათლით“ — წერს სემეონ ახალი ღვთისმეტყველი: საეკლესიო დადგენილებით, ხატის კანონიკური გამოსახულება მხოლოდ მორწმუნე ადამიანმა უნდა შექმნას ლოცვითა და მარხვით, რათა არაფერი მიაკლდეს იმ ძვირფას ძღვენს, რომელიც მლოცველებზე გადმოდის ხატის საშუალებით.

ხატწერის კანონები წმინდა მამათა მიერ დგინდებოდა, რომელთა შორისაც ხატმწერებიც იყვნენ. მათ მიერ შექმნილი ხატები ხალხში დიდ მოწიწებას იმსახურებდნენ, თვით ხატმწერები კი საკვირველმოქმედად იწოდებოდნენ. მაგალითად: ანდრეი რუბლიოვი, ღირსი დრონიხე გლუშინცი. კიევი-პეჩორის ლავრის ბერის, ღირსი ალიპის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მის საღვთაებაგანაც მრავალი იკურნებოდა.

XIV საუკუნის ბოლოდან არისტოკრატიული კულტურის განვითარებამ გამოიწვია „ის, რომ ხატწერის კანონის კანონი სულ უფრო ნაკლებად მისდევდნენ. მხატვრები, რომლებიც ივიწყებდნენ წმიდა მამათა გადმოცემებს, ცდილობდნენ გამოესახათ უფრო მგრძობლობითი სილამაზე, რომელიც მათი თანამედროვეებისათვის უფრო ახლობელი და გასაგები იყო. უკვე ჩვენი დროისათვის ხატების მრავალი ნიმუში ძალიან განსხვავებული გახდა მისი კანონიკური სახისაგან, რომელშიც ადამიანის სხეული განღმრთობილია და ყოველი ენებისაგან არის გათავისუფლებული. მათში აღბეჭდილი ფშვინვიერი განცდები გულს გვიჩუყებენ და თითქოს ლოცვისათვის განგვაწყოვენ, მაგრამ ეს არ არის ის რეალური ურთიერთობა ღმერთთან, რომელსაც ნამდვილი ხატი გვაძლევს.

თუმცა უფალი, თავისი წყალობით, მლოცველებს არ ტოვებს და უზახენს მათ მადლს. მონდომებული ლოცვა, თითქოს განსწმუნდს გამოსახულების მიწიურ ბუნებას და გარდასახავს მას. ყველა მორწმუნისათვის ცნობილია, რომ ნალოცი ხატი, ახლად შესრულებულისაგან განსხვავდება, თუნდაც ეს უკანასკნელი ძველი ნიმუშის ასლი იყოს.

მართლმადიდებლობაში წმინდა ხატების თაყვანისცემა ერთ-ერთი დოგმატიკური დებულებაა. იგი ჩვენთვის არის ღვთისაგან ბოძებული შეუფასებელი ძღვენი. ამიტომაც ღვთისათვის სათნოა, როდესაც ჩვენ თაყვანს ვცემთ და ვეამბორებით უფალ იესო ქრისტეს, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულ მარიამის, ღირსად ქებული ანგელოზებისა და ყველა წმიდანის გამოსახულებებს.

რუსულიდან თარგმნა ლევან მესხმა.  
(სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი)

## ნიკოლოზ ორბელიანი

ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს სულხან-საბა ორბელიანის ძმას ნიკოლოზს. ის იყო ნიჭიერი შემოქმედი და დაკვირვებულ რედაქტორი, ღრმად განსწავლული მეცნიერი, დახვეწილი ლიტურგისტი, გაწაფული კალიგრაფი, პოეტი, მგრძობიარე მამულიშვილი.

ნ. ორბელიანი დაიბადა 1672 წელს სოფელ ტანშიაში (ახლანდელ ბოლნისის რაიონში, მდ. მაშავერის ხეობაში), სადაც მამამისს — ვახტანგ მდივანბეგს — თავისი „სამკვიდრო“ ჰქონდა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. მამამისი თვით მონაწილეობდა შეილების აღზრდაში, ენერგიულად ზრუნავდა მათ სწავლაზე. მისი (აგრეთვე უფროსი ძმის სულხანის) ყურადღება და მზრუნველობა არც ნიკოლოზს მოჰკლებია. კონკრეტული ცნობების გარეშე, ნ. ორბელიანის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალ მწერალს საფუძვლიანი განათლება მიუღია.

ნ. ორბელიანი ადრევე ჩაბმულა საოჯახო-სამეურნეო საქმიანობაში, რასაც არაერთი საბუთი (ვახტანგის ნასყიდობის წიგნები 1680-1685 წლებისა) ადასტურებს.

ცნობილი ფეოდალისა და დიდი შიხელის ვაჟს გზა ხსნილი ჰქონდა სასახლისაკენ. მის დაწინაურებას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ ქართლის ტახტზე მისი მამი-დაშვილი გიორგი მეთერთმეტე 1675-1688, 1703-1709 იჯდა. საფიქრებელია, სამეფო კარზე ნ. ორბელიანი წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ მალე მოუხდა პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაბმა. მისი უფროსი ძმა აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მთელი თავისი საქმიანობა, სახელმწიფოებრივი და დიპლომატიური მოღვაწეობა მან მუხრანულ ბაგრატიონთა ოჯახის კეზიდლეობისა და ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლას დაუკავშირა. ნ. ორბელიანი ყოველთვის ძმის გვერდით იდგა.

როდესაც სპარსთაგან ძალმოცემულმა ერეკლე პირველმა 1688-1703 გიორგი მეფე დაამარცხა და მისი მომხრეების დევნა დაიწყო — „დაამდაბლა ერთგულნი გიორგი მეფისანი“, შეეწირება შეეხო ვახტანგ ორბელიანის ორბელიანის ოჯახსაც, რომლის პოლიტიკური იდეალი დაიმსხვრა და სანატრელი ოცნება განუხორციე-

ლებელი დარჩა. ამან განაპირობა ოჯახის ზოგიერთი წევრის საერო სარბიულიდან სასულიერო-საკლესიო ასპარეზზე გადასვლა. 1698 წელს ბერად აღიკვეცა სულხანი, მომდევნო წელს — ზაალი. მალე ამ გზას დაადგა ნიკოლოზიც, რომელიც 1703 წელს უკვე მღვდელ-მონაზვნად იხსენიება.

1703 წლიდან ქართლში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, გაჩაღდა ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი.

სამეფო კარზე თავი მოიყარეს მწერლებმა და მეცნიერებმა, მეხოტბეებმა და კარის მემატიანეებმა, კალიგრაფებმა და მხატვრებმა, მომღერლებმა და დამკვრელებმა. ქართლის გული თბილისი იქცა ფართოდ გაშლილ მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის ცენტრად.

რასაკვირველია, ამ საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაებმებოდა და წვლილს შეიტანდა ნ. ორბელიანიც. მართლაც, იგი თანამშრომლობდა თბილისის სტამბაში, მუშაობდა ლიტურგიკაში, წერდა იამბიკოებს და ა.შ. მისი მოღვაწეობა შეუმჩვევლი არ დარჩა ეკლესიის მესვეურებს — იგი დააწინაურეს და რუსის ეპარქიის მღვდელმთავრად დანიშნეს 1715 წ. ახალი ეპისკოპოსი ენერგიულად შეუდგა ჩაბარებული სამწყსოსა და კათედრალის მართვას, რასაც ადასტურებს მის მიერ შედგენილი „სამწყსოს დავთარი“ ან „სამწყსოს მატანე“ — საყურადღებო დემოგრაფიული ძეგლი და არაერთი ნასყიდობის წიგნი. „სამწყსოს დავთრის“ შემდგენელმა, რუსის კათედრალის სასარგებლოდ დაწესებული გადასახადის უკლებლივ აკრეფის უზრუნველსაყოფად, დეტალურად აღწერა თავისი სამწყსო.

1717 წელს ნ. ორბელიანი ურბნელადაც ყოფილა — იგი მროველ-ურბნელად იხსენიება მის მიერ განახლებული ჯვრის წარწერაში.

XVIII საუკუნის ოციან წლებში ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა, საერთაშორისო ვითარება მეტისმეტად დაიძაბა. ბრძოლით გადაღლილ ქართველობას დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა აღარ გააჩნდა. ვახტანგ მეექვსეს (1716-

1724) სამშობლოში აღარ ედგომებოდა, მრავალი (ცხოვანი ამალით ის ჩრდილოეთის გზას გაუდგა. მას გაჰყვნენ ერთგული ორბელიანებიც: სულხან-საბა, დიმიტრი, ზაალ-ზოსიმე და სხვ. რუსეთს გაემგზავრა ნ. ორბელიანიც.

ვახტანგის ამაღლამ გზაზე მრავალი წინააღმდეგობა დასძლია, არაერთი დაბრკოლება გადალახა, ტანჯვა-ვაებით დააღწია თავი ჩრდილო-კავკასიის მთიანეთს და მიაღწია სოლალს. იქიდან ვახტანგმა თავისი პირველი წარმომადგენლები ადრევე გაგზავნა რუსეთის ცენტრში, ხოლო 1724 წლის 12 სექტემბერს სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმე ორბელიანებიც გაუყვნა ჩრდილოეთის ( მოსკოვის ) გზას.

ოქტომბერში ამაღლამ ასტრახანისკენ გასწია და 8 ნოემბერს ჩავიდა იქ. ქართველ მგფესთან ერთად ჩავიდა ნ. ორბელიანიც. 1725 წლის თებერვალში ვახტანგი ჩრდილოეთისაკენ გაემართა, ხოლო ამაღლის ნაწილი მათ შორის ნ. ორბელიანიც ასტრახანში დარჩა.

საიმპერატორო კარმა ვახტანგს ნება დართო ასტრახანს დარჩენილი ამაღლის ნაწილი საცხოვრებლად მოსკოვში ნიკოლოზ მროველი, მიტროპოლიტი ქრისტეფორე და სხვანი 1726 წლის 9 მარტს მოსკოვში ჩავიდნენ. ნ. ორბელიანს ახლდნენ ძმისწული ბენედიქტე, აზნაურები, მსახურები და სხვ. ის ერთ-ერთ მონასტერში დაბინავდა და მალე ჩაერთო სასულიერო ცხოვრებაში — ასრულებდა ღვთისმსახურებას, მონაწილეობდა საეკლესიო ცერემონიალებში და ა.შ.

1726 წელს გარდაიცვალა პავლე თბილელი, თბილისის მიტროპოლიტობა ნ. ორბელიანმა მიიღო. მას ეძლეოდა გასამრჯელო, მაგრამ თანხა არ აკმაყოფილებდა; იგი ვალებს ვერ უთავდებოდა, საეკლესიო წიგნებს აგირავებდა, ხელუფასის სიმცირეს ჩიოდა, დახმარებას ითხოვდა. მის მდგომარეობას ართულებდა ხშირი ავადმყოფობა. „თუცა ცთომილი ნახოთ რამე, შემინდევით მე; ავად ვიყავ, მარგული მჭირდა, ვერ ვჯდებოდი. ძალმან ღმრთისაჲმან გვერდზე წოლით შემასრულებინა“, — წერდა იგი ერთი ხელნაწერის ანდერძში. მოუხდავად სარეცელს მიკურისა და ზიკვდილის მოახლოების შეგრძნებისა, ნ. ორბელიანს ბოლომდე სწამდა, რომ „ნაშრომი გიეს, ხოლო მუშაკი მტვერ და ავლ“, ამიტომაც ენერგიულად იღვწოდა უკანასკნელ დღეებამდე.

ნ. ორბელიანი გარდაიცვალა 1732 წლის 22 აგვისტოს, დაკრძალულია მოსკოვში.

ნ. ორბელიანი ქართული კულტურის თავდადებული მუშაკია. მისი სახელით მოღწეულია მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ეურადღებებს იქცევეს თავისი მრავალგვაროვნებითა და მრავალმხრივობით. ის მუშაობდა დოგმატიკაში, ლიტურგიკაში, პოეზიაში, ასტრონომიაში და ა.შ.

ნ. ორბელიანმა წვლილი შეიტანა დოგმატიკური ლიტერატურის გამდიდრებაში, კერძოდ, „ქართულს ენაზე გააწყო“ არჩილ ბაგრატიონის (1647-1713) მიერ რუსულიდან თარგმნილი კატეხიზმო — პეტრე მოგილას

(1596-1647). ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულება „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელთა წმიდისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა“. ავტოგრაფული მნიშვნელობის ხელნაწერმა შემოგვინახა ნ. ორბელიანის მინაწერი, რომელიც გვაცნობს საქმის ვითარებას: „ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნისა ქართულს ენაზე გამწყობელი ტფილელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელისწვილი. მეფეს ვახტანგს ვერ ურჩ ვექმენ, თორემ ჩემისთანას ცოდვილის ბერისაგან ძნელად შესართავი წიგნი იყო“. ნათლად ჩანს, რომ თარგმანის რედაქტირების ინიციატორი ვახტანგ მეექვსე იყო, მისმა ავტორიტეტმა აიძულა ნ. ორბელიანი „ძნელად შესართავი წიგნისათვის“ მოეციდებინა ხელი.

არჩილისეული თარგმანისა და რედაქტირებული ტექსტის შედარება ცხადყოფს, რომ ნ. ორბელიანს საკმაოდ გაუმართავს და გაუწაღხავს მის ხელთ არსებული მასალა, მაგრამ თარგმანიდან დაცილებდა მანკცდამაინც არ უცდია. მისთვის ამოსავალი არჩილის თარგმანი იყო, ხოლო მიზანი მისი რედაქტირება გახლდათ.

ზემოდამოწმებული ხელნაწერის არშიებზე გვხვდება საგულისხმო მინაწერები: „ეს რუსულსა არ ემოწმა და მე დედას მივეყვე, მე რა ვქნა“; „არც აქ ემოწმა“ და სხვ. ჩანს, მათ ავტორს ქართული თარგმანი შეუჯერებია რუსულისათვის და სხვაობაც შეუნიშნავს, მაგრამ „დედას“ მიჰყოლია და ისე გაუმართავს. ქართულ-რუსული ტექსტების შემდარებელი ნ. ორბელიანი უნდა იყოს რედაქტორის მიერ რუსული ორიგინალის გამოყენება და მისი ჩვენების ქართულთან შედარება მოულოდნელი და გაუგებარი სრულებითაც არაა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთს გაზიზნულ ქართველ მღვდელმთავარს რუსული ენა შეუსწავლია.

ნ. ორბელიანის მიერ რედაქტირებული თარგმანი საკმაოდ გავრცელებულია, იგი - ბევრ ხელნაწერში გვხვდება. მართალია, მისი შინაარსი ზოგიერთს არ ესმოდა, რასაც ამოწმებს ერთი ნუსხის მინაწერი: „ესე წიგნი წავიკითხე და ვერა გავიგერა. ღმერთმან უშეგელოს ამის დამწერს“, მაგრამ მას შეგნებული მკითხველიც მრავლად ჰყავდა, რაც განაპირობებდა ახალი ნუსხების დამზადებას.

ნ. ორბელიანს მიაკუთვნებდნენ ერთ კატეხიზმოს, რომელსაც „სარწმუნოება შემოკლებითი“ ეწოდება. ამ ნაწარმოებად მიიჩნევენენ გასულ საუკუნეში გამოქვეყნებულ წიგნს, რომლის თავფურცელზე იკითხება: საქრისტიანო პირველსასწავლო მოძღვრება ქმნილი ნიკოლოზ ტფილელის მიერ, გამოცემული გ. მღებრიევის, პ. კარბელიოვის და ა. მოლოდინოვის მიერ, ტფილისი, 1885.

კატეხიზმო, რომელშიც მოკლედ და მარტივად იყო განმარტებული საქრისტიანო დოგმატიკისა და მორალის საკეთხები, XVII-XVIII საუკუნეებში არაერთი დაწერა; მათზე დიდი მოთხოვნილება იყო და ნ. ორბელიანის მიერ ასეთი თხზულების დაწერა მოულოდნელი არ იქნებოდა, მაგრამ ის, რაც მისი სახელით გამოქვეყნდა, არის

სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარის“ „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“ ერთ-ერთი მესამე რედაქცია. ამ ძეგლის ერთი ნუსხის გადაწერი გვაძენს:

„ესე სულხან-საბა ორბელიანის თქმული სარწმუნოება, მისივე საბას მრწემმან ძმამან და შობილმან მამისა და დედისა მისისამან მიტრაპოლიტმან ნიკოლოზ მიძობა, მისვე დაწერილისაგან გარდმოვსწერე“.

აი ხწორედ ეს „მისივე დაწერილი“ ტექსტია „სამოთხის კარის“ ახალი, განსხვავებული რედაქცია. ნ. ორბელიანმა გადაწერა „სამოთხის კარი“, შეიტანა იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებანი, კერძოდ, ამიილო ან არსებითად შეცვალა კათოლიკური ტენდენციების შემცველი ადგილები და ხელი შეუწყო თხზულების ახალი ნუსხების დაშვებასა და გავრცელებას.

აქვე მოვიხსენებთ ნ. ორბელიანის ეთიკურ ტრაქტატს „შვიდთა მათ მომაკვდინებელთა ცოდვათა და შვიდთა მადლთათვის“. ასეთი ხასიათისა და შინაარსის ნაწარმოები ჩვენში ადრეც იყო ცნობილი. მაგალითად, ჯერ კიდევ კვიპრიანე სამთავნელმა თარგმნა ბერძნულიდან „საქმენი შვიდთა სასიკუდინეთა ცოდვათანი“ 1703 წ., მაგრამ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით ნ. ორბელიანის შრომა გავრცელდა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი უფრო სრულყოფილია, მასში არა მხოლოდ ჩამოთვლილია შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათგან მომდინარე ათ-ათი ცოდვა, არამედ მოცემულია მათი მოკლე, მაგრამ საყურადღებო დახასიათებაც. ამასთანავე, კვიპრიანე სამთავნელის თარგმანში მხოლოდ სქემებში იხსენიება მომაკვდინებელ ცოდვათა გამქარვებელი მადლი, ხოლო ნ. ორბელიანმა დაასახელა და დაახასიათა როგორც შვიდი ძირითადი მადლი, ისე თითოეული მათგანისაგან მომდინარე ათ-ათი მადლი. უვალსაწინო სხვაობაა როგორც მადალ საფეხურზე დგას და უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნ. ორბელიანის ნაწარმოებში დასახელებულია შვიდი ცოდვა (ამპარტავნობა, არაწმიდება, ნაყროვანება, მცრნარება, შური, ანგარება) და შვიდი საპირისპირო — ცოდვათა გამქარვებელი მადლი (სიმდაბლე, სიწმიდე, მარხვა, სიმსნე, სიმშვიდე, სიყვარული, მოწყალება). დეტალურადაა ნაჩვენები, თუ რა სახის ცოდვა-მადლი წარმოსდგება მათგან. მაგალითად, ამპარტავნობისაგან წარმოსდგება უსჯულოება, ურცხვინოება, თვითრჩეულობა, ქედმაღლობა, მაჩვენებლობა, ზეშთამენობა, ღაღობა, წვალება, გმობა, ზვაობა. იქვე ნაჩვენებია, რომ სიმდაბლისაგან გამოვა კრძალვა, სულგრძელობა, მყუდროება, სიგლახაკე, უპოვარება, უნდობა, სიშიშველე, უცხოება, უშვერება, შეურაცხება და ა.შ.

რასაკვირველია, ნ. ორბელიანისათვის მთავარი იყო არა მხოლოდ ცოდვა-მადლის ჩამოთვლა, მათი უბრალო დასახელება, არამედ მათზე ყურადღების გამახვილებით, მათი ღირსება-ნაკლოვანების ჩვენებით საზოგადოებრიობის მორალური გაჯანსაღება.

ნ. ორბელიანის დაინტერესება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი საკითხებით და მის მიერ ზემოდასახელებულ ძეგლებზე „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“, „საქრისტიანო მოძღვრება“, „შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა და შვიდთა მადლთათვის“ მუშაობა შემთხვევითი არ არის. როგორც ჩანს, ქართლში მაჰმადიანთა ხანგრძლივმა ბატონობამ, ქრისტიანული ეკლესიის შევიწროების შედეგად მუსლიმანური აღმსარებლობის თანდათანობით გავრცელებამ, სარწმუნოებრივმა მერყეობამ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების წვრთნის საკითხი. ქართველთა ნაწილს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა შესუსტებული მორალის განმტკიცებისათვის. ნ. ორბელიანი ქართველი საზოგადოებრიობის ამ მოწინავე ნაწილის თვალსაწინო წარმომადგენელია, ზემოდასახელებული თხზულებანი თანამომხეთა მორალური განსეტაკებისთვისაა გამოზნული.

ნ. ორბელიანმა წვლილი შეიტანა ლიტურგიკულ მწერლობაშიც. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში შეინიშნება მოძრაობა ქართველ წმიდანთა კალენდრის გადასინჯვისათვის, ქრონოლოგიური დღესასწაულების მოგვარებისა და სათანადო საგალობლების შედგენისათვის (ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გრიგოლ დოდორქელი და სხვ.). საერთო საქმეს არც ნ. ორბელიანი ჩამორჩენია. ანტონ პირველის (1744-1755, 1764-1788) ცნობით, „ხუცეს-მონაზონმან ნიკოლოზს ორბელიანმან გამოთქენა ტროპარნი და კონდაკნი ქართულთა წმიდათანი, ოდეს პეტედიდეს ჟამსა-პირუ ლად და ნიკოლოზს, სადაცა ჯერ-ინინა, მუნ აღწერნა თთუ თა შინა ჰ ხენებანი ქართულთა წმიდათანი რომელნიმე“.

ნ. ორბელიანს დაუწერია „აქებდითსა ზედა დასდებელი“ ვესტაიი მცხეთელისა, აბო თბილელისა, არჩილისა და ლუარსაბისა. მასვე დაუწერია იამბიკოვბად „აქებდითსა ზედა დასდებელთა“ უკანასკნელი მუხლი „დიდება“ ქართული ეკლესიის მრავალი წმიდანისა — თითქმის ყველა წმიდანი დაუხასიათებია და შეუმკია. მისი პოეტური შემკვიდრება თავის დროზე მოწონებას იმსახურებდა. ანტონ პირველი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ნ. ორბელიანის „ტაენი ძ რფას არიან“, მისი „შიინი, საკ რველ-შენაწყოზნი, საწად არიან“ და „ფრიად სასურველ“. მართალია, მან ცოტა დაწერა „ცოტა სოქ“, მაგრამ „სხუათა უკეთეს ფრიად განვრცომა სიჭყუათასა“ ავობა და შატერული ღირსებით გაააჭარბა. იოანე ბატრატიონის (1768-1830) სიტყვითაც, ნ. ორბელიანი — „საფილოსოფოსთა ხელოვნებათა შინა მიწვენილი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი“ — კარგი პოეტი იყო, მისი „იამბიკონი და სხვანიცა კიდურწერილნი, ფრიად მშვენიერნი, საქებ არიან“. ასეთი დასკვნისათვის მათ საფუძველს აძლევდა არა მხოლოდ ზემოხსენებული მასალა, არამედ ნ. ორბელიანის სხვა ლექსებიც, რომელთაგან ზფიერთმა ჩვენამდეც მოაღწია.

ნ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრებიდან საყურადღებოა მოზრდილი იამბიკო, რომელიც მეფისადამა მიმართული და დარიგება-დამოძღვრას შეიცავს. ანტონი მეფეს მოუწოდებს ჰუმანიზმისა და მართლმადიდებ-

ისაკენ „არ ქრთამით ხჯიდე, მოწყალე იყავ დიდი, მყოვარობდ ყველა ღვთის სამკ დრებულად“. მისი იდეალი განსწავლული და მახვილგონიერი, ბრძენი და გონებდაუნჯეული, მოხონებულთა შემწყალე და მტერთა მძუსრავი მეფეა; მისი დასკვნით, მეფეს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს „სიმშვიდე, სიმდაბლე, სულგრძელობა“, სიკეთის ქმნა და კეთილთა დაფასება „კეთილსა კეთილ უკეთილესად მხერდი“.

განსაკუთრებით საინტერესოა იამბიკო, რომელიც ავტორგრაფულ ხელნაწერში ასეა დასათაურებული: „ნიკოლოზ ტვილელ მიტრაპოლიტი სკ ორბელიანის ორბელის ძისა მიერ მიწერილი პეტრებრუსს აშთარხანიდან მეფე ვახტანგს ლევანის შვილქის წინაშე ბაგრატიონთან იამბიკონი“. იგი კარგად გვაძნობს ავტორის ფიზიკურ მდგომარეობასა თუ სულიერ განწყობილებას. გულისმომკვლელი გოდება იხმის პოეტის სიტყვებში:

თუაღნი, ვერ მხედი შენი, არ ნათლიან მაქუს, თუც ვარებ არგნით, უფერ, სნეულ ანაქეს მაქუს, არ წამალ სენთა, არ საზრდელ გუამთასა არა მაქუს.

ნ. ორბელიანი თავის მწყალობელ პატრონს ასე უხატავს, ასტრახანში ცხოვრების სურათს:

ვცხოვრებ უსაზრდელ, მწოლ უფლავ შელონებით, ვალ არ ცხენი, არ ეტლ, არ ნალ, ავკვეითობით, უმოს უგებ, ულოცველ, უსანათობით.

მართალია, ის თავისთავზე წერს და თავისი ცხოვრების მძიმე პირობებს გვაცნობს, მაგრამ, ამავე დროს, ასახავს საერთო მდგომარეობას ქართველი ემიგრანტებისა, რომელთა ყოფას კიდევ უფრო ამძაფრებდა ვახტანგ მეექვსესთან კავშირის არარეგულარულობა:

აქაც ძლუნულ ქარტა არ წესიერ რბის შენდა, არცა შენ მიერ მსრბოლთაგან მოვიდა ჩვენდა.

სხვათა ჭერს შეფარებულ და რამდენადმე თავმოყვარეობაშელახულ ლტოლვილებს აოცრებათ რუსეთის საიმპერატორო კარზე მყოფი ქართველი მეფის უმოქმედობა:

აქანი კნიაზ მუშაკ გე მობენ ქირდებით, ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით დიდებით, თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებით.

ნ. ორბელიანი გულისტკივილით გვაცნობს ასტრახანს დარჩენილი ქართველების ცხოვრებას, განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოგვიდგენს ჩამორჩენილი ამაღლის ტრაგიკულ მდგომარეობას. პატრიოტული ურვით შეპყრობილი და შექმნილი სიტუაციით შემოფოთებული პოეტი გულდასერილია ვახტანგ მეექვსის დაშორებითა და ფერსაპექტივობის შეგრძნებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელს არ იღებს შემოქმედებით მუშაობაზე, არ წყვეტს საგანმანათლებლო საქმიანობას.

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი აღინიშნა ქართული ასტრონომიის ზრდა-განვითარებით — გაღვივდა ინტერესი დარგისადმი, გაიზარდა მოთხოვნილება კოსმოგრაფიულ ძეგლებზე. ამ საქმეს ვახტანგ მეექვსე უძღვებოდა, სპეციალურად მუშაობდნენ სხვა მოწინავე ქართველებიც (სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრა-

ტიონი და სხვ.). დაინტერესდა ნ. ორბელიანიც. მან გადაწერა ასტრონომიულ-კალენდარული შრომები მაგალითად, აბუსერისძე ტბელის „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“, სხვადასხვა ცნობები და ა.შ.; მისი რედაქციით გამოქვეყნდა ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული ნაშრომი „აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი“ (1721 წ.); მანვე შეადგინა „სწავლანი ამა ქორონიკონისა, თუ ვითარ ჯერ არს ყოველივე“, მისი „გამოდებულ-გაკეთებული“ „გრგვალი“ წრე, რომლითაც „დღესასწაული იცნობების“, შრომატევადი სამუშაო შეასრულა ნ. ორბელიანმა ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი „ქორონიკონის“ ტექსტზე — „დიდი სასჯელი ნახა“, „ელთაზე გამართა“ 1728 წელს. როგორც გვაუწყებს, ჯანგატეხილი და დასუსტებული მუშაობდა: „ავად ვიყავ და ვერ ვჯდებოდი, წოლით დამიწერია; ვეშურებოდი, სიკვდილს მოველოდრ. თუ რამე ცდომილი ნახოთ, ღვთის გულისათვის შემინდევით, დიდი სასჯელი ვნახე ამის კეთებაზედა“.

ნ. ორბელიანი ვახტანგის სტამბის ენერგიული თანამშრომელი იყო. როგორც ცნობილია, ქართლის გამგებელმა ადრევე მიჰყო ხელი ქართული სტამბის დაარსების საქმეს, გაიღო სახსრები, ააგო „სტამბის სახლები“, მოიწვია მესტამბე მიხეილ უნგროვლანელი, შემოიკრიბა აქტიური მუშაკები და ფართოდ გაიანაღა საგამომცემლო საქმიანობა. სტამბის მუშაკთა შორის ყოფილა ნ. ორბელიანიც. სტამბის მიერ გამოცემულ ოცი წიგნიდან მის ხელში გაუვლია რვა, მათ შორის პირველსა (სახარება, 1709 წ. და უკანასკნელს ჟამნი, 1722 წ.), ასე რომ; იგი სტამბაში მუშაობდა მისი სტამბის არსებობის მთელ მანძილზე.

პირველსავე წიგნს აწერია: „გაიმართა წმიდა ესე ელითა ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონისა ორბელის შვილი-სათა“. ანალოგიური წარწერა აქვს სამოციქულოს 1709 წ., ჟამნსა 1710 წ. და ლოცვანს 1710 წ. გვიანდელ გამოცემებში ნ. ორბელიანი უკვე პროველად იხსენიება

პარაკლიტონი, 1720 წ. აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, 1721 წ.; ჟამნი, 1722 წ. თბოქმის ყველა წიგნს ახლავს ნ. ორბელიანის წინა ან ბოლოხიტყვაობა. ავტორი გვაწვდის საინტერესო ცნობებს, ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას სტამბის საქმიანობაზე, გვიჩვენებს მისი მუშაობის ხასიათს. მაგალითად, სახარების წინასიტყვაობაში იგი გვაუწყებს, რომ ადრე სტამბა „აროდეს ყოფილიყო საქართველოში“, რის შედეგად „ელთ წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყენილიყო“. ვახტანგმა დააარსა სტამბა და „მე...ცოდვილს მღვდელ-მონაზონს ნიკოლოზს, მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვექმენ“. ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ვახტანგი არა მხოლოდ დამაარსებელი და საერთო ხელმძღვანელი იყო სტამბისა, არამედ სათანადო კადრის შემრჩევიც.

საინტერესოა ასეთი ცნობაც: „ესე წმიდა სახარება დღის ჭირთა ბერძენთა დაბეჭდილს სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ-ნაკლები გაგმარაჲ“. ნ. ორბელიანს ბერძნულსათვის შეუდარებია აგრეთვე

„სამოციქულო და იოანეს მოხილვა“.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობებია შემონახული ლოცვანის (1710 წ.) წინასიტყვაობაში, რომელშიც ნ. ორბელიანი დამატებით გვაუწყებს ქართულ-ბერძნული ტექსტების შეჯერების სირთულეს: „მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არავისი ენა ვიცოდი, რომელსაც ბერძნულის მკოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის, მე დიდის ჭირით გაწკობასა და სიმართლესა ვცდილობდი“. როგორ ჩანს, ნ. ორბელიანს მართლაცდა რთული სამუშაოს შესრულება უხდებოდა; მით უმეტეს, რომ მან ბერძნული არ იცოდა. ბერძნული ენის მკოდნენი (კვიპრიანე სამთავნელი, არქიმანდრიტი სერგიოსი ალბათ ნაწილობრივ თუ უმცირებდნენ ტვირთის სიმძიმეს).

ნ. ორბელიანი ძირითადად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნების შესწორებითა და გამართვით იყო დაკავებული, ამიტომაც ამბობდა პაატა ბატონიშვილი: „ორბელისშვილი ნიკოლოზ ჰყოფს წერილით გასწორებას“, მაგრამ მხოლოდ ამით არ იფარგლებოდა: სასტამბოდ გამართა „აიაოიც“. საუიქრებელია, ვახუანგსა და სხვა მოწინავე ქართველებთან ერთად ისიც მწვავედ განიკვირდა იმ საკვალალო მდგომარეობას, რომ „მრავალგზის მკერთაგან მოხრებულ საქართველოში... არღარა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა“. ამ წიგნის გამოცემა ქართული მეცნიერების განვითარებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევის ერთგვარი ცდა იყო.

საკურადლება მოსკოვში დაბეჭდილი „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან“, რომლის ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. მისი ტექსტის წინ იკითხება: „რუსულისაგან ქართულად თარგმნილი ბატონისშვილის ალექსანდრესაგან წირვაზედ სათქმელი და მართლხავებული ყაფლანის შვილის ტვიღელ მიტრაპოლიტის ნიკოლაოსისაგან“. ეს წიგნი დაბეჭდილი უჭდა იყოს 1737-1744 წლებში, მთარგმნელია ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, რედაქტორი ნ. ორბელიანი. მოსკოვში დასახლებულ მღვდელმთავარს ხელი მიუწვდებოდა არჩილის კოლონიის წიგნოსაცავზე, ალბათ, იქ გაეცნო ა. ბაგრატიონის ხელნაწერს და 1726-1732 წლებში გაამზადა სასტამბოდ.

ინტერესს იწვევს ნ. ორბელიანის ანბანი — მრგლოვანი და მხედრული ასოები — თხზული, დაქსელილი დამწერლობა, დამყარებული ასოთა გადაწვანა-გადახლართვაზე, ერთერთში მოთავსებასა და ნაქსოვაში. იგი დახელოვნებული ყოფილა ასეთი ასოების წერაში, მისი ნამუშევარი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და ქართველ დიდოსტატთა ნუქურთმების მოგონებას იწვევს. ავტორს მცირე ადგილზე მოზრდილი ტექსტი დაუტევია და სამკაულებით გაულამაზებია.

მრგლოვანი დაქსელილი დამწერლობა „მთავარი ასოთანი“, რომელიც გვიან ხანაში დაიწყებას მისცემია და ხმარებიდან გასულა, ნიკოლოზისათვის, როგორც თვით გვაუწყებს, სულხან-საბას უსწავლებია, ხოლო ამ უკანასკნელს მამისაგან უსწავლია.

XVII საუკუნის მოწურულსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში გაიზარდა ინტერესი ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, განაღდა შემკრებლობითი და სარესტავრაციო სამუშაოები. ამ საქმეში ნ. ორბელიანიც ჩაერთო, სახელდობრ, მან აღადგინა იოანე დამასკელის „საფილოსოფოსო თაფნი“ ანუ „ღიალექტიკა“ კათილორია“ 1710 წელს. მისი ცნობით, ეს „დაძველებული და გარდასული“ ხელნაწერი მან თავისი „ეკლით მოაცხოველა“ და „ნაკლული შეასრულებინა“ — შეავსებინა თანამოდგაწვევს.

ნ. ორბელიანი ენერგიულად იღვწოდა ძველი ხელნაწერების გამრავლებისათვის; მან გადაწერა არაერთი ქართული ორიგინალური ძეგლი — ექვთიმე ათონელის, იოანე პეტრიწის, დემეტრე მევის, აბუსერესძე ტბელის, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი, აგრეთვე გიორგი ათონელის, ევრემ მცირის, არსენ იყალითელის და სხვათა თარგმანები.

ნ. ორბელიანი ზრუნავდა ძველ სავანეთა წიგნოსაცავებზე — ხელნაწერებს სწირავდა მათ. მაგალითად, „ვინათგან უამთა ვითარებათაგან მონასტერნი... მოხრებულ იყვნეს და ყოველი წიგნი რათაცა მიხეხითა უჩინო ქმნულ იყვნეს“, 1705 წელს დოდოს მონასტერს შესწირა ვეებერთელა კრებული.

ნ. ორბელიანი წერდა სიგელ-გუჯრებსაც, მაგალითად, 1703 წელს დაწერა ქვათახევის სიგელი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამ საეკლესიო სენიორიაზე, დეტალურად აღწუხავს მეფე-დიდებულთა შეწირულობას მონასტრისადმი. ყურადღებას იმსახურებს საბუთის ვრცელი რიტორიკული შესავალი, რომელიც ავტორის საღვთისმეტყველო განათლებას მოწმობს.

ნ. ორბელიანი არამარტო თვით აცხოველებდა და აღადგენდა ძველ ხელნაწერებს და ამზადებდა ახალ ნუსხებს, არამედ სხვებსაც ავალებდა და ასრულებინებდა ასეთსავე სამუშაოს. მაგალითად, 1725 წელს ასტრახანში გადააწერინა იოანე დამასკელის „მოკლე წინამძღვარი“, 1728 წელს მოსკოვში — მარხვანი და სხვ. საგულისხმოა, რომ მას რუსეთშიც არ შეუწყვეტია ზრუნვა ძველ ხელნაწერებზე. საინტერესოა მისი ანდერძი, რომელიც „მოკლე წინამძღვარს“ ახლავს: „აღვაწერინე იოანე დამასკელის წიგნი ესე ქალაქსა შინა ასტრახანს. ქართლიდამ რუსეთს მოვდიოდით, მეეფეს ვახტანგს ვახლდით. იქ ქართლიდამ წამოღებული დიად ძეგლი წიგნი იყო, აღარც თავი აქონდა და აღარც ბოლო, რაც ჩნდა, ეს გარდამოგაწერინე დაუკარგაობისათვის და შუახვდაც ცხრამეტე და ოცი თავი ამოგლეჯილი იყო, რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისაგან გამო სნა გაღირსოთ, ამის გათავებას ვცადენით“. სამუშაოს დასრულება მან ანდერძად დაუტოვა „ქართლის თათრისაგან“ გამოსხნის მომწირეთ.

ასეთთა ზოგადად ნ. ორბელიანის ცხოვრების გზა და მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

ნ. ორბელიანი ღირსეულად უმშვენებს მხარს თავის ძმებს სულხან-საბას, დიმიტრისა და ზაალ-ზოხიძეს. მათ



საქმიანობაზე ქართველ საზოგადოებრიობას ჰქონდა  
სავსებით სწორი წარმოდგენა, რასაც დიმიტრი ბაგრა-  
ტიონის 1746-1826 ლექსიც ამოწმებს:

ორბელის ძენი ყოფილან ბრძენნი, გონება ვრცელნი,  
გულისხმიერნი,  
ერნი და ბერნი, კეთილად მწერნი, საღმრთო-საეროდ

კარგ-მშვენიერნი,

ენამჭვერ სრულნი, ლამაზად თქმულნი, მრავალი  
გვქონან ჩვენ მათ მიერნი,

და გვიხამს ვმადლობდეთ, შენდობას ვძღნობდეთ,  
ერთმეკევენელნი ვინც ვართ ივერნი.



ტაიში

JVARY VAZISA  
CROSS OF VINE  
N 4, 1992

Summary

The preaching - "About Regret and Sorrow", by Simon the New Theologian, is published in the journal, in which the author teaches us how to gain it and it is impossible to reach purity without tears.

In his "Preaching for Comprehension of St. Lukes Gospel", Grigol Palama explains to us how necessary it is to fulfil the commandments given by the Saviour: "And as you wish that men would do to you, do so to them" (Luke 6:31).

The conversation of Rev. Father Seraphim of Sarova with Motovilov deals with the essence of the Christian earthly life, that the main thing is to gain the grace of Holy Spirit.

Shota Jijieshvili - the student of Theological Academy, prepared the material, in which the opinions of the Church Fathers about priesthood is concentrated.

Priest Lavrenti Buziashvili explains the essence of the old Georgian feast "Appearance".

The material translated by Revaz Samukashvili introduces the holy healers, who are our mediators to the God.

In this issue we begin to explain the divine liturgy. This time we publish the manuscript of Jruchi Monastery and the explanation of vesper, by Bishop David.

We continue publishing the material prepared by the student of Theological Academy Gocha Odishelidze "Bring Up Children According to the teaching of the Lord".

Metropolitan Vitali discusses the attitude the Christian is to have towards television, in his article "Television and Folk".

The heading of Christian Arts introduces the article by Gubareva, in which the history and dogmatic of worshipping the holy icons are described.

The life and creative work of Nickolas Orbeliani, one of the representatives of Georgian spiritual culture, is discussed by Levan Menabde.

Ekvtim Kochlamazashvili tells us about the folk festival in Tusheti "Otsoba".

ДЖВАРИ ВАЗИСА  
КРЕСТ ИЗ ЛОЗЫ ВИНОГРАДНОЙ  
N4, 1992

Резюме

В настоящем номере журнала публикуется слово святого Симсона Нового Богослова "О покаянии и скорби", в котором автор наставляет паству как обрести эти добродетели; оповещает, что без слез невозможно достичь святости и безмятежности.

Святой Григорий Палама в своей "Проповеди о чтении из Евангелия от Луки" разъясняет необходимость исполнения заповеди Спасителя: "И как хотите, чтобы с вами поступали люди, так и поступайте с ними" (Лука 6,31).

Беседа преподобного Серафима Саровского с мирянином Мотовиловым касается сущности земной жизни христианина - стяжание благодати Святого Духа.

Студент Духовной Академии Шота Джидженшвили подготовил материал, который представляет суждения отцов церкви о священстве.

Священник Лаврентий (Бузиашвили) объясняет содержание армянского праздника "Гарегноба".

Перевод Реваза Самукашвили знакомит нас со святыми целителями, нашими посредниками перед богом.

В этом номере журнала начинаем публикацию толкования Божественной литургии. На этот раз предлагаем рукопись Джручского монастыря и толкования вечерни епископа Давида.

Продолжаем знакомить читателя с подготовленным студентом Духовной Академии Гоча Одиселидзе материалом "Воспитаем детей наших верой и учением Господним".

Митрополит Виталий в публикации "Телевидение и паства" определяет отношение христианина к телевидению.

В рубрике "Христианское искусство" печатается статья О.Губаревой, которая знакомит с историей и догматом иконопочтения.

Профессор Леван Менабде рассматривает жизнь и творчество представителя грузинской духовной культуры Николая Орбелиани.

კუმურდო

